

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 205034639)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს ობლიგაციების საბოლოო პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს 10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლების, მათ შორის გამოსყიდვის ოფციის უფლების მქონე, არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების შეთავაზების პირობებს. განაღდება (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 36 თვის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება: 1,000 აშშ დოლარი. ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2026 წლის 17 სექტემბერი.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205034639) იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70 ტელ.: +995 322 292 929 ელ.ფოსტა: rico@rico.ge ვებ-გვერდი: www.rico.ge
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ტელ.: (+995 32) 227 27 97 ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ge
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიადად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ.: (+995 32) 240 64 06 ელ.ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700605621 - 1 - 03
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN	GE 2700605621
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	1 სექტემბერი, 2026 წელი

პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე
----------------------------	---

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/ნ: 205034639)

ხელმოწერილია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ვლადიმერ შავლაყაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა: 

თარიღი: 14.09.2026 წ.

ხელმოწერი:

სახელი: ლაშა ნიკოლაიშვილი

თანამდებობა: პროკურისტი

ხელმოწერა: 

თარიღი: 14.09.2026 წ.

ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა: 

თარიღი: 14.09.2026 წ.

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს წლიურად 7.00%-ს.
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდება (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ, 17 მარტს და 17 სექტემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2027 წლის 17 მარტს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები. ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებებისა და შეზღუდვების სანახავად, გთხოვთ, გაეცნოთ პროსპექტს, მათ შორის, ობლიგაციების გამოშვების პირობებს.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	„ობლიგაციების“ პირველადი განთავსება და მეორად ბაზარზე გადაცემა/გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) თითოეულ „ობლიგაციონერს“ პირველადი განთავსების ან/და მეორად ბაზარზე გადაცემის/გასხვისების შედეგად საკუთრებაში ექნება იმდენი ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის, შეადგენს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს შესაბამის აშშ დოლარში („მინიმალური ინვესტიცია“) (რომლის გამოთვლაც მოხდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით) იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია. შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც თითოეული „ობლიგაციონერისგან“ მოზიდული თანხა ან „ობლიგაციონერის“ საკუთრებაში არსებული ან ტრანზაქციის შედეგად დარჩენილი ინვესტიციის მოცულობა, იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია, „მინიმალურ ინვესტიციაზე“ ნაკლებია; და (ბ) აკრძალულია „ობლიგაციების“ თანასაკუთრება, ე.ი. ერთი „ობლიგაცია“ შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ერთ „ინვესტორზე“. ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციონერს“ არ მოეთხოვება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ „მინიმალური ინვესტიციის“ ოდენობამდე შევსება, თუ ვალუტის კურსის ცვლილების გამო მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ საერთო ნომინალური ღირებულება ჩამოსცდება 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში.

გამოსყიდვის ოფცია	„ობლიგაციებს“ გააჩნიათ გამოსყიდვის ოფცია. „დაფარვის თარიღამდე“ ბოლო 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის მანძილზე („გამოსყიდვის პერიოდი“), „ემიტენტს“ შეუძლია, „ობლიგაციონერის“ თანხმობის გარეშე, ერთ ან რამდენიმე ჯერზე, ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერისგან“ პროპორციის დაცვით ან, იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული განაწილება პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისი დამრგვალების ან ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, „ობლიგაციონერთა“ მიმართ თანასწორი მოპყრობის პირობებში, „ობლიგაციები“ გამოსყიდოს სრულად ან ნაწილობრივ ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასებით: • „გამოსყიდვის პერიოდის“ პირველი 9 (ცხრა) თვის მანძილზე - ნომინალური ღირებულების 100.50% • „დაფარვის თარიღამდე“ 3 (სამი) თვით ადრე - ნომინალური ღირებულების 100%
ემიტენტის / ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	“ემიტენტს“ მინიჭებული აქვს შემდეგი საკრედიტო რეიტინგი: • Scope Ratings – B+ / სტაბილური საკრედიტო პერსპექტივით
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება - 2029 წლის 17 სექტემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400) მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11 ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	„ემიტენტს“ გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის „კომპანია“ აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE Listing Rules თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

დივიდენდების პოლიტიკა	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიას“ შეუძლია დივიდენდების განაწილება როგორც წლიური, ასევე ნახევარწლიური მოგებიდან. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პარტნიორი, სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. მეტი დეტალისთვის, გთხოვთ, გაეცნოთ „კომპანიის“ დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.
------------------------------	---

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (შემდგომში „ობლიგაციები“), დაფარვის ვადით 17 სექტემბერი, 2029 წელი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტი აშშ დოლარში და, ობლიგაციების დენომინაციის გათვალისწინებით, შესაბამისი ოდენობის ობლიგაციები
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი).
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი.
ობლიგაციების რაოდენობა	10,000 (ათი ათასი) ცალი.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	10,000,000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი.
გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ემისიის დამტკიცების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, აქციონერისა და დირექტორატის გადაწყვეტილებები	ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2026 წლის 27 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2026 წლის 17 სექტემბერს.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდის თარიღი	დროის მონაკვეთი წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ამავე პროსპექტის და რელევანტური წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2029 წლის 17 სექტემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით: 1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში. წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს; 2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; 3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები - შემდეგი თანამიმდევრობით: 3.1. პრეფერენციული მოთხოვნები; 3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; 3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადო თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს; 3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები; 3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები; 3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).
კალკულაციის და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)

დეფოლტი	თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“, „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე, „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილები არიან „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, 5.5. „დეფოლტი“).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	„ემიტენტის“ შეთავაზებიდან მიღებული სახსრების 20% გამოყენებული იქნება კომპანიის ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, დანარჩენი ნაწილი კი მიიმართება მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის გასაზრდელად. დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროსპექტის თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მიღებული წმინდა სახსრები (მართვის, განთავსების საკომისიოების და ლისტიგის ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუმცა სხვა ხარჯების გამოკლებამდე) არ იქნება გამოშვებული ობლიგაციების მთლიანი ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. „ობლიგაციების“ პირველადი განთავსება და მეორად ბაზარზე გადაცემა/გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) თითოეულ „ობლიგაციონერს“ პირველადი განთავსების ან/და მეორად ბაზარზე გადაცემის/გასხვისების შედეგად საკუთრებაში ექნება იმდენი ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის, შეადგენს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს შესაბამის აშშ დოლარში („მინიმალური ინვესტიცია“) (რომლის გამოთვლაც მოხდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით) იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია. შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც თითოეული „ობლიგაციონერისგან“ მოზიდული თანხა ან „ობლიგაციონერის“ საკუთრებაში არსებული ან ტრანზაქციის შედეგად დარჩენილი ინვესტიციის მოცულობა, იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“,

	რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია, „მინიმალური ინვესტიციაზე“ ნაკლებია; და (ბ) აკრძალულია „ობლიგაციების“ თანასაკუთრება, ე.ი. ერთი „ობლიგაცია“ შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ერთ „ინვესტორზე“. ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციონერს“ არ მოეთხოვება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ „მინიმალური ინვესტიციის“ ოდენობამდე შევსება, თუ ვალუტის კურსის ცვლილების გამო მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ საერთო ნომინალური ღირებულება ჩამოსცდება 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს „ემიტენტს“ ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების ემისიის პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და „კომპანიას“ გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

„კომპანია“ ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

დამტკიცების თარიღი:

16 სექტემბერი, 2026 წელი.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 205034639)**

არასუბორდინირებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროგრამის პროსპექტი

100,000,000 (ას მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“), გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით. თითოეული ემისიისთვის თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) აშშ დოლარი; ობლიგაციების ემისია მოხდება ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად. თითოეული ემისიისთვის ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტალური; გ) ნახევარწლიური; ობლიგაციების ვადიანობა განისაზღვრება 3 (სამი) წლით.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (შემდგომში „კომპანია“, „რიკო“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

წინამდებარე ემისიის პროსპექტი მომზადებულია მხოლოდ ემიტენტის მიერ და განთავსების აგენტი არ იღებს პასუხისმგებლობას მასში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეზე, სიზუსტესა ან/და სისრულეზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საკანონმდებლო ნორმები იმპერატიულად კრძალავს აღნიშნული პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/ნ: 205034639)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „ემიზიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მისი შეფასებით ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.

ბელმოწერილია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ვლადიმერ შავლაყაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა: ვლადიმერ შავლაყაძე

თარიღი: 27.08.2026

ხელმოწერი:

სახელი: ლაშა ნიკოლაიშვილი

თანამდებობა: პროკურორისტი

ხელმოწერა: ლაშა ნიკოლაიშვილი

თარიღი: 27.08.2026

ბელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა: ოთარ შარიქაძე

თარიღი: 27/08/2026

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406.
ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საკანონმდებლო ნორმები იმპერატიულად კრძალავს აღნიშნული პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

"განთავსების აგენტი" ან/და მასთან აფილირებული პირი ან/და მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი არ იძლევა რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ გარანტიას წინამდებარე "პროსპექტში" მოცემული ინფორმაციის სიზუსტესთან ან სისრულესთან დაკავშირებით. წინამდებარე "პროსპექტში" მოცემული არცერთი ინფორმაცია არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს მიჩნეული ან გამოყენებული "განთავსების აგენტის", მასთან აფილირებული პირის ან/და მათი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის განცხადებად ან/და გარანტიად, წარსულთან თუ მომავალთან მიმართებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევა არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მოსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე „პროსპექტში“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს (i) განთავსების აგენტს - შპს „თიბისი კაპიტალს“: (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (+995 32) 277-27-97; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და (ii) „ემიტენტს“ - შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“, რომ ინვესტორი (ა) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ბ) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (გ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (i) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ii) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვევულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით განპირობებული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

1 სექტემბერი, 2026 წელი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა.....	8
შესავალი	8
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის შესახებ.....	11
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	14
სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა.....	14
ინდუსტრიის მოკლე მიმოხილვა	15
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	20
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.....	22
კომპანიის საკრედიტო რეიტინგის მოკლე მიმოხილვა.....	30
მიღებული სახსრების გამოყენება	31
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ	31
ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:	33
სარეგისტრაციო დოკუმენტი	35
რისკის ფაქტორები.....	36
I. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის	36
II. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის.....	55
III. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესთავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის.....	67
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება.....	77
ძირითადი საქმიანობა	78
კომპანიის მიმოხილვა და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები	78
კომპანიის ბიზნესმოდელი - პროდუქტების აღწერა	82
კომპანიის ბიზნესმოდელი - სესხის გაცემის პროცედურის აღწერა	83
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	84
სტრატეგია და ამოცანები	84
მარკეტინგული პროგრამა.....	85
ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები	85
ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების, ლიცენზიებისა და პატენტების შესახებ	85
კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები	86
ინვესტიციები	86
სასამართლო დავები.....	87
კომპანიის საკრედიტო რეიტინგი	87
ინდუსტრიის მიმოხილვა.....	91
კონკურენტული გარემო.....	104

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....	109
კაპიტალიზაცია და დავალიანება	141
მარეგულირებელი გარემო.....	151
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი.....	161
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	170
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა	174
ობლიგაციების პირობები.....	185
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში.....	217

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ არასუბორდინირებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205034639) მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70 ელ.ფოსტა: rico@rico.ge ვებ-გვერდი: www.rico.ge ტელ.: +995 322 292 929
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თბილისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge ტელ.: +995 32 227 27 97
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge ტელ.: (995 32) 240 6406
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	1 სექტემბერი, 2026 წელი
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან

დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებისთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც „კომპანია“ და არც განთავსების აგენტი არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელდებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს „ემიტენტის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

არცერთი პოტენციური ინვესტორი არ უნდა დაეყრდნოს განთავსების აგენტს, მასთან აფილირებულ პირს ან/და მათი სახელით მოქმედ ნებისმიერ მესამე პირს წინამდებარე "პროსპექტში" მოცემული მონაცემების/ინფორმაციის სიზუსტის ან/და სისრულის შეფასებისას. ამასთანავე, არცერთი ინვესტორი არ უნდა დაეყრდნოს „განთავსების აგენტს“, მასთან აფილირებულ პირს ან/და მათი სახელით მოქმედ ნებისმიერ მესამე პირს "ობლიგაციებში" ინვესტირების საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს. ნებისმიერი პირი, რომელიც განიხილავს "ობლიგაციებში" ინვესტირების შესაძლებლობას, ვალდებულია დამოუკიდებლად შეისწავლოს და შეაფასოს „ემიტენტი“, აგრეთვე თავად განსაზღვროს ასეთი ინვესტიციის შესაბამისობა საკუთარი საინვესტიციო მიზნების, გამოცდილებისა და იმ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მისთვის შესაძლოა რელევანტური იყოს აღნიშნულ ინვესტიციასთან მიმართებით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, განთავსების აგენტის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საკანონმდებლო ნორმები იმპერატიულად კრძალავს აღნიშნული პასუხისმგებლობის გამორიცხვას.

პასუხისმგებელი პირის განცხადება


პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მისთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.“

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“, საიდენტიფიკაციო ნომერი - 205034639. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი - 01/07/2004.

ელ.ფოსტა: rico@rico.ge
 ვებ-გვერდი: www.rico.ge
 ტელ.: +995 322 292 929

Map of Georgia showing the distribution of COVID-19 cases by region. The map is color-coded by the number of cases: 0 (lightest), 1-4 (light green), 5-9 (medium green), 10-14 (dark green), 15-19 (light blue), 20-24 (medium blue), 25-29 (dark blue), and 30 or more (darkest blue). Tbilisi is the most affected region with 30 cases. Other regions with cases include Abkhazeti (5), Samegrelo-Zemchi Kartli (7), Guria (2), and Imereti (2).


2025 წლის 31 დეკემბერს მომხმარებელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფაში არსებული გირავნობის საგნების ღირებულება შემდეგნაირად აღემატება მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას (Value-to-Loan Ratio):




2025 წლის 31 დეკემბრისთვის იმ სესხების ჯამი, რომელთა უზრუნველყოფის ღირებულება სესხის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, შეადგენს 13,992 ათას ლარს და წარმოადგენს მთლიანი სასესხო პორტფელის 1.6%-ს. აღნიშნული სესხების დაბალი VTL მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) ისტორიული იპოთეკური სესხებით - რომელთა შესაბამისი უძრავი ქონების ღირებულება ასახულია თავდაპირველი შეფასების საფუძველზე და შემდგომ პერიოდში მისი რეგულარული გადაფასება არ განხორციელებულა და ბ) ვადაგადაცილებული სესხებით - რომელთა დავალიანების მიმდინარე მოცულობა, ძირითადი თანხის გარდა, მოიცავს დარიცხულ პროცენტსა და ჯარიმას. დეტალურად იხილეთ პროსპექტის სექცია “საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”.

კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს. დამატებითი შემოსავლის წყაროები, მათ შორის ფულადი გზავნილები, სავალუტო კონვერტაციები და შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან ჯამურად კომპანიის საერთო შემოსავლის 20%-ს არ აღემატება.

გრაფიკი 1, კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სესხების
ჩაშლა, 31 დეკემბერი 2025:




გრაფიკი 2, კომპანიის შემოსავლების ჩაშლა,
31 დეკემბერი 2025:




კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სასესხო პორტფელის 7 წლიანი CAGR 22.1%-ია და ბოლო 7 წლის პორტფელი განმავლობაში 658.4 მლნ ლარით გაიზარდა - საიდანაც ზრდის 62% ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა (2024 და 2025 წლის განმავლობაში კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხები 406.2 მლნ ლარით არის გაზრდილი). ბოლო ორი წლის ზრდის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს ფასის მკვეთრი ზრდა, რაც ზრდის უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასაც, რამაც იგივე მოცულობის ოქროს საფუძველზე შესაძლებელი გახადა შედარებით უფრო მაღალი ოდენობის სესხების გაცემა.

გრაფიკი 3, კომპანიის მომხმარებელზე გაცემული წმინდა სესხების დინამიკა:



კომპანიის მნიშვნელოვანი საოპერაციო შედეგები 2025 და 2024 წლისთვის:




2025 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა 4 ახალი ფილიალი და მომხმარებელთა რაოდენობა გაზარდა 284 ათასი -ით. ამავე პერიოდში კომპანიის ძირითადი აქტივები - მომხმარებელზე გაცემული სესხები გაიზარდა 41.5%-ით ხოლო მოგება 36.8%-ით და 68.0 მლნ ლარი შეადგინა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ დღეისათვის საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის წამყვან კომპანიათა რიცხვს განეკუთვნება.

2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარი წარმოდგენილია 380 ფილიალითა და 3,715 დასაქმებული პირით. ამავე პერიოდისთვის „რიკო ექსპრესი“ ოპერირებს 71 ფილიალით და ასაქმებს 798 თანამშრომელს.

გრაფიკი 4: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური წმინდა სასესხო პორტფელი და რიკო ექსპრესის წილი, მილიონ ლარში:



2025 წელს კომპანიის ბაზრის წილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორში 32.0%-დან 46.6%-მდე, ანუ 14.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა - ამის პარალელურად ბაზრის ზომა 1,904 მილიონი ლარიდან 1,841 მილიონ ლარამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის მიკრობანკად ტრანსფორმაციით. აღსანიშნავია, რომ გამიკრობანკებული კომპანიების ეფექტის გამოკლებით რიკო ექსპრესის ბაზრის წილი სტაბილურად 40%-ზე ზევითაა და ზრდის ტენდენციას აჩვენებს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ძირითადი საქმიანობა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ემიტენტი არ არის ჯგუფის წევრი.

კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული პარტნიორი - დალი ურუშაძე (პ/ნ 01008005126).

კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი - თამარ გოგოძე (პ/ნ 01008014709).

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა

კომპანიის სამომავლო სტრატეგია მიმართულია მიკროსაფინანსო სექტორში არსებული პოზიციის შენარჩუნებისა და შემდგომი გამყარებისკენ. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება კომპანიის მოქმედი ბიზნეს მოდელის გაღრმავებას, ფილიალების ქსელის გაფართოებას, საოპერაციო ეფექტიანობის ზრდას, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, კომპანია სამომავლოდ არ გეგმავს საქმიანობის პროფილის რადიკალურ ცვლილებას ან არაპროფილურ ბიზნეს მიმართულებებში შესვლას. კომპანიის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- ფილიალების ქსელის გაფართოება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა
- არსებული ბიზნეს მოდელის გაღრმავება
- ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და პროცესების
- ადამიანური კაპიტალის განვითარება
- გირაოს საგნების შენახვის ინფრასტრუქტურის გაძლიერება

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები მიზნად ისახავს კომპანიის არსებული საბაზრო პოზიციის გამყარებას, საოპერაციო მდგრადობის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ზრდას და გრძელვადიანი, სტაბილური განვითარების ხელშეწყობას.


მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „სტრატეგია და ამოცანები“.

ინდუსტრიის მოკლე მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და **2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, გასული შვიდი წლის საშუალო წლიურმა ზრდამ (CAGR) 8.0% შეადგინა**. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საკრედიტო პორტფელი წლიურად 3.9%-ით შემცირდა, რაც ძირითადად 2025 წლის თებერვალში ერთ-ერთი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკად გარდაქმნას უკავშირდება (მანამდე, 2024 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გავიდა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც მიკრობანკის სტატუსი მოიპოვა). თუმცა, 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის ჯამურ საკრედიტო პორტფელში კვლავ ზრდა დაფიქსირდა და 2.06 მლრდ ლარი შეადგინა (+32.2% წ/წ). ზრდის მაღალი მაჩვენებელი 2025 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, გარკვეულწილად, ბაზრიდან დიდი მოთამაშეების გასვლის ეფექტაცაა.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განვითარდა საკრედიტო პორტფელის ვალუტების მიხედვით გადანაწილების მხრივ, რაც მეტწილად წლების განმავლობაში გამკაცრებული რეგულაციებით აიხსნება. ვალუტების მიხედვით პორტფელის სტრუქტურის ცვლილება ძირითადად აიხსნება 2019 წელს დამტკიცებული „ფიზიკური პირებისთვის სესხის გაცემის წესით“, რომელიც უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოქმედების დაწყებიდანვე აწესებს უფრო მკაცრ PTI და LTV ზღვრებს, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში (LTV: 70% უცხოურ ვალუტაში, 90% – ეროვნულში). 2018 წელს არსებული პორტფელის 16%, რაც 173 მილიონი ლარის ექვივალენტს აღემატებოდა, უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წელს 10.7 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც მთლიანი პორტფელის 1%-ზე ნაკლებია. აღნიშნული დინამიკა 2026 წელსაც გრძელდება.

გრაფიკი 5: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი პერიოდის ბოლოსთვის, მლრდ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: „*“-ით მონიშნულ პერიოდებში სექტორის ზრდის მაჩვენებლებზე გავლენა იქონია ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - ემბისისა და კრისტალის - გამიკრობანკებამ და, შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გასვლამ.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იცვლება, რაც საბოლოო აგრეგირებულ მონაცემებზეც აისახება და ხშირ შემთხვევაში ჯამური სექტორის დინამიკის არათანაბარი შედარების საფუძველი ხდება. უკანასკნელი ექვსი წლის მონაცემების მიხედვით, რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნახევარზე მეტი სექტორში აღარ ფიგურირებს და

2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 29 კომპანიას შეადგენს.


გრაფიკი 6: რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები პერიოდის ბოლოსთვის, ერთეული



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად ცვალებადი ბაზრის მონაწილეების რაოდენობისა, ჯამურად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორის მოცულობა, რომელიც საკრედიტო პორტფელის მოცულობის სახით არის წარმოდგენილი, ისტორიულად მაღალ თანხვედრაშია საქართველოს ზოგადი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთან.


გრაფიკი 7: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საბანკო საკრედიტო პორტფელის ცვლილება და მშპ, წ/წ %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; *მშპ-ს წინასწარი მონაცემები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა ფიზიკური პირები არიან. პორტფელის დინამიკაში ასევე შეინიშნება იურიდიული პირი მსესხებლების კლებადი წილი მთლიან პორტფელში. იურიდიული პირების 2018 წელს დაფიქსირებული 2%-იანი წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლო მდგომარეობით განახევრებულია.

გრაფიკი 8: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი სესხის ამღები სუბიექტების მიხედვით, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ანალიზი დარგების მიხედვით გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში საკრედიტო პორტფელი მეტად კონცენტრირებული ხდება. პორტფელის კონცენტრაცია სალომბარდო სესხებზე წლიდან წლამდე იზრდება და 2018 წელს დაფიქსირებული 28%-დან 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 80%-მდეა გაზრდილი.

ჯამურ საკრედიტო პორტფელში შემცირებულია როგორც სამომხმარებლო სესხების წილი, ისე ვაჭრობის და მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორებზე გაცემული სესხების წილები. აღნიშნული უკავშირდება 2024 წლის და 2025 წლის განმავლობაში ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - ემბისისა და კრისტალის - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გასვლას და მიკრობანკად გარდაქმნას. ამის შესაბამისად, ბოლო წლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელში მნიშვნელოვნად იზრდება სალომბარდო სესხების წილი. წილთან ერთად, იზრდება სალომბარდო სესხების მოცულობაც - და ბოლო 8 წლის განმავლობაში 5.5-ჯერ არის გაზრდილი (0.30 მლრდ ლარიდან - 1.63 მლრდ ლარამდე).

გრაფიკი 9: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი დარგების მიხედვით და სალომბარდო სესხების ტენდენცია, მლრდ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

სალომბარდო სესხების პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ოქროს ფასის ზრდასთან, ვინაიდან ოქრო წარმოადგენს აღნიშნული სესხების ძირითად უზრუნველყოფის საშუალებას. ოქროს საბაზრო ღირებულების ზრდა ზრდის უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასაც, რის შედეგადაც იგივე მოცულობის ოქროს საფუძველზე შესაძლებელია შედარებით უფრო მაღალი ოდენობის სესხის გაცემა. შესაბამისად, ოქროს ფასის ზრდა ზრდის მსესხებლების საკრედიტო შესაძლებლობას და, მოთხოვნის შენარჩუნების პირობებში, ხელს უწყობს სალომბარდო

სესხების პორტფელის მოცულობის ზრდას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოქროს ფასმა უპრეცედენტო ნიშნულებს მიაღწია. 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს და მეორე კვარტლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის შემცირების ტენდენცია შეინიშნება - აღნიშნული გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების ზრდის მომატებულმა მოლოდინებმა და ცენტრალური ბანკებისგან მოსალოდნელზე ნაკლებად მოთხოვნის ზრდამ, თუმცა წლის ბოლოს ოქროს ფასის ზრდის პერსპექტივები კვლავ უცვლელად რჩება.

გრაფიკი 10: ოქროს ფასის დინამიკა წლების მიხედვით, აშშ დოლარში ერთ უნციაზე




წყარო: Bloomberg

ოქროს ბაზრის პერსპექტივა

Bloomberg-ის კონტრიბუტორების მედიანური პროგნოზების მონაცემებზე დაყრდნობით, სტრუქტურული მამოძრავებელი ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების პირობებში, ოქროს გრძელვადიანი პერსპექტივა კვლავ პოზიტიურია და ოქროს ფასმა ერთ უნციაზე 2026 წლის ბოლოსთვის 4, 500 აშშ დოლარს უნდა მიაღწიოს.

გეოპოლიტიკური დამაბულობის შესაძლო გამწვავებამ - განსაკუთრებით ირანის, გრენლანდიის ან ვენესუელის კონტექსტში - ასევე დასავლეთის ქვეყნების ფისკალური მდგრადობის მიმართ მზარდმა შემფოთებამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააჩქაროს გლობალური კაპიტალის დივერსიფიკაცია ტრადიციული აქტივებიდან ოქროს მიმართულებით, რაც დამატებით ხელს შეუწყობს მისი ფასის აღმავალ დინამიკას.

გრაფიკი 11: ოქროს ფასის პროგნოზი, აშშ დოლარი უნციაზე (USD/toz)



წყარო: Bloomberg

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც 2025 და 2024 წლებისათვის ეფუძნება „აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებს“. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფასს“-ის (IFRS) შესაბამისად. 2025 და 2024 მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის **არამოდიფიცირებული**.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ კომპანიაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: 1) დამფუძნებელმა განახორციელა კაპიტალში დამატებითი შენატანი 10,000,000 ლარის ოდენობით; 2) დამფუძნებელზე გაცემული დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 10,080,000 ლარი; 3) დაიფარა დამფუძნებლისგან მიღებული სუბორდინირებული სესხი 25,000,000 ლარის ოდენობით, ხოლო ახალი სუბორდინირებული სესხი მიღებულ იქნა 35,000,000 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

დამატებითი დეტალები იხილეთ „საოპერაციო და ფინანსურ მიმოხილვაში“.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები¹

შემოკლებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ათას ლარში)	2025	2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	120,962	86,769
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (დანარიცხი)/გაუქმება	-12,555	-265
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ	108,407	86,504
არასაპროცენტო შემოსავალი	32,678	19,910
ცვეთა და ამორტიზაცია	-4,043	-5,342
სხვა არასაპროცენტო ხარჯი	54,113	38,774
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	82,929	62,299
მოგების გადასახადის ხარჯი	14,949	12,594
წლის მოგება	67,980	49,705
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	67,980	49,705

¹ შემოკლებული 2025 და 2024 წლებისთვის გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები. გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენილი ველების გაერთიანებას / ჯამს

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
სულ აქტივები	1,070,375	725,256
სულ ვალდებულებები	721,802	423,479
სულ საკუთარი კაპიტალი	348,573	301,777
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,070,375	725,256

შემოკლებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)	2025	2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-66,379	-86,620
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	6,605	41,050
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	129,447	59,065
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი	4,582	-192
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	74,255	13,303
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	68,264	54,961
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	142,519	68,264

საბრუნავი კაპიტალი

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო -382,474 ათასი ლარი, ხოლო 2024 წელს -79,451 ათასი ლარი.

ცხრილში წარმოდგენილია მოკლევადიანი აქტივები, მოკლევადიანი ვალდებულებები და მიმდინარე კოეფიციენტი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 2025 წლის 31 დეკემბრისთვისა და პრო-ფორმა ეფექტის გათვალისწინებით:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025 პრო-ფორმა*	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მოკლევადიანი აქტივები	183,956	183,956	169,765
მოკლევადიანი ვალდებულებები	512,528	566,430	249,216
მიმდინარე კოეფიციენტი**	0.36	0.32	0.68

*პრო-ფორმა მაჩვენებლის დაანგარიშებისას კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები შემცირებულია 20,000 ათასი აშშ დოლარით ხოლო მოკლევადიანი აქტივები უცვლელია.

***მიმდინარე კოეფიციენტის დათვლის მეთოდოლოგია შემდეგია: მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან.*

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია. აღნიშნულის მიზეზი აღწერილია ქვემოთ:

- 2023 წლის მე-4 კვარტალში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ახალგასაცემ სალომბარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა.*
- მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში მომხმარებელზე გაცემული სესხები ოფიციალურად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები, პრაქტიკაში სალომბარდე სესხების უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3-დან 6 თვემდე ვადაში ხდება;*
- მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სურათისგან - რაც გულისხმობს, რომ კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ფინანსური ანგარიშგებებიდან ჩანს;*

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, „ემიტენტის“ შეფასებით კომპანია რეალურად არ არის არასაკმარისი საბრუნავი კაპიტალის წინაშე და მისი მოკლევადიანი აქტივები საკმარისია მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად - ვინაიდან „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ არ შეიცვლება მისი ბიზნეს მოდელი და მომხმარებელთა ქცევის პატერნი. ამის მიუხედავად არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული ორი გარემოება უცვლელი დარჩება - დეტალურად იხილეთ რისკების სექცია.

ამასთანავე თუ მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელიდან მიღებული თანხები კვლავ გაიცემა მომხმარებლებზე, მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად „კომპანიას“ დამატებითი დაფინანსების მოზიდვა დასჭირდება; ხოლო თუ აღნიშნული თანხები ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება - პორტფელის მოცულობის შესანარჩუნებლად კვლავ ახალი რესურსის მოზიდვა იქნება საჭირო. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში „კომპანია“ მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია დაფინანსების წყაროების უწყვეტ ხელმისაწვდომობასა და რეფინანსირების შესაძლებლობაზე.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2025 და 2024 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით (გარდა საზედამხედველო კოეფიციენტებისა, რომელთა გაანგარიშება ეფუძნება საზედამხედველო აღრიცხვის ჩარჩოს). ფინანსური კოეფიციენტები დათვლილი და წარმოდგენილია პროსპექტის მიმართ არსებული მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არ წარმოადგენს აუდიტირებული ანგარიშგებების ნაწილს.

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

		31 დეკ 2025 პრო-ფორმა	31 დეკ 2025	31 დეკ 2024
მომგებიანობის კოეფიციენტები				
1	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	n.a	20.91%	16.11%
2	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	n.a	7.57%	7.45%
3	ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROIC)	n.a	16.92%	13.44%
4	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin)	n.a	62.23%	73.97%
5	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a	59.54%	71.63%

6	საოპერაციო მოგების მარჟა (Operating Profit Margin)	n.a	40.02%	43.72%
7	წმინდა მოგების მარჟა (Net Income Margin)	n.a	32.80%	34.88%
8	შემოსავლიანობა პორტფელზე (Loan Yield)	n.a	23.04%	20.76%
9	საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი (Cost-to-Income)	n.a	27.34%	30.23%
10	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds)	n.a	9.77%	8.88%
11	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) (პეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a	10.63%	9.69%
12	საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread)	n.a	13.26%	11.88%
13	საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) (პეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a	12.40%	11.07%
საზედამხედველო მაჩვენებლები (მიკროსაფინანსო ინსტიტუტისთვის)				
14	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მინ. 18%	28.61%	34.53%	45.24%
15	ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მინ. 18%	21.93%	21.85%	24.68%
16	ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მაქს. 15%	0.00%	0.00%	0.00%
17	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მაქს. 40%	9.15%	9.15%	11.27%
18	ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მაქს. 15%	0.01%	0.01%	0.01%
19	დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)*, ლიმიტი მაქს. 90%	88.65%	88.65%	89.60%
აქტივების ხარისხი				
20	მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან (ფასს)	n.a	0.69%	0.17%
21	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან (ფასს)	n.a	0.14%	0.10%
22	PAR 90 მთლიან სესხებთან (ფასს)	n.a	0.25%	0.01%
23	პორტფელის ჩამოწერა/საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს)	n.a	9.08%	14.59%
24	ამოღება/საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს)	n.a	6.47%	13.04%
ლიკვიდობა				
25	ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები	11.08%	13.31%	9.41%
26	ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები	27.81%	25.16%	27.39%
ლევარიზი				
27	კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი	31.99%	39.89%	48.88%
28	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	70.24%	64.24%	55.43%
29	მთლიანი მოზიდული სახსრების და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	2.59	1.97	1.33
30	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	n.a	2.56	3.06
31	ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან* (ლიმიტი მაქს. 80%)	72.89%	67.43%	58.39%
32	დაგირავებული სასესხო პორტფელი ჯამურ პორტფელთან	25.38%	31.64%	44.83%
33	უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრების წილი ჯამურ მოზიდულ სახსრებთან	30.93%	40.63%	54.20%
ლევარიზი (სუბორდინირებული ვალის გარეშე)				
34	კაპიტალისა და სუბ. ვალის ჯამი /წმინდა სასესხო პორტფელი	34.29%	42.75%	52.93%
35	მთლიანი ვალის კოეფიციენტი (სუბ. ვალის გამოკლებით)	68.29%	61.90%	51.99%
36	მთლიანი მოზიდული სახსრების (სუბ. ვალის გამოკლებით) და კაპიტალისა და სუბ. ვალის ჯამის თანაფარდობის კოეფიციენტი	2.35	1.77	1.15
37	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (სუბ. ვალის გამოკლებით)	n.a.	2.65	3.15
38	ვალდებულებები (სუბ. ვალის გამოკლებით) / ჯამურ აქტივებთან	70.95%	65.10%	54.94%
39	უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრების წილი ჯამურ მოზიდულ სახსრებთან (სუბ. ვალის გამოკლებით)	31.81%	42.16%	57.79%
კორექტირებული მომგებიანობის კოეფიციენტები				
40	კორექტირებული წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin)	n.a.	58.61%	73.47%
41	კორექტირებული წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) (პეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a.	55.92%	71.13%

42	კორექტირებული საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი (Cost-to-Income)	n.a.	24.30%	29.82%
43	კორექტირებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds)	n.a.	10.93%	9.05%
44	კორექტირებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a.	11.79%	9.86%
45	კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread)	n.a.	12.11%	11.71%
46	კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)	n.a.	11.25%	10.90%
47	კორექტირებული პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	n.a.	2.39	3.03

შენიშვნა 1: პრო-ფორმა კოეფიციენტები მოიცავს წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ჯამურად 100,000,000 აშშ დოლარამდე ღირებულების ობლიგაციების ემისიას, საიდანაც მოზიდული სახსრების 20% მოხმარდება მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებას და დანარჩენი ნაწილი - მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდას. შესაბამისად, კოეფიციენტების კალკულაციისას მხოლოდ 80 მლნ აშშ დოლარით იზრდება აქტივები და ვალდებულებები, ხოლო კაპიტალი უცვლელია. პრო-ფორმა კოეფიციენტების კალკულაციის მიზნებისთვის კორექტირებები განხორციელებულია მხოლოდ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე, ხოლო მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და სხვა რიცხვები წარმოდგენილია უცვლელად. მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მონაცემები არ დაკორექტირებულა, ვინაიდან ემისიის ეფექტი აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით არის სუბიექტური. ამასთან, ისეთი კოეფიციენტები, რომელთა ეფექტების ჩვენებაც არარელევანტურია ან სუბიექტურ დაშვებაზეა დამოკიდებული, არ არის კორექტირებული ემისიის ეფექტით და აღნიშნულია "n.a." მაჩვენებლით.

შენიშვნა 2: ცხრილში მოცემული საზედამხედველო მაჩვენებლები რელევანტურია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის. აღნიშნული კოეფიციენტები წარმოდგენილია როგორც ემიტენტის რეგულაციებთან შესაბამისობის თვალსაჩინოებისთვის, ისე წარმოადგენს წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული "ობლიგაციების" კოვენანტს. საზედამხედველო მაჩვენებლების კალკულაცია ხდება ინდივიდუალური საზედამხედველო ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

შენიშვნა 3: ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან წარმოადგენს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული "ობლიგაციების" კოვენანტს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ "ობლიგაციების გამოშვების პირობები".

შენიშვნა 4: როდესაც კომპანია რესურსებს იზიდავს ფიზიკური პირებისგან ხდება საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის კორექტირება. ამ შემთხვევაშიც, იქიდან გამომდინარე, რომ „ობლიგაციების“ ინვესტორთა ზაზა შესაძლოა მოიცავდეს როგორც ინსტიტუციონალურ ისე საცალო ინვესტორებს - პრო-ფორმა შედეგების შეფასებისას, საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის ლიმიტად უნდა გაითვალისწინებოდეს მინ. 24%.

შენიშვნა 5: 40-46 კოეფიციენტები წარმოდგენილია კორექტირებული სახით. კომპანიის მიერ ბანკის სესხების გაცემის საკომისიოები აღრიცხულია სხვა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, ნაცვლად IFRS-ის შესაბამისად EIR მეთოდით საპროცენტო ხარჯებში ასახვისა. ამის გასწორების მიზნით პროსპექტში გამოყენებულია კონსერვატიული მიდგომა და შესაბამისი კოეფიციენტები დათვლილია სრულად 6,300 ათასი ლარით გაზრდილი საპროცენტო ხარჯის გათვალისწინებით.

ზოგადი შენიშვნები:

1. ზემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ემიტენტის შეფასებით რელევანტურია მისი ბიზნეს საქმიანობისა და სპეციფიკის შესაფასებლად.
2. საპროცენტო შემოსავალი არის შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან, ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან და მოთხოვნებიდან საკრედიტო დაწესებულებების მიმართ;
3. საოპერაციო მოგება არის მოგება დაბეგვრამდე.
4. ჯამური შემოსავალი არის i) საპროცენტო შემოსავალი, ii) საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან და iii) შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან;
5. მოზიდული სახსრები არის: i) ნასესხები სახსრების, ii) გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, iii) სუბორდინირებული ვალის, (iv) გამოშვებული მარტივი თამასუქებისა და v) საიჯარო ვალდებულებების ჯამი.
6. მოზიდული სახსრების ხარჯი არის: არის i) წმინდა საპროცენტო შემოსავალში შემავალი საპროცენტო ხარჯისა და ii) სხვა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში შემავალი ბანკის საკომისიო ხარჯების ჯამი.
7. ჰეჯირების ხარჯი არის: შემოსულობა/ზარალი ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან; იქიდან გამომდინარე, რომ ჰეჯირების კომპონენტებიდან ვერ ხერხდება საკომისიოსა და გადაფასების კომპონენტის გამოჯვანა, მხოლოდ საკომისიო კომპონენტის გათვალისწინების ნაცვლას - გათვალისწინებულია ორივე კომპონენტი.

პერიოდებს შორის მატერიალური ცვლილებების გამომწვევი მიზეზების აღწერა რელევანტური კოეფიციენტებისთვის:

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) – 2025 წლის განმავლობაში კომპანიის უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე გაზრდილია 4.79 პროცენტული პუნქტით (2025: 20.91% 2024: 16.11%), რაც გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში 36.8%-ით გაზრდილი წმინდა მოგებით და პერიოდის განმავლობაში 15.5%-ით გაზრდილი კაპიტალით. წმინდა მოგების ზრდა უმეტესწილად განპირობებულია მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის 52.4%-იანი ზრდით

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - 2025 წლის განმავლობაში კომპანიის ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი გაზრდილია 3.49 პროცენტული პუნქტით (2025: 16.92%, 2024: 13.44%), რაც გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში 33.1%-ით გაზრდილი მოგებით დაბეგვრამდე. ამავე პერიოდის განმავლობაში 4.9%-ით არის გაზრდილი ჩადებული კაპიტალი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა - მიუხედავად იმისა, რომ რიკოს წმინდა საპროცენტო შემოსავალი მზარდ ტრენდს ინარჩუნებს, 2025 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა შემცირებულია 11.74 პროცენტული პუნქტით (2025: 62.23%, 2024: 73.97%), რაც გამოწვეულია იმით, რომ i) 2025 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც -12,555 ათას ლარს შეადგენს და ii) ჯამური საპროცენტო ხარჯები უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ვიდრე ჯამური შემოსავლები.

რაც შეეხება **კორექტირებულ წმინდა საპროცენტო შემოსავლების მარჟას** 2025 წლის განმავლობაში შემცირებულია 14.86 პროცენტული პუნქტით (2025: 58.61%; 2024: 73.47%), რაც ზევით აღწერილისგან განსხვავებით დამატებით გამოწვეულია ბანკის საკომისიო ხარჯების ზრდით (2025: 6,300 ათასი ლარი; 2024: 582 ათასი ლარი). დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

2025 წლის განმავლობაში კომპანიის **წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)** შემცირებულია 12.09 პროცენტული პუნქტით (2025: 59.54%, 2024: 71.63%), რაც ზემოთ აღწერილისგან განსხვავებით გამოწვეულია იმითაც, რომ პერიოდის განმავლობაში 71.0%-ით გაიზარდა ჰეჯირების ხარჯი.

რაც შეეხება **კორექტირებულ წმინდა საპროცენტო შემოსავლების მარჟას (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)** 2025 წლის განმავლობაში შემცირებულია 15.21 პროცენტული პუნქტით (2025: 55.92%; 2024: 71.13%), რაც ზევით აღწერილისგან განსხვავებით დამატებით გამოწვეულია ბანკის საკომისიო ხარჯების ზრდით (2025: 6,300 ათასი ლარი; 2024: 582 ათასი ლარი). დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

შემოსავლიანობა პორტფელზე (Loan Yield) – 2025 წლის განმავლობაში შემოსავლიანობა პორტფელზე კოეფიციენტი გაზრდილია 2.27 პროცენტული პუნქტით (2025: 23.04%; 2024: 20.76%), რაც გამოწვეულია მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის უფრო მაღალი ტემპით, 52.4%-ით, ხოლო მომხმარებელზე გაცემული სესხების (მთლიანი) - 41.6%-ით ზრდით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

კორექტირებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) - 2025 წლის განმავლობაში დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე კოეფიციენტი გაზრდილია 1.88 პროცენტული პუნქტით (2025: 10.93%; 2024: 9.05%), რაც გამოწვეულია მოზიდული სახსრების ხარჯის 93.6%-იანი, ხოლო მოზიდული სახსრების - 71.0%-იანი ზრდით. 2025 წლის განმავლობაში კოეფიციენტის ზრდის მიზეზი ბანკებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიო ხარჯებიცაა, რაც 2025 წლის განმავლობაში 2024 წელთან შედარებით დაახლოებით 11-ჯერ მეტი იყო და 6,300 ათასი ლარი შეადგინა. კორექტირების გარეშე აღნიშნული კოეფიციენტი წლის განმავლობაში გაიზრდებოდა 0.89 პროცენტული პუნქტით, 9.77%-მდე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*

კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) - საპროცენტო განაკვეთის სპრედი გაზრდილია 0.4 პროცენტული პუნქტით (2025: 12.11%; 2024: 11.71%), რაც გამოწვეულია წლის განმავლობაში 2.27 პროცენტული პუნქტით გაზრდილი პორტფელის შემოსავლიანობით (Loan Yield) და მხოლოდ 1.88 პროცენტული პუნქტით გაზრდილი კორექტირებული დანახარჯებით მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds). კორექტირების გარეშე საპროცენტო განაკვეთის სპრედი წლის განმავლობაში გაიზარდა 1.38 პროცენტული პუნქტით, 13.26%-მდე.

რაც შეეხება **კორექტირებულ საპროცენტო განაკვეთის სპრედს (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)**, ეს მაჩვენებელიც გაზრდილია 0.3 პროცენტული პუნქტით (2025: 11.25%, 2024: 10.90%), რაც ზემოთ აღწერილისგან განსხვავებით გამოწვეულია იმითაც, რომ პერიოდის განმავლობაში 71.0%-ით გაიზარდა ჰეჯირების ხარჯი. კორექტირების გარეშე აღიშნული მაჩვენებელი წლის განმავლობაში გაიზარდა 1.33 პროცენტული პუნქტით, 12.40%-მდე.

ზევით აღწერილის განსამარტად - საპროცენტო ხარჯების საპროცენტო შემოსავლებზე უფრო სწრაფი ტემპით ზრდა ძირითადად გამოწვეულია დაფინანსების მოზიდვასა და მისი შემოსავლის მომტან სასესხო პორტფელში განთავსებას შორის დროითი შუალედით. კერძოდ, მოზიდულ რესურსზე საპროცენტო ხარჯი წარმოიშობა მისი ათვისებისთანავე, მაშინ როდესაც შესაბამისი საპროცენტო შემოსავლის გენერირება იწყება მხოლოდ აღნიშნული რესურსის მომხმარებლებზე სესხების სახით გაცემის შემდეგ.

პორტფელის ჩამოწერა / საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს) - 2025 წლის განმავლობაში კომპანიის ჩამოწერილი პორტფელის შეფარდება საშუალო მთლიან სესხებთან შემცირებულია 5.51 პროცენტული პუნქტით (2025: 9.08%, 2024: 14.59%), რაც ძირითადად გამოწვეულია მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხების 41.5%-იანი ზრდით და პორტფელის ჩამოწერის 14.5%-იანი კლებით.

კომპანიის აღრიცხვიანობის მიხედვით, სესხის ჩამოწერისას კომპანია, გარდა ცალკეული გამონაკლისის შემთხვევებისა, უზრუნველყოფის სახით მიღებულ ოქროზე საკუთრების უფლებას არ იძენს; მას მხოლოდ კლიენტის სახელით აღნიშნული უზრუნველყოფის რეალიზაციის უფლება წარმოეშობა. შესაბამისად, სესხის ჩამოწერის შედეგად კომპანიის ბალანსზე საპირწონე დასაკუთრებული აქტივი არ აღიარდება და შესაბამისი უზრუნველყოფა რეალიზაციამდე გარეგანსურად აღირიცხება

პორტფელის ამოღება / საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს) - 2025 წლის განმავლობაში ამოღება/საშუალო მთლიან სესხებთან კოეფიციენტი შემცირებულია 6.57 პროცენტული პუნქტით (2025: 6.47%, 2024: 13.04%), რაც გამოიწვია ორმა ფაქტორმა: i) მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხების 41.5%-იანმა ზრდამ და ii) სესხების ამოღების 31.9%-იანმა კლებამ.

კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი - 2025 წლის განმავლობაში კაპიტალის შეფარდება წმინდა სასესხო პორტფელთან შემცირებულია 8.99 პროცენტული პუნქტით (2025: 39.89%, 2024: 48.88%), რაც გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში უფრო დიდი მოცულობით გაზრდილი წმინდა სასესხო პორტფელით - ვიდრე პერიოდის განმავლობაში გაიზარდა კაპიტალი. 2025 წელს კომპანიის წმინდა სასესხო პორტფელი გაიზარდა 41.5%-ით ხოლო კაპიტალი - 15.5%-ით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

მთლიანი ვალის კოეფიციენტი - 2025 წლის განმავლობაში მთლიანი ვალის კოეფიციენტი გაზრდილია 8.81 პროცენტული პუნქტით (2025: 64.24%, 2024: 55.43 %), რაც გამოწვეულია პერიოდის განმავლობაში 71.0%-ით გაზრდილი მოზიდული სახსრებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან - 2025 წლის განმავლობაში კომპანიის ვალდებულებების შეფარდება ჯამურ აქტივებთან გაზრდილია 9.04 პროცენტული პუნქტით (2025: 67.43%, 2024: 58.39%), რაც ძირითადად გამოწვეულია სულ ვალდებულებების 70.4%-იანი ზრდით. აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა დააბალანსა აქტივების 47.6%-იანმა ზრდამ, რაც თავის მხრივ მომხმარებლებზე გაცემული სესხების ზრდას უკავშირდება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი *“საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა”*.

მოცემულ სექციაში აღწერილი ცვლილებების მიზეზები დეტალურად იხილეთ ქვეთავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ) - 2025 წლის განმავლობაში კომპანიის ლიკვიდობის კოეფიციენტი 2.83 პროცენტული პუნქტით შემცირდა (2025: 21.85%; 2024: 24.68%), რაც ძირითადად გამოწვეულია ლიკვიდობის მიზნებისთვის მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ზრდით. მიუხედავად აღნიშნული შემცირებისა, ლიკვიდობის კოეფიციენტი მთელი პერიოდის განმავლობაში აღემატებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ 18%-იან მოთხოვნას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ) - 2025 წლის განმავლობაში კომპანიის საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 10.71 პროცენტული პუნქტით შემცირდა (2025: 34.53%; 2024: 45.24%), რაც ძირითადად განპირობებულია საზედამხედველო კაპიტალზე უფრო სწრაფი ტემპით გაზრდილი მთლიანი აქტივებით დაქვითვების შემდეგ. მიუხედავად შემცირებისა, კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ 18%-იან მოთხოვნას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

- 1. უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) -** წლის წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან;
- 2. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) -** წლის წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან;
- 3. ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROIC) -** მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო ჩადებულ კაპიტალზე. ჩადებული კაპიტალი გამოითვლება, როგორც სულ აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების სხვაობა;
- 4. წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) -** წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან;
- 5. წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით) -** წმინდა საპროცენტო შემოსავალს საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ გამოკლებული ჰეჯირების ხარჯი შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან;
- 6. საოპერაციო მოგების მარჟა (Operating Profit Margin) -** მოგება დაბეგრამდე შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან;
- 7. წმინდა მოგების მარჟა (Net Income Margin) -** წმინდა მოგება შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან;
- 8. შემოსავლიანობა პორტფელზე (Loan Yield) -** საპროცენტო შემოსავალი (მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან) შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე);
- 9. საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი (Cost to Income) -** საოპერაციო ხარჯები (თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები + ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები + სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები) შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან;
- 10. დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) -** საპროცენტო ხარჯი შეფარდებული საშუალო მოზიდულ სახსრებთან;
- 11. დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) (ჰეჯირების გათვალისწინებით) -** საპროცენტო ხარჯს დამატებული ჰეჯირების ხარჯი შეფარდებული საშუალო მოზიდულ სახსრებთან;

- 12. საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread)** - შემოსავლიანობა პორტფელზე გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე;
- 13. საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით)** - შემოსავლიანობა პორტფელზე გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით);
- 14. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)** - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, აქტივების გადაფასების რეზერვი, ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში), შეფარდებული მთლიანი აქტივებისა და ზემოაღნიშნული დაქვითვები სხვაობასთან;
- 15. ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)** - საანგარიშო თვის, ყოველდღიური ლიკვიდური აქტივების საშუალო (გამოთვლილი როგორც, ნაღდ ფულს დამატებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, გამოკლებული გაცვლილი ფულადი სახსრები, დაჯავშნული/დაგირავებული დეპოზიტები და გამოუთხოვადი დეპოზიტები) შეფარდებული ამავე თვის ყოველდღიური მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ლიკვიდობის მიზნებისთვის, საშუალოზე (გამოთვლილი როგორც, ჯამურ საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული, 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული/კონვერტირებადი ვალდებულებები, ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სახსრები, გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები და ვალდებულებები ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ).
- 16. ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** - იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა შეფარდებული ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალთან.
- 17. ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)** - ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ჯამურ კაპიტალთან.
- 18. ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)** - ინსაიდერების მიმართ არსებული მოთხოვნები შეფარდებული ჯამურ საზედამხედველო კაპიტალთან.
- 19. დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)** - დაგირავებული აქტივები, შეფარდებული ჯამურ კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასების რეზერვი.
- 20. მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან (ფასს)** - მე-3 სტადიის სესხები შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ მთლიან სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
- 21. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან (ფასს)** - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ მთლიან სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
- 22. PAR 90 მთლიან სესხებთან (ფასს)** - PAR 90 სესხების მოცულობა შეფარდებული შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ მთლიან სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
- 23. პორტფელის ჩამოწერა/საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს)** - პერიოდის პორტფელის ჩამოწერა შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
- 24. პორტფელის ამოღება/საშუალო მთლიან სესხებთან (ფასს)** - პერიოდის პორტფელის ამოღება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
- 25. ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

- 26. ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები** - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;
- 27. კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი** - ჯამური კაპიტალი შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (წმინდა);
- 28. მთლიანი ვალის კოეფიციენტი** - კომპანიის მოზიდული სახსრები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
- 29. მთლიანი მოზიდული სახსრების და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** - კომპანიის მოზიდული სახსრები შეფარდებული კაპიტალთან;
- 30. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი** - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან;
- 31. ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან** - კომპანიის ვალდებულებები შეფარდებული ჯამურ აქტივებთან;
- 32. დაგირავებული სასესხო პორტფელი ჯამურ პორტფელთან** - უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრების (ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების) უზრუნველყოფაში დაგირავებული მომხმარებელზე გაცემული წმინდა სასესხო პორტფელი შეფარდებული ჯამურ მომხმარებელზე გაცემულ წმინდა სასესხო პორტფელთან;
- 33. უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრების წილი ჯამურ მოზიდულ სახსრებთან** - უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრები (ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები) შეფარდებული ჯამურ მოზიდულ სახსრებთან;
- 34. კაპიტალისა და სუბ. ვალის ჯამი/წმინდა სასესხო პორტფელი** - ჯამური კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის ჯამი შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (წმინდა);
- 35. მთლიანი ვალის კოეფიციენტი (სუბ. ვალის გამოკლებით)** - კომპანიის მოზიდული სახსრები (სუბორდინირებული ვალის გამოკლებით) შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
- 36. მთლიანი მოზიდული სახსრების (სუბ. ვალის გამოკლებით) და კაპიტალისა და სუბ. ვალის ჯამის თანაფარდობის კოეფიციენტი** - კომპანიის მოზიდული სახსრები (სუბორდინირებული ვალის გამოკლებით) შეფარდებული კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის ჯამთან;
- 37. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (სუბ. ვალის გამოკლებით)** - მოგება დაბეგვრამდე საპროცენტო ხარჯამდე (დამატებული სუბორდინირებულ ვალზე დარიცხული პროცენტი) შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან (სუბორდინირებულ ვალზე დარიცხული პროცენტის გამოკლებით);
- 38. ვალდებულებები (სუბ. ვალის გამოკლებით) / ჯამურ აქტივებთან** - კომპანიის ვალდებულებები (სუბორდინირებული ვალის გამოკლებით) შეფარდებული ჯამურ აქტივებთან;
- 39. უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრების წილი ჯამურ მოზიდულ სახსრებთან (სუბ. ვალის გამოკლებით)** - უზრუნველყოფილი მოზიდული სახსრები (ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების) შეფარდებული ჯამურ მოზიდულ სახსრებთან (სუბორდინირებული ვალის გამოკლებით).

ბანკის საკომისიო ხაჯრებით კორექტირებული კოეფიციენტები (კორექტირების მიზნით, ბანკის საკომისიო ხარჯები გამოირიცხება სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯებიდან და შესაბამისი ოდენობით ემატება საპროცენტო ხარჯებს):

- 40. კორექტირებული წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin)** - წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ გამოკლებული ბანკის საკომისიო ხარჯები - შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან;

41. კორექტირებული წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა (Net Interest Income Margin) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით) - წმინდა საპროცენტო შემოსავალს საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ გამოკლებული ბანკის საკომისიო ხარჯები და ჰეჯირების ხარჯი - შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან;
42. კორექტირებული საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი (Cost to Income) - საოპერაციო ხარჯები (თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები + ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები + სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები - ბანკის საკომისიო ხარჯები) შეფარდებული ჯამურ შემოსავალთან;
43. კორექტირებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) - მოზიდული სახსრების ხარჯი შეფარდებული საშუალო მოზიდულ სახსრებთან;
44. კორექტირებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Funds) (ჰეჯირების გათვალისწინებით) - მოზიდული სახსრების ხარჯს დამატებული ჰეჯირების ხარჯი შეფარდებული საშუალო მოზიდულ სახსრებთან;
45. კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) - შემოსავლიანობა პორტფელზე გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე;
46. კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის სპრედი (Interest Rate Spread) (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით) - შემოსავლიანობა პორტფელზე გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით);
47. კორექტირებული პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - მოგება დაბეგვრამდე და მოზიდული სახსრების ხარჯამდე შეფარდებული მოზიდული სახსრების ხარჯთან;

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის მოკლე მიმოხილვა

2023 წლის 18 იანვარს კომპანიას მიენიჭა 'B+' (სტაბილური პერსპექტივით) საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო. აღნიშნული რეიტინგის ბოლო განახლების თარიღია 2026 წლის 2 ივლისი და კომპანიის რეიტინგი კვლავ შენარჩუნებულია 'B+' სტაბილურ პერსპექტივაზე.

18 იანვარი 2023	9 სექტემბერი 2024	10 ივნისი 2025	2 ივლისი 2026
B+ Stable	B+ Stable	B+ Stable	B+ Stable

საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული რეპორტი ხელმისაწვდომია ლინკზე: [Scope ratings](#)

შენიშვნა: თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაციის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ Scope Ratings-ის მეთოდოლოგია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“.

მიღებული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამური 100,000,000 (ასი მილიონი) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას ერთ ან რამდენიმე ტრანშად. მიღებული სახსრების 20% გამოყენებული იქნება კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, დანარჩენი ნაწილი კი მიიმართება მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის გასაზრდელად.

„ობლიგაციების“ სრულად განთავსების შემთხვევაში „ემიტენტის“ მიერ რეფინანსირების მიზნობრივობით მიმართული სახსრები შეადგენს 20,000,000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარს.

დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ნაწილში გამჟღავნებული რისკ ფაქტორები მოიცავს მხოლოდ ემიტენტისთვის მნიშვნელოვნად მატერიალურ რისკებს და არ ასახავს სრულ ინფორმაციას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან, ემიტენტის საქმიანობასთან და შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ რისკებზე. სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტი, „რისკის ფაქტორების“ ქვეთავი.

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის, ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის და შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის:

- „კომპანიის“ სასესხო პორტფელის მდგრადობა დამოკიდებულია უზრუნველყოფის (ძვირფასი ლითონების) ხარისხსა და ფასის ცვალებადობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ოქროს ფასმა 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოდან შემცირების ტენდენცია გამოავლინა, რაც შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს;
- არასტანდარტულ საბაზრო პირობებში აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციამ კონკრეტულ პროდუქტსა და გეოგრაფიულ ბაზარზე შესაძლოა გააძლიეროს უარყოფითი მოვლენების გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე;
- კომპანიის“ აქტივების ნაწილი დაგირავებულია, ხოლო უზრუნველყოფად გამოსაყენებელ აქტივებზე მოქმედმა მარეგულირებელმა შეზღუდვებმა შესაძლოა შეამციროს „კომპანიის“ დამატებითი დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა;
- ბოლო პერიოდებში კომპანიის სავალ დაფინანსება მნიშვნელოვნად იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ ექნება იმაზე მეტი ვალდებულება, ვიდრე მას შეუძლია მოემსახუროს და ამასთან, ვერ შეინარჩუნებს ლიკვიდურობის ჯანსაღ პოზიციას და ვერ მოახერხებს აქტივების შესაბამისად მართვას, შესაძლოა დადგეს გადახდისუუნარობისა და ლიკვიდურობის რისკის წინაშე;
- კომპანიას შესაძლოა დაუდგეს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც გამომდინარეობს საბრუნავი კაპიტალის უარყოფითი მაჩვენებლიდან;
- კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში, მათ შორის წინამდებარე „ობლიგაციების“ ემისიაც უცხოურ ვალუტაში იგეგმება. ამასთანავე თუკი არ გამართლდება კომპანიის მოლოდინები ვალუტასთან მიმართებით მოგების მიღების მიზნით ფლობილმა დერივატივებმა შესაძლოა კომპანიას ზარალი მიაყენოს;
- ვინაიდან კომპანია აქტიურად იყენებს ცვლად განაკვეთიან სავალ ფასიან ქაღალდებსა და მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს, წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკის არაადეკვატურმა მართვამ შესაძლოა წარმოქმნას აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობა, რაც გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე;
- „კომპანიის“ აუდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ხარვეზებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ინფორმაციის კორექტირება და გაზარდოს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი რისკი, ხოლო აუდიტორის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს აუდიტის მიდგომების თანმიმდევრულობაზე;

- კომპანია რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტია. მარეგულირებელი ბაზის ცვლილებებმა - მათ შორის, საკანონმდებლო და საზედამხედველო ცვლილებებმა - შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს ბიზნესმოდელი და მომგებიანობა;
- საბანკო, მიკროსაბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ, მათ შორის კომერციული ბანკების სალომბარდე დაკრედიტების მიმართულებით შესაძლო გააქტიურებამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე, კლიენტების შენარჩუნებაზე, ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე;
- „ობლიგაციები“ წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს და „კომპანიის“ გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად;
- „ობლიგაციებს“ გააჩნიათ „მინიმალური ინვესტიციის“ შეზღუდვა, რამაც შესაძლოა შეამციროს მათი ლიკვიდურობა მეორად ბაზარზე;
- ობლიგაციების არსებული შემზღუდავი პირობები, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;
- „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციონერების“ უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე;
- ობლიგაციებს გააჩნიათ გამოსყიდვის უფლება შესაბამისად შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა;

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2025 ფინანსური წლის აუდიტორი: შპს „ნექსია ჯორჯია“ ს/ნ: 405040682. მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ აღმაშენებლის ქუჩა N12, სართული 4, ბლოკი "ა", ვებ-გვერდი: <https://www.nexia.ge/>

„ემიტენტის“ 2024 ფინანსური წლის აუდიტორი: შპს „იუაი“ („EY“). ს/ნ: 204441158. მისამართი: 44, კოტე აფხაზის ქ., თბილისი, საქართველო. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

აუდიტორის ცვლილების მიზეზი: „ემიტენტისა“ და შპს „იუაის“ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლა

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: www.scoperatings.com

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 97; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძველით, საუკეთესო ძალისხმევით გამოყენებით.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები:

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი გარდა ქვემოთ მოცემულისა.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/ნ: 205034639)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მისი შეფასებით ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

„ემიტენტის“ 2025 ფინანსური წლის აუდიტორი: შპს „ნექსია ჯორჯია“ ს/ნ: 405040682. მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, სართული 4, ბლოკი "ა", ვებ-გვერდი: <https://www.nexia.ge/>

„ემიტენტის“ 2024 ფინანსური წლის აუდიტორი: შპს „იუაი“ („EY“). ს/ნ: 204441158. მისამართი: 44, კოტე აფხაზის ქ., თბილისი, საქართველო. ელ-ფოსტა: info@ge.ey.com

აუდიტორის ცვლილების მიზეზი: „ემიტენტსა“ და შპს „იუაის“ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლა

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: www.scoperatings.com

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@rbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 97; ვებ-გვერდი: rbccapital.ge;

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე „ობლიგაციების“ პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა „ობლიგაციებში“ ინვესტირებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე, ასევე - „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს ან წარმოიშვას ისეთი დამატებითი რისკები, გაურკვევლობები ან არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც „კომპანიამ“ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა არსებობის შესახებ „კომპანიას“ არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვევლობამ ან გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესის ოპერირებაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. შესაბამისად, „ობლიგაციების“ ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები არ არის ამომწურავი.

I. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის


1. „კომპანიის“ სასესხო პორტფელის მდგრადობა დამოკიდებულია უზრუნველყოფის (ძვირფასი ლითონების) ხარისხსა და ფასის ცვალებადობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ოქროს ფასმა 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოდან შემცირების ტენდენცია გამოავლინა, რაც შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს;

„კომპანიის“ სასესხო პორტფელი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება სალომზარდე სესხების მიმართულებით. კერძოდ, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „რიკო ექსპრესის“ სასესხო პორტფელის დაახლოებით 99% სალომზარდე სესხებზე მოდის. აღნიშნული გარემოება ზრდის კონცენტრაციის რისკს, ვინაიდან „კომპანიის“ საკრედიტო რისკის პროფილი, პორტფელის ხარისხი და ფინანსური შედეგები არსებითად დამოკიდებულია ერთი პროდუქტის - ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების - დინამიკასა და მდგრადობაზე. შესაბამისად, სალომზარდე სესხებთან დაკავშირებული ნებისმიერი უარყოფითი ფაქტორი შესაძლოა არაპროპორციულად აისახოს „კომპანიის“ მთლიან სასესხო პორტფელზე.

სალომზარდე სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით, ძირითადად ოქროთი, რის გამოც პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უზრუნველყოფის სწორ იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და შემდგომ მონიტორინგზე. შეფასების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, არასათანადო მეთოდოლოგიამ, პროცედურულმა ხარვეზებმა ან უზრუნველყოფის ხარისხის არასრულფასოვანმა შემოწმებამ შესაძლოა გამოიწვიოს გირაოს ღირებულების არასწორი განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფის რეალური ღირებულება შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს მსესხებლის ვალდებულებების დასაფარად, რაც გაზრდის შესაძლო დანაკარგების მოცულობას და უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

ამასთან, ვინაიდან სალომზარდე სესხების უზრუნველყოფა ძირითადად ოქროზეა კონცენტრირებული, „კომპანიის“ პორტფელის მდგრადობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ძვირფასი ლითონების, განსაკუთრებით ოქროს, საბაზრო ფასების ცვალებადობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოქროს ფასმა უპრეცედენტო ნიშნულებს მიაღწია, 2026 წლის თებერვლის ბოლოს 1 უნცია ოქროს ფასი 5,279 აშშ დოლარი იყო, 31 მარტისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 4,668 აშშ დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2026 წლის 30 ივნისისთვის - 4,008 აშშ დოლარამდე;

გრაფიკი 12: ოქროს ფასის დინამიკა წლების მიხედვით, აშშ დოლარში ერთ უნციაზე




წყარო: Bloomberg

2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს და მეორე კვარტლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის შემცირების ტენდენცია შეინიშნება - აღნიშნული გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების ზრდის მომატებულმა მოლოდინებმა და ცენტრალური ბანკებისგან მოსალოდნელზე ნაკლებად მოთხოვნის ზრდამ, თუმცა წლის ბოლოს ოქროს ფასის ზრდის პერსპექტივები კვლავ უცვლელად რჩება.

ემიტენტის პორტფელის ზრდის ტემპისა და პორტფელის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, რომ ოქროს ფასი მაღალ დონეზე შენარჩუნდეს. ამ კუთხით სტრუქტურული მამოძრავებელი ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების პირობებში, ოქროს გრძელვადიანი პერსპექტივა - პოზიტიურია. მოკლევადიან პერსპექტივაში, ოქროს ფასი 2026 წლის ბოლოსთვის 4,500 აშშ დოლარს მიაღწევს ერთ უნციაზე.

გრაფიკი 13: ოქროს ფასის პროგნოზი, აშშ დოლარი უნციაზე (USD/toz)



წყარო: Bloomberg

ამასთანავე, ოქროს ფასის ზრდა ზრდის მსესხებლების საკრედიტო შესაძლებლობას და, მოთხოვნის შენარჩუნების პირობებში, ხელს უწყობს სალომბარდო სესხების პორტფელის მოცულობის ზრდას. ამ მიზეზის გათვალისწინებით 2024 და 2025 წლების განმავლობაში რიგო ექსპრესის მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელი მნიშვნელოვნად გაიზარდა:

- 2024 წლის განმავლობაში 1 უნცია ოქროს ფასი 2,039 აშშ დოლარიდან 2,798 დოლარამდე გაიზარდა (რაც ფასის 37.2%-იანი ზრდაა). 2024 წელს რიკოს მომხმარებლებზე გაცემული სესხები (წმინდა) 32.0%-ით (149,684 ათასი ლარით) ხოლო საპროცენტო შემოსავლები 15.6%-ით გაიზარდა;
- 2025 წლის განმავლობაში 1 უნცია ოქროს ფასი 2,798 აშშ დოლარიდან 4,895 აშშ დოლარამდე გაიზარდა (რაც ფასის 75.0%-იანი ზრდაა). ამავე პერიოდის განმავლობაში კომპანიის სასესხო პორტფელი 41.5%-ით (256,487 ათასი ლარით) ხოლო საპროცენტო შემოსავლები 49.0%-ით გაიზარდა;

აღსანიშნავია, რომ ოქროს ფასის დინამიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გეოპოლიტიკურ მოვლენებზე, ცენტრალური ბანკების რეზერვების მართვის პოლიტიკაზე, საპროცენტო განაკვეთების მოლოდინებსა და სხვა ფაქტორებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის სექცია „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

სალომბარდე სესხების ბუნებიდან გამომდინარე, ოქროს ფასის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის პორტფელის ხარისხსა და ფინანსურ შედეგებზე. ოქროს ფასის მნიშვნელოვანმა შემცირებამ შესაძლოა შეამციროს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულება და გაზარდოს რისკი, რომ უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება შესაბამისი სესხის სრულად დასაფარად. აღნიშნული რისკის მატერიალიზების მაგალითია 2026 წლის მარტში ოქროს ფასის დაფიქსირებული შემცირება, რომელიც ამცირებს არსებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას და ზრდის შესაბამისი სესხების LTV მაჩვენებლებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებული LTV მაჩვენებლები კომპანიას უზრუნველყოფის ღირებულების შემცირების გარკვეულ ბუფერს უტოვებს, ოქროს ფასის შემდგომმა ან უფრო მკვეთრმა შემცირებამ, განსაკუთრებით მაღალი LTV-ის მქონე სესხების შემთხვევაში, შესაძლოა აღნიშნული ბუფერი მნიშვნელოვნად შეამციროს ან სრულად გააქროს.

ამასთან, ოქროს ფასის შემცირების ხანგრძლივი ტრენდის შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა მოუწიოს ახალი სესხებისთვის LTV ლიმიტების შემცირება ან/და გასაცემი თანხების შეზღუდვა, რაც შეაფერხებს სასესხო პორტფელისა და შესაბამისი შემოსავლების ზრდას. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მომხმარებლებზე გაცემული სესხების დაახლოებით 98% გაცემულია 0.5-1 LTV დიაპაზონში. კერძოდ, სესხები რომელთა საბალანსო ღირებულებაც უზრუნველყოფის ღირებულების 80%-ზე ნაკლებია - ჯამური პორტფელის 38%-ს შეადგენენ, დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

LTV დიაპაზონი	0.5>	0.5–0.8	0.8–1	1–1.05	1.05–1.1	1.1–1.2	1.2<	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები (ათასი ლარი)	52,666	284,132	524,326	4,759	1,961	1,984	5,288	875,115
წილი %	6.0%	32.5%	59.9%	0.5%	0.2%	0.2%	0.6%	

იმ სესხების ნაწილში, სადაც LTV მაჩვენებელი მაღალია, ოქროს ფასის შედარებით მცირე შემცირებამაც შესაძლოა შეამციროს უზრუნველყოფის საკმარისობა და გაზარდოს „კომპანიის“ შესაძლო საკრედიტო დანაკარგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ემიტენტის“ ბიზნესმოდელი, რომელიც არსებითად სალომბარდე სესხებზეა ორიენტირებული, მოითხოვს უზრუნველყოფის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიან სისტემებს, ასევე ძვირფასი ლითონების ფასების დინამიკის მუდმივ კონტროლს. აღნიშნული პროცესების არასათანადო მართვამ ან საბაზრო ფასების არასასურველმა ცვლილებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

კომპანიის სასესხო პორტფელის ზრდა განპირობებულია არა მხოლოდ ოქროს ფასის ცვლილებით, არამედ ბაზარზე სალომბარდე სესხებზე მოთხოვნისა და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდითაც. ემიტენტის შიდა საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს უზრუნველყოფის შეფასებისა და სესხის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრულ ლიმიტებს (რომელიც ნებისმიერ მომენტში იმ დროისთვის არსებულ ოქროს ფასზე 15%-ით დაბალია), რის გამოც ოქროს ფასის ზრდა შესაბამისი ზღვრის ზემოთ სესხის მოცულობაზე სრულად და პროპორციულად არ აისახება. შესაბამისად, პორტფელის შემდგომი ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ახალი მომხმარებლების მოზიდვასა და არსებული მომხმარებლების მხრიდან სესხებზე მოთხოვნის ზრდაზე. 2025 წელს მსესხებელ მომხმარებელთა რაოდენობამ 211 ათასს მიაღწია, 2024 წლის 194 ათასთან შედარებით, რაც ბაზარზე კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს.

2. არასტანდარტულ საბაზრო პირობებში აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად;

„კომპანია“ აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვს აღრიცხავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებას და მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობას ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მსესხებელთა გადახდისუნარიანობა, უზრუნველყოფის ღირებულება, სესხების დაფარვის დინამიკა, მაკროეკონომიკური გარემო და სხვა შესაბამისი დაშვებები.

აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშგებო პერიოდებში ECL-ის შეფასებისას უზრუნველყოფის სამომავლო ღირებულების განსაზღვრა ეფუძნებოდა ოქროს ფასის ზრდის მოლოდინს. შესაბამისად, ბოლო წლებში ოქროს საერთაშორისო ფასის მნიშვნელოვანი ზრდა აისახა ECL-ის მოდელში გამოყენებულ უზრუნველყოფის პროგნოზირებულ ღირებულებაზე და, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებდა უზრუნველყოფის შესაძლო არასაკმარისობით გამოწვეულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის საპროგნოზო პერიოდისთვის კომპანია უზრუნველყოფის ღირებულების ზრდას აღარ ითვალისწინებს და ECL-ის შეფასება ეფუძნება ოქროს ფასის სტაბილურობის დაშვებას.

აღნიშნული დაშვებების განსაზღვრისას კომპანია ეყრდნობა Bloomberg-ის საერთაშორისო საბაზრო მონაცემებსა და პროგნოზებს. ამის შესაბამისად, გამოყენებული დაშვებები ასახავს ოქროს საერთაშორისო ბაზრის მოლოდინებს.

არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ მიერ გამოყენებული დაშვებები ან მოდელები სრულად ვერ ასახავდეს მომავალში მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, განსაკუთრებით არასტანდარტული ან სწრაფად ცვალებადი საბაზრო პირობების შემთხვევაში. ეკონომიკური ან პოლიტიკური არასტაბილურობა, მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება ან სხვა უარყოფითმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეალური საკრედიტო დანაკარგების ზრდა იმ დონემდე, რომელიც აღემატება წინასწარ შექმნილ რეზერვებს.

ასეთ შემთხვევაში „კომპანიას“ შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი გაუფასურების რეზერვების შექმნა, რაც შეამცირებს მოგებიანობას და უარყოფითად აისახება ფინანსურ შედეგებზე. დამატებითი რეზერვების საჭიროებამ ასევე შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ კაპიტალის მაჩვენებლებზე, ფინანსურ კოეფიციენტებზე და ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობაზე.

3. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციამ კონკრეტულ პროდუქტსა და გეოგრაფიულ ბაზარზე შესაძლოა გააძლიეროს უარყოფითი მოვლენების გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე;

კომპანიის“ ბიზნესმოდელი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება როგორც პროდუქტის, ისე გეოგრაფიული ბაზრის ჭრილში. კერძოდ, „კომპანიის“ მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელი არსებითად წარმოდგენილია სალომბარდე სესხებით, ხოლო მისი ოპერაციები სრულად კონცენტრირებულია საქართველოს ბაზარზე.

სალომბარდე სესხების ბაზარზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ მთლიან სასესხო პორტფელზე. ასეთ მოვლენებს, მათ შორის, შეიძლება მიეკუთვნებოდეს ძვირფასი ლითონების, განსაკუთრებით ოქროს, ფასის შემცირება, უზრუნველყოფის რეალიზაციის პირობების გაუარესება, მომხმარებელთა მოთხოვნის ან ქცევის ცვლილება, კონკურენციის ზრდა ან შესაბამისი რეგულაციების გამკაცრება. ვინაიდან „კომპანიის“ პორტფელი დივერსიფიცირებული არ არის სხვა ტიპის საკრედიტო პროდუქტებით, აღნიშნული ფაქტორების უარყოფითი გავლენა შესაძლოა არაპროპორციულად აისახოს მის აქტივების ხარისხზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.

ამასთან, „კომპანიის“ საქმიანობა შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რის გამოც იგი დამოკიდებულია ადგილობრივ მაკროეკონომიკურ, პოლიტიკურ და მარეგულირებელ გარემოზე. საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენელებამ, პოლიტიკური ან ფინანსური არასტაბილურობის ზრდამ, მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის

გაუარესებამ ან სექტორზე მოქმედი მოთხოვნების ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე.

4. უზრუნველყოფის დასაკუთრების შემდგომ მისი გაყიდვის პროცესს თან ახლავს საოპერაციო, საბაზრო და მარეგულირებელი რისკები, მათ შორის ლოჯისტიკური ორგანიზების სირთულეები, საერთაშორისო ბაზრებზე ძვირფასი ლითონების ფასების მერყეობა და ბიუროკრატიული შეფერხებები, რაც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს თანხების ამოღების სისწრაფესა და სრულ ოდენობაზე;

კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უზრუნველყოფა წარმოადგენს ძლიერ დამცავ მექანიზმს, მისი რეალიზაცია პრაქტიკაში დაკავშირებულია რიგ სპეციფიკურ რისკებთან.

უპირველეს ყოვლისა, დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვა მოითხოვს შესაბამის ლოჯისტიკურ და ადმინისტრაციულ ორგანიზებას. პროცესი მოიცავს ნივთის სათანადო შეფასებას, შესაბამის აუქციონზე ან სხვა არხით გატანას, მომხმარებლების მოძიებას და რეალიზაციას. ნებისმიერმა შეფერხებამ ან ხარვეზმა შესაძლოა გამოიწვიოს თანხების ამოღების დაყოვნება.

ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს უზრუნველყოფის რეალიზაციის მომენტისთვის არსებულ საბაზრო ფასს. ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასები საერთაშორისო ბაზრებზე მერყეობს, შესაბამისად, თუ უზრუნველყოფის რეალიზაცია განხორციელდება ფასების შემცირების პერიოდში, მიღებული თანხა შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს შესაბამისი სესხის სრულად დასაფარად.

გარდა ამისა, რეალიზაციის პროცესზე გავლენას ახდენს ინდუსტრიული და მარეგულირებელი გარემო. აუქციონის პროცედურები, საკანონმდებლო რეგულაციები, ბიუროკრატიული ფორმალუბები და სხვა ოპერაციული საკითხები ხშირად ზრდის პროცესის ხანგრძლივობას და ამცირებს მის ეფექტიანობას.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფის არსებობა ამცირებს საკრედიტო რისკს და „კომპანიას“ დამატებით დაცვას უქმნის, უზრუნველყოფის დასაკუთრებისა და შემდგომი რეალიზაციის პროცესი დამოუკიდებელ საოპერაციო, სამართლებრივ და საბაზრო რისკებს შეიცავს. აღნიშნული რისკების მატერიალიზების შემთხვევაში შესაძლოა შემცირდეს უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები, გაიზარდოს დანაკარგების მოცულობა და უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

5. კომპანიის აქტივების ნაწილი დაგირავებულია, ხოლო უზრუნველყოფად გამოსაყენებელ აქტივებზე მოქმედმა მარეგულირებელმა შეზღუდვებმა შესაძლოა შეამციროს „კომპანიის“ დამატებითი დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა;

„ემიტენტის“ დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოცულობის აქტივები შეიძლება იქნას გამოყენებული დამატებითი ვალდებულებების უზრუნველყოფად. „კომპანიის“ ბიზნესმოდელიდან გამომდინარე, საკრედიტო რესურსებზე წვდომა მნიშვნელოვანია როგორც სასესხო პორტფელის ზრდის, ისე არსებული ვალდებულებების დროული მომსახურებისა და რეფინანსირებისთვის.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის „კომპანიის“ აქტივების ნაწილი, მათ შორის მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის დაახლოებით 32%, დაგირავებულია არსებული სასესხო ვალდებულებებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, „კომპანიის“ თავისუფალი, დაუტვირთავი აქტივების მოცულობა შეზღუდულია, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს დამატებითი დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობასა და პირობებზე. ამასთან, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი შეადგენს 88.65%-ს, რაც ახლოსაა მარეგულირებლის მიერ დადგენილ 90%-იან ლიმიტთან. აღნიშნული გარემოება ზღუდავს „კომპანიის“ შესაძლებლობას, დამატებითი აქტივები გამოიყენოს ახალი სესხების ან სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფად ისე, რომ დაცული იყოს მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნები.

შედეგად, თუ „კომპანიას“ მომავალში დასჭირდება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა ან არსებული ვალდებულებების რეფინანსირება, დაგირავებული აქტივების მაღალი დონე და მარეგულირებელ ლიმიტთან სიახლოვე შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი შემზღუდველი ფაქტორი. ასეთმა გარემოებამ შეიძლება შეამციროს დაფინანსების ხელმისაწვდომობა, გააუარესოს მისი პირობები ან გაზარდოს არაუზრუნველყოფილი/ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულება. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ ლიკვიდობის მართვაზე, ზრდის შესაძლებლობებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6. „კომპანია“ დამოკიდებულია საბანკო და კაპიტალის ბაზრებიდან მოზიდულ საკრედიტო რესურსებზე

„ემიტენტის“ საქმიანობის უწყვეტობა და მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დაფინანსების სტაბილურ და ხელმისაწვდომ წყაროებზე. „კომპანია“ საკრედიტო რესურსებს იზიდავს როგორც კომერციული ბანკებიდან, ისე კაპიტალის ბაზრებიდან და სხვა სავალს ინსტრუმენტების მეშვეობით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ საკრედიტო რესურსები მოიცავს: კომერციული ბანკებიდან ნასესხებ სახსრებს - 305 მლნ ლარის ოდენობით; გამოშვებულ სავალს ფასიან ქაღალდებს - 191 მლნ ლარის ოდენობით; გამოშვებულ მარტივ თამასუქებს - 159 მლნ ლარის ოდენობით; და სუბორდინირებულ ვალს - 25 მლნ ლარის ოდენობით. ამავე პერიოდის ბოლოსთვის „კომპანიის“ მთლიანი ვალის კოეფიციენტი 64.2%-ს შეადგენს, რაც წლიურად 8.8 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიის“ დაფინანსების სტრუქტურა დივერსიფიცირებულია როგორც ინსტრუმენტების, ისე გამსესხებლების ჭრილში, დაფინანსებაზე წვდომა შესაძლოა შეიზღუდოს სხვადასხვა ფაქტორის შედეგად. ასეთ ფაქტორებს, მათ შორის, მიეკუთვნება საბაზრო პირობების გაუარესება, ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების ცვლილება, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა სისტემური მოვლენები.

დაფინანსების წყაროებზე წვდომის შეზღუდვამ ან მათი ღირებულების ზრდამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე, დროულად დაფაროს ან ეფექტიანად დაარეფინანსიროს არსებული ვალდებულებები. ასეთმა გარემოებამ ასევე შესაძლოა შეამციროს ახალი სესხების გაცემის შესაძლებლობა, შეაფერხოს მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის დაგეგმილი ზრდა და გაზარდოს ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული წნეხი.

7. ბოლო პერიოდებში კომპანიის სავალ დაფინანსება მნიშვნელოვნად იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ ქვნება იმაზე მეტი ვალდებულება, ვიდრე მას შეუძლია მოემსახუროს და ამასთან, ვერ შეინარჩუნებს ლიკვიდურობის ჯანსაღ პოზიციას და ვერ მოახერხებს აქტივების შესაბამისად მართვას, შესაძლოა დადგეს გადახდისუნარიობისა და ლიკვიდურობის რისკის წინაშე;

„ემიტენტი“ მიმდინარე ემისიიდან მოზიდული სახსრებს 20% მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, ხოლო დანარჩენ ნაწილს სრულად მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის გასაზრდელად გამოიყენებს. აქედან გამომდინარე, მას დამატებით წარმოეშვება 80,000,000 აშშ დოლარის ღირებულების ახალი დავალიანება, რის შედეგადაც (პრო-ფორმა ეფექტი 2025 წლის 31 დეკემბრით) მთლიანი მოზიდული სახსრების კაპიტალთან შეფარდების მაჩვენებელი 2.6x-ს შეადგენს. ამასთანავე, პროსპექტის შედგენის თარიღიდან 2026 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს მოიზიდოს 80 მილიონ ლარამდე ან მისი ექვივალენტი სახსრები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ლევერიჯის ზრდა.

ამასთანავე, წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ წარმატებით განთავსებისა და 2025 წლის დეკემბერში დამტკიცებული პროსპექტის ქვეშ დარჩენილი „ობლიგაციების“ სრულად განთავსების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციების ჯამური მოცულობა დაახლოებით 470 მილიონ ლარს მიაღწევს, რაც, ობლიგაციების ბულეტ სტრუქტურის გათვალისწინებით, კომპანიისთვის მნიშვნელოვან რეფინანსირების რისკს წარმოშობს.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სწორად ვერ მართავს სასესხო პორტფელს, შესაძლოა დადგეს ლიკვიდურობისა და გადახდისუუნარობის რისკის წინაშე. გასათვალისწინებელია, რომ „კომპანია“ ექვემდებარება რეგულირებას საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ „ობლიგაციების“ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით, „კომპანიას“ ეზღუდება დამატებითი ვალდებულებების აღება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ შეასრულებს გარკვეულ კოვენანტებს. მეტი დეტალისთვის იხილეთ - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ – 5.1. (ვ) „ვალდებულებები“.

8. კომპანიას შესაძლოა დაუდგეს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც გამომდინარეობს საბრუნავი კაპიტალის უარყოფითი მაჩვენებლიდან;

კომპანიის საქმიანობას თან ახლავს ლიკვიდურობის რისკი, რომელიც გამომდინარეობს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობიდან. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აჭარბებს მოკლევადიან აქტივებს.

აღნიშნულის მიზეზი აღწერილია ქვემოთ:

- 2023 წლის მე-4 კვარტალში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ახალ გასაცემ სალომზარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა (აღნიშნული ვადა მანამდე განსაზღვრული იყო 1 წლამდე ვადით). ამის მიზეზი არის, რომ მაშინ, როდესაც კლიენტებს სურდათ მაღალი ვადიანობის სესხების აღება ერთსა და იმავე უზრუნველყოფას განმეორებითი იყენებდნენ და 1 წლიანი სესხების განახლება რამდენჯერმე უწევდათ. შესაბამისად, კომპანიის რესურსებისა და კლიენტების დროის დასაზოგად, მარეგულირებელთან შეთანხმებით და „ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების“ პრინციპების დაცვით, „ემიტენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასესხო ხელშეკრულებები ფორმალურად და იურიდიულად გაფორმდეს 3 წლიანი ვადით. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში მომხმარებელზე გაცემული სესხები ოფიციალურად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები, პრაქტიკაში სალომზარდე სესხების უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3-დან 6 თვემდე ვადაში ხდება;
- აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომპანიის სასესხო პორტფელი ეტაპობრივად ახლდება (ძველი სესხების ნაცვლად გაიცემა ახალი სესხები 3 წლიანი სტანდარტული ვადიანობით). აღნიშნული იწვევს საბრუნავი კაპიტალის უარყოფით მაჩვენებელს;
- მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სურათისგან - რაც გულისხმობს, რომ კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ფინანსური ანგარიშგებებიდან ჩანს;

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, „ემიტენტის“ შეფასებით კომპანია რეალურად არ არის არასაკმარისი საბრუნავი კაპიტალის წინაშე და მისი მოკლევადიანი აქტივები საკმარისია მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად - ვინაიდან „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ არ შეიცვლება მისი ბიზნეს მოდელი და მომხმარებელთა ქცევის პატერნი. ამის მიუხედავად არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული ორი გარემოება უცვლელი დარჩება.

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი სიტუაცია მაინც მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს, რადგან ნებისმიერმა ცვლილებამ მომხმარებელთა ქცევაში - მაგალითად, სესხების დაფარვის ვადების გაგრძელებამ ან განმეორებითი სესხების მიღების ტენდენციის შემცირებამ - შესაძლოა სწრაფად გამოიწვიოს ლიკვიდურობის რეალური პრობლემები და გაართულოს კომპანიის უნარი, დროულად დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები.

„კომპანიის“ ბიზნესმოდელის შესაბამისად, სასესხო პორტფელის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად ხორციელდება მოზიდული სახსრებით, ხოლო პორტფელიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ახალი სესხების გასაცემად, ისე არსებული ფინანსური ვალდებულებების დასაფარად. თუ მსესხებლებისგან მიღებული

თანხები კვლავ სასესხო პორტფელის ზრდისკენ მიიმართება, მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების დაფარვისთვის „კომპანიას“ დასჭირდება მათი რეფინანსირება და დამატებითი რესურსის მოზიდვა.

საპირისპიროდ, თუ პორტფელიდან მიღებული თანხები გამოყენებული იქნება მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად, სასესხო პორტფელის არსებული მოცულობის შესანარჩუნებლად „კომპანიას“ კვლავ დასჭირდება ახალი დაფინანსების მოზიდვა. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში „კომპანია“ მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია დაფინანსების წყაროების განახლებაზე, ჩანაცვლებასა და უწყვეტ ხელმისაწვდომობაზე.

არ არსებობს გარანტია, რომ საჭირო დაფინანსება ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მოცულობით, ვადაში ან „კომპანიისთვის“ მისაღები პირობებით. დაფინანსების მოზიდვის ან რეფინანსირების შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასესხო პორტფელის შემცირება, დაფინანსების ღირებულების ზრდა და ლიკვიდურობაზე ზეწოლა, ხოლო მნიშვნელოვანი შეფერხების შემთხვევაში - უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მიერ ვალდებულებების დროულად შესრულების შესაძლებლობაზე.

9. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში, მათ შორის წინამდებარე „ობლიგაციების“ ემისიაც უცხოურ ვალუტაში იგეგმება. ამასთანავე თუკი არ გამართლდება კომპანიის მოლოდინები ვალუტასთან მიმართებით მოგების მიღების მიზნით ფლობილმა დერივატივებმა შესაძლოა კომპანიას ზარალი მიაყენოს;

„ემიტენტის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, „კომპანიას“ შესაძლოა ჰქონდეს აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში, მათ შორის აშშ დოლარსა და ევროში. ამგვარი სავალუტო პოზიცია წარმოშობს რისკს, რომ გაცვლითი კურსების არახელსაყრელმა ცვლილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

სავალუტო ბაზრის ვოლატილობამ შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული პოზიციების ღირებულების მნიშვნელოვანი და მკვეთრი ცვლილება. მაგალითად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების შემთხვევაში, ლარის გაუფასურებამ პირდაპირ შეიძლება გაზარდოს კომპანიის რეალური საკრედიტო ტვირთი და ვალის მომსახურების ხარჯები ლარში გადაანგარიშებისას. ვინაიდან კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი ლარშია დენომინირებული, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიქმნას მნიშვნელოვანი დისბალანსი, რომელიც პირდაპირ აისახება ფინანსურ შედეგებზე.

გაცვლითი კურსების არახელსაყრელმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს სავალუტო გადაფასებიდან მიღებული ზარალი, შეამციროს წმინდა მოგება და უარყოფითად იმოქმედოს კაპიტალის მაჩვენებლებზე. აღნიშნული რისკის გავლენა დამოკიდებულია „კომპანიის“ ღია სავალუტო პოზიციის მოცულობაზე, ვალუტების სტრუქტურაზე, ვალდებულებების ვადიანობაზე და სავალუტო რისკის მართვის მექანიზმების ეფექტიანობაზე.

კომპანია აქტიურად იყენებს დერივატივებს, როგორც სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით, ისე სპეკულაციურად - მოგების მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება არ შეესაბამება „კომპანიის“ მოლოდინებს, „კომპანიამ“ შესაძლოა ზარალი მიიღოს როგორც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო პოზიციიდან, ისე მოგების მიღების მიზნით გაფორმებული დერივატიული ინსტრუმენტებიდან. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალსა და ლიკვიდობაზე.

ამასთან, სავალუტო ვოლატილობის ზრდის პირობებში შესაძლოა გაიზარდოს ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენების საჭიროება, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჰეჯირების სტრატეგიის არასათანადოდ შერჩევამ ან არაეფექტიანმა განხორციელებამ შესაძლოა სრულად ვერ შეამციროს სავალუტო რისკი ან გამოიწვიოს დამატებითი ფინანსური ხარჯი.

შესაბამისად, სავალუტო რისკის არასათანადო მართვამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე, ლიკვიდობის პოზიციაზე, კაპიტალის ადეკვატურობაზე და, ზოგადად, დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობასა და პირობებზე.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პრო-ფორმა შედეგები სავალუტო რისკთან მიმართებაში:

2025 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	107,715	18,021	13,581	3,202	142,519
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,003	-	-	-	7,003
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,089,495	-	-	-	1,089,495
სხვა ფინანსური აქტივები	-	1,269	974	-	2,243
სულ აქტივები	1,204,213	19,290	14,555	3,202	1,241,260
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(2,059)	(106,837)	(50,180)	-	(159,076)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(190,756)	(269,510)	-	-	(460,266)
ნასესხები სახსრები	(250,686)	-	-	-	(250,686)
სუბორდინირებული ვალი	(25,000)	-	-	-	(25,000)
საიჯარო ვალდებულება	(5,650)	(2,536)	-	-	(8,186)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(363)	(5,763)	(5,829)	(150)	(12,105)
სულ ვალდებულებები	(474,514)	(384,646)	(56,009)	(150)	(915,319)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(180,002)	194,254	(14,462)	-	(211)
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	549,697	(171,102)	(55,916)	3,052	325,731

ქვემოთ ცხრილით საილუსტრაციოდ წარმოდგენილია მგრძნობელობის ანალიზი აშშ დოლარი - ლარის გაცვლითი კურსის 10%-ით ცვლილების შემთხვევაში:

ვალუტა	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე*
აშშ დოლარი	10% (10%)	(2,695) / 2,695

*აშშ დოლარის ლართან მიმართებით კურსის ცვლილების ეფექტი მოგებაზე დათვლილია შემდეგი მაჩვენებლებით: „ობლიგაციების“ მოცულობა 100 მლნ აშშ დოლარი, გაცვლითი კურსი 2025 წლის 31 დეკემბერს 2.6951.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „ფინანსური რისკების მართვა“ – „სავალუტო რისკი“.

10. ვინაიდან კომპანია აქტიურად იყენებს ცვლად განაკვეთიან სავალო ფასიან ქაღალდებსა და მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს, წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკის

არაადეკვატურმა მართვამ შესაძლოა წარმოქმნას აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობა, რაც გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე;

საპროცენტო განაკვეთის რისკი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ კომპანიის სასესხო და საინვესტიციო პორტფელი განსხვავებული საპროცენტო სტრუქტურით არის წარმოდგენილი. კომპანია გასცემს სესხებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, მაშინ როცა მისი ვალდებულებების ნაწილი (მათ შორის მოკლევადიანი სესხები და ცვლად განაკვეთიან ფასიან ქაღალდებზე დაფუძნებული დაფინანსება) დამოკიდებულია ბაზრის საპროცენტო ცვლილებებზე.

თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება, კომპანიის ფინანსური ხარჯი ასევე გაიზრდება, მაშინ როცა მისი სესხებიდან მიღებული შემოსავლები უცვლელი დარჩება, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე და, შესაბამისად, შეამციროს მოგების მარჟა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკი მნიშვნელოვნად შემსუბუქებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით - კონტრაქტული ვადიანობის მიუხედავად სალომბარდე სესხების უმრავლესობა საშუალოდ 3-დან 6 თვემდე იფარება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას დროულად მოახდინოს რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე და განაახლოს საპროცენტო პირობები ახალი სესხების გაცემისას - 2025 წელს მზარდი ტრენდია, როგორც სესხების შემოსავლიანობის მაჩვენებელში (Loan Yield), ისე მოზიდული სახსრების ხარჯიანობის მაჩვენებელში (Cost of Funds). პარალელურად 2025 წლის განმავლობაში შემცირებულია წმინდა საპროცენტო მარჟა - დამატებითი დეტალები იხილეთ სექციაში “ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები”. შესაბამისად, კომპანიის მოკლევადიანი სასესხო პორტფელი ბუნებრივად ამცირებს საპროცენტო რისკის გავლენას გრძელვადიან ფინანსურ შედეგებზე.

11. არსებულმა ან მომავალში ნაკისრმა კოვენანტებმა და საკრედიტო შეთანხმებებმა შესაძლოა შეზღუდოს კომპანიის მოქნილობა ოპერაციული და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას;

„კომპანია“ ოპერაციებისა და ზრდის დასაფინანსებლად აქტიურად იყენებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან მოზიდულ საკრედიტო რესურსებს. აღნიშნულ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური კოვენანტები, რომლებიც კომპანიის ქცევასა და საქმიანობაზე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს.

კოვენანტები, როგორც წესი, მოიცავს მოთხოვნებს კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალური დონეების შენარჩუნებასთან, ფინანსური ანგარიშგების დროულ წარდგენასთან, დამატებითი ვალდებულებების აღებაზე დაწესებულ შეზღუდვებთან, აქტივების დაგირავებასთან ან გასხვისებასთან, ასევე სხვა ფინანსურ და საოპერაციო მაჩვენებლებთან დაკავშირებით. აღნიშნული პირობები მიზნად ისახავს კრედიტორების ინტერესების დაცვას, თუმცა ამავდროულად შესაძლოა ზღუდავდეს „კომპანიის“ მოქნილობას დაფინანსების მოზიდვის, აქტივების მართვის, ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისა და განვითარების გეგმების განხორციელების პროცესში.

კოვენანტების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამართლებრივი და ფინანსური შედეგები, მათ შორის ვალდებულებების ვადამდე დაფარვის მოთხოვნა, დამატებითი შეზღუდვების დაწესება, დაფინანსების პირობების გადახედვა, საპროცენტო ხარჯების ზრდა ან ახალი ფინანსური რესურსების მოზიდვის გართულება. შესაბამისად, „კომპანიის“ ფინანსური მოქნილობა, საკრედიტო პროფილი და დაფინანსების წყაროებზე წვდომა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოქმედი კოვენანტების უწყვეტ შესრულებასა და მათ ეფექტიან მართვაზე.

კოვენანტების შესრულებასთან დაკავშირებით იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

12. კომპანიამ შესაძლოა დაარღვიოს მარეგულირებლის მიერ დაწესებული კოეფიციენტები და მაჩვენებლები, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის სტატუსსა და რეპუტაციაზე;

„კომპანიის“, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საქმიანობა ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას და შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნები, მათ შორის, მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო მაჩვენებლებს, რომლებიც უკავშირდება კაპიტალის ადეკვატურობას, ლიკვიდობას, აქტივების დაგირავების ლიმიტებს, რისკების მართვას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ანგარიშგებას და სხვა საზედამხედველო საკითხებს.

არსებობს რისკი, რომ „კომპანიამ“ მომავალში ვერ დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა ან კოეფიციენტი. ასეთი გარემოება შესაძლოა გამოწვეული იყოს, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით, საკრედიტო დანაკარგების ზრდით, ლიკვიდობის შემცირებით, კაპიტალის მაჩვენებლების გაუარესებით, აქტივების ხარისხის ცვლილებით, რეგულაციების გამკაცრებით ან საოპერაციო/შიდა კონტროლის პროცესებში არსებული ხარვეზებით.

მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაძლოა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს შესაბამისი საზედამხედველო ზომები, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება, დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნა, ფულადი სანქცია, გარკვეული საქმიანობის ან ოპერაციების შეზღუდვა, დამატებითი ანგარიშგების მოთხოვნა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. მნიშვნელოვანი ან განმეორებითი დარღვევების შემთხვევაში, აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსზე.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა შეაფერხოს „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობა, გაზარდოს შესაბამისობისა და ადმინისტრაციული ხარჯები, შეზღუდოს ბიზნესის ზრდის შესაძლებლობა და უარყოფითად იმოქმედოს მის რეპუტაციაზე. გარდა ამისა, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ შესაძლოა გააუარესოს „კომპანიის“ ურთიერთობა ინვესტორებთან, საკრედიტო ინსტიტუტებთან და სხვა ფინანსურ პარტნიორებთან, რაც შესაძლოა აისახოს დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და პირობებზე.

13. კომპანიას შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან გამოშვებული ფასიანი ქაღალდების პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები;

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან გამოშვებული ფასიანი ქაღალდების პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და პროსპექტის (და შესაბამისი ობლიგაციების პირობების) ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

პროსპექტში ნაჩვენები თარიღებისთვის „კომპანიას“ არ აქვს დარღვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები. „კომპანიის“ კოვენანტებისაშესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

14. კომპანია რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტია. მარეგულირებელი ბაზის ცვლილებებმა - მათ შორის, საკანონმდებლო და საზედამხედველო ცვლილებებმა - შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს ბიზნესმოდელი და მომგებიანობა;

„კომპანია“ წარმოადგენს რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, რომლის საქმიანობა მთლიანად ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზედამხედველობასა და მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს. ამ გარემოში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გამკაცრება,

საპროცენტო ზღვრების დადგენა ან მომხმარებელთა დაცვის ახალი წესების ამოქმედება, პირდაპირ აისახება კომპანიის ოპერაციებზე.

კერძოდ, კაპიტალის გაზრდილი მოთხოვნები ზრდის დამატებითი რესურსების მოძიების საჭიროებას, საპროცენტო რეგულაციები ზღუდავს შემოსავლის სტრუქტურას, ხოლო მომხმარებელთა დაცვის მკაცრი წესები ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებსა და შესაბამისობის უზრუნველყოფის ტვირთს.

იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი მოთხოვნები კიდევ უფრო გამკაცრდება, „კომპანიამ“ შესაძლოა დაკარგოს მოქნილობა ახალი პროდუქტების შეთავაზებასა და საბაზრო პირობებზე სწრაფ ადაპტაციაში, რაც შეამცირებს მის კონკურენტულ უპირატესობასა და გრძელვადიან მდგრადობას, ასევე უარყოფითად აისახება მის ფინანსურ შედეგებზე.

15. „ობლიგაციების“ არასრულმა განთავსებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს დაგეგმილი დაფინანსების მოცულობასა და სასესხო პორტფელის ზრდაზე;

არსებობს რისკი, რომ წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული „ობლიგაციები“ სრულად არ განთავსდეს. აღნიშნული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ 2025 წლის დეკემბერში დამტკიცებული პროსპექტის ფარგლებში გამოშვებული ობლიგაციები წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის სრულად არ იყო განთავსებული (კერძოდ, 2025 წელს მოხდა 200 მილიონი ლარის ობლიგაციების გამოშვება, საიდანაც პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მხოლოდ 125 მილიონი ლარის ობლიგაციაა განთავსებული). მიმდინარე ემისიის არასრულად განთავსების შემთხვევაში „ემიტენტმა“ შესაძლოა ვერ მოიზიდოს დაგეგმილი მოცულობის ფინანსური რესურსი.

ემისიიდან მოსაზიდი სახსრების 20% - 20,000,000 აშშ დოლარი - გათვალისწინებულია მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის. „ობლიგაციების“ არასრულად განთავსების შემთხვევაში „ემიტენტს“ შესაძლოა დასჭირდეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება, მათ შორის ნასესხები სახსრების ვადის გაგრძელება, საბანკო დაფინანსების მოზიდვა ან სხვა სასესხო ინსტრუმენტების გამოყენება. არ არსებობს გარანტია, რომ ასეთი დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება საჭირო მოცულობით, შესაბამის ვადაში ან „ემიტენტისთვის“ მისაღები პირობებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის ლიკვიდობასა და დაფინანსების ღირებულებაზე.

ემისიიდან მოსაზიდი სახსრების დარჩენილი ნაწილი - 80% - მიიმართება მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდის დასაფინანსებლად. შესაბამისად, „ობლიგაციების“ არასრულად განთავსებამ შესაძლოა შეამციროს პორტფელის ზრდისთვის ხელმისაწვდომი რესურსი და შეანელოს „ემიტენტის“ მიერ დაგეგმილი ზრდის ტემპი.

16. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების გამართულობას, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლამ ან კიბერ თავდასხმებმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კომპანიის ოპერაციებს;

„კომპანიის“ საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის უწყვეტ ფუნქციონირებაზე, როგორც შიდა აღრიცხვის, ისე კლიენტთან მომსახურების ნაწილში. ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზი, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა ან ტექნოლოგიური სისტემების მწყობრიდან გამოსვლა შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის საქმიანობაზე, შეაფერხოს ოპერაციები და გამოიწვიოს ფინანსური და რეპუტაციული ზარალი.

გარდა ამისა, კიბერ თავდასხმებმა შეიძლება გამოიწვიოს მგრძნობიარე ინფორმაციის დაკარგვა, მომხმარებელთა მონაცემებზე ან ფინანსურ აქტივებზე უნებართვო წვდომა ან მომსახურების შეფერხება.

ამგვარი რისკების რეალიზაციამ შესაძლოა არა მხოლოდ ფინანსურ ზარალი, არამედ მომხმარებელთა ნდობის შემცირება გამოიწვიოს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანიის საბაზრო პოზიციებსა და რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება.

17. „კომპანიის“ საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის რეპუტაციასა და ბრენდის ცნობადობაზე;

„კომპანიის“ საქმიანობის მდგრადობა, მომხმარებელთა მოზიდვის შესაძლებლობა და ზრდის პოტენციალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე, ბრენდის ცნობადობასა და მომხმარებელთა ნდობაზე. აღნიშნული ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბიზნესმოდელის პირობებში, სადაც მომსახურების ხელმისაწვდომობა, სწრაფი პროცესი და მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობა წარმოადგენს კონკურენტული პოზიციის შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

რეპუტაციის შელახვა შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მათ შორის მომსახურების ხარისხის გაუარესებით, მომხმარებელთა უკმაყოფილების ზრდით, საოპერაციო ხარვეზებით, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობით, კორპორაციული მმართველობის ნაკლოვანებებით ან უარყოფითი საჯარო/მედია კომუნიკაციით. ასეთმა მოვლენებმა შესაძლოა შეამციროს მომხმარებელთა ნდობა „კომპანიის“ მიმართ, დააზიანოს ბრენდის ღირებულება და უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბაზარზე პოზიციონირებაზე.

შედეგად, რეპუტაციული რისკის მატერიალიზებამ შესაძლოა შეამციროს მომხმარებელთა აქტივობა, გაართულოს ახალი მომხმარებლების მოზიდვა, გაზარდოს მომხმარებელთა შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯები და უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ შემოსავლებზე, ფინანსურ შედეგებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

18. სასამართლო დავებში ჩართულობამ, იურიდიულმა პროცესებმა ან საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ფინანსური, ისე რეპუტაციული ზიანი;

სასამართლო დავებში ჩართულობა, იურიდიული პროცესების გაჭიანურება ან საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევა კომპანიას უქმნის, როგორც პირდაპირ ფინანსურ, ისე მნიშვნელოვან რეპუტაციულ რისკებს. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი ხარჯების ზრდა, ჯარიმებისა და კომპენსაციების გადახდის აუცილებლობა, ასევე ძირითადი ოპერაციების შეფერხება.

გარდა ამისა, სასამართლო დავების საჯარო ხასიათმა ან უარყოფითმა მედია გაშუქებამ შეიძლება დააზიანოს მომხმარებელთა, პარტნიორებისა და ინვესტორების ნდობა. განსაკუთრებული რისკია, თუ დავები დაკავშირებულია კომპანიის საკვანძო კონტრაქტებთან ან მნიშვნელოვან ფინანსურ ოპერაციებთან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შედეგები შეიძლება იყოს სტრატეგიული პარტნიორობების დაკარგვა, ბაზრის წილის შემცირება ან/და კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობების გაუარესება.

19. „კომპანია“ შესაძლოა სრულად არ შეესაბამებოდეს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკებს;

„კომპანიის“ კორპორაციული მართვის სტრუქტურა შესაძლოა სრულად არ შეესაბამებოდეს კორპორაციული მართვის ყველა საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვის ნაწილში. კერძოდ, „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პირს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ემიტენტს“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ჰქონდა კოდექსის შესაბამისი პრინციპების შესრულების ალტერნატიული მეთოდი, რომლის მოქმედების ვადაც 2026 წლის დეკემბერს იწურება. „პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის „ემიტენტმა“ განახორციელა ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში, რომლებიც ასევე გაზიარებულია საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ეს ცვლილებებია: (i) სამეთვალყურეო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ვლადიმერ შავლაყაძე (არადამოუკიდებელი წევრი), (ii) ლაშა ნიკოლაიშვილი (ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) მისი სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვევის შემდგომ დაინიშნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის დირექტორის მოადგილედ და გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელად (პროკურისტად) და (iii) ბექა ტულუში გახდა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი არადამოუკიდებელი წევრი. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ცვლილებები ასახულია სამეწარმეო რეესტრში. ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებას საბჭოში ან სხვა დასაბუთებას კომპანია ალტერნატივად წარუდგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტს. ემიტენტისთვის ცნობილი არ არის თუ რამდენად

ჩათვლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველი აღნიშნულს ალტერნატივად და რა საზედამხედველო ზომებს გამოიყენებს.

აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა გაზარდოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი და გავლენა იქონიოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, სადაც „კომპანიის“, მისი პარტნიორის, მენეჯმენტის, კრედიტორების ან ინვესტორების ინტერესები შესაძლოა სრულად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

თუ „კომპანიის“ შიდა კონტროლის, ზედამხედველობისა და კორპორაციული მართვის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის სათანადო იდენტიფიცირებასა და მართვას, არსებობს რისკი, რომ ცალკეული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას არასაკმარისი დამოუკიდებლობით ან გამჭვირვალობით. ასეთმა გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მმართველობის ხარისხზე, შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე და დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვაზე.

კორპორაციული მართვის პროცესებში არსებულმა ხარვეზებმა შესაძლოა გამოიწვიოს არაეფექტიანი ან არათანაბრად დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღება, საოპერაციო და ფინანსური რისკების ზრდა, რეპუტაციული ზიანი ან ინვესტორებისა და კრედიტორების ნდობის შემცირება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

20. ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე;

კომპანიის წარმატებული ოპერირებისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის კრიტიკულია გამოცდილი მენეჯმენტის, ძირითადი პერსონალისა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება.

თუკი „კომპანიის“ მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების სრულმასშტაბიანი ამოქმედების შედეგად კიდევ უფრო დაიხვეწება და მეტი მოთხოვნა დაწესდება შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში. აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა, გაზარდოს „კომპანიის“ სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებზე.

21. უსაფრთხოების ზომების ნაკლებობამ - იქნება ეს ფიზიკური თუ კიბერუსაფრთხოება - შეიძლება გაზარდოს დანაკარგების ალბათობა, მათ შორის კლიენტთა მონაცემების გაჟონვის რისკი;

უსაფრთხოების ზომების არასაკმარისობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს კომპანიის ფინანსური და რეპუტაციული რისკები. არასათანადო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, დაუცველი IT ინფრასტრუქტურა ან მონაცემთა დაცვის პროცესების სისუსტე ზრდის კლიენტთა პერსონალური და ფინანსური ინფორმაციის გაჟონვის, არასანქცირებული წვდომის ან კიბერთავდასხმის ალბათობას. ამგვარი ინციდენტები არა მხოლოდ იწვევს პირდაპირ ფინანსურ დანაკარგებს, არამედ მნიშვნელოვნად აზიანებს მომხმარებელთა ნდობას, ამცირებს კომპანიის კონკურენტუნარიანობას და შესაძლოა გამოიწვიოს მარეგულირებელი ჯარიმები და იურიდიული დავები.

ამასთან, ვინაიდან „კომპანიის“ სასესხო პორტფელის უზრუნველყოფას წარმოადგენს ძვირფასი ლითონები, საცავების არასათანადო დაცვამ ან უსაფრთხოების ზომების არასაკმარისობამ შესაძლოა გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი

ქვეყნის, მიტაცების, მარცვის/ქურდობის შედეგად ან სხვა მიზეზით ქონების დაზიანება, რითიც „კომპანიას“ შესაძლოა მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური და რეპუტაციული რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე მარცვის და თაღლითობის მნიშვნელოვან შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, შესაძლოა კომპანიაში არსებული რისკის მართვის პროცედურები არ აღმოჩნდეს საკმარისი და სამომავლოდ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდეს, რაც კომპანიას რეპუტაციულად და ფინანსურად დააზარალებს.

22. წამყვანი საბაზრო პოზიციის მიუხედავად, კომპანია ოპერირებს კონკურენტულ ბაზარზე. კონკურენციის გამწვავებამ ან ახალი მოთამაშეების შემოსვლამ ბაზარზე შეიძლება შეამციროს საბაზრო წილი და ზეწოლა მოახდინოს მარჟებზე,

კონკურენციის გამწვავება ან ახალი მოთამაშეების შემოსვლა ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამწვავებას კომპანიის საბაზრო პოზიციებისთვის. ახალი კონკურენტების გამოჩენამ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოპერირებენ ინოვაციური ბიზნეს მოდელებით, დაბალი ხარჯებით ან აგრესიული ფასების სტრატეგიით, შესაძლოა პირდაპირი ზეწოლა მოახდინოს კომპანიის საბაზრო წილზე და მის მომგებიანობაზე.

მოქმედი კონკურენტების მიერ პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებამ, დამატებითი სერვისების შეთავაზებამ ან მომხმარებელზე მორგებულმა მიდგომამ შეიძლება გაზარდოს მომხმარებელთა მიგრაციის რისკი. ამის შედეგად კომპანიას შესაძლოა მოუხდეს ფასების შემცირება, დამატებითი ინვესტიციების გაღება მარკეტინგში, სერვისების გაუმჯობესება ან ტექნოლოგიური განახლებები, რაც ზრდის საოპერაციო ხარჯებს და ამცირებს მარჟებს.

განსაკუთრებით რისკიანია სიტუაცია, როდესაც ბაზარზე შემოსული ახალი მოთამაშეები ფლობენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ან ძლიერი პარტნიორების მხარდაჭერას, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად მოიპოვონ კლიენტთა ნდობა და ბაზრის წილი. ასეთ გარემოში, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მუდმივი ინოვაცია, მომსახურების ხარისხის სტაბილურად მაღალი დონე და მოქნილი საპასუხო სტრატეგიები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მარჟებზე ზეწოლისა და ბაზრის დაკარგვის რისკი.

კომპანიას წამყვანი პოზიცია უკავია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგების მიხედვით. კერძოდ, 2025 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ოპერაციებიდან მიღებული ჯამური 28.0 მლნ ლარის წმინდა მოგებიდან 23.4 მლნ ლარი, ანუ დაახლოებით 84%, კომპანიაზე მოდიოდა.

მიუხედავად აღნიშნული პოზიციისა, სავალუტო კონვერტაციის მიმართულებით კომპანიის კონკურენტული გარემო მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებით არ შემოიფარგლება და მოიცავს კომერციულ ბანკებს, მიკრობანკებს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებსა და ციფრულ პლატფორმებს. მათ შორისაა 2023 წელს დაარსებული კომპანია „Kursi.ge“ - ონლაინ ვალუტის კონვერტაციის პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს ვალუტის დისტანციურად გადაცვლის შესაძლებლობას სთავაზობს. 2025 წელს „Kursi.ge“-ის შემოსავლებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 2.6 მლნ ლარი შეადგინა.

აღნიშნული და სხვა ალტერნატიული არხების შემდგომმა განვითარებამ, მათ მიერ უფრო კონკურენტული გაცვლითი კურსების, სწრაფი მომსახურებისა და სრულად ციფრული გამოცდილების შეთავაზებამ შესაძლოა შეამციროს კომპანიის მიერ განხორციელებული სავალუტო ოპერაციების მოცულობა და ზეწოლა მოახდინოს შესაბამის მარჟებსა და მომგებიანობაზე.

23. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე;

მოულოდნელმა მოვლენებმა, მათ შორის ბუნებრივმა კატასტროფებმა, საგანგებო მდგომარეობამ, პანდემიამ, სტიქიურმა მოვლენებმა ან სხვა მსგავსმა გარემოებებმა, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

ერთი მხრივ, ასეთმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს „კომპანიის“ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივები, მათ შორის ფილიალები, ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური სისტემები ან სხვა მნიშვნელოვანი საოპერაციო რესურსები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების დროებითი შეფერხება, ფილიალების ფუნქციონირების შეზღუდვა, საოპერაციო ხარჯების ზრდა ან შემოსავლების შემცირება.

მეორე მხრივ, მასშტაბურმა უარყოფითმა მოვლენებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე და მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური აქტივობის შემცირებამ, დასაქმების გაუარესებამ, შემოსავლების კლებამ ან მომხმარებელთა ქვეყნის ცვლილებამ შესაძლოა შეამციროს მოთხოვნა „კომპანიის“ პროდუქტებზე და გააუარესოს მსესხებელთა გადახდისუნარიანობა.

ასეთ ვითარებაში „კომპანიის“ შესაძლოა გაურთულდეს როგორც სასესხო პორტფელის ზრდა, ისე არსებული სესხების დროული ამოღება. აღნიშნულმა, თავის მხრივ, შესაძლოა გაზარდოს საკრედიტო დანაკარგები, შეამციროს შემოსავლები და უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ ლიკვიდობაზე, მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

24. მომავალში „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული აქტივების არასრულმა დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო სტაბილურობაზე;

„კომპანიის“ საქმიანობა დაკავშირებულია ფილიალების ქსელის, ფულადი სახსრების, საოპერაციო ინფრასტრუქტურისა და სალომბარდე სესხების უზრუნველყოფის სახით მიღებული ძვირფასი ლითონებისა და სამკაულების მართვასთან. აღნიშნული უზრუნველყოფის საგნები ინახება „კომპანიის“ სპეციალურ საცავში, რაც მათ დაცულობასა და უსაფრთხოებას ზრდის.

„კომპანია“ ინარჩუნებს სადაზღვევო დაფარვას იმ რისკებთან მიმართებით, რომლებიც, მისი შეფასებით, შეესაბამება საქმიანობის მასშტაბსა და საოპერაციო პროფილს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ არსებული სადაზღვევო პოლისები სრულად დაფარავს ყველა შესაძლო ზარალს, მათ შორის ფილიალების, საცავის, ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონების, სამკაულების ან სხვა მნიშვნელოვანი აქტივების დაზიანებასთან, დაკარგვასთან ან განადგურებასთან დაკავშირებულ ზარალს.

გარდა ამისა, გარკვეული რისკების მიმართ სრული სადაზღვევო დაფარვა შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ან ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ არახელსაყრელი პირობებით. სადაზღვევო პოლისები ასევე შესაძლოა ითვალისწინებდეს ლიმიტებს, გამონაკლისებს ან ფრანშიზებს, რის გამოც სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს რეალური ზარალის სრულად დასაფარად.

თუ „კომპანიას“ მიადგება ისეთი ზარალი, რომელიც სრულად არ იქნება დაფარული სადაზღვევო ანაზღაურებით, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს მისი საკუთარი რესურსებით დაფარვა. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ლიკვიდობაზე, საოპერაციო საქმიანობის უწყვეტობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

25. „ემიტენტს“ შეუძლია აფილირებულ პირებთან მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზაქციების განხორციელება „ობლიგაციონერთა“ თანხმობის გარეშე;

„ობლიგაციების პირობები“ არ ადგენს „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილების“ მიერ აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობრივ ან ჯამურ ლიმიტს. შესაბამისად, „ემიტენტს“ შეუძლია

აფილირებულ პირებთან განახორციელოს რამდენიმე ან მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზაქცია „ობლიგაციონერთა“ წინასწარი თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ ასეთი ტრანზაქციები აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის „ემიტენტისთვის“ ან შესაბამისი „შვილობილისთვის“ ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე არააფილირებულ პირთან „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული ანალოგიური ტრანზაქცია.

თუ აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის ან დაკავშირებული ტრანზაქციების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი ფისკალური პერიოდის „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს, „ემიტენტი“ ვალდებულია ტრანზაქციის განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა ტრანზაქციის სამართლიანობისა და „სამართლიან საბაზრო ღირებულებასთან“ შესაბამისობის შესახებ. თუმცა, აღნიშნული დასკვნის წარდგენა არ გულისხმობს „ობლიგაციონერთა“ თანხმობის მიღების აუცილებლობას და „ობლიგაციონერებს“ არ ანიჭებს ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის უფლებას. ამასთან, 10%-იან ზღვრამდე განხორციელებულ ტრანზაქციებზე დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნის წარდგენა „ემიტენტს“ არ მოეთხოვება.

ამის გათვალისწინებით, აფილირებულ პირებთან ტრანზაქციები შესაძლოა წარმოშობდეს ინტერესთა კონფლიქტს, ხოლო მათი პირობების სამართლიანობის შესახებ „ემიტენტის“, მისი პასუხისმგებელი პირებისა და „ობლიგაციონერების“ შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს. შეუზღუდავმა ტრანზაქციებმა „აფილირებულ პირებთან“ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უნარზე.

26. დაკავშირებულ მხარეებზე მაღალმა დამოკიდებულებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ დაფინანსების სტაბილურობაზე;

კომპანიის დაფინანსების წყაროების ნაწილს დაკავშირებული მხარეებიდან მოზიდული რესურსები წარმოადგენს - 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზიდულ სახსრებში 13% დაკავშირებული მხარიდან მიღებული დავალიანებებია. შესაბამისად, აღნიშნული დაფინანსების მოცულობის შემცირებამ, პირობების გაუარესებამ, ვადის გაგრძელებაზე უარის თქმამ ან მისი განახლების შეფერხებამ შესაძლოა შეამციროს „კომპანიისთვის“ ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი და გავლენა იქონიოს მის ლიკვიდობაზე, დაფინანსების ღირებულებაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და დაგეგმილი ზრდის ტემპზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ მუშაობს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციაზე, მათ შორის საბანკო დაფინანსებისა და კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენებით, არ არსებობს გარანტია, რომ დაკავშირებული მხარეებიდან მოზიდული რესურსების ჩანაცვლება საჭირო მოცულობით, შესაბამის ვადაში ან ანალოგიური პირობებით ყოველთვის იქნება შესაძლებელი.

კონკურენციასა და ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

27. საბანკო, მიკროსაბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში არსებულმა მწვავე კონკურენციამ, მათ შორის კომერციული ბანკების სალომზარდე დაკრედიტების მიმართულებით შესაძლოა გააქტიურებამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობაზე, კლიენტების შენარჩუნებაზე, ამჟამინდელ ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე;

ისტორიული პერიოდების მანძილზე, კომპანია მიკროსაფინანსო სექტორში ოპერირებდა. მიკროსაფინანსო ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და კომპანიასაც ბევრი ბიზნეს კონკურენტი ჰყავდა. მიკროსაფინანსო ბაზრის მოთამაშეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბიზნესმოდელებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს; თუმცა, კომპანიის მსგავსი ბიზნესმოდელის მქონე მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორცაა, მაგალითად „სკაპი“, „ლიდერკრედიტი“, მიკრობანკები და კომერციული ბანკებიც კი, ძლიერ კონკურენტებად მიიჩნევიან. კომპანიის სამიზნე მომხმარებელი განსხვავდება კომერციული ბანკების სამიზნე კლიენტისგან, თუმცა, გამძაფრებული კონკურენცია საბანკო სექტორს უბიძგებს სამიზნედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტებიც გახადოს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ კომპანია დაარსების დღიდან რისკების მართვის კონსერვატიული მიდგომებით ხელმძღვანელობდა, შესაბამისად აღნიშნულ რეგულაციებს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის რისკ პროფილზე არ ჰქონია, რაც ასევე დასტურდება კომპანიის სტაბილურად დაბალი რისკების მაჩვენებლებით, როგორც რეგულაციების ამოქმედებამდე ასევე მათი ამოქმედების შემდგომ.

მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია წარმატებით გაუწევს მეტოქეობას, რომელიმე ან ყველა მის ამჟამინდელ, თუ მომავალ კონკურენტს. ამ კონკურენციის შედეგად შესაძლოა კომპანიას ზრდის ტემპი და შემოსავლები შეუმცირდეს, რაც იმოქმედებს კომპანიის შესაძლებლობაზე, მიიღოს საკმარისი დაფინანსება საკუთარი ვალდებულებების მომსახურების ან ოპერაციების დაფინანსებისთვის.

28. ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უუნარობა უარყოფითად აისახება კომპანიის მომგებიანობაზე;

კომპანიამ ფეხი უნდა აუწყოს სწრაფად ცვალებად სამომხმარებლო ჩვევებს, წონასწორულ ფასს და საკანონმდებლო ცვლილებებს. კომპანიას გააჩნია სათანადოდ შემუშავებული გამართული კორპორაციული მმართველობის და რისკის მართვის პოლიტიკები, რაც კომპანიას ეხმარება სწრაფად ადაპტირდეს ცვალებად გარემოსთან და ოპერაციების შეუფერხებლად დანერგოს და განახორციელოს ახალი მოთხოვნები.

კომპანიის შემოსავალი უმთავრესად დამოკიდებულია სალომბარდე კრედიტების გაცემაზე. პროდუქტებზე მოთხოვნის კლებას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის შემოსავლებზე. კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შეიცვალოს. ასეთ ფაქტორებს შორისაა, მარეგულირებელი შეზღუდვები, რომლებიც აფერხებს მომხმარებლის წვდომას კონკრეტულ ფინანსურ სერვისთან; კონკურენტული ფინანსური პროდუქტის ხელმისაწვდომობის ან მიმზიდველობის ზრდა; მომხმარებელთა მოლოდინების და ხარჯვის ცვლილება; ცვლილებები კომპანიის არსებული მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაში, რაც უზიძგებს მათ, სხვა საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიიღონ უფრო იაფი და/ან დიდი მოცულობის სესხები ან პირიქით, საერთოდ გავიდნენ საკრედიტო ბაზრიდან. თუ კომპანია ვერ შეძლებს ახალ საბაზრო ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას და ახალი სერვისების და პროდუქტების დანერგვას, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე ჩნდება, ეს უარყოფითად აისახება მის ოპერაციებზე. ამასთანავე, ახალი სერვისების და პროდუქტების შემოღება შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს და მომხმარებლებმა არ მიიღონ ისინი. ამრიგად, პროდუქტის დივერსიფიკაცია ან ცვლილება არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ ეს დადებითად იმოქმედებს ბიზნეს ოპერაციებზე და შესაძლოა შემოსავლების დაკარგვა გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებზე, პერსპექტივებსა ან ფულად ნაკადებზე.

29. „კომპანიის“ აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ხარვეზებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ინფორმაციის კორექტირება და გაზარდოს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი რისკი, ხოლო აუდიტორის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს აუდიტის მიდგომების თანმიმდევრულობაზე;

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება დამოუკიდებელ აუდიტს, აუდიტი უზრუნველყოფს მხოლოდ გონივრულ და არა აბსოლუტურ რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დარჩეს გამოვლენილი ან გამოუვლენელი ხარვეზები.

„კომპანიის“ 2024 ფინანსური წლის აუდიტორი იყო შპს „იუაი“ (EY), ხოლო 2025 ფინანსური წლის აუდიტორი - შპს „ნექსია ჯორჯია“. აუდიტორის ცვლილება გამოწვეული იყო „კომპანიასა“ და შპს „იუაის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლით.

სხვადასხვა აუდიტორის მიერ გამოყენებული პროფესიული მსჯელობა, არსებითობის ზღვრები და აუდიტორული პროცედურები შესაძლოა განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ცალკეული საკითხების შეფასებასა და პერიოდებს შორის აუდიტის შედეგების შედარებადობაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2025 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებებსა და მის შესაბამის შენიშვნებში, ასევე თვითონ აუდიტირებულ რეპორტში ფიქსირდება ხარვეზები. მნიშვნელოვან ხარვეზებს შორისაა:

- **ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში** “გამოშვებული (გადახდილი) მარტივი თამასუქები” წარმოდგენილია ნეტო პრინციპით (სხვაობა გამოშვებულსა და გადახდილ თამასუქებს შორის), სხვა მოძრაობებისგან განსხვავებით, თუმცა ბასს 7-ით გათვალისწინებული ნეტო წარდგენის საფუძვლები დასაბუთებული არ არის; წარდგენის იგივე პრინციპი გამოყენებულია “მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზეც”.
- **ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში** ობლიგაციების მოძრაობასთან დაკავშირებული 62 მლნ ლარის წმინდა ფულადი ნაკადი ასახულია მუხლში „სხვა აქტივები“. აღნიშნული კლასიფიკაცია არ ეფუძნება IFRS-ის კონკრეტულ მოთხოვნას, რომელიც ობლიგაციების ემისიიდან მიღებული სახსრების საოპერაციო ფულად ნაკადებში წარმოდგენას პირდაპირ მოითხოვს. კლასიფიკაცია განხორციელდა მენეჯმენტის პროფესიული განსჯის საფუძველზე, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, კომპანია წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, რომლის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მოზიდვასა და მათ შემდგომ განთავსებასთან, რის გამოც მენეჯმენტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხების წარმოდგენა „სხვა აქტივებიდან“ მიღებული ფულადი ნაკადების შემადგენლობაში უკეთ ასახავდა ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსს. აღნიშნული მიდგომიდან გამომდინარე, ფინანსური ვალდებულებების მოძრაობამ გაზარდა საოპერაციო ფულადი ნაკადები 62 მილიონით და ამავე მოცულობით შეამცირა საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.
- **ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში** საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებში წარმოდგენილია მუხლი „შემოსულობა და გასვლა სავალო ფასიანი ქაღალდებიდან“, რომელიც ფაქტობრივად სხვა ფინანსური ვალდებულებების მოძრაობას ასახავს და არა ობლიგაციების მოძრაობას (შემოსულობა გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან - 125 მილიონი ლარი და გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა - 130 მილიონი ლარი). შესაბამისად, მუხლის დასახელება არ შეესაბამება მის ეკონომიკურ შინაარსს. ამასთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასახულია „სხვა აქტივების“ მოძრაობის ნაწილად. ამ ხარვეზის გათვალისწინებით, საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მუხლებში არაზუსტად არის წარმოდგენილი ნაკადების ჩაშლა საბანკო სესხებსა და ობლიგაციებს შორის.
- **სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** „სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები“ მოიცავს ბანკის საკომისიოს 6,300 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საკომისიო, რამდენადაც იგი უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების მოზიდვასთან, IFRS 9-ის შესაბამისად, უნდა აისახოს შესაბამისი ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში და აღიარდეს საპროცენტო ხარჯად ვალდებულების ვადის განმავლობაში. არსებული კლასიფიკაციის შედეგად გაზრდილია საოპერაციო ხარჯები და შემცირებულია საპროცენტო ხარჯები, თუმცა აღნიშნული რეკლასიფიკაცია თავისთავად არ ცვლის კომპანიის წმინდა მოგებას. შედარებადობისა და უფრო კონსერვატიული ანალიზის მიზნით, წინამდებარე პროსპექტში შესაბამისი კოეფიციენტები დამატებით წარმოდგენილია ბანკის საკომისიოს საპროცენტო ხარჯებში გათვალისწინებით.
- **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** „სხვა აქტივების“ შემადგენლობაში ასახულია დასაკუთრებული სამკაულებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შესაძლო დანაკარგების რეზერვი 3,334 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს და მათზე IFRS 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვიანობის მოდელი არ ვრცელდება. IAS 2-ის შესაბამისად, შესაბამისი მარაგები უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და რეალიზებად წმინდა ღირებულებას (NRV) შორის უმცირესი ოდენობით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული contra-asset ანგარიში ეკონომიკურად წარმოადგენს მარაგების ღირებულების შემცირებას, მისი „რეზერვის“ სახით წარდგენა/ტერმინოლოგია არ შეესაბამება IAS 2-ის პრინციპებს.
- **აუდიტის რეპორტის ფინანსური რისკების მართვის** სექციაში არაკონსისტენტურად არის ნაჩვენები კომპანიის Loan-to-Value მაჩვენებლები, კერძოდ, 2024 წლის მონაცემებში ნაჩვენებია მხოლოდ სალომბარდე პორტფელის წილი, ხოლო 2025 წლის მონაცემები მოიცავს როგორც სალომბარდე, ისე იპოთეკური სესხების პორტფელს. აღნიშნული არაკონსისტენტურობა გასწორებულია წინამდებარე პროსპექტში.
- **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** 25,000 ათასი ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი წარმოდგენილია „გადაფასების რეზერვის“ სახელწოდებით. აღნიშნული თანხა თავისი ეკონომიკური შინაარსით წარმოადგენს საწესდებო კაპიტალს, შესაბამისად, გამოყენებული დასახელება არასწორია და წარმოადგენს წარდგენის ხარვეზს.
- **აუდიტის რეპორტში** არასწორად არის მითითებული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად დაგირავებული მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოცულობა - 107,800 ათასი ლარი, მაშინ როდესაც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სწორი მაჩვენებელი 107,500 ათასი ლარია.

- **აუდიტის რეპორტში** „ფინანსური რისკების მართვის“ სექციაში გამოვლენილია რამდენიმე ტექნიკური შეუსაბამობა, რის გამოც ცალკეული 2024 და 2025 წლების მაჩვენებლები არ ემთხვევა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს. პროსპექტში შესაბამისი მაჩვენებლები წარმოდგენილია სწორად.
- **აუდიტის რეპორტში**, „აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზში“, არასწორად არის წარმოდგენილი მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად კლასიფიკაცია, მათ შორის ნასესხები სახსრების, საიჯარო ვალდებულებებისა და გადავადებული მოგების გადასახადის ნაწილში. პროსპექტში შესაბამისი მაჩვენებლები წარმოდგენილია სწორად.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლოა არსებობდეს სხვა, გამოუვლენელი ხარვეზები. აღნიშნულმა ხარვეზებმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება ან/და გადანაწილება, ასევე იმოქმედოს ინვესტორების მიერ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების შეფასებაზე.

II. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

30. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება და სტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფაა, რომლის დაზიანებაც, ლარის კურსის მერყეობისა და კაპიტალის გადინების რისკის მატერიალიზების მნიშვნელოვანი კატალიზატორი შეიძლება გახდეს. ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან პროცესმა უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების ქმედუნარიანობასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010, 2013 და 2018 წლებში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების მნიშვნელოვან შეკვეცას. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერ შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა შეამციროს ნდობა ხსენებული ინსტიტუტების მიმართ ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი და უმრავლესობა დააკომპლექტა, თუმცა ოპოზიციური სპექტრი პარლამენტში არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. პოლიტიკური დამაბულობის გასაწესებლად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტივობაზე. ამასთან, 2021

წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გასვლამ პოლიტიკური ვითარება კვლავ დაძაბა.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტი მოჰყვა 2024 წლის გაზაფხულზე, საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას. ამას თან დაერთო ოპოზიციის მიერ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებულად გამოცხადება და ოთხი ოპოზიციური პარტიიდან სამის მიერ მანდატებზე უარის თქმა, 28 ნოემბერს კი ხელისუფლების მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების 2028 წლის ბოლომდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადება, რასაც მასობრივი საპროტესტო აქციები და პროტესტის მონაწილეთა და საპოლიციო ძალებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. პოლიტიკური დაძაბულობისა და არჩევნებთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში მასობრივი კონვერტაციების ფონზე, წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვებიდან 917 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა, თუმცა ნოემბერ-დეკემბერში უკვე ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების შესავსებად სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის შესყიდვას. ამასთან, განსაკუთრებით 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში, ზემოხსენებული პროცესების გარკვეული უარყოფითი გავლენა აშკარა იყო ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობასა და ტურისტულ შემოდინებებზეც. იმ ფონზე, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის დონე კვლავ მარალია, პოლიტიკურ გარემოში გაურკვევლობა ჯერაც ნარჩუნდება. შესაბამისად, ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატსა და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

31. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში როგორიც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარი ბაზრები, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, უფრო მაღალი რისკებით ხასიათდება. მათ შორისაა მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობის სიხშირით. ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველი არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის, კოვიდ-19-ის პანდემიის, რუსეთ-უკრაინისა ომის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგო:

- Fitch Ratings – BB (Stable Outlook);
- Moody's – Ba2 (Stable Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

32. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის არასტაბილურობამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამ კუთხით, ლარისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად ევრო-დოლარის წყვილის დინამიკაც. საგარეო ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია: 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, რომელმაც გლობალურად ევროს შესუსტება და ძლიერი აშშ დოლარის ფაზაში გადასვლა განაპირობა, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჭირო ფრენების აკრძალვა, 2020-2021 წლებში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 ევროზე 4.18 ლარს, 1 აშშ დოლარზე კი 3.48 ლარს მიაღწია), 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი ევროსთან 9.1%-ით, დოლართან მიმართებით კი 12.8%-ით გაუფასურდა და 1 ევროს ღირებულებამ 3.74 ლარი, 1 დოლარის ღირებულებამ კი 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევროსთან 17.7%-ით, ხოლო აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 12.8%-ით გაიზარდა.

ლარის კურსზე ასევე დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად კიდევ 2.2%-ით, რეკორდულ 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. პოლიტიკურად დამაბული 2024 წლის განმავლობაში, ლარის მიმართ გაუარესებული მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების ეროვნულიდან უცხოურ ვალუტაში მოცულობითი კონვერტაციების ფონზე, ეროვნულ ბანკს კურსის ჭარბი მერყეობის შესარბილებლად სავალუტო რეზერვებიდან 917.4 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვა მოუწია, რომლის დიდი ნაწილიც საპარლამენტო არჩევნების წინ - სექტემბერ-ოქტომბერში განახორციელა. ამავდროულად, სებ-მა წლის განმავლობაში ბაზრისგან შეისყიდა 486.3 მილიონი აშშ დოლარი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ინტერვენციების შედეგად ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები წინა წელთან შედარებით 11.2%-ით, 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით, ადეკვატურობის ზღვარს ჩასცდა. რეზერვების შესავსებად, ეროვნული ბანკი 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში უცხოური ვალუტის შესყიდვას დაუბრუნდა, პოლიტიკური დამაბულობის მომატების ფონზე კი, ლარი აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 4.4%-ით გაუფასურდა. გაუმჯობესებული საგარეო შემოდინებებისა და გლობალურად გაუფასურებული აშშ დოლარის ფონზე, 2025 წლის მარტიდან სებ-მა მნიშვნელოვნად გაზარდა სავალუტო შესყიდვების მასშტაბი და ბაზარზე დამატებით 2.4 მილიარდი აშშ დოლარი შეიძინა, პოზიტიური ეფექტი ჰქონდა სარეზერვო აქტივებში დამატებული მონეტარული ოქროს ღირებულების მნიშვნელოვან ზრდასაც, რის შედეგადაც, 2025 წლის დეკემბრის ბოლოს, მთლიანი რეზერვების მოცულობამ რეკორდულ დონეს - 6.2 მილიარდ დოლარს მიაღწია და IMF-ის მიერ დადგენილ ადეკვატურობის 100%-იან ზღვარსაც გადააჭარბა. ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვას აქტიურად აგრძელებს მიმდინარე წელსაც, რის შედეგადაც, აპრილის მდგომარეობით, ქვეყნის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები წლიურად 42.3%-ით გაიზარდა 6.5 მილიარდ აშშ დოლარამდე და ნომინალურ გამოსახულებაში ისტორიულად მაქსიმალურ დონეზე ნარჩუნდება. ამავდროულად, გასულ წელს 2024 წლის ბოლოსთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით 4.1%-ით გამყარდა, ხოლო მიმდინარე წელს, ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის დაწყების ფონზე, მხოლოდ მცირე მერყეობა გამოავლინა და მალევე დაუბრუნდა გამყარების ტრაექტორიას. ამის შედეგად, 26 მაისის მდგომარეობით, აშშ დოლარის მიმართ ლარი 2026 წლის განმავლობაშიც დამატებით 0.9%-თაა გამყარებული.

გარდა რეზერვებისა, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის (შემდგომში „საკსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2020 წელს 5.2% იყო, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9%, 2023 წელს 2.5%, ხოლო 2024 წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მაისიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში, ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა. 2022 წლის დასაწყისიდან, საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დამატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0%-იან ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში. ხოლო საშინაო ფაქტორების კონტრიბუციის ზრდასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და სტაბილურად მყარი ლარი მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოსცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასა და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოსცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისიდან 2024 წლის ივნისამდე პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 3.00 პროცენტული პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა, რის შემდეგაც უცვლელად ინარჩუნებს. სურსათზე ადგილობრივი ფასების ზრდის ფონზე, 2024 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციამ ზრდა განაახლა და 2026 წლის აპრილის მდგომარეობით წლიურად 5.9% შეადგინა, რაც „სებ“-ის 3%-იან მიზნობრივ დონეს შესამჩნევად აღემატება თუმცა, მსგავსი განვითარება, ნაწილობრივ, ერთჯერადი ფაქტორებითა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ესკალაციის შედეგად ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდითაა გამოწვეული. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

33. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, ცვლილებებმა საქართველოს ეკონომიკაში მის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს;

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.7%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის

შემოდინებისა და ქვეყნისშიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, 2023 წელს ეკონომიკური ზრდა შედარებით ნორმალისა და 7.8%-მდე, ხოლო 2024 წელს, მეტწილად კრედიტით დაფინანსებული შიდა მოხმარებისა და ტურიზმის ხარჯზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ მნიშვნელოვნად, წლიურად 9.7%-ით გაიზარდა. შიდაპოლიტიკურმა დამაბულობამ 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში ზომიერი გავლენა იქონია ადგილობრივ აქტივობასა და საგარეო შემოდინებებზე, თუმცა დაახლოებით 2025 წლის მარტიდან, ხარჯვის დინამიკაში მკვეთრი გაუმჯობესება დაფიქსირდა, ეკონომიკური ზრდა კი, საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2025 წელსაც მაღალი დარჩა და 7.5% შეადგინა, ხოლო 2026 წლის პირველ კვარტალში, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დამაბულობის გამო ტურისტული ნაკადების შემცირების მიუხედავად, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი შეფასებით, 9.0%-ს მიაღწია.

ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რამაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები

34. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. გარდა ამისა, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე.წ სამხრეთ ოსეთი). რეგიონსა და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“.

„გაყინულ“ კონფლიქტებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დამაბულობის კერების პერიოდული გაჩენა ახასიათებთ, რაც მბავს პოლიტიკურ გარემოს და გამოიხატება, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობაში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას, ანდაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. კონფლიქტები ძირითადად ეთნიკური ხასიათისაა და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იღებს სათავეს. 1990-იან წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში რუსეთის არაპირდაპირი ჩართულობის შემდეგ, საქართველოს ნატოსა (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მისწრაფებამ ქვეყნებს შორის დამაბულობის ახალი კერა გააჩინა, ვინაიდან რუსეთი ღიად ეწინააღმდეგებოდა გეოპოლიტიკური სურათის შეცვლას აღმოსავლეთ ევროპაში. პოლიტიკური ურთიერთობების დამაბულობის ფონზე, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს სავაჭრო ემბარგო დაუწესა, 2008 წლის აგვისტოში კი რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გადმოკვეთას ორ ქვეყანას შორის 5 დღიანი ომი მოჰყვა. ამავდროულად, რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი და საკუთარი ჯარები განალაგა მათ ტერიტორიაზე. ამას ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრების ჩაკეტვა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ე.წ მცოცავი ოკუპაცია მოჰყვა, პერიოდულად ფიქსირდება ე.წ მესაზღვრეების მიერ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გატაცებისა და წამების შემთხვევები.

თბილისში მიმდინარე მასობრივი ანტი-რუსული დემონსტრაციების ფონზე 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ტურიზმის სექტორი. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები 2023 წლის მაისში აღდგა. 2022 წელს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველო შეუერთდა რუსეთზე დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს, თუმცა ხელისუფლებას არ შემოუღია დამატებითი შეზღუდვები, იმ მოტივით რომ ადგილობრივი ეკონომიკური სანქციები თავად საქართველოს ეკონომიკას დააზარალებდა.

შიდაპოლიტიკური კრიზისი, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთთან ურთიერთობაში კვლავ არსებული დამაბულობა, საგარეო პოლიტიკური კურსის გარშემო არსებული ბუნდოვანება, რუსეთ-უკრაინის ომისა და მისი შესაძლო დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების მოლოდინი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და პოტენციურ საფრთხეებსაც წარმოქმნის საქართველოს და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური სტაბილურობისა და ბიზნეს და საინვესტიციო გარემოსათვის.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის ეკონომიკური კუთხითაც. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანმა სამხედრო კონფლიქტმა და რუსეთისთვის დაწესებულმა თანმდევმა დასავლურმა სანქციებმა რეგიონული და გლობალური ეკონომიკა ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალა. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. გლობალური ვითარება შედარებით დასტაბილურდა 2024 წელს, როდესაც შემცირებული ინფლაცია საერთაშორისო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების დაწყების მიზეზი გახდა. საქართველო ღია ეკონომიკაა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. ამ ფონზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიურად აისახა სავაჭრო და მიგრაციული ნაკადების გადანაცვლება. გასულ წლებში მიგრაციის ეფექტის მნიშვნელოვანი დადებითი კონტრიბუციის ფონზე, რაიმე მიზეზით მიგრანტების მასობრივი გადინების შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს გაუარესების რისკი წარმოიქმნება. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შემთხვევაში, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური აქტივობის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დამაბულობი პოლიტიკური ურთიერთობაც. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აქტიურ დაპირისპირებებში გადაიზარდა 2016 და 2020 წლებში. 2023 წლის სექტემბერში, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის რეგიონზე სრული კონტროლის აღდგენით დასრულდა, რასაც 100,000-მდე ეთნიკურად სომეხი მოქალაქის მიერ რეგიონის დატოვება და სომხეთში გადასახლება მოჰყვა. დღეისთვის სომხეთი აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას მთიანი ყარაბაღის რეგიონის ჩათვლით და კონფლიქტის განახლების რისკი შემცირებულია, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გარშემო შეუთანხმებლობა კვლავ რჩება დამაბულობის წყაროდ.

ამასთან, აღსანიშნავია ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთში დამაბულობის კერების გააქტიურება და ისეთი კონფლიქტების წარმოშობა, როგორიცაა 2023 წლის ოქტომბერში დაწყებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, 2025 წლის ივნისში გამწვავებული ირან-ისრაელის დაპირისპირება და 2026 წლის თებერვალში დაწყებული ირან-აშშ-ის კონფლიქტი, რომლის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის რისკი მცირე თუმცა კვლავ ხელშესახებია. მსგავსი რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და გაზარდოს გლობალური რეცესიის ალბათობა. მიმდინარე წელს, საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი გავლენა ინფლაციის ზრდასა და შემცირებულ ტურისტულ ნაკადებში აისახა, რაც დიდწილად გაზრდილმა სასაქონლო ექსპორტმა დააბალანსა, თუმცა სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებზე;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

35. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე;

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია და არ იკვეთება მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მხოლოდ ერთ რომელიმე სავაჭრო პარტნიორზე, როგორც ღია ეკონომიკა, საქართველო მოწყვლადია გლობალური, განსაკუთრებით კი უშუალო სამეზობლოსა და მახლობელ რეგიონში არსებული შესაძლო ფინანსური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ, რასაც შეუძლია გაზარდოს ინფლაციური წნეხი, უარყოფითად იმოქმედოს ქვეყანაში ინვესტიციებზე, საგარეო შემოდინებებსა და ლარის გაცვლით კურსზე და შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა.

უშუალო მეზობლები - აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, მათი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2023 წელს შეადგენდა 14.2%-სა და 12.9%-ს, 2024 წელს 11.0%-სა და 9.4%-ს, 2025 წელს 9.6%-სა და 7.6%-ს, 2026 წლის პირველ 4 თვეში კი 8.7%-სა და 8.0%-ს, შესაბამისად. ბოლო წლებში, ორ მეზობელ სახელმწიფოში ეკონომიკური ვითარება განსხვავებულად განვითარდა. საქართველოს მსგავსად, მიგრაციული და კაპიტალის ნაკადის შედინებამ, სომხეთის ეკონომიკის ზრდას დამატებითი ბიძგი მისცა და 2022 წელს სომხური დრამის დაახლოებით 22.4%-ით გამყარებაც გამოიწვია აშშ დოლარის მიმართ. დრამი 2023 წელს, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე 2.8%-ით გაუფასურდა, შემდეგ კი კვლავ აღიდგინა პოზიცია და 2024 წელს დაახლოებით 2.1%-ით, ხოლო 2025 წელს დამატებით 3.9%-ით გამყარდა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ გასულ წელს 7.2% შეადგინა. ამის საპირისპიროდ, აზერბაიჯანის ეკონომიკა, 2020 წლიდან კერძო პირებისთვის დახურული სახმელეთო საზღვრის ფონზე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული დარჩა ნავთობის ინდუსტრიაზე. მათ შორის გლობალური სასაქონლო ბაზრის მერყეობის გავლენით, აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში პოზიტიური თუმცა სუსტი იყო და 2023 წელს 1.4%, 2024 წელს 4.1%, 2025 წელს კი 1.5% შეადგინა.

საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება რუსეთიც. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2023 წელს 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%-ს, 2025 წელს 10.3%-ს, 2026 წლის პირველ ოთხ თვეში კი 8.2%-ს, ხოლო საქართველოს იმპორტში 2023 წელს 11.2%-ს, 2024 წელს 10.9%-ს, 2025 წელს 10.5%-ს, 2026 წლის იანვარ-აპრილში კი 13.3%-ს შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით 2022 წელს რუსეთის ეკონომიკა 1.2%-ით შემცირდა. ფონდისავე შეფასებით, რუსეთის ეკონომიკა დაახლოებით 3.6%-ით გაიზარდა 2023 წელს და მსგავსი ტემპი შეინარჩუნა 2024 წელსაც, თუმცა პოზიტიური ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა სამხედრო სექტორის მაღალმა კონტრიბუციამ, რომელზე გაწეულმა საბიუჯეტო ხარჯებმაც 2023 წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 5.8%-ს მიაღწია, 2025 წელს ეკონომიკურმა ზრდამ მხოლოდ 1% შეადგინა. მერყეობას იწაგრძელებს რუსული რუბლიც, რომელიც ენერგომატარებლებზე დასავლური სანქციების შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების ფონზე აშშ დოლართან მიმართებით 2023 წელს 22%-ით გაუფასურდა, 2024 წელს კი კურსის ვარდნამ თითქმის 19%-ს მიაღწია. ამის საპირისპიროდ, 2025 წელს, აშშ დოლარის გლობალურად დასუსტებისა და უკრაინის კონფლიქტის დასტაბილურების მოლოდინების ფონზე, რუსული რუბლი დოლართან მიმართებით 40%-ით გამყარდა, რაც ერთი მხრივ ნაწილობრივ ამცირებს გაზრდილ ინფლაციურ წნეხს რუსეთში, თუმცა, მეორე მხრივ, ნავთობზე საერთაშორისო ფასების კლების გათვალისწინებით, დამატებითი დარტყმა ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკისათვის.

საქართველოს იმპორტის უდიდეს წყაროდ რჩება თურქეთი. საქსტატის მიხედვით 2023 წელს თურქეთის წილი საქონლის მთლიან იმპორტში 16.5%-ს, 2024 წელს 16.3%-ს, 2025 წელს 15.0%-ს, ხოლო 2026 წლის იანვარ-აპრილში 15.7%-ს შეადგენდა. სოლიდური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნების მიუხედავად, ბოლო წლებში თურქეთის მთავრობის არატრადიციულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანაში ჰიპერინფლაციური გარემო შექმნა და მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა თურქული ლირის მიმართ სანდოობასა და, შესაბამისად, გაცვლით კურსს. ლირა აშშ დოლართან მიმართებით 2019 წლის ბოლოდან 2023 წლის ბოლოსთვის თითქმის 400%-ით გაუფასურდა. 2023 წლიდან მეტად ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკის აღდგენისა და თურქეთის ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 8.5%-დან 50.0%-მდე გაზრდის მიუხედავად, ლირის გაუფასურება 2024 წელსაც გაგრძელდა და დოლართან მიმართებით ღირებულების 16.3%, 2025 წელს კი დამატებით 17.7% დაკარგა. მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ფონზე, 2024 წელს გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის შედარებით შესუსტება, რომელიც მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით 2023 წელს დაფიქსირებული 5.1%-დან 3.3%-მდე შემცირდა, 2025 წელს კი რეალური მშპ-ის ზრდა 3.6%-ს გაუტოლდა.

უშუალო სამეზობლოს გარდა, საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირია, რასაც 2014 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) გაფორმებამაც შეუწყო ხელი. ევროკავშირზე 2023 წელს საქართველოს მთელი სასაქონლო იმპორტის 24.5%, ხოლო ექსპორტის 11.6% მოდიოდა, 2024 წელს 27.2% და 8.7%, 2025 წელს კი 25.4% და 12.0%, შესაბამისად. 2026 წლის იანვარ-აპრილში ევროკავშირის წილი საქართველოს იმპორტში 24.9%-ს, ხოლო ექსპორტში 12.4%-ს გაუტოლდა. ევროკავშირის წილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფულადი შემოდინებების ისეთ წყაროებში როგორიცაა ფულადი გზავნილები და ტურიზმი. ევროკავშირიდან მიღებული გზავნილების წილი 2023 წელს საქართველოში გადმორიცხული თანხების 31.5%-ს, 2024 წელს 42.9%-ს, 2025 წელს 44.8%-ს, 2026 წლის პირველ 4 თვეში კი 45.0%-ს შეადგენდა. ეროვნული ბანკის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში ევროკავშირის წილი 2023 წელს 13.3%-ს, 2024 წელს 12.9%-ს, 2025 წელს 14.1%-ს, 2026 წლის პირველ კვარტალში კი 17.0%-ს გაუტოლდა.

რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები საქართველოს შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის პოტენციურ დაბრკოლებებს წარმოადგენს. მსგავსი გამოწვევების შედეგად შესაძლოა შემცირდეს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა, ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციები და დაზიანდეს ზოგადი ეკონომიკური სტაბილურობა. თავის მხრივ, მსგავსი განვითარება უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ საქმიანობაზე, შეამცირებს რა მომხმარებელთა მოთხოვნასა და შემოსავლებს, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს, გააუარესებს ზოგად ბიზნესგარემოს ქვეყანაში და სხვ.

საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

36. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული,

განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“: 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა: ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: წესი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ემიტენტს 2022 წელს, ობლიგაციების ემისიის შემდეგ, პირველი ანგარიშგების წარდგენის დროს, ჰქონდა დარღვევა, კერძოდ, კომპანიამ ზემოხსენებული წლის ანგარიშგება წარადგინა კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან. ამასთან, ემიტენტმა 2023 წლის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშზე მიიღო გაფრთხილება - წარუდგენლობაზე; ხოლო 2025 წლის ნახევარწლიურ ანგარიშზე მიიღო ჯარიმა დაგვიანებით წარდგენის მიზეზით.

გარდა ამისა, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

37. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის „ესტონური მოდელი“ არ ვრცელდება საფინანსო სექტორზე. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

2022 წლის დეკემბერში დაკორექტირდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელი, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტიტუტებს და ძალაში შევიდა 2023 წლიდან. წინა საგადასახადო მოდელი, რომელიც ეფუძნო იყო 2022 ფისკალური წლისათვის, მოიაზრებდა 15%-იან მოგების საგადასახადო განაკვეთს, რომელიც ერიცხებოდა ბანკების დასაბეგრ მოგებას (სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის). ბანკებისთვის არსებული კორპორაციული გადასახადი გაიზარდა 15%-დან 20%-მდე და ძალაში შევიდა 2023 წლის დასაბეგრი შემოსავლისთვის.

„კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების

დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

38. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს;

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ექვემდებარება კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

39. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი კლიენტების, კრედიტორებისა და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტიკპოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, კლიენტები და კრედიტორები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშევა.

40. წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ „კომპანია“ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო, შესაბამისად, დაექვემდებარება დამატებით რეგულაციებს ანგარიშგებების/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

კომპანია წარმოადგენს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჟღავნების მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან/და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის თავში - „ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები“.

საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

41. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე;

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან დროულ შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა პირობების დაცვას ან/და თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ან/და საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შეუსაბამობებს, კომპანიას შეიძლება დაუწესდეს მნიშვნელოვანი საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან/და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე თანამშრომლების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სესხების გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის იყენებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მსუბუქ საზედამხედველო რეჟიმს, ნებისმიერი ცვლილება მარეგულირებელ ჩარჩოში და ამ ცვლილებებთან დროული შეუსაბამობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს. მოსალოდნელია ცვლილებები არსებულ რეგულაციებში, მიმდინარეობს ცვლილების პროექტების განხილვა. (მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი ჩარჩო“).

42. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე;

როგორც მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თავის მხრივ, ემიტენტი ოპერირებას ეწევა კონკურენტულ ფინანსურ სექტორში, სადაც აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ ხდება ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა რეგულაციების ცვლილება ან გამკაცრება, შესაძლოა კომპანიას შეეზღუდოს განვითარების, ფასდადებისა და გაფართოების შესაძლებლობა. ამასთან, რეგულატორულმა ჩარევებმა შესაძლოა გაზარდოს საოპერაციო შეზღუდვებიდან, აუცილებელი სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე ხარჯები და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომგებიანობის მაჩვენებლებზე.

43. შეუსაბამობა "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის რეპუტაციაზე და ბიზნესის ფუნქციონირებაზე;

ბიზნესზე თანდაყოლილად ვრცელდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები. შესაბამისად, კომპანიას, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მოეთხოვება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობისთვის არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა, კომპანიას დანერგილი აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და პოლიტიკა/პროცედურები შიდა კონტროლის ეფექტურად განსახორციელებლად. კომპანიაში ფულის გათეთრებისა და

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცულია და წარმატებით იმართება. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანია რამდენჯერმე დაჯარიმებული აღნიშნული მიმართულებით - ჯამში 95 ათას ლარამდე ოდენობით, რისი მიზეზებიც შემდეგია: i) 5 შემთხვევაში არასწორად შევსებული ანგარიშის სებ-ში წარდგენა, ii) შემოწმების პერიოდში სებ-ისთვის ინფორმაციის შეცდომით წარდგენა და iii) 3 შემთხვევაში პროგრამული ხარვეზი.

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

III. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

44. „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს;

„ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი თანაბარი უფლებებით და დაფარვის თანაბარი პრიორიტეტულობით სარგებლობენ.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“, ან/და იკისროს სხვა ვალდებულებები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება ობლიგაციებს ან იქნება რიგითობით მასზე მაღლა. ნებისმიერმა ამგავრმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ ან/და სხვა ვალდებულებების აღებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

45. „ობლიგაციები“ წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს და „კომპანიის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად;

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, „კომპანიისთვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ უძრავი ან მოძრავი აქტივებით.

ემისიის პროსპექტით და მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან, კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, „ობლიგაციონერებს“ არ აქვთ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი და „კომპანიის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ისინი დაკმაყოფილებიან მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც „კომპანიის“ აქტივების იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი) ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი

მოთხოვნა არ ჩაითვლება უზრუნველყოფილ მოთხოვნად და, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის შესაბამისად - დეტალიურად იხილეთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავი „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“ - „ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ“. კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „კომპანიის“ აქტივების ნაწილი, ძირითადად მომხმარებლებზე გაცემული სესხები, დაგირავებულია „კომპანიის“ ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის მიზნით. „ობლიგაციების“ გამოშვების შემდეგ კომპანიის დაგირავებული სასესხო პორტფელის ფარდობა ჯამურ პორტფელთან (2025 წლის 31 დეკემბრის პრო-ფორმა მაჩვენებელი) 25.38%-ია (რაც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 31.64%-ია).

წინამდებარე პროსპექტის ფარგლებში „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, „ობლიგაციების“ ემისიის შემდგომ უზრუნველყოს, რომ განთავსებული და დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ნომინალური ღირებულების არანაკლებ 50%-ის ექვივალენტური მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელი თავისუფალი იყოს გირავნობისგან, სხვა სახის უზრუნველყოფის უფლებებისგან ან ნებისმიერი სამართლებრივი შეზღუდვისგან. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს „ემიტენტის“ დაუტვირთავი აქტივების მოცულობის შენარჩუნებას და ამცირებს „ობლიგაციონერებისთვის“ იმ რისკს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას „ემიტენტის“ სხვა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ სტრუქტურულად უფრო დაბალი პოზიციიდან.

ამასთან დააკვეშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“ და „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-5 (ა) მუხლში „უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა“.

46. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

47. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით;

მოცემული ემისიის პროსპექტის ფარგლებში კომპანია გამოშვებული ობლიგაციების ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის აშშ დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია შესაბამისი ემისიის ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ინვესტორის ვალუტის რევალვაციის ჩათვლით და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ობლიგაციების ვალუტასთან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირ თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

48. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „ობლიგაციებზე“, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და „ობლიგაციების“ ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;

ობლიგაციების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

49. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციების პირობები“.

50. ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტი“ ახდენს ფიქსირებულ-განაკვეთიანი „ობლიგაციების“ გამოშვებას;

ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტი“ ახდენს ფიქსირებულ-განაკვეთიანი ობლიგაციების ემისიას. შედეგად, „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში რამდენჯერმე დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. (თითოეული ემისიის გადახდის სიხშირე განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთ შემდეგთაგანი : 1) ყოველთვიური; 2) კვარტალური; 3) ნახევარწლიური;) მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორს ინვესტორისთვის მოაქვს სტაბილურობა და მას საშუალებას აძლევს უკეთესად განჭვრიტოს სამომავლოდ მისაღები სახსრები, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შეძენის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით

51. „ობლიგაციებისთვის“ შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ღარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტის“ მიერ უცხოური ვალუტის ობლიგაციების ემისიის შემთხვევაში აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა მაინც არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორც საქართველოა.

52. „ობლიგაციებს“ გააჩნიათ „მინიმალური ინვესტიციის“ შეზღუდვა, რამაც შესაძლოა შეამციროს მათი ლიკვიდურობა მეორად ბაზარზე;

„ემიტენტის“, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საქმიანობაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებით დადგენილი გარკვეული შეზღუდვები ფიზიკური პირებისაგან ფულადი სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისაგან, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმისაგან, თითოეული ასეთი პირისაგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 (ასი ათას) ლარზე ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე ნაკლები.

აღნიშნული მოთხოვნებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით, წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებულ „ობლიგაციებზე“ დადგენილი „მინიმალური ინვესტიციის“ მოთხოვნა, რომლის ოდენობა შეადგენს 500,000 ლარის ეკვივალენტს შესაბამის განთავსების ვალუტაში.

„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ შესაბამისად „ობლიგაციების“ პირველადი განთავსება და მეორად ბაზარზე გადაცემა/გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) თითოეულ „ობლიგაციონერს“ პირველადი განთავსების ან/და მეორად ბაზარზე გადაცემის/გასხვისების შედეგად საკუთრებაში ექნება იმდენი ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის, შეადგენს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ეკვივალენტს შესაბამის განთავსების ვალუტაში („მინიმალური ინვესტიცია“) (რომლის გამოთვლაც მოხდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით) იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია. შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც თითოეული „ობლიგაციონერისგან“ მოზიდული თანხა ან „ობლიგაციონერის“ საკუთრებაში არსებული ან ტრანზაქციის შედეგად დარჩენილი ინვესტიციის მოცულობა, იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია, „მინიმალურ ინვესტიციაზე“ ნაკლებია; და (ბ) აკრძალულია „ობლიგაციების“ თანასაკუთრება, ე.ი. ერთი „ობლიგაცია“ შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ერთ „ინვესტორზე“.

ზემოაღნიშნულმა შეზღუდვამ შესაძლოა შეამციროს იმ პოტენციურ ინვესტორთა წრე, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა შეიძინონ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე. შედეგად, შესაძლოა გართულდეს „ობლიგაციების“ შემდგომი რეალიზაცია, შემცირდეს მათი ლიკვიდურობა ან „ობლიგაციონერს“ მოუწიოს „ობლიგაციების“ გასხვისება

არასასურველ ვადებში. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუ მეორად ბაზარზე მოთხოვნა შეზღუდულია ან პოტენციური ინვესტორები ვერ აკმაყოფილებენ „მინიმალური ინვესტიციის“ მოთხოვნას.

დეტალურად იხილეთ „ობლიგაციის გამოშვების პირობების“ 2 (ბ) მუხლი „ობლიგაციების გასხვისება“.

53. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი;

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

54. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არაფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კომერციული ბანკი ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების შესახებ იხილეთ ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

55. ობლიგაციების არსებული შემზღუდავი პირობები, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

ამასთან, არსებობს რისკი, რომ არ შესრულდეს შესაბამისი კოვენანტები და ინვესტორებმა ვერ შეძლონ კოვენანტების შესრულების/დარღვევის ეფექტური მონიტორინგი და, შესაბამისად, დროული რეაგირება.

კოვენანტების შესრულების შეფასება ძირითადად შესაძლებელია: (i) „ემიტენტის“ აუდირებული წლიური და არააუდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე; (ii) იმ შემთხვევაში, თუ დაუფარავი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ის მფლობელი „ობლიგაციონერები“ გონივრულად მიიჩნევენ, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, მათ მიერ მხოლოდ შესაბამის „დეფოლტის შემთხვევასთან“ პირდაპირ დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნის გზით; და (iii) „ემიტენტის“ მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.

აღნიშნული სამი მექანიზმით „ობლიგაციონერები“ არ არიან უფლებამოსილი ნებისმიერ დროს მოითხოვონ სრული ინფორმაცია კოვენანტების შესრულების შესაფასებლად, შესაბამისად ეს მექანიზმები არ უზრუნველყოფენ კოვენანტების უწყვეტ მონიტორინგს. ამის გათვალისწინებით შესაძლოა კოვენანტის დარღვევა დროულად ვერ გამოვლინდეს, რის შედეგადაც ინვესტორებმა შეიძლება ვერ შეძლონ შესაბამისი უფლებების დროულად განხორციელება ან სხვა სათანადო ზომების მიღება. ამ გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტორების მიერ მოსალოდნელზე ნაკლები ძირისა და პროცენტის მიღება ან მათი სრულად მიუღებლობა.

დამატებით, „ობლიგაციის პირობების“ 5(კ) პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ინვესტორებს დეფოლტის გამოცხადების უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამის დარღვევაზე გამოიყენებს „სანქციის“ შეფარდების უფლებამოსილებას და/ან ემიტენტი დარღვევას არ აღმოფხვრის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, დარღვევის წარმოშობიდან ეროვნული ბანკის შესაბამის რეაგირებამდე შესაძლოა გავიდეს გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ინვესტორებს დეფოლტის გამოცხადების შესაძლებლობა არ ექნებათ, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი საზედამხედველო მოთხოვნის დარღვევა უკვე სახეზეა.

ინფორმაცია ობლიგაციების შემზღუდავ პირობებთან, მათ შორის ფინანსურ კოვენანტებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: „ობლიგაციების გამოშვების პირობებში“ - 5. „ვალდებულებები“.

56. „ობლიგაციების პირობები“ არ ითვალისწინებს „ობლიგაციებიდან“ მოზიდული სახსრების მიზნობრიობის კოვენანტს, რის გამოც მოზიდული სახსრების გამოყენების გეგმისგან გადახვევა შესაძლოა არ წარმოადგენდეს „დეფოლტის შემთხვევას“;

პროსპექტის ქვეთავში „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“ აღწერილი მიზნობრიობას ინვესტორისთვის აქვს ინფორმატიული ხასიათი და არ წარმოადგენს „ობლიგაციების პირობებით“ ნაკისრ კოვენანტს. შესაბამისად, აღნიშნული გეგმისგან გადახვევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი არსებითი არ არის და არ იწვევს „ობლიგაციების პირობებით“ გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევას, შესაძლოა არ წარმოადგენდეს „დეფოლტის შემთხვევას“ და „ობლიგაციონერებს“ არ ანიჭებდეს „ობლიგაციების“ ვადამდე დაფარვის ან სხვა შესაბამისი უფლებების გამოყენების საფუძველს.

მიუხედავად ამისა, „ემიტენტს“ არ აქვს მოზიდული სახსრების შეუზღუდავად განკარგვის უფლება. ინვესტორთა დაცვა უზრუნველყოფილია პროსპექტში სახსრების გამოყენების მიზნობრიობის მკაფიო და არაშეცდომაში შემყვანი გამჟღავნებით, აგრეთვე პროსპექტში არსებითი, არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მითითებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობით, მათ შორის ემიტენტი პასუხისმგებელია საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენ პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიქმნა მათი შემძენის შედეგად და გამოწვეულია დამტკიცებულ პროსპექტში ან საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემით ან განუცხადებლობით. მიზნობრიობის არსებითი ცვლილების შემთხვევაში „ემიტენტი“ ვალდებული იქნება შესაბამისი ინფორმაცია გაამჟღავნოს და იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, მიზნობრიობის არსებითი ცვლილება პროსპექტში აისახება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პროსპექტის მოქმედების ვადის პერიოდში; ხოლო აღნიშნული ვადის

გასვლის შემდგომ, მიზნობრიობის არსებითი ცვლილება უნდა შეთანხმდეს ობლიგაციონერებთან წინამდებარე პროსპექტის “ობლიგაციების პირობებით” დადგენილი წესით.

57. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი;

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

58. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის და გადახდის აგენტისა და შესაბამის შემთხვევებში - ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;

„კომპანია“ „ობლიგაციონერთათვის“ შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციონერი“ ვალდებულია დაეყრდნოს „დეპოზიტარის“, „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, განთავსების აგენტთან მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებლის ამ „კალკულაციის აგენტის“ მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

59. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციონერების“ უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე;

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე, გასცეს თანხმობა კონკრეტულ ტრანზაქციაზე, რომელიც იზღუდება/აკრძალულია ობლიგაციების გამოშვების პირობებით გათვალისწინებული დათქმებით, ასევე უარი თქვას „ობლიგაციების“ პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე, მათ შორის, „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებაზე. ასეთ შემთხვევაში, უმცირესობაში აღმოჩენილი „ობლიგაციონერები“, მათ შორის ისინი, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას ან ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ, ვალდებულნი იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

შესაბამისად. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ „ობლიგაციების“ პირობები შეიცვალოს უმცირესობის ნების საწინააღმდეგოდ, ან არ მოხდეს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება იმ დარღვევის საფუძველზე, რომელზეც უმცირესობა მოითხოვდა რეაგირებას..

60. ობლიგაციების შემძენი შესაძლოა იყოს ემიტენტთან დაკავშირებული პირი. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ობლიგაციონერთა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კვორუმის ან ხმათა რაოდენობის მოთხოვნიდან გამომდინარე, გარკვეული გადაწყვეტილებების, მათ შორის დეფოლტის გამოცხადების, მიღება ვერ მოხდეს აღნიშნული პირ(ებ)ის მონაწილეობის ან მხარდაჭერის გარეშე;

ემიტენტი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ პირებთან. კერძოდ, ემიტენტი სარგებლობს დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსებით, დამფუძნებელს ასევე შეძენილი აქვს ემიტენტის მიერ გამოშვებული თამასუქები. ემიტენტის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ასევე შეძენილი აქვს ემიტენტის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წარმომადგენელსაც. ამასთან, წინამდებარე ემისიის ფარგლებში ობლიგაციების შემძენი შესაძლოა იყოს ემიტენტთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე პირი. დამატებითი დეტალები იხილეთ სექციაში „ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან“.

იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტთან დაკავშირებული პირები შეიძენენ ან ფლობენ გამოშვებული ობლიგაციების მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ ობლიგაციონერთა კრების კვორუმის ფორმირებასა და გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობაზე. შესაბამისად, ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული გადაწყვეტილებების, მათ შორის ობლიგაციების პირობების ცვლილების, ემიტენტის მიერ ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით უფლებების განხორციელებაზე უარის თქმის, დეფოლტის შემთხვევის გამოცხადების, ობლიგაციების ვადამდე დაფარვის მოთხოვნის ან ემიტენტის მიმართ აღსრულების ღონისძიებების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება შესაძლოა ვერ მოხდეს შესაბამისი დაკავშირებული პირების მონაწილეობის ან მხარდაჭერის გარეშე.

ემიტენტთან დაკავშირებული პირების ინტერესები შესაძლოა სრულად არ ემთხვეოდეს სხვა ობლიგაციონერთა ინტერესებს. შედეგად, სხვა ობლიგაციონერებს შესაძლოა შეეზღუდოთ ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული უფლებების დამოუკიდებლად განხორციელების ან ემიტენტის მიმართ შესაბამისი ზომების მიღების შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ ინტერესებზე.

61. ობლიგაციებს გააჩნიათ გამოსყიდვის უფლება შესაბამისად შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა;

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, 5.3. „ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვა“) რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ ინვესტირებულ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრულის ხანდაზმის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 2(ბ) „ობლიგაციების გასხვისება“ და 5.3 „ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვა“ მუხლების მიხედვით, „ემიტენტს“ „ემიტენტს“ შეუძლია, „ობლიგაციონერის“ თანხმობის გარეშე, ერთ ან რამდენიმე ჯერზე, ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერისგან“ პროპორციის დაცვით ან, იმ შემთხვევაში, თუ

პროპორციული განაწილება პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისი დამრგვალების ან ტექნიკური ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „ემიტენტისათვის“ დაწესებული წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებული „მინიმალური ინვესტიციის“ დაცვის შეზღუდვების გათვალისწინებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, „ობლიგაციონერთა“ მიმართ თანასწორი მოპყრობის პირობებში, „ობლიგაციები“ გამოისყიდოს სრულად ან ნაწილობრივ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არა უმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ განსაზღვრული გამოსყიდვის ფასებით, რომლებსაც ემატება გამოსყიდულ „ობლიგაციებზე“ გამოსყიდვის შესაბამისი თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. .

შედეგად, ნაწილობრივი გამოსყიდვა შესაძლოა არ განხორციელდეს ყველა „ობლიგაციონერის“ მიმართ ერთნაირი პროპორციით და მისი ეკონომიკური ეფექტი განსხვავებულად აისახოს სხვადასხვა „ობლიგაციონერზე“.

62. „ობლიგაციების პირობები“ არ ზღუდავს „ემიტენტის“ მიერ აკრძალული გადახდების მოცულობას რაოდენობრივი მაჩვენებლებით;

„ობლიგაციების პირობების“ შესაბამისად, „ემიტენტს“ ეკრძალება დივიდენდის ან სხვა მსგავსი განაწილების, მათ შორის კაპიტალის შემცირების, აქციების გამოსყიდვისა და სუბორდინირებული სესხების დაფარვის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გადახდის დროს დამდგარია, გრძელდება ან გადახდის შედეგად შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“.

„ობლიგაციების პირობები“ აღნიშნული გადახდების მოცულობას არ ზღუდავს წმინდა მოგების, აქტივების, კაპიტალის ან სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლის საფუძველზე. შესაბამისად, თუ ზემოაღნიშნული დეფოლტის პირობები არ არსებობს, „ემიტენტს“ შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი მოცულობის განაწილება „ობლიგაციონერთა“ თანხმობის გარეშე, რამაც შესაძლოა შეამციროს „ემიტენტის“ კაპიტალი და ლიკვიდური რესურსები და უარყოფითად იმოქმედოს მისი ფინანსური ვალდებულებების, მათ შორის „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების, შესრულების შესაძლებლობაზე.

63. არ არსებობს გარანტია, რომ ობლიგაციები დაიშვება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ;

კომპანია გეგმავს წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე ლისტინგს და სავაჭროდ დაშვებას. თუმცა, არ არსებობს აბსოლიტური გარანტია, რომ აღნიშნული დაშვება მოხდება პროსპექტით გათვალისწინებულ ვადაში ან წარმატებით. ბირჟაზე დაშვების გადაწყვეტილებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ბირჟის ლისტინგის წესების ცვლილებამ, ამ წესების განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ ბირჟის მხრიდან, მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულმა მოთხოვნებმა, ან კომპანიის კონტროლის მიღმა არსებულმა სხვა ფაქტორებმა.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტული შემოსავალი და კაპიტალის ნამატი გათავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. შესაბამისად, თუ ობლიგაციები არ დაიშვება ბირჟაზე, ან მოხდება მათი დელისტინგი, აღნიშნული საგადასახადო შეღავათი არ გავრცელდება ინვესტორებზე, რაც გამოიწვევს მათთვის ფაქტობრივი წმინდა უკუგების შემცირებას მოსალოდნელთან შედარებით.

64. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის;

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“. არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტი“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამური 100,000,000 (ასი მილიონი) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 98.5%-ისა.

მიღებული სახსრების 20% გამოყენებული იქნება კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, დანარჩენი ნაწილი კი მიიმართება მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის გასაზრდელად.

„ობლიგაციების“ სრულად განთავსების შემთხვევაში „ემიტენტის“ მიერ რეფინანსირების მიზნობრიობით მიმართული სახსრები შეადგენს 20,000,000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარს.

მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირების შედეგად „კომპანია“ მოელის ცვლილებას საპროცენტო ხარჯის კუთხით, რადგან „ობლიგაციების“ კუპონის განაკვეთი შესაძლოა განსხვავდებოდეს რეფინანსირებული ვალდებულებების განაკვეთისგან, თუმცა აღნიშნული ეფექტის შეფასება პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შეუძლებელია. ამასთან, მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული „ობლიგაციების“ ემისიის შედეგად „ემიტენტის“ დაფინანსების სტრუქტურაში შეიცვლება განაწილება ვალუტების მიხედვით.

დეტალური ინფორმაცია „ემიტენტის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანების შესახებ წარმოდგენილია ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

ემისიასთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი „ობლიგაციის გამოშვების პირობები“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“.

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“, საიდენტიფიკაციო ნომერი - 205034639. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაარსების თარიღი - 01/07/2004.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ.ფოსტა: rico@rico.ge

ვებ-გვერდი: www.rico.ge

ტელ.: +995 322 292 929


შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ თითქმის ორი ათწლეულია წარმატებით ოპერირებს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე:

- › კომპანიის ისტორია 1997 წლიდან დაიწყო, როცა კომპანიამ საქმიანობა დაიწყო „რიკო კრედიტის“ სახელით, როგორც საფინანსო ორგანიზაციამ.
- › საწყის ეტაპზე მისი საქმიანობა მოიცავდა იპოთეკური და სალომბარდე სესხების გაცემას. ამავე პერიოდში „რიკო კრედიტი“ გახდა საქართველოში ფულადი გზავნილების ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო სისტემის, MoneyGram-ის, ერთ-ერთი პირველი პარტნიორი. მოგვიანებით კომპანიის პარტნიორ ორგანიზაციებს დაემატა Western Union, Zolotaya Korona და სხვა საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემები, რამაც ხელი შეუწყო მისი მომსახურების არეალის გაფართოებას და ბაზარზე პოზიციების გაძლიერებას.
- › შპს „რიკო ექსპრესი“ 2004 წელს დაფუძნდა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციად 2007 წლის აპრილში დარეგისტრირდა და ამ დროიდან კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ სახელით. კომპანიას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უვადო ლიცენზია აქვს, რომელიც უფლებას აძლევს გასცეს სალომბარდე სესხები და განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.
- › პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „რიკო ექსპრესის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ფინანსური სერვისების მიწოდებას, მათ შორის სალომბარდე სესხების გაცემას, ფულადი გზავნილების მომსახურებას, სავალუტო კონვერტაციებსა და თამასუქებთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „რიკო ექსპრესი“ საქართველოს მასშტაბით, 27 ქალაქში, წარმოდგენილია 71 ფილიალით და დასაქმებული 800-მდე თანამშრომლით 2.6 მილიონამდე მომხმარებელს ემსახურება.


კომპანიის გაცემული სესხები სრულად უზრუნველყოფილია. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაცემული სესხების 98.4%-ს საბალანსო ღირებულებაზე მაღალი ღირებულების გირავნობის საგნები აქვს უზრუნველყოფაში.

2025 წლის 31 დეკემბერს მომხმარებელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფაში არსებული გირავნობის საგნების ღირებულება შემდეგნაირად აღემატება მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას (Value-to-Loan Ratio):




კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სასესხო პორტფელის 7 წლიანი CAGR 22.1%-ია და ბოლო 7 წლის განმავლობაში პორტფელი 658.4 მლნ ლარით გაიზარდა - საიდანაც ზრიდს 62% ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა (2024 და 2025 წლის განმავლობაში კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხები 406.2 მლნ ლარით არის გაზრდილი).

გრაფიკი 14, კომპანიის მომხმარებელზე გაცემული წმინდა სესხების დინამიკა:



კომპანიის მნიშვნელოვანი საოპერაციო შედეგები 2025 და 2024 წლისთვის:




2025 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა 4 ახალი ფილიალი და მომხმარებელთა რაოდენობა გაზარდა 284 ათასი -ით. ამავე პერიოდში კომპანიის ძირითადი აქტივები - მომხმარებელზე გაცემული სესხები გაიზარდა 41.5%-ით ხოლო მოგება 36.8%-ით და 68.0 მლნ ლარი შეადგინა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ დღეისათვის საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის წამყვან კომპანიათა რიცხვს განეკუთვნება.

2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარი წარმოდგენილია 380 ფილიალითა და 3,715 დასაქმებული პირით. ამავე პერიოდისთვის „რიკო ექსპრესი“ ოპერირებს 71 ფილიალით და ასაქმებს 798 თანამშრომელს.

გრაფიკი 15: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური წმინდა სასესხო პორტფელი და რიკო ექსპრესის წილი, მილიონ ლარში:



2025 წელს კომპანიის ბაზრის წილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორში 32.0%-დან 46.6%-მდე, ანუ 14.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა - ამის პარალელურად ბაზრის ზომა 1,904 მილიონი ლარიდან 1,841 მილიონ ლარამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის მიკრობანკად ტრანსფორმაციით. აღსანიშნავია, რომ გამიკრობანკებული კომპანიების ეფექტის გამოკლებით რიკო ექსპრესის ბაზრის წილი სტაბილურად 40%-ზე ზევითაა და ზრდის ტენდენციას აჩვენებს.

დეტალური ინფორმაცია კომპანიისა და სექტორთან მიმართებით მისი შედეგების შესახებ იხილეთ პროსპექტის სექციაში „კონკურენტული გარემო“.

კომპანიის ბიზნესმოდელი - პროდუქტების აღწერა

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მიკრო სალომბარდე დაკრედიტებას. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის შემოთავაზებული პროდუქტები და მათი აღწერილობა შემდეგია:

- **სალომბარდე სესხები** - „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ ძირითად საფინანსო პროდუქტს წარმოადგენს სალომბარდე სესხები, რომლებიც გაიცემა ოქროს, ვერცხლის, სხვა ძვირფასი ლითონებისა და ბრილიანტების უზრუნველყოფით. აღნიშნული პროდუქტი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს მოკლე და საშუალოვადიანი დაფინანსება შესაბამისი გირაოს წარდგენის საფუძველზე.

სალომბარდე სესხების წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, მერყეობს 15%-დან 25%-მდე, ხოლო სესხის მაქსიმალური ვადა შეადგენს 36 თვეს. სესხები გაიცემა გირაოს საბაზრო ღირებულების მაქსიმუმ 90%-იანი უზრუნველყოფით. სესხის მაქსიმალური ლიმიტია 200,000 ლარი.

საქმიანობის ადრეულ ეტაპზე, კომპანია ასევე გასცემდა იპოთეკურ სესხებს. სტრატეგიის ცვლილების შედეგად, კომპანია ამჟამად აღარ გასცემს ასეთი ტიპის სესხებს. კომპანიას წარსულში გაცემული იპოთეკური სესხების მცირე პორტფელი კვლავ აქვს და აგრძელებს მის მართვას.

- **თამასუქი** - 2008 წლიდან „რიკო ექსპრესი“ მომხმარებლებს/ინვესტორებს სთავაზობს „ოქროს თამასუქის“ პროდუქტს, რომელიც წარმოადგენს სარგებლიან ფასიან ქაღალდს და ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის. პროდუქტი წარმოადგენს ალტერნატიულ საინვესტიციო ინსტრუმენტს, რომელიც ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს წინასწარ განსაზღვრული სარგებელი შესაბამისი ვადის განმავლობაში.

„ოქროს თამასუქის“ შესაძენად დადგენილია მინიმალური საინვესტიციო ოდენობა - 100,000 ლარი ან მისი ეკვივალენტი აშშ დოლარსა ან ევროში.

- **ფულადი გზავნილები** - „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ ფულადი გზავნილების მიმართულებით თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან და მომხმარებლებს სთავაზობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფულად გზავნილებთან დაკავშირებულ მომსახურებას. კომპანია ასევე ფლობს საკუთარ ფულადი გზავნილების პლატფორმას, რომელიც ოპერირებს ევროპისა და ისრაელის მიმართულებით.

მომსახურება ხელმისაწვდომია „რიკო ექსპრესის“ ფილიალებში, ასევე პარტნიორი კომერციული ბანკების, მათ შორის თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის, ტერა ბანკის, კრედო ბანკისა და ლიბერთი ბანკის მომსახურების ცენტრებში. კომპანიის პარტნიორული ქსელი მოიცავს 15 პარტნიორ ორგანიზაციას, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, განახორციელოს ფულადი გზავნილები სხვადასხვა გეოგრაფიული მიმართულებით მოქნილი პირობებით.

კომპანიის ფულადი გზავნილების ძირითადი პროდუქტებია:

„რიკო-გრამ საქართველო“ - შიდა ფულადი გზავნილების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს თანხის გადარიცხვას საქართველოს მასშტაბით „რიკო ექსპრესის“ ყველა სერვის-ცენტრში. მომსახურების საკომისიო შეადგენს გზავნილის თანხის 0.5%-ს.

„რიკო-გრამ ისრაელი“ - ისრაელთან დაკავშირებული საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემა, რომლის საკომისიო ტარიფი შეადგენს გზავნილის თანხის 1.2%-ს. სერვისი ხელმისაწვდომია ისრაელში 250-ზე მეტ ლოკაციაზე.

„რიკოგრამ I-Transfers“ და „რიკოგრამ Titanes“ - ევროპული ფულადი გზავნილების პლატფორმები, რომლებიც ემსახურება იტალიის, გერმანიისა და ესპანეთის მიმართულებებს. მომსახურების საკომისიო შეადგენს გზავნილის თანხის 1.1%-ს.

- **სავალუტო კონვერტაციები** - კომპანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით სავალუტო კონვერტაციებს სთავაზობს. აღნიშნული მიმართულებით „რიკო ექსპრესი“ პოზიციონირებს, როგორც კონკურენტული გაცვლითი კურსების მქონე ფინანსური ინსტიტუტი. 2025 წლის დასაწყისში კომპანიამ აამოქმედა ონლაინ პლატფორმა **ricofx.ge**, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, განახორციელონ ვალუტის უნაღდო კონვერტაცია ლარის, აშშ დოლარისა და ევროს სავალუტო წყვილებში. აღნიშნული ინიციატივა შეესაბამება ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, მათ შორის უნაღდო ოპერაციებზე მზარდ მოთხოვნასა და ციფრული ფინანსური სერვისების განვითარებას. პლატფორმის მეშვეობით კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სავალუტო კონვერტაციის უფრო მოქნილ, სწრაფ და ხელმისაწვდომ არხს, კონკურენტული გაცვლითი კურსებით.

კომპანიის ბიზნესმოდელი - სესხის გაცემის პროცედურის აღწერა

კომპანიის სალომბარდო დაკრედიტების პროცესი შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოს სწრაფი მომსახურების მიწოდება, გირაოს საგნის სათანადო შეფასება და საკრედიტო/ოპერაციული რისკების ეფექტური მართვა:

- **განაცხადის მიღება:** პროცესი იწყება კლიენტის მიმართებით კომპანიის ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პირველ ეტაპზე მოლარე-ოპერატორი, საკრედიტო ოფიცერი ან ფილიალის მენეჯერი კლიენტს აწვდის ინფორმაციას სესხის ძირითად პირობებზე, პროცედურულ მოთხოვნებსა და სესხის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციას;
- **გირაოს საგნის წარდგენა და შეფასება:** კლიენტის მიერ გირაოს საგნის წარდგენის შემდეგ, საკრედიტო ოფიცერი ადგილზე ახორციელებს მის შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს გირაოს საგნის იდენტიფიცირებას, ტექნიკური/ფიზიკური მდგომარეობის შემოწმებას და საბაზრო ღირებულების განსაზღვრას კომპანიის შიდა წესებითა და დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- **სესხის ოდენობის განსაზღვრა და შეფასების ვერიფიკაცია:** სესხის შესაძლო ოდენობა განისაზღვრება გირაოს საგნის შეფასებული ღირებულების პროპორციულად. რისკების შემცირების მიზნით, ფილიალის მენეჯერი ახორციელებს შეფასების დამატებით გადამოწმებას, რაც მიზნად ისახავს ოპერაციული შეცდომების, არასწორი შეფასებისა და პოტენციური თაღლითობის რისკების მინიმიზაციას;
- **ხელშეკრულების გაფორმება და სესხის გაცემა:** შეფასებისა და შიდა ვერიფიკაციის დასრულების შემდეგ, კლიენტთან ფორმდება სასესხო ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად აისახება სესხის ძირითადი პარამეტრები, გირაოს საგნის მახასიათებლები, დაფარვის პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კლიენტი იღებს სესხის თანხას ნაღდი ან უნაღდო ფორმით, არჩევანის შესაბამისად;
- **გირაოს საგნის შენახვა და შემდგომი კონტროლი:** მაღალი ღირებულების გირაოს საგნები, განსაკუთრებით ძვირფასი ლითონები, ყოველდღიურად გადაიზიდება ცენტრალურ საცავში, სადაც შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს დამატებით კონტროლს და ფაქტობრივ მდგომარეობას ადარებს დოკუმენტაციასთან;

ორგანიზაციული სტრუქტურა

ემიტენტი არ არის ჯგუფის წევრი.

კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული პარტნიორი - **დალი ურუშაძე (პ/ნ 01008005126)**.

კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი - **თამარ გოგოძე (პ/ნ 01008014709)**, ხოლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მათ შორის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება და სხვა წესდების შესაბამისად გათვალისწინებული საკითხები სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა **ვლადიმერ შავლაყაძე (პ/ნ 01019010442)**.

სტრატეგია და ამოცანები

კომპანიის სამომავლო სტრატეგია მიმართულია მიკროსაფინანსო სექტორში არსებული პოზიციის შენარჩუნებისა და შემდგომი გამყარებისკენ. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება კომპანიის მოქმედი ბიზნეს მოდელის გაღრმავებას, ფილიალების ქსელის გაფართოებას, საოპერაციო ეფექტიანობის ზრდას, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, კომპანია სამომავლოდ არ გეგმავს საქმიანობის პროფილის რადიკალურ ცვლილებას ან არაპროფილურ ბიზნეს მიმართულებებში შესვლას. კომპანიის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- **ფილიალების ქსელის გაფართოება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა** - ბოლო წლების განმავლობაში კომპანია აქტიურად აფართოებს ფილიალების ქსელს საქართველოს მასშტაბით. მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიხსნა დაახლოებით 20 ახალი ფილიალი, რის შედეგადაც კომპანიის ფილიალების რაოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 71-ს აღწევს. სამომავლოდ კომპანია გეგმავს აღნიშნული მიმართულების გაგრძელებას და ახალი ფილიალების გახსნას დამატებით გეოგრაფიულ არეალებში, რაც მიზნად ისახავს ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას.
- **არსებული ბიზნეს მოდელის გაღრმავება** - კომპანიის სტრატეგია არ ითვალისწინებს ახალი, არაპროფილური ბიზნეს მიმართულებების ათვისებას. მენეჯმენტის შეფასებით, არსებული ბიზნეს მოდელი დამკვიდრებული და მომგებიანია, რის გამოც სამომავლო აქცენტი გაკეთდება მოქმედი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებაზე, საოპერაციო პროცესების ოპტიმიზაციასა და კომპანიის კონკურენტული პოზიციის შენარჩუნებაზე. კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქმიანობის მასშტაბის ზრდა და წლიური ბრუნვის შენარჩუნება/გაუმჯობესება.
- **ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და პროცესების ავტომატიზაცია** - კომპანია გეგმავს სერვისების დიჯიტალიზაციის გაგრძელებას, რაც მიზნად ისახავს პროდუქტებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის გაზრდას და მომსახურების პროცესის გამარტივებას. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში უკვე შეიქმნა თანამედროვე ტექნიკური ინფრასტრუქტურა, მათ შორის მაღალი სტანდარტების დატაცენტი. დამატებით, კომპანიაში დაიწერა ALTA პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების მხარდაჭერას.
- **ადამიანური კაპიტალის განვითარება** - კომპანიის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია პროფესიონალი კადრების მოზიდვა, არსებული თანამშრომლების გადამზადება და შიდა კომპეტენციების განვითარება. ადამიანური რესურსის გაძლიერება მიზნად ისახავს როგორც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე კომპანიის საოპერაციო პროცესების ეფექტიანობის ზრდას.
- **გირაოს საგნების შენახვის ინფრასტრუქტურის გაძლიერება** - კომპანია ახლო მომავალში გეგმავს ახალი, მაღალი სტანდარტის დაახლოებით 100 კვ.მ-იანი საცავის მშენებლობას, რომელიც გამოყენებული იქნება გაცემული სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში დაგირავებული ძვირფასი ნივთების შესანახად. დაგეგმილია ობიექტის აღჭურვა მე-12 საფეხურის დაცვის სისტემით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის დაცვას. პროექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 მლნ აშშ

დოლარს და მისი დაფინანსება დაგეგმილია კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. მშენებლობის დასრულება და ობიექტის სრული მოწყობა დაგეგმილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები მიზნად ისახავს კომპანიის არსებული საბაზრო პოზიციის გამყარებას, საოპერაციო მდგრადობის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ზრდას და გრძელვადიანი, სტაბილური განვითარების ხელშეწყობას.

მარკეტინგული პროგრამა

კომპანიის მარკეტინგული მიდგომა ფოკუსირებულია პროდუქტების პრაქტიკული სარგებლის, მომსახურების ხელმისაწვდომობის, მოქნილი პირობებისა და სანდოობის კომუნიკაციაზე. რიკოს მარკეტინგული კომუნიკაცია ძირითადად ციფრულ არხებსა და საკუთარ მომსახურების ინფრასტრუქტურაზეა ორიენტირებული. კომპანია მომხმარებელთან კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის, სოციალური მედიის პლატფორმების, სხვა ციფრული არხებისა და გადახდის არხების მეშვეობით.

კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია ძირითადი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ, მათ შორის სალომბარდე სესხებზე, „ოქროს თამასუქზე“, ფულად გზავნილებზე, სავალუტო მომსახურებაზე, ფილიალებსა და ონლაინ გადახდის შესაძლებლობებზე.

სოციალური მედიის მიმართულებით კომპანია წარმოდგენილია Facebook-სა და Instagram-ზე, სადაც რეგულარულად აქვეყნებს სარეკლამო შეთავაზებებს. დამატებით, კომპანია იყენებს RicoFX პლატფორმას, როგორც სავალუტო კონვერტაციის ციფრულ არხს, ხოლო ფილიალებსა და ჩასარიცხი/გადახდის აპარატების ეკრანებზე განათავსებს საინფორმაციო და სარეკლამო მასალებს უშუალოდ მომსახურების მიღების პროცესში მყოფ მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის.

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

კომპანიის სასესხო პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია. 2025 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მსესხებლების რაოდენობა 211,009-ია, ხოლო ტოპ 10 მსესხებლის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში - 0.23%-ია.

მომხმარებელთა დაბალი კონცენტრაციის შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნია მატერიალური ხელშეკრულებები.

ინფორმაცია მატერიალური ხელშეკრულებების, ლიცენზიებისა და პატენტების შესახებ

- **მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უვადო ლიცენზია** - კომპანიას გააჩნია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უვადო რეგისტრაცია/ლიცენზია, რომელიც მას ანიჭებს უფლებას, გასცეს სალომბარდე და სხვა ტიპის (იპოთეკური, სამომხმარებლო და ა.შ) სესხები და განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა, როგორიცაა სავალუტო სვოპები და კონვერტაციები, გზავნილების მიღება/გაგზავნა, თამასუქების მოზიდვა და სხვა.
- **პატენტი** - კომპანიას 2015 წლიდან რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშნები, რომლებიც მოიცავს კომპანიის სახელწოდებას, ლოგოსა და შესაბამის ვიზუალურ იდენტობას. აღნიშნულ სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოქმედების ვადა 2025 წელს გახანგრძლივდა დამატებით 10 წლით, შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე.

- **დაზღვევა** - ემიტენტს სადაზღვეო პოლისი გაფორმებული აქვს სს „ალდაგთან“, რომლითაც დაზღვეულია ემიტენტის საცავი (უზრუნველყოფის საგნებთან ერთად), რომელშიც ინახება გაცემული სესხების უზრუნველყოფის საგნები - ძვირფასი ლითონები და ქვები.

პირველი პოლისი ფარავს ომის, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის რისკებს, ხოლო მეორე - ფიზიკურ დანაკარგებსა და მათი განადგურების რისკს. თითოეული პოლისის სადაზღვეო თანხა 335,000,000 (სამას ოცდათხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარია.

ორივე პოლისი ძალაშია 2026 წლის აგვისტომდე და ყოველწლიურად ახლდება.

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები

- **ტექნოლოგიური რესურსი**

კომპანიის ძირითადი საოპერაციო, საბუღალტრო და საკრედიტო პროცესები მხარდაჭერილია შესაბამისი პროგრამული სისტემებით. საბუღალტრო პროგრამისა და სესხების სააღრიცხვო სისტემის მიმართულებით კომპანია თანამშრომლობს შპს „ალტა სოფტვეართან“.

ციფრული პროცესების განვითარების მიზნით, კომპანიამ Signify-სთან თანამშრომლობით დაწერა ციფრული ხელმოწერები.

AML შესაბამისობის მიმართულებით კომპანია თანამშრომლობს „სოფტგენტან“, რომლის მხარდაჭერით დაწერა Transguard-ის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა.

ინვესტიციები

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 3,957 ათასი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში - საიდანაც უმეტესობა მიმართული იქნა შენობა-ნაგებობებისა და კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობის მიზნებისთვის.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 4,836 ათასი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში - საიდანაც უმეტესობა მიმართული იქნა შენობა-ნაგებობებისა და კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობის მიზნებისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ინვესტიციების შინაარსობრივი ჩაზღა 2025 და 2024 წლის განმავლობაში:

ინვესტიციის ტიპი (ათას ლარში)	2024	2025
მიწა და შენობა-ნაგებობები	2,872	1,642
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	1,276	1,717
საოფისე აღჭურვილობა	355	222
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	333	376
სულ	4,836	3,957

კომპანია ახლო მომავალში გეგმავს ახალი, მაღალი სტანდარტის დაახლოებით 100 კვ.მ.-იანი საცავის მშენებლობას, რომელიც გამოყენებული იქნება გაცემული სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში დაგირავებული ძვირფასი ნივთების შესანახად. დაგეგმილია ობიექტის აღჭურვა მე-12 საფეხურის დაცვის სისტემით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის დაცვას. პროექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 მლნ აშშ დოლარს და მისი დაფინანსება დაგეგმილია კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან. პროსპექტის შედგენის

თარიღისთვის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩართულ მხარეებთან, მიმდინარედ პროექტთან დაკავშირებით ხარჯები არ არის გაწეული. მშენებლობის დასრულება და ობიექტის სრული მოწყობა დაგეგმილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმართოს. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო არსებითი სასამართლო დავის საგანი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რომელიმე მიმდინარე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

2023 წლის 18 იანვარს კომპანიას მიენიჭა 'B+' (სტაბილური პერსპექტივით) საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო. აღნიშნული რეიტინგის ბოლო განახლების თარიღია 2026 წლის 2 ივლისი და კომპანიის რეიტინგი კვლავ შენარჩუნებულია 'B+' სტაბილურ პერსპექტივაზე.

18 იანვარი 2023	9 სექტემბერი 2024	10 ივნისი 2025	2 ივლისი 2026
B+ Stable	B+ Stable	B+ Stable	B+ Stable

რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები:

- **ბიზნესის მოდელი შეფასება (ფოკუსირებული, დაბალი)** - დაახლოებით 1 მილიარდი ლარის (332 მილიონი ევროს) მოცულობის მთლიანი აქტივების გათვალისწინებით, რიკო ექსპრესი წარმოადგენს საქართველოს ფინანსურ სექტორში მცირე ზომის მოთამაშეს, რომლის ეროვნული მასშტაბით სასესხო ბაზრის წილი დაახლოებით 1%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, კომპანია არის საქართველოს უმსხვილესი ადგილობრივი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლიდერი პოზიცია უკავია სალომზარდე სესხების ნიშურ ბაზარზე.

საქართველოს სალომზარდო სესხების ბაზარმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზრდა და აქტივობის მატება აჩვენა, რასაც საფუძვლად დაედო ოქროს ფასების მდგრადი ზრდა. ოქროს ფასების დინამიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის გაფართოებასა და სასესხო პორტფელის ზრდაში, ვინაიდან უზრუნველყოფის საგნის ღირებულება პირდაპირ განსაზღვრავს იმ მაქსიმალურ სასესხო მოცულობას, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია.

რიკოს ბიზნესმოდელი ძირითადად ორიენტირებულია ოქროთი და სხვა ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სალომზარდე სესხებზე, რომლებიც 2025 წელს კომპანიის სასესხო პორტფელის 99%-ს შეადგენდა. ამასთან კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა საერთაშორისო ფულადი გზავნილები და ვალუტის გადაცვლა; კომპანიის იპოთეკური სესხების პორტფელი, რიკოს სტრატეგიის ცვლილების შესაბამისად, 2017 წლიდან ეტაპობრივად მცირდება.

რიკოს შემოსავლების სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წმინდა საპროცენტო შემოსავალზე, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში, საშუალოდ, მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 78%-ს შეადგენდა.

დამატებითი მომსახურებები, მათ შორის ვალუტით ვაჭრობა და საერთაშორისო ფულადი გზავნილები, 2025 წელს მთლიანი შემოსავლის 25%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

კომპანიის 2026-2028 წლების სტრატეგია ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- I. სალომბარდე სესხების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- II. წარსულში გაცემული იპოთეკური სესხების პორტფელის ეტაპობრივი შემცირება;
- III. საქართველოს მასშტაბით ფილიალების ქსელის გაფართოება;

Scope-ის შეფასებით, რიკო ექსპრესის საშუალოვადიანი გეგმა რეალისტურია, თუმცა, ერთპროდუქტიანი ბიზნესმოდელი კვლავ ზღუდავს კომპანიის ბიზნეს პროფილის შეფასებას.

- **საოპერაციო გარემოს შეფასება (შემზღუდველი, დაბალი) -** Scope-ის მიერ საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო გარემო შეფასებულია როგორც შემზღუდველი (მაღალი), თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში აღნიშნული შეფასება დაკორექტირებულია როგორც შემზღუდველი (დაბალი), ვინაიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე მოქმედი რეგულატორული და სახედახედველო ჩარჩო ბანკებთან შედარებით ნაკლებად მკაცრად მიიჩნევა.

Scope ემიტენტის საოპერაციო გარემოსა და ბიზნესმოდელის ერთობლივი შეფასების საფუძველზე საწყის რეიტინგს (initial mapping) “b-“ დონეზე განსაზღვრავს.

- **გრძელვადიანი მდგრადობის შეფასება (ნეიტრალური) -** რიკო ექსპრესმა ბოლო წლებში განმავლობაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კორპორაციული მართვის ჩარჩო, მათ შორის მენეჯმენტის ზედამხედველობისა და ფუნქციების გამიჯვნის მიმართულებით, ასევე რისკების მართვის პოლიტიკების გაძლიერებისა და ფორმალიზების კუთხით.

კორპორაციული მართვის სფეროში მიღწეულ მთავარ ეტაპებს შორისაა:

- i) აუდიტისა და რისკების კომიტეტის შექმნა და მათი კვარტალური შეხვედრები;
- ii) ორი დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და ფინანსური დირექტორის (CFO) დანიშვნა;
- iii) რისკების მართვის პოლიტიკის გაძლიერება და ფორმალიზება.

ბოლო წლებში კომპანიამ განახორციელა რამდენიმე ინიციატივა საოპერაციო პროცესების მოდერნიზაციისა და ციფრული შესაძლებლობების გაძლიერების, მათ შორის უნაღდო ოპერაციულ მოდელზე გადასვლის მიმართულებით. ძირითადი ინიციატივებია Mastercard-თან თანამშრომლობით სადებეტო ბარათის დაწერვა, Prinum-თან პარტნიორობით ციფრული საფულის გაშვება და მოძველებული საბუღალტრო სისტემის საქართველოში ფართოდ გამოყენებული, უფრო მოქნილი პლატფორმით ჩანაცვლება. თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული ინვესტიციები საკმარისად არ მიიჩნევა იმისათვის, რომ კომპანიის საკრედიტო პროფილის დამატებითი დიფერენციაცია განაპირობოს.

გრძელვადიანი მდგრადობის შეფასების შედეგად, რეიტინგის კორექტირებული მაჩვენებელი (adjusted rating anchor) განისაზღვრა „b-“ დონეზე.

- **მომგებიანობისა და რისკიანობის შეფასება (+1 notch) –** შეფასებას საფუძვლად უდევს „რიკო ექსპრესის“ მაღალი მომგებიანობა, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორში სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდის პირობებში შენარჩუნდა. ფინანსური შედეგები გაუმჯობესდა პორტფელის ზრდის, ხარჯების ეფექტიანი მართვისა და შედარებით დაბალი რეზერვების ფონზე, ხოლო აქტივების ხარისხი, სწრაფი ზრდის მიუხედავად, სტაბილური დარჩა.

Scope ასევე მოელის, რომ მომგებიანობა კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდება, რასაც სასესხო პორტფელის ზრდა შეუწყობს ხელს, თუმცა ეს გარკვეულწილად კვლავ დამოკიდებული იქნება ოქროს ფასების მაღალ დონეზე შენარჩუნებასა და ფილიალების ქსელის მდგრად გაფართოებაზე.

რიკოს საკრედიტო რისკი თითქმის სრულად ოქროთი და ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სალომზარდე სესხებშია კონცენტრირებული. სალომზარდე სესხების გაცემის პოლიტიკა ხასიათდება სესხის მაქსიმალური მოცულობის ლიმიტით (100,000 ლარამდე), მოკლევადიანი დაფარვის პერიოდებით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებითა და სესხის მოცულობის უზრუნველყოფის ღირებულების მაქსიმუმ 90%-მდე შეზღუდვით.

აქტივების ხარისხი ადეკვატურ დონეზე შენარჩუნდა, მიუხედავად სასესხო პორტფელის უკიდურესად სწრაფი ზრდისა. 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, Stage 3 სესხების წილი დაბალ, 1.1%-იან ნიშნულზე იყო. ბოლო წლებში დაფიქსირებული Stage 3 სესხების დაბალი მაჩვენებელი, ძირითადად, სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდით არის განპირობებული, რამაც პრობლემური სესხების (NPL) მაჩვენებლები გააუმჯობესა და გაართულა შედარება იმ პერიოდებთან, როდესაც პორტფელის ზრდა ნაკლებად ინტენსიური იყო.

რიკო ექსპრესის აქტივების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციისა და სესხების ამოღების ეფექტიანი, მრავალწლიანი პრაქტიკა განაპირობებს. სასესხო პორტფელის გრანულარული და დაკრედიტების აქტივებით უზრუნველყოფილი ხასიათი მნიშვნელოვნად ამცირებს საკრედიტო რისკს.

მიუხედავად იმისა, რომ სასესხო პორტფელის სწრაფ ზრდას შესაძლოა თან ახლდეს რისკის უფრო მაღალი პროფილი, რაც ახალ მომხმარებლებზე სესხების გაცემით არის განპირობებული, Scope ვარაუდობს, რომ აქტივების ხარისხი მომდევნო კვარტლების განმავლობაშიც შენარჩუნდება. აღნიშნულ მოლოდინს ამყარებს კომპანიის უნარი, მომხმარებლებს რეფინანსირება მომსახურება გაუწიოს არსებული უზრუნველყოფის საშუალების ღირებულებაზე დაყრდნობით. თუმცა, ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობის ფონზე, აქტივების ხარისხი მოსალოდნელზე მეტად შესაძლოა გაუარესდეს, რაც ამჟამად Scope-ს საბაზისო სცენარს არ წარმოადგენს.

ოპერაციული რისკი კვლავ არსებითია, რადგან კომპანია ფიზიკურად მართავს უზრუნველყოფის საგნებს და, შესაბამისად, ექვემდებარება ისეთ რისკებს, როგორიცაა თაღლითობა, ქურდობა ან მარცვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რისკები ფართო სადაზღვევო დაფარვის მეშვეობით მნიშვნელოვნად არის შერბილებული.

- **ფინანსური მდგრადობის შეფასება (+1 notch)** – რიკო ექსპრესი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კარგად კაპიტალიზებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, მყარი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებით. კომპანიის დაფინანსების წყაროები დაბალანსებულია ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ სესხებს, ობლიგაციებსა და თამასუქებს შორის, თუმცა ეს აქტივების დატვირთვის მაღალ დონესაც განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლიდან გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები მცირდება, რაც განპირობებულია სასესხო პორტფელის ძალიან სწრაფი ზრდით, 2026 წლის აპრილის მდგომარეობით, რიკო ექსპრესის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 35%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 18%-იან მარეგულირებელ მოთხოვნას. ძლიერი კაპიტალის პოზიცია და ზრდის დაფინანსებაში კაპიტალზე დამოკიდებულება შეესაბამება კომპანიის სტრატეგიას, შეინარჩუნოს მაღალი მარჟები და ამავედროულად შეამციროს საბანკო დაფინანსებაზე ზედმეტად მაღალი დამოკიდებულება.

ამავე პერიოდისთვის, ლიკვიდურობის კოეფიციენტი დაახლოებით 25%-ს შეადგენდა და ასევე აღემატებოდა შესაბამის 18%-იან მარეგულირებელ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ლიკვიდობის კოეფიციენტი კაპიტალის მაჩვენებელთან შედარებით უფრო მეტად მერყეობდა, Scope მოელის, რომ რიკო ექსპრესი მომავალშიც შეინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომას როგორც კაპიტალის, ისე ლიკვიდობის მართვის მიმართულებით.

კომპანიის დაფინანსების პროფილი უფრო დივერსიფიცირებულია ვიდრე სხვა კონკურენტების და ამჟამად მოიცავს ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებს, ობლიგაციებსა და თამასუქებს. 2024 წლიდან რიკო ესპრესმა საკუთარ დაფინანსების სტრუქტურაში სუბორდინირებული ვალიც ჩართო, თუმცა იგი კვლავ მთლიანი დაფინანსების შედარებით მცირე კომპონენტს წარმოადგენს. კომპანიის დაფინანსების სტრუქტურა ბალანსის აქტივების შედარებით მაღალ, თუმცა კლებად დაგირავებას განაპირობებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბანკო სესხების გარკვეული ნაწილი და ობლიგაციების მნიშვნელოვანი წილი მომხმარებლებზე გაცემული სესხებით არის უზრუნველყოფილი.

რიკოს ისტორიული დამოკიდებულება თამასუქების დივერსიფიცირებულ პორტფელზე ხელს უწყობს საპროცენტო რისკის ეფექტიან მართვას და აუმჯობესებს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შესაბამისობას.

რიკოს სასესხო პორტფელი თითქმის სრულად დენომინირებულია ლარში, რაც ასახავს ქვეყნის ლარიზაციის პროგრამის გავლენას. ამავდროულად, კომპანია იყენებს უცხოურ ვალუტაში მოზიდულ დაფინანსებას შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთების მიზეზით. 2025 წლის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 25%-ს შეადგენდა და ძირითადად აშშ დოლარში იყო დენომინირებული.

Scope დადებითად აფასებს კომპანიის სტრატეგიას, სრულად მოახდინოს აღნიშნული დაფინანსების ჰეჯირება სავალუტო რისკის შესამცირებლად. თუმცა, ჰეჯირება დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, რაც ზრდის დაფინანსების მთლიან ღირებულებას, ვინაიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჰეჯირების ხარჯი ჯამური ფინანსირების ხარჯის საშუალოდ 3%-ს შეადგენდა (2025 წელს - 0.7%).

საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ გაუმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუ:

- მოხდება ბიზნესის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც გულისხმობს პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეთავაზებას, რომელიც არსებით წვლილს შეიტანს კომპანიის შემოსავლებში. აღნიშნული შეიძლება გახდეს ბიზნეს მოდელის უფრო პოზიტიურად შეფასების საფუძველი.
- მოხდება საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საოპერაციო გარემოს გაუმჯობესება, რამაც შესაძლოა განაპირობოს საოპერაციო გარემოს შეფასების ზრდა.

საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings-ის მიერ გაუარესდება იმ შემთხვევაში, თუ:

- მოხდება მომგებიანობაზე ზეწოლა, მაგალითად, დაფინანსების გაზრდილი ხარჯებისა ან/და გაუფასურების უფრო მაღალი დანახარჯების გამო - რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება და რისკიანობის გაუარესება.
- მოხდება მინიმალურ კაპიტალის ან ლიკვიდობის მოთხოვნებზე არსებული ბუფერების შემცირება - რასაც გამოიწვევს კაპიტალისა და დაფინანსების მართვის უფრო აგრესიული პოლიტიკა. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური მდგრადობის მართვის შეფასების გაუარესება.
- მოხდება საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ხანგრძლივი პოლიტიკური გაურკვევლობითა და დამაბულობით. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს საოპერაციო გარემოს შეფასების გაუარესება.

საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული რეპორტი ხელმისაწვდომია ლინკზე: [Scope ratings](#)

შენიშვნა: თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაციის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ *Scope Ratings-ის მეთოდოლოგია*.


ინდუსტრიის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო სექტორის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და **2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, გასული შვიდი წლის საშუალო წლიურმა ზრდამ (CAGR) 8.0% შეადგინა**. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საკრედიტო პორტფელი წლიურად 3.9%-ით შემცირდა, რაც ძირითადად 2025 წლის თებერვალში ერთ-ერთი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკად გარდაქმნას უკავშირდება (მანამდე, 2024 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გავიდა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც მიკრობანკის სტატუსი მოიპოვა). თუმცა, 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის ჯამურ საკრედიტო პორტფელში კვლავ ზრდა დაფიქსირდა და 2.06 მლრდ ლარი შეადგინა (+32.2% წ/წ, 2025 წლის ბოლოსთან შედარებით +8.6%). ზრდის მაღალი მაჩვენებელი 2025 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, გარკვეულწილად, ბაზრიდან დიდი მოთამაშეების გასვლის ეფექტიცაა.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განვითარდა საკრედიტო პორტფელის ვალუტების მიხედვით გადანაწილების მხრივ, რაც მეტწილად წლების განმავლობაში გამკაცრებული რეგულაციებით აიხსნება. ვალუტების მიხედვით პორტფელის სტრუქტურის ცვლილება ძირითადად აიხსნება 2019 წელს დამტკიცებული „ფიზიკური პირებისთვის სესხის გაცემის წესით“, რომელიც უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოქმედების დაწყებიდანვე აწესებს უფრო მკაცრ PTI და LTV ზღვრებს, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში (LTV: 70% უცხოურ ვალუტაში, 90% – ეროვნულში). 2018 წელს არსებული პორტფელის 16%, რაც 173 მილიონი ლარის ექვივალენტს აღემატებოდა, უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წელს 10.7 მილიონ ლარამდე შემცირდა, რაც მთლიანი პორტფელის 1%-ზე ნაკლებია. აღნიშნული დინამიკა 2026 წელსაც გრძელდება.

გრაფიკი 16: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი პერიოდის ბოლოსთვის, მლრდ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: შენიშვნა: „*“-ით მონიშნულ პერიოდებში სექტორის ზრდის მაჩვენებლებზე გავლენა იქონია ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - ემბისისა და კრისტალის - გამიკრობანკებამ და, შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გასვლამ.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იცვლება, რაც საბოლოო აგრეგირებულ მონაცემებზეც აისახება და ხშირ შემთხვევაში ჯამური სექტორის დინამიკის არათანაბარი შედარების საფუძველი ხდება. უკანასკნელი ექვსი წლის მონაცემების მიხედვით, რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნახევარზე მეტი სექტორში აღარ ფიგურირებს და 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 29 კომპანიას შეადგენს.


გრაფიკი 17: რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები პერიოდის ბოლოსთვის, ერთეული



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად ცვალებადი ბაზრის მონაწილეების რაოდენობისა, ჯამურად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორის მოცულობა, რომელიც საკრედიტო პორტფელის მოცულობის სახით არის წარმოდგენილი, ისტორიულად მაღალ თანხვედრაშია საქართველოს ზოგადი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთან.

გრაფიკი 18: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საბანკო საკრედიტო პორტფელის ცვლილება და მშპ, წ/წ %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; *მშპ-ს წინასწარი მონაცემები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორის ჯამური აქტივების მოცულობა უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში საშუალოდ წლიურად 6.3%-ით იზრდებოდა. 2025 წლის შემცირებული მაჩვენებელი, რომელიც წლიურად 1.5%-ით არის შემცირებული, სექტორის მონაწილეებში ცვლილებით შეიძლება აიხსნას. ზრდის ტენდენცია მიმდინარე წელს განახლდა და ჯამური აქტივების პირველი კვარტლის წლიურმა ზრდამ 30% (წ/წ) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური აქტივების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მაგალითისთვის, თუ 2018 წელს ჯამური აქტივები, რომელიც 1.46 მლრდ ლარს შეადგენდა, 29%-ით საკუთარი კაპიტალით ფინანსდებოდა, 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით არსებული 2.34 მლრდ ლარიანი

ჯამური აქტივები 34%-ით დაფინანსდა საკუთარი კაპიტალით. არსებული ტენდენცია წლების განმავლობაში სტაბილურად შეინიშნებოდა.


გრაფიკი 19: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალდებულებები და კაპიტალი, მლრდ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მომხმარებლების აბსოლუტური უმრავლესობა ფიზიკური პირები არიან. პორტფელის დინამიკაში ასევე შეინიშნება იურიდიული პირი მსესხებლების კლებადი წილი მთლიან პორტფელში. იურიდიული პირების 2018 წელს დაფიქსირებული 2%-იანი წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლო მდგომარეობით განახევრებულია.


გრაფიკი 20: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი სესხის ამღები სუბიექტების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების დაბალი წილისა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელში, აღსანიშნავია იურიდიული და ფიზიკური პირების საშუალო სესხის მოცულობებს შორის დაფიქსირებული სხვაობა. პორტფელში არსებული ფიზიკური პირების სესხების საშუალო მოცულობა ისტორიულად მზარდი დინამიკით ხასიათდება და 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის დაახლოებით 2,400 ლარი შეადგინა. რაც შეეხება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს, წლების განმავლობაში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს საშუალოდ 15-ჯერ აღემატება, თუმცა ჯამურ პორტფელში დაბალი წილის გამო პორტფელში საშუალო სესხის მოცულობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.


გრაფიკი 21: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელში სესხების საშუალო მოცულობა, 1,000 ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ანალიზი დარგების მიხედვით გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში საკრედიტო პორტფელი მეტად კონცენტრირებული ხდება. პორტფელის კონცენტრაცია სალომბარდე სესხებზე წლიდან წლამდე იზრდება და 2018 წელს დაფიქსირებული 28%-დან 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 80%-მდე გაზრდილი. ჯამურ საკრედიტო პორტფელში შემცირებულია როგორც სამომხმარებლო სესხების წილი, ისე ვაჭრობის და მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორებზე გაცემული სესხების წილები. აღნიშნული უკავშირდება 2024 წლის და 2025 წლის განმავლობაში ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - ემბისისა და კრისტალის - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრიდან გასვლას და მიკრობანკად გარდაქმნას. ამის შესაბამისად, ბოლო წლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელში მნიშვნელოვნად იზრდება სალომბარდე სესხების წილი. წილთან ერთად, იზრდება სალომბარდე სესხების მოცულობაც - და ბოლო 8 წლის განმავლობაში 5.5-ჯერ არის გაზრდილი (0.30 მლრდ ლარიდან - 1.63 მლრდ ლარამდე).


გრაფიკი 22: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი დარგების მიხედვით და სალომბარდე სესხების ტრენდი, მლრდ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების პორტფელში უზრუნველყოფილი სესხების წილი უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა და 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 97%-ს შეადგენს.


გრაფიკი 23: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი უზრუნველყოფის მიხედვით, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების საშუალო დანაკარგების რეზერვი 2020 წლიდან კლებადი ტენდენციით ხასიათდება მიუხედავად ჯამური საკრედიტო პორტფელის ზრდისა. 2020 წლიდან 2025 წლის ჩათვლით შესაძლო დანაკარგების რეზერვი 95 მლნ ლარიდან 52 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც წლიურად საშუალოდ (CAGR) 11.3%-იანი კლებაა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით რომ ამავე პერიოდში ჯამური საკრედიტო პორტფელი საშუალოდ წლიურად 9.8%-ით იზრდებოდა. შესაბამისად, საგრძნობლად არის შემცირებული სესხების შესაძლო დანაკარგების ფარდობა მთლიან საკრედიტო პორტფელთან. 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლო მდგომარეობით სესხების შესაძლო დანაკარგების ფარდობამ მთლიან საკრედიტო პორტფელთან 2.8% შეადგინა (-5.3 პპ პიკურ 2020 წელთან შედარებით). აბსოლუტური მაჩვენებლის ჭრილში, 2025 წელთან შედარებით, 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს, შესაძლო დანაკარგების მოცულობა 52 მლნ ლარიდან 57 მლნ ლარამდეა გაზრდილი. კომერციული ბანკებისთვის შესაძლო დანაკარგების რეზერვი საშუალოდ 1,67%-ია², ხოლო აბსოლუტური მაჩვენებელი, საშუალოდ, მილიარდ ლარს აჭარბებს.


გრაფიკი 24: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, მლნ ლარი



² კომერციული ბანკების მონაცემები ხელმისაწვდომია 2023 წლიდან.


2021 წლიდან მოყოლებული შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან საკრედიტო პორტფელთან ფარდობის მაჩვენებლის კლებადი ტენდენცია გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას ჯამურ პორტფელში უცხოური ვალუტის წილის კლებით. უცხოური ვალუტის პორტფელზე დარეზერვებული სესხების შესაძლო დანაკარგები მნიშვნელოვნად აღემატება ლარის პორტფელის მაჩვენებელს შესაბამისი ვალუტის რეზერვებისა და საკრედიტო პორტფელის თანაფარდობის ჭრილში.

გრაფიკი 25: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, %



გასული წლების განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმოქმედო (უიმედო) სასესხო პორტფელის ფარდობა ჯამურ სასესხო პორტფელთან კლებადი დინამიკით ხასიათდება - რაც შეეხება აბსოლუტურ მაჩვენებლებში ცვლილებას, 2022 წლიდან 2026 წლის პირველი კვარტლისთვის შემცირებულია უიმედო სესხების პორტფელი თუმცა 2026 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში აღნიშნულ პორტფელში მატება შეინიშნება. უკანასკნელი მონაცემებით, 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით, სესხების უიმედო კატეგორიაში 29.4 მლნ ლარის მოცულობის სესხებია, რაც ჯამური სასესხო პორტფელის მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს.


გრაფიკი 26: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმოქმედო (უიმედო) სასესხო პორტფელი და ფარდობა ჯამურ პორტფელთან, მლნ ლარი, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნასესხებმა სახსრებმა 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით 1.4 მლრდ ლარს გადააჭარბა. მოზიდული სახსრების დეკომპოზიციის კუთხით წლების განმავლობაში ძირითად წყაროდ საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები ნარჩუნდებოდა, რომლებიც ყოველი პერიოდისთვის ჯამური მოზიდული სახსრების ნახევარზე მეტს წარმოადგენდა. თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდებიდან მოზიდულმა რესურსის წილმა მთლიან მოზიდულ სახსრებში, რომელიც წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2026 წლის პირველ კვარტალში 23% შეადგინა.


გრაფიკი 27: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნასესხები სახსრები წყაროების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოზიდული სახსრების დეკომპოზიციის კუთხით ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად მთლიან საკრედიტო პორტფელში უცხოური ვალუტის 1%-იანი წილისა, მოზიდულ სახსრებში უცხოური ვალუტა მაინც მნიშვნელოვან, 18%-იან წილს იკავებს 2026 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების წილი კლებადი ტენდენციით ხასიათდება.


გრაფიკი 28: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნასესხები სახსრები ვალუტების მიხედვით, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორის შემოსავლიანობა, რომელიც ROA და ROE კოეფიციენტებით არის გამოსახული, წლების განმავლობაში სტაბილურად საშუალოდ 6.1% და 17.4%-ზე ნარჩუნდებოდა, შესაბამისად - ხოლო 2025 წელს 6.3% და 18.1% შეადგინა.


გრაფიკი 30: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორის შემოსავლიანობა, რომელიც მთლიანი საპროცენტო შემოსავლების ჯამურ საკრედიტო პორტფელთან ფარდობით არის გამოსახული, წლების განმავლობაში მცირედი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2025 წელს 23.4% შეადგინა. ამასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ კლებადი ტენდენციით ხასიათდება მოზიდული სახსრების ღირებულებაც, რომელიც მთლიანი ხარჯების და ჯამური ნასესხები სახსრების ფარდობის სახით არის წარმოდგენილი.

გრაფიკი 31: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელის შემოსავლიანობისა და ნასესხები სახსრების ღირებულება, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი

შენიშვნა: იქიდან გამომდინარე, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საპროცენტო ხარჯები ვალუტების ჭრილობში არ არის ხელმისაწვდომი, აღნიშნულ გრაფიკზე წარმოდგენილი მონაცემები ასახავს როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების ღირებულებას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 2018-2025 წლებში ორ განსხვავებულ დონეს აჩვენებს: 2018-2021 წლებში მაჩვენებელი 11.1-15.6 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2022 წლიდან მკვეთრად იზრდება (32.8 მლნ ლარამდე) და ინარჩუნებს მსგავს ტენდენციას. როგორც ქვემოთ გრაფიკიდან ჩანს, რიკო ექსპრესის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან გენერირებული შემოსავლის ზრდის ტრენდი მიჰყვება სხვა ბაზრის მაჩვენებლებს.

გრაფიკი 32: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, მლნ ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


როგორც ზედა გრაფიკიდან ჩანს, რიკო ექსპრესს წამყვანი პოზიცია უკავია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგების მიხედვით. კერძოდ, 2025 წელს

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ოპერაციებიდან მიღებული ჯამური 28.0 მლნ ლარის წმინდა მოგებიდან 23.4 მლნ ლარი, ანუ დაახლოებით 84%, კომპანიაზე მოდიოდა.

მიუხედავად აღნიშნული პოზიციისა, სავალუტო კონვერტაციის მიმართულებით კომპანიის კონკურენტული გარემო მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებით არ შემოიფარგლება და მოიცავს კომერციულ ბანკებს, მიკრობანკებს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებსა და ციფრულ პლატფორმებს. მათ შორისაა 2023 წელს დაარსებული კომპანია „Kursi.ge“ - ონლაინ ვალუტის კონვერტაციის პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს ვალუტის დისტანციურად გადაცვლის შესაძლებლობას სთავაზობს. 2025 წელს „Kursi.ge“-ის შემოსავლებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 2.6 მლნ ლარი შეადგინა.

სალომბარდო სესხების პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ოქროს ფასის ზრდასთან, ვინაიდან ოქრო წარმოადგენს აღნიშნული სესხების ძირითად უზრუნველყოფის საშუალებას. ოქროს საბაზრო ღირებულების ზრდა ზრდის უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასაც, რის შედეგადაც იგივე მოცულობის ოქროს საფუძველზე შესაძლებელია შედარებით უფრო მაღალი ოდენობის სესხის გაცემა. შესაბამისად, ოქროს ფასის ზრდა ზრდის მსესხებლების საკრედიტო შესაძლებლობას და, მოთხოვნის შენარჩუნების პირობებში, ხელს უწყობს სალომბარდო სესხების პორტფელის მოცულობის ზრდას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოქროს ფასმა უპრეცედენტო ნიშნულებს მიაღწია. 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს და მეორე კვარტლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის შემცირების ტენდენცია შეინიშნება - აღნიშნული გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების ზრდის მომატებულმა მოლოდინებმა და ცენტრალური ბანკებისგან მოსალოდნელზე ნაკლებად მოთხოვნის ზრდამ, თუმცა წლის ბოლოს ოქროს ფასის ზრდის პერსპექტივები კვლავ უცვლელად რჩება.

გრაფიკი 33: ოქროს ფასის დინამიკა წლების მიხედვით, აშშ დოლარში ერთ უნციაზე



წყარო: Bloomberg


ქვემოთ წარმოდგენილია სამი ძირითადი ფაქტორის მიმოხილვა, რომლებმაც 2022 წლიდან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოქროს ბაზრის დინამიკაზე:

1. გეოპოლიტიკური მოვლენები

გლობალური კონფლიქტების ესკალაციამ არსებითად შეცვალა რისკის შეფასების მიდგომა როგორც ინსტიტუციური ინვესტორების, ისე სახელმწიფოების მხრიდან. ოქროს ისტორიული როლი, როგორც უსაფრთხო თავშესაფრის აქტივისა (“safe-heaven”), კიდევ უფრო გაძლიერდა რამდენიმე პარალელურად განვითარებული კრიზისის ფონზე:

- **რუსეთ-უკრაინის ომი:** 2022 წელს დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთის სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყინვა გლობალური ფინანსური სისტემისთვის გარდამტეხ მოვლენად იქცა და ფიზიკური აქტივებისკენ (ამ შემთხვევაში ოქროსკენ) კაპიტალის სწრაფი გადანაცვლება წაახალისა;
- **არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში:** ვინაიდან ახლო აღმოსავლეთში არსებული გეოპოლიტიკური შოკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ ენერგომატარებლების ფასებსა და მიწოდების ჯაჭვებზე, კაპიტალი ბუნებრივად მიემართება ოქროსკენ, როგორც პოტენციური ინფლაციური წნეხის წინმსწრები ჰეჯირების ინსტრუმენტისაკენ;
- **სავაჭრო ტარიფები და დეგლობალიზაცია:** სავაჭრო დამაბულობის გამწვავებამ და მიწოდების ჯაჭვების გეოპოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებამ ინფლაციური მოლოდინები კვლავ მაღალ დონეზე შეინარჩუნა, რამაც ოქროს მოაპოვებინა დამატებითი პრემია, როგორც „all-weather“ ჰეჯირების ინსტრუმენტს;

გრაფიკი 34: გეოპოლიტიკური რისკის ინდექსის დინამიკა, ინდექსის მაჩვენებელი




წყარო: <https://www.matteoiacoviello.com/gpr.htm>

2. ცენტრალური ბანკების მოთხოვნა

ბოლო პერიოდში ოქროს ბაზარზე არსებული მზარდი ტრენდის ყველაზე გარდამტეხი ფაქტორი ცენტრალური ბანკების მხრიდან ფიზიკური ოქროს უწყვეტი აკუმულაცია გახდა - რისი მიზნებიც სუვერენული რეზერვების მართვის სტრუქტურული ცვლილებაა. აღნიშნული რამდენიმე ტენდენციით გამოიხატება:

- ისტორიულად, ცენტრალური ბანკები ყოველწლიურად დაახლოებით 400–500 ტონა ოქროს იძენდნენ. 2022 და 2023 წლებში 1,000 ტონაზე მეტი მოცულობის მკვეთრი ზრდის შემდეგ, წმინდა შესყიდვები კვლავ მაღალი დარჩა - 2025 წელს 863 ტონას მიაღწია და ძლიერი დინამიკა 2026 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა;
- განვითარებადი ბაზრები აქტიურად ახორციელებენ სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციას აშშ დოლარზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით;
- გაზრდილი სანქციური რისკების პირობებში ქვეყნები ცდილობენ ოქროს რეზერვების საკუთარ იურისდიქციაში დაბრუნებას და ადგილობრივად შენახვას, რაც კიდევ უფრო ზღუდავს დასავლურ სავაჭრო ცენტრებში ხელმისაწვდომ ფიზიკური ოქროს მიწოდებას;

გრაფიკი 35: ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს წმინდა შესყიდვები, ტონა/წელი




წყარო: Bloomberg

3. საპროცენტო განაკვეთების მოლოდინები და რეალური შემოსავლიანობის შემცირება

ცენტრალური ბანკების მხრიდან მოთხოვნის ზრდის პარალელურად, ოქროს ფასების ახალ მაქსიმუმამდე განმეორებითი ზრდის მთავარი მამოძრავებელი დასავლური კაპიტალის საინვესტიციო ბაზარზე დაბრუნება გახდა. ქვემოთ ჩამოთვლილია აღნიშნულის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი:

- იმის გამო, რომ ოქროს არ გააჩნია არც საპროცენტო შემოსავალი და დივიდენდი, იგი, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველია მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებში. თუმცა, მაკროეკონომიკური მონაცემების შესუსტებისა და ინფლაციის შენელების ფონზე, ბაზრებმა აქტიურად დაიწყეს იმის გათვალისწინება, რომ 2024, 2025 და შემდგომ წლებში აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა საპროცენტო განაკვეთების შემცირების გახანგრძლივებულ ციკლს გააგრძელებდა;
- საბაზისო საპროცენტო განაკვეთების შემცირების მოლოდინმა ქვემოთ დაწია რეალური შემოსავლიანობა (ინფლაციის გათვალისწინებით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთები). ურისკო („risk-free“) სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის შემცირებამ გამოიწვია კაპიტალის მძლავრი შემოდინება ფიზიკურ ოქროსა და ოქროს საბირჟო ფონდებში (ETF);

გრაფიკი 36: FED-ის მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი, %




ოქროს ბაზრის პერსპექტივა

Bloomberg-ის კონტრიბუტორების მედიანური პროგნოზების მონაცემებზე დაყრდნობით, სტრუქტურული მამოძრავებელი ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების პირობებში, ოქროს გრძელვადიანი პერსპექტივა კვლავ პოზიტიურია და ოქროს ფასმა ერთ უნციაზე 2026 წლის ბოლოსთვის 4,500 აშშ დოლარს უნდა მიაღწიოს.

გეოპოლიტიკური დამაბულობის შესაძლო გამწვავებამ - განსაკუთრებით ირანის, გრენლანდიის ან ვენესუელის კონტექსტში - ასევე დასავლეთის ქვეყნების ფისკალური მდგრადობის მიმართ მზარდმა შეშფოთებამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააჩქაროს გლობალური კაპიტალის დივერსიფიკაცია ტრადიციული აქტივებიდან ოქროს მიმართულებით, რაც დამატებით ხელს შეუწყობს მისი ფასის აღმავალ დინამიკას.

გრაფიკი 37: ოქროს ფასის პროგნოზი, აშშ დოლარი უნციაზე (USD/toz)




კონკურენტული გარემო

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა (ბოლო 4 წლიანი CAGR 7.5%-ს შეადგენს) და 2025 წელს მომხმარებელზე გაცემულმა წმინდა სესხებმა 1,840,773 ათასი ლარი შეადგინა (წლიურად 3.3%-ით შემცირდა, რაც ძირითადად 2025 წლის თებერვალში ერთ-ერთი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკად გარდაქმნას უკავშირდება).

2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოსთვის მომხმარებელზე გაცემულმა წმინდა სესხებმა ზრდა დააფიქსირა და 1,999,623 ათასი ლარი შეადგინა (+32.9% წ/წ) - აღნიშნული ინდუსტრიის ზრდის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წილი აქვს „რიკო ექსპრესის“ შედეგებს. 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით „რიკო ექსპრესი“ ბაზრის 48%-იანი წილის მფლობელია.

გრაფიკი 38: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური წმინდა სესხხო პორტფელი და რიკო ექსპრესის წილი, ათას ლარში:




2025 წელს კომპანიის ბაზრის წილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორში 32.0%-დან 46.6%-მდე, ანუ 14.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა - ამის პარალელურად ბაზრის ზომა 1,904 მილიონი ლარიდან 1,841 მილიონ ლარამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად განპირობებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის მიკრობანკად ტრანსფორმაციით. აღსანიშნავია, რომ გამიკრობანკებული კომპანიების ეფექტის გამოკლებით რიკო ექსპრესის ბაზრის წილი სტაბილურად 40%-ზე ზევითაა და ზრდის ტენდენციას აჩვენებს.


დამატებითი ინფორმაცია მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ბაზრის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სექციაში „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

ცხრილი: რიკო ექსპრესის შედარება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებულ მონაცემებთან, 31 მარტი 2026 წელი:

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგები (რიკო ექსპრესის შედეგების გამოკლებით) 2026 წლის პირველი კვარტლისთვის:



რიკო ექსპრესის საოპერაციო შედეგები 2026 წლის პირველი კვარტლისთვის:



*პირველი კვარტლისთვის ROA და ROE მაჩვენებლები დათვლილია შემდეგი მეთოდოლოგიით: კვარტლის წმინდა მოგება შეფარდებული კვარტლის ბოლოს არსებულ ბალანსური მუხლისა და წლის ბოლოს არსებული ბალანსური მუხლის საშუალო მაჩვენებელთან, გაყოფილი პირველ კვარტალში დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწლიურებული მაჩვენებლები გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების კოეფიციენტების დათვლისას.

**ცხრილში მოცემული რიცხვები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული [მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემებისგან](#) და "რიკო ექსპრესის" [კვარტალური საზედამხედველო ანგარიშებიდან](#). აღნიშნული მონაცემები არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებულ ან აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და შესაძლოა განსხვავდებოდეს აღიარების, შეფასების, კლასიფიკაციისა და წარდგენის პრინციპებით პროსპექტის სხვა სექციებში წარმოდგენილი IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციისგან. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კომპანიის პოზიციონირებისა და საოპერაციო დინამიკის საილუსტრაციო მიზნებისთვის და არ უნდა იქნეს პირდაპირ შედარებული პროსპექტში წარმოდგენილ IFRS-სთან შესაბამისობით მომზადებულ ფინანსურ მაჩვენებლებთან.

2026 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, კომპანია პირველ ადგილზეა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის აქტივების მოცულობით, გაცემული სესხების პორტფელის ზომითა და წლიური მომგებიანობის მაჩვენებლით, მათ შორის 2026 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში კომპანიამ აჩვენა:

- მომხმარებელზე გაცემული სესხების (ნეტო) 11.6%-იანი ზრდა, რაც მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის მაჩვენებელს 5.6 პროცენტული პუნქტით აღემატება;
- მთლიანი აქტივების 5.4%-იანი ზრდა, რაც მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის მაჩვენებელს 0.9 პროცენტული პუნქტით აღემატება;
- ამონაგები საშუალო კაპიტალზე კოეფიციენტის (ROE) 21 პროცენტულ პუნქტიანი ზრდა - შედეგად, კომპანიის ROE 36.1%-ს გაუტოლდა და ინდუსტრიის მაჩვენებელს 17.9 პროცენტული პუნქტით აჭარბებს;

ცხრილი: რიკო ექსპრესის შედარება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებულ მონაცემებთან, 31 დეკემბერი 2025 წელი:

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2025	Δ 2025 vs 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2025	Δ 2025 vs 2024
	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემები (რიკო ექსპრესის გამოკლებით)***			რიკო ექსპრესი		
მომხმარებელზე გაცემული სესხები (ნეტო)	796,957	982,372	23.3%	608,444	858,402	41.1%
მთლიანი აქტივები	967,861	1,174,937	21.4%	724,987	1,058,605	46.0%
მთლიანი კაპიტალი	360,575	413,787	14.8%	312,788	352,287	12.6%
წმინდა მოგება	61,536	79,787	29.7%	50,994	59,825	17.3%
ROA*	6.5%	5.9%	-0.6%	7.7%	6.7%	-1.0%
ROE*	17.6%	18.1%	0.5%	16.4%	18.0%	1.6%

*სრული წლის ROA და ROE მაჩვენებლები დათვლილია პროსპექტის “ძირითადი კოეფიციენტების” სექციაში აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით.
**ცხრილში მოცემული რიცხვები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემებისგან და “რიკო ექსპრესის” კვარტალური საზედამბებლო ანგარიშებიდან. აღნიშნული მონაცემები არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებულ ან აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და შესაძლოა განსხვავდებოდეს აღიარების, შეფასების, კლასიფიკაციისა და წარდგენის პრინციპებით პროსპექტის სხვა სექციებში წარმოდგენილი IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციისგან. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კომპანიის პოზიციონირებისა და საოპერაციო დინამიკის საილუსტრაციო მიზნებისთვის და არ უნდა იქნეს პირდაპირ შედარებული პროსპექტში წარმოდგენილ IFRS-სთან შესაბამისობით მომზადებულ ფინანსურ მაჩვენებლებთან.
***2025 წლის თებერვალში ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი ტრანსფორმირდა მიკრობანკად, შესაბამისად, შედარებადობის მიზნით - 2024 წლის მონაცემებიდან ამოღებულია მიკრობანკი კრისტალის მონაცემები.

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ აჩვენა:

- მომხმარებელზე გაცემული სესხების (ნეტო) 41.1%-იანი ზრდა, რაც მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის მაჩვენებელს 17.8 პროცენტული პუნქტით აღემატება;
- მთლიანი აქტივების 46.0%-იანი ზრდა, რაც მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის მაჩვენებელს 24.6 პროცენტული პუნქტით აღემატება;

ცხრილი: წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 5 კომპანია, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით:

ათასი ლარი	რიკო ექსპრესი	სკაპი	ლიდერ კრედიტი	სმარტ ფინანსი	ვეროკრედიტი
	ს/ნ 205034639	ს/ნ 205274273	ს/ნ 406045649	ს/ნ 212918976	ს/ნ 404919102
	ინდივიდ.	კონსოლიდ.	კონსოლიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.
ფილიალების რაოდენობა	71	38	43	12	27
მთლიანი აქტივები	1,116,291	332,104	248,328	105,686	100,436
წმინდა სასესხო პორტფელი	958,320	290,208	213,958	100,827	92,156
კაპიტალი	381,039	103,948	54,226	34,265	58,374
წმინდა მოგება	32,608	6,288	3,542	1,024	2,748
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე, ROE	36.1%	24.0%	27.4%	12.3%	19.1%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე, ROA	12.2%	7.8%	6.0%	4.0%	10.9%
საპროცენტო განაკვეთის სპრედი	16.7%	19.0%	13.4%	10.7%	26.1%
რისკის ხარჯი	0.9%	2.9%	0.7%	-0.1%	2.6%
საპროცენტო განაკვეთის სპრედი დაკორექტირებული რისკის ხარჯით	15.7%	16.0%	12.7%	10.9%	23.5%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებთან	0.8%	7.2%	1.5%	0.5%	5.0%

მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან	n.a	n.a	n.a	n.a	n.a
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	63.5%	59.5%	75.3%	67.1%	38.6%

*პირველი კვარტლისთვის ROA და ROE მაჩვენებლები დათვლილია შემდეგი მეთოდოლოგიით: კვარტლის წმინდა მოგება შეფარდებული კვარტლის ბოლოს არსებულ ბალანსური მუხლისა და წლის ბოლოს არსებული ბალანსური მუხლის საშუალო მაჩვენებელთან, გაყოფილი პირველ კვარტალში დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწლიურებული მაჩვენებლები გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების კოეფიციენტების დათვლისას.

**ცხრილში მოცემული რიცხვები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული [მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემებისგან](#) და “რიკო ექსპრესის” [კვარტალური საზედამბედველო ანგარიშებიდან](#). აღნიშნული მონაცემები არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებულ ან აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და შესაძლოა განსხვავდებოდეს აღიარების, შეფასების, კლასიფიკაციისა და წარდგენის პრინციპებით პროსპექტის სხვა სექციებში წარმოდგენილი IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციისგან. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კომპანიის პოზიციონირებისა და საოპერაციო დინამიკის საილუსტრაციო მიზნებისთვის და არ უნდა იქნეს პირდაპირ შედარებული პროსპექტში წარმოდგენილ IFRS-სთან შესაბამისობით მომზადებულ ფინანსურ მაჩვენებლებთან.

ცხრილი: წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 5 კომპანია, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	რიკო ექსპრესი	სკაპი	ლიდერ კრედიტი	სმარტ ფინანსი	ვეროკრედიტი
	ს/ნ 205034639	ს/ნ 205274273	ს/ნ 406045649	ს/ნ 212918976	ს/ნ 404919102
	ინდივიდ.	კონსოლიდ.	კონსოლიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.
ფილიალების რაოდენობა	71	36	n.a	n.a	n.a
მთლიანი აქტივები	1,070,375	321,584	n.a	n.a	n.a
წმინდა სასესხო პორტფელი	873,887	279,849	n.a	n.a	n.a
კაპიტალი	348,573	114,923	n.a	n.a	n.a
წმინდა მოგება	67,980	24,036	n.a	n.a	n.a
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე, ROE	20.9%	22.4%	n.a	n.a	n.a
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე, ROA	7.6%	8.5%	n.a	n.a	n.a
საპროცენტო განაკვეთის სპრედი	12.1%	18.2%	n.a	n.a	n.a
რისკის ხარჯი	1.7%	1.7%	n.a	n.a	n.a
საპროცენტო განაკვეთის სპრედი დაკორექტირებული რისკის ხარჯით	10.4%	16.5%	n.a	n.a	n.a
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებთან	0.1%	6.3%	n.a	n.a	n.a
მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან	0.7%	8.1%	n.a	n.a	n.a
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	64.2%	63.7%	n.a	n.a	n.a

*სრული წლის ROA და ROE მაჩვენებლები დათვლილია პროსპექტის “პირითადი კოეფიციენტების” სექციაში აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით.

**ცხრილში მოცემული რიცხვები აღებულია [reportal.ge](#)-დან კომპანიების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან.

ცხრილი: წმინდა საკრედიტო პორტფელის მიხედვით ტოპ 5 კომპანია, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	რიკო ექსპრესი	სკაპი	ლიდერ კრედიტი	სმარტ ფინანსი	ვეროკრედიტი
	ს/ნ 205034639	ს/ნ 205274273	ს/ნ 406045649	ს/ნ 212918976	ს/ნ 404919102
	ინდივიდ.	კონსოლიდ.	კონსოლიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.
ფილიალების რაოდენობა	67	35	44	11	20
მთლიანი აქტივები	725,256	244,014	200,690	83,449	76,717
წმინდა სასესხო პორტფელი	617,400	215,727	167,602	79,136	67,763
კაპიტალი	301,777	99,380	42,257	24,948	51,705
წმინდა მოგება	49,705	21,233	5,344	4,786	11,837
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე, ROE	16.1%	23.1%	14.4%	21.2%	25.1%

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე, ROA	7.4%	9.0%	3.6%	6.1%	15.8%
საპროცენტო განაკვეთის სპრედი	11.7%	18.5%	7.7%	7.3%	18.7%
რისკის ხარჯი	0.0%	1.6%	-0.9%	-0.1%	0.7%
საპროცენტო განაკვეთის სპრედი დაკორექტირებული რისკის ხარჯით	11.7%	16.9%	8.7%	7.4%	18.0%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებთან	0.1%	7.0%	3.3%	0.1%	7.9%
მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან	0.2%	9.6%	4.3%	0.6%	6.7%
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	55.4%	58.4%	78.8%	70.0%	30.4%

*ზრული წლის ROA და ROE მაჩვენებლები დათვლილია პროსპექტის "ძირითადი კოეფიციენტების" სექციაში აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით.

**ცხრილში მოცემული რიცხვები აღებულია reportal.ge-დან კომპანიების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან.

კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

1. უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან;
2. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) - წმინდა მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან;
3. საპროცენტო განაკვეთის სპრედი - შემოსავლიანობა პორტფელზე (საპროცენტო შემოსავალი (მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან) შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე, მთლიანი) - გამოკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (ხარჯები მოზიდულ სესხებზე შეფარდებული საშუალო მოზიდულ სახსრებთან);
4. რისკის ხარჯი - პერიოდის გაუფასურების ზარალი შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე);
5. საპროცენტო განაკვეთის სპრედი დაკორექტირებული რისკის ხარჯით - საპროცენტო განაკვეთის სპრედს დაკლებული რისკის ხარჯი
6. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან სესხებთან - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი შეფარდებული მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
7. მე-3 სტადიის სესხები მთლიან სესხებთან - მე-3 სტადიის სესხები შეფარდებული მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაკლებამდე;
8. მთლიანი ვალის კოეფიციენტი - კომპანიის მოზიდული სახსრები შეფარდებული მთლიან აქტივებთან;

იმ შემთხვევაში, როცა ხდება პირველი კვარტლის შედეგების კალკულაცია გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგია: კვარტლის მოგება-ზარალის მუხლი შეფარდებული კვარტლის ბოლოს არსებულ ბალანსის მუხლისა და წლის ბოლოს არსებული ბალანსის მუხლის საშუალო მაჩვენებელთან, გაყოფილი პირველ კვარტალში დღეების რაოდენობაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწლიურებული მაჩვენებლები გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების კოეფიციენტების დათვლისას. აღნიშნული მეთოდოლოგიით გაწლიურებული მაჩვენებლები გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების კოეფიციენტების დათვლისას.

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2025 და 2024 წლებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. დეტალური ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, გაეცნოთ ფინანსურ ანგარიშგებას და მის შენიშვნებს. 2025 და 2024 მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის **არამოდიფიცირებული**.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ კომპანიაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: 1) დამფუძნებელმა განახორციელა კაპიტალში დამატებითი შენატანი 10,000,000 ლარის ოდენობით; 2) დამფუძნებელზე გაცემული დივიდენდების ოდენობამ შეადგინა 10,080,000 ლარი; 3) დაიფარა დამფუძნებლისგან მიღებული სუბორდინირებული სესხი 25,000,000 ლარის ოდენობით, ხოლო ახალი სუბორდინირებული სესხი მიღებულ იქნა 35,000,000 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

„ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2025 და 2024 წლებისთვის მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად - პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია „ემიტენტის“ აუდიტირებული ანგარიშგების სექციაში „სააღრიცხვო პოლიტიკა“. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული.

გარდა პროსპექტში ნაჩვენები ფინანსური ანგარიშგებებისა „ემიტენტი“ თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს კვარტალურ არააუდიტირებულ ანგარიშგებას. აღნიშნული ანგარიშგებები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [დოკუმენტები | რიკო კრედიტი](#)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	142,519	68,264
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,003	-
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	262
მომხმარებელზე გაცემული სესხები	873,887	617,400
აქტივის გამოყენების უფლება	9,302	5,081
ძირითადი საშუალებები	17,263	18,013
არამატერიალური აქტივები	732	816
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	276
სხვა აქტივები	19,669	15,144
სულ აქტივები	1,070,375	725,256
ვალდებულებები		

გამოშვებული მარტივი თამასუქები	159,077	145,722
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	3,615	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	211	-
ნასესხები სახსრები	304,588	99,258
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	190,756	128,907
საიჯარო ვალდებულებები	8,186	3,154
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	4,569	4,517
სუბორდინირებული ვალი	25,000	25,000
სხვა ვალდებულებები	25,800	16,921
სულ ვალდებულებები	721,801	423,479
საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	25,000	1,584
გაუნაწილებელი მოგება	323,573	300,193
სულ საკუთარი კაპიტალი	348,573	301,777
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,070,375	725,256

სულ აქტივები:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული აქტივები 1,070,375 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 47.6%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდით. აქტივების 82% მომხმარებლებზე გაცემული სესხებია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული აქტივები 725,256 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 18.9%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდით. აქტივების 85% მომხმარებლებზე გაცემული სესხებია.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები:

მომხმარებელზე გაცემული სესხების პორტფელი იყოფა ორ ძირითად კატეგორიად - სალომბარდო და იპოთეკურ სესხებად.

კომპანია რამდენიმე წელია აღარ გასცემს იპოთეკურ სესხებს და აღნიშნული მიმართულება ამოღებულია მისი სტრატეგიული პრიორიტეტებიდან. ამის შესაბამისად, იპოთეკური სესხების წილი მომხმარებელზე გაცემული სესხების პორტფელში ყოველწლიურად მცირდება და მისი მართვა შემოიფარგლება მხოლოდ არსებული სესხების ადმინისტრირებითა და განრიგით მომსახურებით.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სასესხო პორტფელი პერიოდების მიხედვით:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სალომბარდო სესხები	869,854	609,960
იპოთეკური სესხები	5,261	8,058
მომხმარებელზე გაცემული სესხები, მთლიანი	875,115	618,018
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სალომბარდო სესხებზე	(1,096)	(599)
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იპოთეკურ სესხებზე	(132)	(19)
მომხმარებელზე გაცემული სესხები, სალომბარდო	868,758	609,361
მომხმარებელზე გაცემული სესხები, იპოთეკური	5,129	8,039
მომხმარებელზე ჯამურად გაცემული სესხები	873,887	617,400

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კოეფიციენტი*	0.14%	0.10%
---	-------	-------

*სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კოეფიციენტი ითვლება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ფარდობა მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი)

კომპანიის სასესხო პორტფელის ზრდა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით. მათ შორის აღსანიშნავია გააქტიურებული მარკეტინგული კამპანიები, რომლებიც მიმართულია როგორც მომხმარებელთა ბაზის გაფართოების, ისე ბრენდის ცნობადობის გაძლიერებისკენ.

ამასთან, პორტფელის ზრდას ხელს უწყობს გაყიდვების არხების გაფართოებაც, რაც საქართველოს მასშტაბით ახალი ფილიალების გახსნას და, შესაბამისად, კომპანიის სერვისებზე მომხმარებელთა ხელმისაწვდომობის ზრდას გულისხმობს.

დამატებით, საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს ფასის ზრდამ პოზიტიური გავლენა იქონია გაცემული სესხების მოცულობაზე, ვინაიდან კომპანიის სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი ოქროთი არის უზრუნველყოფილი და უზრუნველყოფის ღირებულების ზრდამ მომხმარებლებს უფრო მაღალი მოცულობის სესხების მიღების შესაძლებლობა მისცა.

ამასთანავე, პერიოდების განმავლობაში კომპანიის სასესხო პორტფელის ზრდა განპირობებულია არა მხოლოდ ოქროს ფასის ცვლილებით, არამედ ბაზარზე სალომბარდო სესხებზე მოთხოვნისა და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდითაც. ემიტენტის შიდა საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს უზრუნველყოფის შეფასებისა და სესხის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრულ ლიმიტებს (რომელიც ნებისმიერ მომენტში იმ დროისთვის არსებულ ოქროს ფასზე 15%-ით დაბალია), რის გამოც ოქროს ფასის ზრდა შესაბამისი ზღვრის ზემოთ სესხის მოცულობაზე სრულად და პროპორციულად არ აისახება. შესაბამისად, პორტფელის შემდგომი ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ახალი მომხმარებლების მოზიდვასა და არსებული მომხმარებლების მხრიდან სესხებზე მოთხოვნის ზრდაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხები (მთლიანი) 875,115 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 41.6%-ით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ფარდობა მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი) 0.14%-ია, რაც წლიდან წლამდე 0.04 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია. შედეგად, მომხმარებელზე გაცემულმა სესხებმა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 873,887 ათასი ლარი შეადგინა და წლის განმავლობაში 41.5%-ით გაიზარდა. 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა 4 ფილიალი და მსესხებელ მომხმარებელთა რაოდენობა გაეზარდა 17,500-ით (211,000 მსესხებელ მომხმარებელამდე).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხები (მთლიანი) 618,018 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 31.7%-ით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ფარდობა მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი) 0.10%-ია, რაც წლიდან წლამდე 0.22 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. შედეგად, მომხმარებელზე გაცემულმა სესხებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 617,400 ათასი ლარი შეადგინა და წლის განმავლობაში 32.0%-ით გაიზარდა. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა 12 ფილიალი და მომხმარებელთა რაოდენობა გაეზარდა 9,600-ით (194,000 მსესხებელ მომხმარებელამდე).

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალომბარდო სესხები მომხმარებელზე გაცემული სესხების (მთლიანი) 99.4%-ს და 98.7%-ს შეადგენს.

გაცემული სესხების ხარისხისა და პორტფელის სიჯანსაღის მზომი არის ვადაგადაცილების კოეფიციენტები. PAR კოეფიციენტები პირდაპირ კავშირშია საკრედიტო რისკსა და საჭირო რეზერვებთან.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების სტატისტიკა 2025 და 2024 წლებში:

(ათას ლარში)	0-30 დღიანი ვადაგადაცილება	30-60 დღიანი ვადაგადაცილება	60-90 დღიანი ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
31 დეკემბერი 2025	858,730	10,286	3,888	2,212	875,115
31 დეკემბერი 2024	612,633	4,319	1,026	40	618,018

კომპანიის მიერ მომხმარებლებზე გაცემული სესხების ხარისხის მზომი კოეფიციენტები წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
NPL³	0.69%	0.17%
PAR90⁴	0.25%	0.01%

როგორც კოეფიციენტების ცხრილიდან ჩანს, კომპანია მეტნაკლებად ინარჩუნებს ჯანსაღი ვადაგადაცილების მაჩვენებლებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, NPL (მე-3 სტადიის სესხების) კოეფიციენტი გაუარესებულია 0.52 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 0.69%-ს, ხოლო PAR90 კოეფიციენტი გაუარესებულია 0.25 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 0.25%-ს - აღნიშნული გაუარესება არამატერიალურია: PAR90 პორტფელი გაზრდილია 2,172 ათასი ლარით, ხოლო, NPL - 4,990 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებლები 2023 წლის მონაცემებთან შედარებით გაუმჯობესებულია (2023 NPL: 0.88%; 2023 PAR90: 0.45%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, PAR90 კოეფიციენტი გაუმჯობესებულია 0.45 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 0.01%-ს.

ზემოთ ნაჩვენები პორფელის ხარისხის მაჩვენებლებში გაუმჯობესება უმეტესად უკავშირდება ვადაგადაცილებული / პრობლემური სესხების ჩამოწერას და ამ გზით - პორტფელის გაჯანსაღებას.

სალომბარდე სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებითა და ქვებით, ხოლო იპოთეკური - უძრავი ქონებით ვადაგადაცილების მაჩვენებელთან ერთად, კომპანია გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხს აფასებს უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის კოეფიციენტის საფუძველზეც. კომპანიის გაცემული სესხის საბალანსო ღირებულების უზრუნველყოფის ღირებულებასთან ფარდობის კოეფიციენტი (Value-to-Loan) 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
>200%	52,666	22,131
200%-125%	284,132	190,867
125%-100%	524,326	390,462
100%-95.2%	4,759	3,200
95.2%-90.9%	1,961	1,275
90.9%-83.3%	1,984	8,922
<83.3%	5,288	1,161
სულ	875,115	618,018

2025 წლის 31 დეკემბრისთვის იმ სესხების ჯამი, რომელთა უზრუნველყოფის ღირებულება სესხის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, შეადგენს 13,992 ათას ლარს და წარმოადგენს მთლიანი სასესხო პორტფელის 1.6%-ს (2024 წლის 31 დეკემბრისთვის: 14,558 ათასი ლარი და 2.4%, შესაბამისად).

აღნიშნული სესხების დაბალი VTL მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

³ NPL ითვლება როგორც მე-3 სტადიის მომხმარებელზე გაცემული სესხების ფარდობა ჯამურ მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი)

⁴ PAR90 ითვლება როგორც 90 დღით და მეტით ვადაგადაცილებული მომხმარებელზე გაცემული სესხების ფარდობა ჯამურ მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი)


ა) ისტორიული იპოთეკური სესხები - დაბალი VTL-იანი პორტფელი მოიცავს იპოთეკურ სესხებსაც, რომელთა გაცემა კომპანიამ 2017 წლიდან შეწყვიტა. შესაბამისი უძრავი ქონების უზრუნველყოფის ღირებულება ასახულია თავდაპირველი შეფასების საფუძველზე და შემდგომ პერიოდში მისი რეგულარული გადაფასება არ განხორციელებულა. შესაბამისად, VTL-ის გაანგარიშებისას გამოყენებული უზრუნველყოფის ღირებულება შესაძლოა ჩამორჩებოდეს მის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას, რაც ისახება დაბალ VTL-ში.

ბ) ვადაგადაცილებული სესხები - დაბალ VTL-იან პორტფელში ასევე შედის ვადაგადაცილებული სესხები, რომელთა დავალიანების მიმდინარე მოცულობა, ძირითადი თანხის გარდა, მოიცავს დარიცხულ პროცენტსა და ჯარიმას. აღნიშნული თანხების დარიცხვის შედეგად სესხის მთლიანი მოცულობამ შესაძლოა გადააჭარბოს უზრუნველყოფის ღირებულებას, რაც იწვევს VTL მაჩვენებლის 100%-ზე ქვემოთ ჩამოსვლას.


შესაბამისად, 100%-ზე დაბალი VTL მაჩვენებელი, არ მიუთითებს, რომ აღნიშნული სესხები თავიდანვე არასაკმარისი უზრუნველყოფით გაიცა. ეს გამოწვეულია უზრუნველყოფის ისტორიული ღირებულების გამოყენებითა და სესხის გაცემის შემდეგ ვადაგადაცილების შედეგად დაგროვილი პროცენტებისა და საჯარიმო თანხების ზრდით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალომბარდო სესხების ფარგლებში უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ძვირფასი ლითონების სამართლიანი ღირებულება უდრიდა 1,442,660 ათას ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 708,644 ათასი ლარი). სესხებისთვის მთლიანი საბალანსო ღირებულებით 365,936 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 231,985 ათასი ლარი) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გამო არ მომხდარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება.

გრაფიკზე მოცემულია VTL მაჩვენებლები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფაში არსებული გირავნობის საგნების ღირებულება შემდეგნაირად აღემატება მომხმარებელზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას (Value-to-Loan Ratio):



გრაფიკზე მოცემულია VTL მაჩვენებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფაში არსებული გირავნობის საგნების ღირებულება შემდეგნაირად აღემატება მომხმარებელზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას (Value-to-Loan Ratio):



ზემოთ მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, რომ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის 1.6%-ს (2024 31 დეკემბერი: 2.4%-ს) აქვთ იმაზე ნაკლები ღირებულების უზრუნველყოფა, ვიდრე სესხის საბალანსო ღირებულებაა.

კომპანია აგირავენს მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს როგორც ბანკებისგან ნასესხები სახსრების ისე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის სახით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

ძირითადი საშუალებები:

კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება მიწა და შენობა-ნაგებობებისგან, კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობისგან, საოფისე აღჭურვილობისგან და ავტოსატრანსპორტო საშუალებებისგან

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები 17,263 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე შემცირებულია 4.2%-ით. აღნიშნული კლება უმეტესად უკავშირდება 2,459 ათასი ლარის შენობა-ნაგებობებისა და 1,400 ათასი ლარის საოფისე აღჭურვილობის გასვლას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები 18,013 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 11.7%-ით. აღნიშნული კლება უმეტესწილად უკავშირდება მიწა და შენობა-ნაგებობებისა და საოფისე აღჭურვილობის საბალანსო ღრებულებების 5.7%-იან და 53.7%-იან კლებას, შესაბამისად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 662 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 662 ათასი ლარი) დაგირავებულია ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით.

აქტივების გამოყენების უფლება:

აქტივების გამოყენების უფლება მოიცავს შენობა-ნაგებობებსა და საოფისე ფართებს, რომლებიც წარმოდგენილია ფილიალების ქსელის სახით ქვეყნის მასშტაბით. საიჯარო ხელშეკრულებები მეტწილად ლარში და აშშ დოლარშია გამოხატული და მათი სახელშეკრულებო ვადები 1–დან 10 წლამდეა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული აქტივების გამოყენების უფლება 9,302 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 83.1%-ით. 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიმატა და გადაიხადა 10,116 ათასი ლარის და 5,715 ათასი ლარის საიჯარო ვალდებულება, შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული აქტივების გამოყენების უფლება 5,081 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე შემცირებულია 4.0%-ით. 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიმატა და გადაიხადა 2,045 ათასი ლარის და 3,630 ათასი ლარის საიჯარო ვალდებულება, შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 142,519 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 108.8%-ით. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, განპირობებულია კომპანიის მიერ 2025 წლის ბოლოს დამატებითი სასესხო რესურსების მოზიდვით - რაც პირდაპირ კავშირშია კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდის სწრაფ ტემპთან - მათ შორის 2025 წლის დეკემბერში გამოშვებული ობლიგაციებით, რომლის მხოლოდ ნაწილი მოხმარდა 2026 წლის მარტში ვადამოსული ობლიგაციების ნაწილობრივ რეფინანსირებას. ამასთანავე, პერიოდის განმავლობაში კომპანიამ ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მოიზიდა 571,667 ათასი ლარის სახსრები და დაფარა 383, 694 ათასი ლარის სესხები. კომპანიის ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით, დავალიანების აღებასა და მომხმარებელზე სესხის გაცემას შორის გარკვეული დროითი სხვაობა - რაც იწვევს იმას, რომ მანამ, სანამ კომპანია მოზიდულ სახსრებს პორტფელის გასაზრდელად მიმართავს, ბალანსზე მაღალი მოცულობის ფულადი სახსრები უფიქსირდება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 68,264 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 24.2%-ით.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები იყოფა ორ ქვე-კატეგორიად: ნაღდი ფული სალაროში და მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფული სალაროში ჯამური ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების 45.2% და 43.3%-ს შეადგენდა, შესაბამისად.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშების 99% (2024 წლის 31 დეკემბერი: 98%) განთავსებულია ორ ქართულ ბანკში, რომლებსაც Fitch Ratings-ისგან მიღებული აქვთ „BB“ შეფასება.

წარმოებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

კომპანია როგორც სავალუტო რისკის შესამცირებლად, ისე საკურსო სხვაობიდან მოგების მიღების მიზნით (სპეკულაციურად) იყენებს სავალუტო სვოპებს. სავალუტო სვოპი სახელშეკრულებო შეთანხმებაა ორ მხარეს შორის, უცხოური ვალუტის განაკვეთებში მოძრაობების აღსარიცხად, კონკრეტული პირობითი თანხის საფუძველზე.

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
	სამართლიანი ღრებულება			სამართლიანი ღრებულება		
	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება
სავალუტო სვოპი ადგილობრივი	194,366	-	211	107,699	262	-

ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. პირობითი თანხები ასახავს განუხორციელებელ ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო სვოპის ხელშეკრულება კომპანიისთვის ვალდებულებას წარმოადგენს და 211 ათას ლარს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო სვოპის ხელშეკრულება კომპანიისთვის აქტივს წარმოადგენს და 262 ათას ლარს შეადგენს.

სხვა აქტივები:

სხვა აქტივები მოიცავს მოთხოვნებს ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ, სხვა მოთხოვნებსა და ავანსებს, დასაკუთრებულ სამკაულებს და სხვა ფინანსურ/არაფინანსურ აქტივებს.


მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ ფორმირდება ფულადი გზავნილების ოპერაციების განხორციელების პროცესში. ეს თანხები მოიცავს პარტნიორი კომპანიების დავალიანებას რიკოს მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოთხოვნები ხასიათდება მაღალი ლიკვიდურობით - სტანდარტული ციკლი ითვალისწინებს დავალიანების დაფარვას 5 სამუშაო დღემდე ვადაში.

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სხვა ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ	2,243	2,243
სხვა მოთხოვნები და ავანსები	6,304	1,395
საგადასახადო აქტივები	1,957	-
	10,504	3,638
სხვა არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული სამკაულები	2,208	3,056
იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება	10,291	10,303
შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-3,334	-1,853
	9,165	11,506
სულ სხვა აქტივები	19,669	15,144

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა აქტივები 19,669 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 29.9%-ით. აღნიშნული ზრდა უმეტესად გამოწვეულია სხვა მოთხოვნებისა და ავანსების 351.9%-იანი ზრდით, რაც ძირითადად ჩამოწერილი სესხების უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღები თანხების ზრდას უკავშირდება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა აქტივები 15,144 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე შემცირებულია 16.4%-ით. აღნიშნული კლება ძირითადად გამოწვეულია ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ არსებული მოთხოვნების 78.9%-იანი კლებით. სხვა აქტივების კლება დააბალანსა იპოთეკით დატვირთული ქონების 72.7%-იანმა ზრდამ.

სულ ვალდებულებები:



*სხვა ვალდებულებები მოიცავს: მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებს, წარმოებული ფინანსური ვალდებულებებს, გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებას და სხვა ფინანსურ/არაფინანსურ ვალდებულებებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ვალდებულებები 721,802 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 70.4%-ით. ზრდა უმეტესად გამოწვეულია ნასესხების სახსრების ზრდით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ვალდებულებები 423,479 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 43.7%-ით. ზრდა უმეტესად გამოწვეულია ნასესხების სახსრების და თამასუქების ზრდით.

2025 წლის განმავლობაში, კომპანიის ვალდებულებების უმეტესი ნაწილი ქართული კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრები წარმოადგენს. 2025 წელს ნასესხები სახსრები ჯამური ვალდებულებების 42.2%-ს შეადგენს.

2024 წელს, კომპანიის ვალდებულებების უმეტესი ნაწილს გამოშვებული მარტივი თამასუქები შეადგენდა, რომელიც მთლიანი ვალდებულებების 34.4% იყო.

ნასესხები სახსრები:

კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრები წარმოადგენს ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრები 304,588 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 206.9%-ით. 2025 წელს კომპანიამ დაიმატა 571,667 ათასი ლარი სესხები და გადაიხადა ძირი 383,694 ათასი ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული ნასესხები სახსრები 99,258 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 135.3%-ით. 2024 წელს კომპანიამ დაიმატა 187,000 ათასი ლარი სესხები და გადაიხადა ძირი 130,081 ათასი ლარი.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის ნასესხები სახსრების შესახებ იხილეთ პროსპექტის სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები:

“ემიტენტმა“ 2023 წლის 17 მარტს გამოუშვა 3-წლიანი ლარში დენომინირებული არასუბორდინირებული, სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები - 130 მილიონი ლარის ოდენობით. ობლიგაციების კუპონის განაკვეთი TIBR+2%-ს შეადგენდა. 2025 წლის განმავლობაში ემიტენტმა ჯამური 130 მილიონი ლარის ობლიგაციებიდან დაფარა 58 მილიონი ლარის ობლიგაციები, ხოლო პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ობლიგაციები სრულად ჩაფარულია. ობლიგაციების ემისიის პროსპექტისა და გამოშვების პირობების ნახვა შესაძლებელია [ლინკზე](#).

“ემიტენტმა“ 2025 წლის 9 დეკემბერს გამოუშვა 5-წლიანი ლარში დენომინირებული არასუბორდინირებული, სასესხო პორტფელით ნაწილობრივ უზრუნველყოფილი ობლიგაციები - 200 მილიონი ლარის ოდენობით. ობლიგაციების კუპონის განაკვეთი TIBR+3%-ს შეადგენდა. 2025 წლის განმავლობაში ემიტენტმა ჯამური 200 მილიონის ობლიგაციებიდან განათავსა 120 მილიონი ლარი, საიდანაც 58 მილიონი ლარი 2025 წელსვე მიმართა ძველი, 2026 წლის 17 მარტს ვადამოსული, ობლიგაციების დასარეფინანსირებლად. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების მეორე ნაწილის რეფინანსირება მოხდა 2026 წელს, შესაბამისად - კომპანიამ თავდაპირველად არ შეასრულა მოზიდული სახსრების გამოყენების მოთხოვნა (ობლიგაციების წინასწარ ჩაფარვასთან დაკავშირებით), თუმცა დარღვევა არსებითი არ ყოფილა რადგან საბოლოო მიზანი (ძველი ობლიგაციების ჩაფარვა) მალევე იქნა მიღწეული.

ობლიგაციების ემისიის პროსპექტისა და გამოშვების პირობების ნახვა შესაძლებელია [ლინკზე](#).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 190,756 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 48.0%-ით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 128,907 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე შემცირებულია 0.6%-ით.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შესახებ იხილეთ პროსპექტის სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

გამოშვებული მარტივი თამასუქები:

„ემიტენტი“ იყენებს მარტივი თამასუქების პროდუქტს, რომლის ძირის დაფარვაც ვადის ბოლოს ხდება. თამასუქები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გამოშვებული მარტივი თამასუქები 159,077 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 9.2%-ით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გამოშვებული მარტივი თამასუქები 145,722 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 44.4%-ით.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (ძირითადად, ერთწლიანი) პროცენტის მარტივი თამასუქები, რომლებიც გამოხატული იყო ლარში, ევროსა და აშშ დოლარში:

(ათას ლარში)		31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აშშ დოლარი	3% - 7%	106,837	89,522
ლარი	12% - 13%	2,059	54,740
ევრო	3.50%	50,180	1,460
სულ		159,077	145,722

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის გამოშვებული მარტივი თამასუქების შესახებ იხილეთ პროსპექტის სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

სუბორდინირებული ვალი:

2024 წლის 5 აგვისტოს კომპანიამ მფლობელისგან მიიღო ლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი წლიური 11.78% საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაფარვის ვადაა 2034 წლის აგვისტო. სუბორდინირებული სესხები კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს წარმოადგენს.

შესაბამისად, 2024 წლისა და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბალანსო ანგარიშგება მოიცავს 25,000 ათასი ლარის სუბორდინირებულ ვალს.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის სუბორდინირებული ვალის შესახებ იხილეთ პროსპექტის სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

სხვა ვალდებულებები:

სხვა ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს ფულადი გზავნილების საქმიანობიდან, მომხმარებელზე გაცემულ სესხებზე გადახდილ ავანსებს, დასაქმებულ პირთა გასამრჯელოს ვალდებულებებსა და სხვა ფინანსურ/არაფინანსურ ვალდებულებებს - მათ შორის კლიენტების მიერ სესხების წინსწრებით დასაფარად ან ზედმეტობით შემოტანილ თანხებს.

ფულადი გზავნილების საქმიანობიდან ვალდებულებები ფორმირდება ფულადი გზავნილების ოპერაციების განხორციელების პროცესში. ეს თანხები მოიცავს ვალდებულებებს პარტნიორი კომპანიების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა მომხმარებლების მიერ განხორციელებული გადარიცხვების, მისაღები ან გასაცემი თანხების

ანგარიშსწორების შედეგად. აღნიშნული ვალდებულებები, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათისაა და იფარება სტანდარტული საოპერაციო ციკლის ფარგლებში.

სხვა ვალდებულებების ჩაშლა 2025 და 2024 წლებისთვის:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები და უზრუნველყოფილი ანაზრები ფულადი გზავნილების საქმიანობიდან	6,343	2,084
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე გადახდილი ავანსები	5,762	5,128
	12,105	7,212
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	-	1,596
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოს ვალდებულება	2,052	5,036
სხვა	11,643	3,077
	13,695	9,709
სულ სხვა ვალდებულებები	25,800	16,921

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული სხვა ვალდებულებები 25,800 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 52.5%-ით. აღნიშნული ზრდა განაპირობა ფულადი გზავნილების საქმიანობიდან ვალდებულებებისა და უზრუნველყოფილი ანაზრებს 204.4%-იანმა და სხვა არაფინანსური ვალდებულებების 278.4%-იანმა ზრდამ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე არსებული სხვა ვალდებულებები 16,921 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 64.6%-ით. აღნიშნული ზრდა განაპირობა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე გადახდილი ავანსების 191.5%-იანმა ზრდამ. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სხვა არაფინანსური ვალდებულებებიც ჯამურად 199.3%-ით გაიზარდა.

საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება უმეტესწილად გაუნაწილებელი მოგებისგან და ასევე საწესდებო კაპიტალისგან - იზრდება პერიოდის მთლიანი სრული შემოსავლით და მცირდება გამოცხადებული დივიდენდით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი 348,573 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე გაზრდილია 15.5%-ით, რაც როგორც საწესდებო კაპიტალის ზრდით, ისე წლის გაუნაწილებელი მოგებით არის გამოწვეული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი 301,777 ათას ლარს შეადგენს და წლიდან წლამდე შემცირებულია 4.3%-ით, რაც გაუნაწილებელი მოგების კლებითაა გამოწვეული.

კომპანიამ 2025 წლის განმავლობაში გამოაცხადა და გადაიხადა 44,600 და 61,849 ათასი ლარის დივიდენდები, შესაბამისად, ხოლო 2024 წელს გამოაცხადა და გადაიხადა - 63,180 ათასი ლარი.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება:

(ათას ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	1,584	298,960	300,544
წლის მოგება		49,770	49,770
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		49,770	49,770
გამოცხადებული დივიდენდები	-	-35,062	-35,062
2023 წლის 31 დეკემბერი	1,584	313,668	315,252
წლის მოგება		49,705	49,705
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		49,705	49,705
გამოცხადებული დივიდენდები		-63,180	-63,180
2024 წლის 31 დეკემბერი	1,584	300,193	301,777
საწესდებო კაპიტალის ზრდა	23,416	-	23,416
წლის მოგება	-	67,980	67,980
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	23,416	67,980	91,396
გამოცხადებული დივიდენდები	-	-44,600	-44,600
2025 წლის 31 დეკემბერი	25,000	323,573	348,573

სრული შემოსავლის ანგარიშგება:

(ათასი ლარში)	2025	2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
შემოსავალი		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და	171,978	112,865
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,226	4,078
სულ საპროცენტო შემოსავალი	174,204	116,943
საპროცენტო ხარჯი		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-13,689	-13,186
ნასესხები სახსრები	-21,262	-6,844
მარტივი თამასუქები	-14,663	-8,468
სუბორდინირებული ვალი	-2,945	-1,195
საიჯარო ვალდებულებები	-683	-481
სულ საპროცენტო ხარჯი	-53,242	-30,174
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	120,962	86,769
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (დანარიცხი)/გაუქმება	-12,555	-265
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ	108,407	86,504
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	9,599	6,901
საკომისიო ხარჯები	-1,763	-1,527
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი):		
სავალუტო ოპერაციები	23,433	18,644
საკურსო სხვაობა	4,581	-2,410
ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-4,685	-2,740
შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი	1,513	1,042
არასაპროცენტო შემოსავალი	32,678	19,910
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	-33,680	-28,324
ცვეთა და ამორტიზაცია	-4,043	-5,342
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-18,940	-9,410
მარაგების ჩამოწერა	-1,493	-1,040
არასაპროცენტო ხარჯი	-58,156	-44,116
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	82,929	62,299
მოგების გადასახადის ხარჯი	-14,949	-12,594
წლის მოგება	67,980	49,705
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	67,980	49,705

საპროცენტო შემოსავალი:

2025 წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალმა 174,204 ათასი ლარი შეადგინა და გაიზარდა 49.0%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის 41.5%-იანი ზრდით. 2025 წელს კომპანიის სესხების მომგებიანობის კოეფიციენტი (Loan Yield) ⁵ 23.0%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 2.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. აღნიშნული ზრდა კომპანიის მიერ 24%-იანი სესხების აქტიურ გაცემას უკავშირდება.

2024 წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალმა 116,943 ათასი ლარი შეადგინა და გაიზარდა 15.6%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის 32.0%-იანი ზრდით. 2024 წელს კომპანიის სესხების მომგებიანობის კოეფიციენტი (Loan Yield) 20.8%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

საპროცენტო ხარჯი:

საპროცენტო ხარჯი მოიცავს ნასესხებ სახსრებზე, გამოშვებულ მარტივ თამასუქებზე, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე, სუბორდინირებულ ვალსა და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

2025 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯმა 53,242 ათასი ლარი შეადგინა და გაიზარდა 76.4%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია წლის განმავლობაში ნასესხები სახსრების ზრდით.

2025 წელს კომპანიის მოზიდული სახსრების საფინანსო ხარჯის კოეფიციენტი (Cost of Fund) ⁶ 10.9%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. მოზიდული სახსრების საფინანსო ხარჯის კოეფიციენტის ზრდის მიზეზი ბანკებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიო ხარჯებიცაა, რაც 2025 წლის განმავლობაში 2024 წელთან შედარებით დაახლოებით 11-ჯერ მეტი იყო და 6,300 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯმა 30,174 ათასი ლარი შეადგინა და გაიზარდა 22.7%-ით, რაც უმეტესად გამოწვეულია წლის განმავლობაში ნასესხები სახსრების ზრდით.

2024 წელს კომპანიის მოზიდული სახსრების საფინანსო ხარჯის კოეფიციენტი (Cost of Fund) 9.1%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. მოზიდული სახსრების საფინანსო ხარჯის კოეფიციენტის კლების მიზეზი ბანკებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიო ხარჯებიცაა, რაც 2024 წლის განმავლობაში 2023 წელთან შედარებით დაახლოებით 60%-ით ნაკლები იყო და 582 ათასი ლარი შეადგინა.

წმინდა საპროცენტო შემოსავალი:

წმინდა საპროცენტო შემოსავალი არის საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯების სხვაობა.

2025 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 39.4%-ით და შეადგინა 120,962 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალი მზარდ ტრენდს ინარჩუნებს, 2025 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა შემცირებულია 11.7 პროცენტული პუნქტით (2025: 62.2%, 2024: 74.0%), რაც გამოწვეულია იმით, რომ i) 2025 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც -12,555 ათას ლარს შეადგენს და ii) ჯამური საპროცენტო ხარჯები უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ვიდრე ჯამური შემოსავლები.


⁵ სესხების მომგებიანობის კოეფიციენტი ითვლება, როგორც საპროცენტო შემოსავალი (მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან) / საშუალო მომხმარებელზე გაცემულ სესხებზე (მთლიანი)

⁶ მოზიდული სახსრების საფინანსო ხარჯის კოეფიციენტი ითვლება როგორც მოზიდული სახსრების ხარჯი / საშუალო მოზიდულ სახსრებზე (ნასესხები სახსრები, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, გამოშვებული მარტივი თამასუქები, სუბორდინირებული ვალი, საიჯარო ვალდებულებები)

2025 წელს წმინდა საპროცენტო სპრედმა⁷ 12.1% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 13.3%-ით და შეადგინა 86,769 ათასი ლარი. 2024 წლის წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჯამ 74.0% შეადგინა და წლიდან წლამდე 4.1 პროცენტული პუნქტით გაუარესდა. აღნიშნული გაუარესების მიზეზი საპროცენტო შემოსავლებზე სწრაფად მზარდი საპროცენტო ხარჯებია.

2024 წელს წმინდა საპროცენტო სპრედმა 11.7% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.



2025 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის სპრედი (ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით) გაზრდილია 0.3 პროცენტული პუნქტით (2025:11.3%, 2024:10.9%), რაც ზემოთ აღწერილისგან განსხვავებით გამოწვეულია იმითაც, რომ პერიოდის განმავლობაში 71.0%-ით გაიზარდა ჰეჯირების ხარჯი. იგივე მაჩვენებელი 2024 წელს გაზრდილია 2.6 პროცენტული პუნქტით, რაც ზემოთ აღწერილისგან განსხვავებით ჰეჯირების ხარჯის 65.7%-იანმა კლებამ გამოიწვია.

ზევით აღწერილის განსამარტად - საპროცენტო ხარჯების საპროცენტო შემოსავლებზე უფრო სწრაფი ტემპით ზრდა ძირითადად გამოწვეულია დაფინანსების მოზიდვასა და მისი შემოსავლის მომტან სასესხო პორტფელში განთავსებას შორის დროითი შუალედით. კერძოდ, მოზიდულ რესურსზე საპროცენტო ხარჯი წარმოიშობა მისი ათვისებისთანავე, მაშინ როდესაც შესაბამისი საპროცენტო შემოსავლის გენერირება იწყება მხოლოდ აღნიშნული რესურსის მომხმარებლებზე სესხების სახით გაცემის შემდეგ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად ეფუძნება მნიშვნელოვანი დაშვებებისა და პროფესიული მსჯელობის გამოყენებას, მათ შორის მომავალი ფულადი ნაკადების, უზრუნველყოფის საგნის ღირებულებისა და საკრედიტო რისკის შესაძლო ცვლილებების შეფასებას. აღნიშნული შეფასებები ეფუძნება კომპლექსურ მოდელებს, რომელთა შედეგებზეც გავლენას ახდენს გამოყენებული

⁷ ითვლება როგორც შემოსავლიანობა პორტფელზე (Loan Yield) დაკლებული დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე (Cost of Fund)

ცვლადები, საბაზისო დაშვებები და მათი ინტერპრეტაცია, რამაც შესაძლოა განაპირობოს რეზერვების განსხვავებული დონე.

2025 წლის განმავლობაში კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაზრდილია 98.6%-ით და შეადგენს 1,228 ათას ლარს. 2025 წელს რისკის ხარჯმა (Cost of Risk)⁸ 1.7% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია. 2025 წელს რისკის ხარჯისა და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯის ზრდა ძირითადად განაპირობა იმ სესხების ჩამოწერამ, რომელთა უზრუნველყოფის რეალიზაციაც საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ვერ მოესწრო. შესაბამისად, სესხების ჩამოწერის მომენტში კომპანიამ აღიარა შესაბამისი საკრედიტო ზარალი, ხოლო უზრუნველყოფის შემდგომი რეალიზაციიდან მისაღები ამონაგები 2025 წლის ფინანსურ შედეგებში ჯერ არ იყო ასახული. უზრუნველყოფის რეალიზაცია რომ იმავე საანგარიშგებო პერიოდში დასრულებულიყო, წმინდა ზარალის მოცულობა წინა წლების მაჩვენებლებთან მეტად შესადარისი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, აღნიშნული უზრუნველყოფის საგნები სრულად რეალიზებულია.

კომპანიის აღრიცხვიანობის მიხედვით, სესხის ჩამოწერისას კომპანია, გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა, უზრუნველყოფის სახით მიღებულ ოქროზე საკუთრების უფლებას არ იძენს; მას მხოლოდ კლიენტის სახელით აღნიშნული უზრუნველყოფის რეალიზაციის უფლება წარმოეშობა. შესაბამისად, სესხის ჩამოწერის შედეგად კომპანიის ბალანსზე საპირწონე დასაკუთრებული აქტივი არ აღიარდება და შესაბამისი უზრუნველყოფა რეალიზაციამდე გარეგანსურად აღირიცხება.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემცირებულია 59.3%-ით და შეადგენს 618 ათას ლარს. 2024 წელს რისკის ხარჯმა (Cost of Risk) 0.0% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია.

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი:

კომპანია საკომისიო შემოსავალს აგენერირებს შემომავალი და გამავალი გზავნილებზე მომხმარებლების მიერ გადახდილი მომსახურების საკომისიოდან. რაც შეეხება საკომისიო ხარჯს - მოიცავს დაკავშირებულ მხარისთვის (შპს „რიკო ფეისთვის“) გადახდილ საკომისიოებს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული კომპანიის მხრიდან საგადახდო ტერმინალებით მომსახურების საფასურს. ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების წილი ჯამურ შემოსავალში საშუალოდ 4%-დან 6%-მდე მერყეობს.

(ათას ლარში)	2025	2024
შემომავალი გზავნილები	8,906	5,736
გამავალი გზავნილები	693	1,165
საკომისიო შემოსავალი	9,599	6,901
საკომისიო ხარჯები	-1,763	-1,527
წმინდა საკომისიო შემოსავალი	7,836	5,374

აღსანიშნავია, რომ შემომავალი გზავნილების ძირითადი გეოგრაფიული არეალებია რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი და იტალია.

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დააგენერირა 9,599 ათასი ლარის საკომისიო შემოსავალი და 1,763 ათასი ლარის საკომისიო ხარჯი. პერიოდის განმავლობაში კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 7,836 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 45.8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია, რაც ძირითადად შემომავალი გზავნილებისა და შესაბამისი ტარიფის ზრდას უკავშირდება.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დააგენერირა 6,901 ათასი ლარის საკომისიო შემოსავალი და 1,527 ათასი ლარის საკომისიო ხარჯი. პერიოდის განმავლობაში კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 5,374 ათასი ლარი შეადგინა,

⁸ საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტი ითვლება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (დანარიცხი)/გაუქმება შეფარდებული ბოლო ორი წლის საშუალო მომხმარებელზე გაცემულ სესხებთან (მთლიანი)

რაც წინა წელთან შედარებით 21.9%-ით შემცირებული მაჩვენებელია, რაც ძირითადად შემომავალი გზავნილების კლებას უკავშირდება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკომისიო ხარჯები შემოსავლებთან შედარებით დაბალი მოცულობისაა და არ მიჰყვება შემოსავლების ზრდის ტრენდს. საკომისიო ხარჯების შედარებით დაბალი მოცულობა განპირობებულია იმით, რომ იგი მოიცავს შპს „რიკო ფეისთვის“ გადახდილ საგადახდო ტერმინალების მომსახურების საკომისიოს და არ არის კავშირში ფულადი გზავნილებიდან მიღებულ შემოსავლებთან. თავად საკომისიო შემოსავლის აღრიცხვისას უკვე გათვალისწინებულია კლიენტის მიერ შუამავლისთვის გადახდილი ხარჯები და რიკო ექსპრესის ანგარიშგებებში შემოსავლები უკვე კლიენტის მიერ გასაწევი ხარჯების გარეშე აღრიცხული. შესაბამისად, მაშინ როდესაც საკომისიო შემოსავალი იზრდება, საკომისიო ხარჯები სტაბილურია.

საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი):

საკურსო სხვაობით განპირობებულ წმინდა შემოსულობა/ზარალში შედის სავალუტო ოპერაციების, საკურსო სხვაობებისა და ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჯამი.

სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავალი გენერირდება ფიზიკური/იურიდიული პირების ნაღდი და უნაღდო კონვერტაციებიდან.

საკურსო სხვაობა კომპანიის არსებული სავალუტო პოზიციების გადაფასებიდან გამომდინარეობს. კომპანიის პოზიციები ძირითადად სამ ვალუტაში აქვს - ლარი, აშშ დოლარი და ევრო.

კომპანია როგორც სავალუტო რისკის ჰეჯირების, ისე საკურსო სხვაობიდან მოგების მიღების მიზნით იყენებს სავალუტო სვოპებს, ძირითადად ლარი-დოლარი, ლარი-ევრო და დოლარი-ევრო სავალუტო წყვილებში. აღნიშნული ინსტრუმენტების ფარგლებში კონტრაქტები ძირითადად ადგილობრივი ბანკები არიან. 2024 წელს სვოპების გამოყენებასთან დაკავშირებულმა ხარჯმა 2,740 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2025 წელს ეს ხარჯი 4,685 ათასი ლარი იყო.

კომპანიის საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალის) ჩაშლა პერიოდების მიხედვით:

(ათას ლარში)	2025	2024
სავალუტო ოპერაციები	23,433	18,644
საკურსო სხვაობა	4,581	-2,410
ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-4,685	-2,740
სულ	23,329	13,494

2025 წელს საკურსო სხვაობით განპირობებულმა წმინდა შემოსულობამ 23,329 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 72.9%-იანი ზრდაა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავლის ზრდით, რომელიც 2024 წელთან შედარებით 25.7%-ით არის გაზრდილი და საკურსო სხვაობით დაწერილი შემოსულობით - რაც როგორც ტრანზაქციების რაოდენობის ზრდამ ისე სავალუტო გარიგებების კურსმა განაპირობა. 2025 წლის ბოლოს დოლარი-ლარისა და ევრო-ლარის გაცვლითი კურსები იყო: 2.6951 და 3.1737, შესაბამისად.

2024 წელს საკურსო სხვაობით განპირობებულმა წმინდა შემოსულობამ 13,494 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 19.6%-იანი ზრდაა, რაც ძირითადად ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით - სვოპ ოპერაციებით - დაწერილი ზარალის კლებით არის გამოწვეული. 2024 წლის ბოლოს დოლარი-ლარისა და ევრო-ლარის გაცვლითი კურსები იყო: 2.8068 და 2.9306, შესაბამისად.

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები:

2025 წელს თანამშრომლებზე გაწეულმა ხარჯებმა 33,680 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 18.9%-იანი ზრდაა. აღნიშნული უმეტესად გამოიწვია ერთ თანამშრომელზე საშუალო გადახდილი ხელფასის (მათ შორის ბონუსების) ზრდამ. 2025 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობამ 783 ადამიანი შეადგინა (2024: 846 ადამიანი).

2024 წელს თანამშრომლებზე გაწეულმა ხარჯებმა 28,324 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 27.9%-იანი ზრდაა. აღნიშნული უმეტესად თანამშრომლების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია. 2024 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 846 ადამიანი (2023: 656 ადამიანი).

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება ბანკის საკომისიო ხარჯებისგან, ძირითადი საშუალებების რემონტისა და ტექნოლოგიების ხარჯებისგან, კომუნალური და სხვა საოპერაციო ხარჯებისგან.

2025 წელს სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 101.3%-ით გაიზარდა და 18,940 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული უმეტესად გამოიწვია ბანკის საკომისიო ხარჯების (რომელიც მოიცავს სესხის გაცემის საკომისიოებს) ზრდამ - 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ ქართული კომერციული ბანკებისგან მიიღო 571,667 ათასი ლარის სახსრები, რაც წინა წელთან შედარებით 205.7%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. 2025 წელს სხვა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში ყველაზე დიდი წილი 33.3% სწორედ ბანკის საკომისიო ხარჯებს უჭირავს.

2024 წელს სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 28.6%-ით გაიზარდა და 9,410 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული უმეტესად გამოიწვია ძირითადი საშუალებების რემონტისა და ტექნოლოგიების ხარჯების ზრდამ. 2024 წელს სხვა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში ყველაზე დიდი წილი 27.8% სწორედ ძირითადი საშუალებების რემონტისა და ტექნოლოგიების ხარჯებს უჭირავს.

მარაგების ჩამოწერა:

აღნიშნული მოიცავს ბალანსზე აღრიცხული დასაკუთრებული სამკაულების რეზერვის ჩამოწერის ხარჯს, რომლის საპირფონოდ იმავე პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში სხვა შემოსავლების მუხლში ჩანს შესაბამისი მოცულობის შემოსავალი.

2025 წელს ჩამოწერილი მარაგები გაიზარდა 43.6%-ით და შეადგინა 1,493 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია ოქროს ჩამოწერის 30.4%-იანი ზრდით.

2024 წელს ჩამოიწერა 1,040 ათასი ლარის მარაგები.

წლის წმინდა მოგება:

2025 წელს კომპანიამ 67,980 ათასი ლარის წმინდა მოგება დააგენერირა, რაც წლიდან წლამდე 36.8%-იანი ზრდაა. პერიოდის განმავლობაში კომპანიის წმინდა მოგების მარჟა⁹ 32.6%-ია, რაც წლიდან წლამდე 2.1 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია.

2024 წელს კომპანიამ 49,705 ათასი ლარის წმინდა მოგება დააგენერირა, რაც წლიდან წლამდე 0.1%-იანი კლებაა. პერიოდის განმავლობაში კომპანიის წმინდა მოგების მარჟა 34.6%-ია, რაც წლიდან წლამდე 4.3 პროცენტული პუნქტით გაუარესებული მაჩვენებელია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

(ათას ლარში)	2025	2024
	აუდიტირებული	აუდიტირებული
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
მიღებული პროცენტი	171,978	112,043
გადახდილი პროცენტი	-53,241	-29,608
შემოსულობა დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	21,245	20,373
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	18,747	18,643
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	9,599	6,901
გადახდილი საკომისიო	-1,763	-1,527
სხვა მიღებული შემოსავალი	1,513	462
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	-33,680	-21,555
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	-20,703	-13,790
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	113,695	91,942
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-256,487	-172,190
სხვა აქტივები	87,566	6,179
სხვა ვალდებულებები	6,923	3,219
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე	-48,303	-70,850
გადახდილი მოგების გადასახადი	-18,076	-15,770
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-66,379	-86,620
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
წმინდა განაღდება (განთავსება) საბანკო ანაზრებიდან	7,000	46,207
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-2,153	-5,169
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	1,758	12
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	6,605	41,050

⁹ წმინდა მოგების მარჟა დაიანგარიშება, როგორც წლის წმინდა მოგება / (საპროცენტო შემოსავალი + საკომისიო შემოსავალი + შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან + შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	571,667	187,000
შემოსულობა გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	125,000	0
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	0	25,000
ნასესხები სახსრების დაფარვა	-383,694	-130,081
გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	-130,000	0
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-5,032	-3,149
გამოშვებული (გადახდილი) მარტივი თამასუქები, წმინდა	13,355	43,475
გადახდილი დივიდენდები	-61,849	-63,180
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	129,447	59,065
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი	4,582	-192
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	74,255	13,303
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	68,264	54,961
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	142,519	68,264

(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები :

2025 წლის განმავლობაში კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა ნაკადებმა 66,379 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 23.4%-ით შემცირებული მაჩვენებელია. გადინებული ფულადი ნაკადების კლება უმეტესად გამოიწვია „სხვა აქტივებიდან“ მიღებული ფულადი ნაკადების ზრდამ, რაც თავის მხრივ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე გადინებული ნაკადების ზრდამ დააბალანსა.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულმა ფულადმა ნაკადებმა 86,620 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით როდესაც კომპანიამ საოპერაციო საქმიანობებიდან 7,966 ათასი ლარი მიიღო, 94,586 ათასი ლარით შემცირებული მაჩვენებელია. გადინებული ფულადი ნაკადების ზრდა ძირითადად მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე გადინებული ნაკადების 181.7%-იან ზრდას უკავშირდება.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები:

2025 წლის განმავლობაში კომპანიის საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულმა ფულადმა ნაკადებმა 6,605 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 83.9%-ით შემცირებული მაჩვენებელია - აღნიშნული კლება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ კომპანიამ 2024 წელს უკან დაიბრუნა 2023 წელს საბანკო ანაბრებზე განთავსებული 49,000 ათასი ლარი.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულმა ფულადმა ნაკადებმა 41,050 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელს საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ ფულად ნაკადებთან შედარებით (უარყოფითი 49,039 ათასი ლარი), 90,089 ათას ლარიანი ზრდაა. აღნიშნული უმეტესად საბანკო ანაბრებიდან მიღებულ წმინდა განაღდებას უკავშირდება.

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:

2025 წლის განმავლობაში კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან გენერირებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 129,447 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიდან წლამდე 119.2%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. აღნიშნული ზრდა უმეტესწილად უკავშირდება ნასესხები სახსრებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ზრდას.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან გენერირებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა 59,065 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელს საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულ ფულად ნაკადებთან შედარებით

(უარყოფითი 12,152 ათასი ლარი), 71,217 ათას ლარიანი ზრდაა. აღნიშნული ზრდა უმეტესად ჩაფარული ნასესხები სახსრების შემცირებას, გამოშვებულ მარტივ თამასუქებსა და სუბორდინირებულ სასესხო ვალდებულებას უკავშირდება.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობებისთვის რისკებია დამახასიათებელი რომელთა მართვაც ხდება მიმდინარე იდენტიფიცირების, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდ არის ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკებს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორც არის გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. შემუშავების ეტაპზეა რისკის მართვის ფორმალიზებული პროცესი. კომპანიის საქმიანობის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი და უცხოური ვალუტის რისკი. ის ასევე გასწევს საოპერაციო რისკებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნების (გარდა სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისა) საბალანსო ღირებულებას, გაცემულ სესხებს, მოთხოვნებს და წარმოებულ ფინანსურ აქტივებს.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 100 ათასი ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში. სალომბარდო სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია მომხმარებელს უგზავნის ოფიციალურ გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში (რომელსაც კომპანია განსაზღვრავს დეფოლტირების კრიტერიუმად სალომბარდო სესხებისთვის, საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკის შესაბამისად), მაშინ კომპანია ახდენს უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებას.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი დროულად ვერ გადაიხდის დავალიანებას, კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს მას თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, გარკვეულ შეთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნას და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად, თუმცა ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოებით ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს – კიდევ სამი თვე.

სამომხმარებლო სესხებისა გარდა სხვა ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად ფასდება, უმეტესად საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების მოკლე ვადის გამო.

უზრუნველყოფის ეფექტი და რისკის შემცირების სხვა მეთოდები მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

გაუფასურების შეფასება

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

- PD** დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ ინსტრუმენტის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
- EAD** დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაც არის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.
- LGD** დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიამ დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

- 1-ლი სტადია** სესხების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
- მე-2 სტადია** როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
- მე-3 სტადია** სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
- შესყიდვისას წარმოქმნისას გაუფასურებული (POCI):** შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შესყიდვისას ან

წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება.

კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მათში ფიქსირდება შემდგომი ცვლილება.

დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

დეფოლტის ალბათობა ფასდება მაკრო მოდელის გამოყენებით, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას დეფოლტის განვლილ ალბათობას და ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლად მონაცემებს შორის, როგორიც არის მშპ-ის რეალური ზრდა და უნცია ოქრო/ლარის სავალუტო კურსი. დეფოლტის ალბათობის პროგნოზირება ხდება შეფასების შედეგების და სეზონის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მაკრო-ცვლადი მონაცემების საფუძველზე. მოდელი ყოველწლიურად გადაფასდება და გამოიყენება სხვა მაკროეკონომიკური ცვლადი მონაცემები, თუ ისინი გააუმჯობესებენ მოდელის ახსნის უნარს.

იმ შემთხვევაში, თუ დეფოლტის შესახებ განვლილი სტატისტიკური მონაცემები არ მიიჩნევა სრულად წარმომადგენლობითად სასესიო პორტფელის საკრედიტო ხარისხის მხრივ (მაგალითად, მთავრობის მიერ ინიცირებული საშეღავათო პერიოდების ან დაკვირვების შედეგად გამოვლენილი დეფოლტის შემთხვევების დაბალი რაოდენობის გამო), ხელმძღვანელობამ, საკუთარი პროფესიული განსჯის საფუძველზე, შესაძლოა მოახდინოს ამ განვლილი სტატისტიკის კორექტირება, დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს დეფოლტის ალბათობის საუკეთესო შეფასებად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

დეფოლტირებული ოდენობა

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების დაანგარიშების ფარგლებში. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად პირველი სტადიის სესხისთვის, კომპანია აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. მე-2 და მე-3 სტადიების და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, დეფოლტის შესაძლებლობა გათვალისწინდება მოვლენებზე ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში. კომპანია დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას განსაზღვრავს ფინანსური აქტივის მიმდინარე მთლიან საბალანსო ღირებულებად. მოსალოდნელი ავანსების ეფექტი მიიჩნევა არაარსებითად, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დაუფარავი სესხის პორტფელის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის გათვალისწინებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება რეგულარულად გადაფასდება.

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

კომპანიას ორი პორტფელური სეგმენტი აქვს – სალომბარდო და იპოთეკური სესხები. იპოთეკური სესხებისთვის, კომპანია აგროვებდა მონაცემებს ზარალის შესახებ და სტატისტიკურად ანგარიშობდა დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებს, სესხის ამოღების გამოცდილების საფუძველზე. სალომბარდო სესხებისთვის, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფლობილი ოქროს უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების, ან, შესაბამის შემთხვევაში, მათი საშუალო ღირებულების გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი უახლესი მონაცემები და პერსპექტიული ეკონომიკური სცენარები, სალომბარდო პორტფელისთვის (მაგ. ოქროს საპროგნოზო ფასები) ფასს (IFRS) 9-ის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთის განსასაზღვრად.

პერსპექტიული ინფორმაციის შეფასებისას, მოლოდინი ეფუძნება მრავალჯერად სცენარებს, რომლებიც რეგულარულად გადაიხედება იპოთეკური პორტფელისთვის. ამასთან მიიჩნევა, რომ პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე არაარსებითი ეფექტი აქვს.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, კომპანია აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ. კომპანიის აზრით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება იმ დროს, როდესაც ვადაგადაცილება 30 დღეს გადააჭარბებს.

კომპანია ასევე იყენებს მეორად თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორც არის ანგარიშის რესტრუქტურირება საკრედიტო მოვლენის გამო (მთავრობის მიერ ინიცირებული საშელავათო პერიოდის პროგრამებიდან წარმოქმნილი რესტრუქტურირების გამოკლებით).

კომპანია მისი სასესხო პორტფელისთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე აფასებს, რადგან კომპანიის ყველა სესხი ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონედ მიიჩნევა. მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის მქონე სესხების ჯგუფებს კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის (სალომბარდო და იპოთეკური) ვალუტის (ლარი ან უცხოური ვალუტა) და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე.

დეფოლტის განმარტება

კომპანია ითვალისწინებს დეფოლტირებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და შესაბამისად მე-3 სტადიას (გაუფასურებელი) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში ყველა შემთხვევაში, როცა მსესხებელს სახელშეკრულებო გადახდების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება ექნება (60 დღე სალომბარდო სესხებისთვის, რაც შეესაბამება კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პრინციპს და გულისხმობს უზრუნველყოფის დასაკუთრებას 60-დღიანი ვადაგადაცილების პერიოდში).

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებისას კომპანია ამოსავალ ეკონომიკურ მონაცემებად იყენებს ისეთ ფართო სპექტრის პერსპექტიულ ინფორმაციას, როგორიც არის:

- მშპ-ის ზრდა
- უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი
- ოქროს ღირებულება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები, ყოველთვის არ მოიცავს ბაზრის ყველა მახასიათებელს, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღში.

კომპანია სებ-სგან იღებს საპროგნოზო ინფორმაციას, ოქროს ფასების გარდა. ოქროს საპროგნოზო ფასები განისაზღვრება საზოგადოდ ხელმისაწვდომი პროგნოზის და ოქროს ფასების ცვალებადობისა და მასზე დაკვირვების გამოცდილების საფუძველზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადი მონაცემები/დაშვებები, რომლებიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თითოეულ ეკონომიკურ სცენარში გამოიყენება.

მნიშვნელოვანი გამომწვევი ფაქტორები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	განსაზღვრული ალბათობები, %	2026
მშპ-ის ზრდა, %	ოპტიმისტური	25%	6.0%
	საბაზისო	50%	4.9%
	პესიმისტური	25%	2.0%
აშშ დოლარი/ლარის საშუალო გაცვლითი კურსის ცვლილება	ოპტიმისტური	25%	2.0%
	საბაზისო	50%	0.0%
	პესიმისტური	25%	20.0%
ოქროს (ერთი უნცია) ფასი, აშშ დოლარი ერთი ტროიანული უნცია	ოპტიმისტური	30%	36.1%
	საბაზისო შემთხვევა 1	35%	6.2%
	საბაზისო შემთხვევა 2	15%	0.0%
	პესიმისტური 1	12%	-3.1%
	პესიმისტური 2	8%	-18.6%

მნიშვნელოვანი გამომწვევი ფაქტორები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	განსაზღვრული ალბათობები, %	2025
მშპ-ის ზრდა, %	ოპტიმისტური	25%	7.0%
	საბაზისო	50%	4.9%
	პესიმისტური	25%	2.0%
აშშ დოლარი/ლარის საშუალო გაცვლითი კურსის ცვლილება	ოპტიმისტური	25%	-2.0%
	საბაზისო	50%	0.0%
	პესიმისტური	25%	15.0%
ოქროს (ერთი უნცია) ფასი, აშშ დოლარი ერთი ტროიანული უნცია	ოპტიმისტური	30%	22.0%
	საბაზისო შემთხვევა 1	15%	10.0%
	საბაზისო შემთხვევა 2	30%	4.0%
	პესიმისტური 1	15%	-5.0%
	პესიმისტური 2	10%	-15.0%

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სამომხმარებლო სესხების საკრედიტო ხარისხი:

2025 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	0-30 დღიანი ვადაგადაცილება	30-60 დღიანი ვადაგადაცილება	60-90 დღიანი ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
მომხმარებელზე გაცემული სესხები	7					

-სალომზარდე სესხები	1-ლი სტადია	843,291	-	-	-	843,291
	მე-2 სტადია	10,490	10,242	-	-	20,732
	მე-3 სტადია	-	-	3,844	1,987	5,831
		853,781	10,242	3,844	1,987	869,854
-იპოთეკური სესხები	1-ლი სტადია	4,878	-	-	-	4,878
	მე-2 სტადია	71	44	44	-	159
	მე-3 სტადია	-	-	-	225	225
		4,949	44	44	225	5,261
სულ		858,730	10,286	3,888	2,212	875,115

2024 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	0-30 დღიანი ვადაგადაცილება	30-60 დღიანი ვადაგადაცილება	60-90 დღიანი ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
მომხმარებელზე გაცემული სესხები	7					
-სალომზარდე სესხები	1-ლი სტადია	591,665	-	-	-	591,665
	მე-2 სტადია	13,073	4,196	-	-	17,269
	მე-3 სტადია			1,026		1,026
		604,738	4,196	1,026	-	609,960
-იპოთეკური სესხები	1-ლი სტადია	7,833	-	-	-	7,833
	მე-2 სტადია	62	123	-	-	185
	მე-3 სტადია	-	-	-	40	40
		7,895	123	-	40	8,058
სულ		612,633	4,319	1,026	40	618,018

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს მომხმარებლებზე იპოთეკური სესხების საკრედიტო ხარისხი. ის საკრედიტო რისკს მართავს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

ვადაგადაცილების ინფორმაციასთან ერთად, კომპანია საკრედიტო ხარისხს აფასებს უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის კოეფიციენტის (Loan-to-Value) საფუძველზე 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0.5>	0.5–0.8	0.8–1	1–1.05	1.05–1.1	1.1–1.2	1.2<	სულ
1-ლი სტადია	51,284	276,684	507,383	4,152	1,851	1,911	4,904	848,169
მე-2 სტადია	1,235	5,897	12,848	582	108	63	159	20,892
მე-3 სტადია	147	1,551	4,095	25	2	10	225	6,055
სულ	52,666	284,132	524,326	4,759	1,961	1,984	5,288	875,115

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0.5>	0.5–0.8	0.8–1	1–1.05	1.05–1.1	1.1–1.2	1.2<	სულ
1-ლი სტადია	20,347	186,027	381,318	1,551	624	8,769	1,047	599,683
მე-2 სტადია	1,776	4,568	8,516	1,544	638	115	114	17,271
მე-3 სტადია	8	272	628	105	13	38	-	1,064
სულ	22,131	190,867	390,462	3,200	1,275	8,922	1,161	618,018

ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მარტივი თამასუქებით წარმოდგენილი ფინანსური რესურსების ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც შეტყობინებას საჭიროებენ, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება სასწრაფო წესით იყოს გაცემული. ამის მიუხედავად, კომპანია მოელის, რომ შეძლებს დაფარვების რეფინანსირებას ან გადავადებას უადრესი თარიღით, როდესაც შეიძლება კომპანიას გადახდა მოეთხოვოს და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც მითითებულია კომპანიის მარტივი თამასუქების რეფინანსირების ისტორიაში.

2025 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	67,819	74,331	163,211	-	-	305,361
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,700	75,100	9,900	176,650	-	263,350
სუბორდინირებული ვალი	250	500	2,250	12,000	36,000	51,000
მარტივი თამასუქები	10,200	29,399	125,748	-	-	165,347
საიჯარო ვალდებულება	191	381	1,715	2,614	185	5,086
სხვა ფინანსური ვალდებულებები	211	-	-	-	-	211
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	80,371	179,711	302,824	191,264	36,185	790,355

2024 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	14,856	11,416	63,966	16,375	-	106,613
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	3,363	10,049	133,289	-	146,701
სუბორდინირებული ვალი	250	476	2,219	14,733	35,594	53,272
მარტივი თამასუქები	6,187	20,107	127,278	-	-	153,572
საიჯარო ვალდებულება	280	373	1,387	2,063	760	4,863

სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,212	-	-	-	-	7,212
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	28,785	35,735	204,899	166,460	36,354	472,233

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები სავალუტო რისკს წარმოშობს. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტებში, ასევე უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებით განხორციელებულ გარიგებებში შესვლით.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით, განაწილებული ვალუტების მიხედვით (მოცემულია ეკვივალენტური თანხებით ლარში).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

2025 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	107,715	18,021	13,581	3,202	142,519
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,003	-	-	-	7,003
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	873,887	-	-	-	873,887
სხვა ფინანსური აქტივები	-	1,269	974	-	2,242
სულ აქტივები	988,605	19,290	14,555	3,202	1,025,652
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(2,059)	(106,837)	(50,180)	-	(159,076)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(190,756)	-	-	-	(190,756)
ნასესხები სახსრები	(304,588)	-	-	-	(304,588)
სუბორდინირებული ვალი	(25,000)	-	-	-	(25,000)
საიჯარო ვალდებულება	(5,650)	(2,536)	-	-	(8,186)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(363)	(5,763)	(5,829)	(150)	(12,105)
სულ ვალდებულებები	(528,416)	(115,136)	(56,009)	(150)	(699,711)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(180,002)	194,254	(14,462)	-	(211)
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	280,187	98,408	(55,916)	3,052	325,731

2024 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	52,875	11,656	2,961	772	68,264
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	607,766	9,542	92	-	617,400
სხვა ფინანსური აქტივები	-	1,059	1,184	-	2,243

სულ აქტივები	660,641	22,257	4,237	772	687,907
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(54,740)	(89,522)	(1,460)	-	(145,722)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(128,907)	-	-	-	(128,907)
ნასესხები სახსრები	(99,258)	-	-	-	(99,258)
სუბორდინირებული ვალი	(25,000)	-	-	-	(25,000)
საიჯარო ვალდებულება	(1,038)	(2,116)	-	-	(3,154)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(4,907)	(1,979)	(328)	2	(7,212)
სულ ვალდებულებები	(313,850)	(93,617)	(1,788)	2	(409,253)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(12,689)	(82,053)	95,004	-	262
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	334,102	-153,413	97,453	774	278,916

სავალუტო კურსის მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შემცირებდა). ეს ანალიზი წარმოდგენილია წინა საგადასახადო საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

ვალუტა	2025		2024	
	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე
აშშ დოლარი	7% (3%)	5,685/(2,436)	8.05% (2%)	(12,349)/3,068
ევრო	8% (3%)	(1,685)/632	8.42% (2%)	8,206/(1,949)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში იმოქმედებს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულად ნაკადებზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო ხარჯზე ერთი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდვე ცვლილების ეფექტი თბილისის შიდა საბანკო განაკვეთზე (TIBR)/საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე მიზმული ფინანსური ვალდებულებების ცვალებად განაკვეთზე 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025	2024
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	190,756	128,907

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის მოგება-ზარალის და საკუთარი კაპიტალის (გადასახადით დაბეგვრამდე) მგრძნობელობა მცოცავი საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

2025		2024	
ცვლილება თბილისის შიდა საბანკო განაკვეთში და სებ-ის რეფინანსირების განაკვეთში, საბაზისო პუნქტი	ეფექტი მოგებასა და საკუთარ კაპიტალზე გადასახადით დაბეგვრამდე	ცვლილება თბილისის შიდა საბანკო განაკვეთში და სებ-ის რეფინანსირების განაკვეთში, საბაზისო პუნქტი	ეფექტი მოგებასა და საკუთარ კაპიტალზე გადასახადით დაბეგვრამდე
100/(100)	4,652/(4,652)	100/(100)	2,111/(1,416)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდ არის ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით. კომპანიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომლის მიზანია, სხვა საკითხებთან ერთად, თავისი საოპერაციო რისკის მართვის პროცესების გაძლიერება.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

	2025			2024		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	142,519	-	142,519	68,264	-	68,264
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,003	-	7,003	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	11,919	861,968	873,887	85,819	531,581	617,400
ძირითადი საშუალებები	138	17,125	17,263	-	18,013	18,013
აქტივების გამოყენების უფლება	2,708	6,594	9,302	-	5,081	5,081

არამატერიალური აქტივები	-	732	732	-	816	816
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	-	-	-	262	-	262
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	276	-	276
სხვა აქტივები სულ	19,669	-	19,669	15,144	-	15,144
სულ	183,956	886,419	1,070,375	169,765	555,491	725,256
გამოშვებული მარტივი თამასუქები	159,077	-	159,077	145,722	-	145,722
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	3,615	-	3,615	-	-	-
სუბორდინირებული ვალები	-	25,000	25,000	-	25,000	25,000
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	70,756	120,000	190,756	520	128,387	128,907
ნასესხები სახსრები	304,588	-	304,588	84,265	14,993	99,258
საიჯარო ვალდებულება	2,383	5,803	8,186	1,788	1,366	3,154
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	-	4,569	4,569	-	4,517	4,517
წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებები	211	-	211	-	-	-
სხვა ვალდებულებები	25,800	-	25,800	16,921	-	16,921
სულ	566,430	155,372	721,802	249,216	174,263	423,479
წმინდა	(382,474)	731,047	348,573	-79,451	381,228	301,777

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2026 წლის 31 მაისის, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	31 მაისი 2026	31 მაისი 2026	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
	არააუდიტ.	არააუდიტ.	აუდიტ.	აუდიტ.
	პრო-ფორმა*			
გამოშვებული მარტივი თამასუქები	197,359	197,359	159,077	145,722
ნასესხები სახსრები	300,684	354,070	304,588	99,258
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	391,930	125,000	190,756	128,907
საიჯარო ვალდებულებები	8,186	8,186	8,186	3,154
სუბორდინირებული ვალი	35,000	35,000	25,000	25,000
სულ პროცენტიანი ვალდებულებები	933,159	719,615	687,607	402,041
საწესდებო კაპიტალი	-	-	25,000	1,584
გაუნაწილებელი მოგება	-	-	323,573	300,193
სულ საკუთარი კაპიტალი	-	-	348,573	301,777
სულ საკუთარი კაპიტალი და პროცენტიანი ვალდებულებები	-	-	1,036,180	703,818

*პრო-ფორმა ეფექტი მოიცავს 100 მილიონ აშშ დოლარამდე ობლიგაციების გამოშვებას. მოზიდული სახსრების 20% მოცულობით მოხდება მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირება, ხოლო დანარჩენი თანხა მიიმართება კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული სესხების გასაზრდელად.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიაში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები:

- სუბორდინირებული ვალი - პროსპექტის შედგენის თარიღისთვის გაზრდილია სუბორდინირებული ვალი და შეადგენს 35,000 ათას ლარს (2025 წლის 31 დეკემბერი: 25,000 ათასი ლარი).
- საწესდებო კაპიტალი - პროსპექტის შედგენის თარიღისთვის გაზრდილია კომპანიის საწესდებო კაპიტალი და 35,000 ათასი ლარი შეადგინა (2025 წლის 31 დეკემბერი: 25,000 ათასი ლარი).

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ გრძელვადიანი და მოკლევადიანი დავალიანების შესახებ 2026 წლის 31 მაისის, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	31 მაისი 2026	31 მაისი 2026	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
	პრო-ფორმა*	არააუდიტ.	აუდიტ.	აუდიტ.
გრძელვადიანი				
გამოშვებული მარტივი თამასუქები	-	-	-	-
ნასესხები სახსრები	260,570	260,570	-	14,993
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	391,930	125,000	120,000	128,387
საიჯარო ვალდებულებები	5,803	5,803	5,803	1,366
სუბორდინირებული ვალი	35,000	35,000	25,000	25,000
სულ გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებები	693,303	426,373	150,803	169,746
მოკლევადიანი				
გამოშვებული მარტივი თამასუქები	197,359	197,359	159,077	145,722
ნასესხები სახსრები	40,114	93,500	304,588	84,265

გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	70,756	520
საიჯარო ვალდებულებები	2,383	2,383	2,383	1,788
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-
სულ მოკლევადიანი პროცენტიანი ვალდებულებები	239,856	293,242	536,804	232,295
სულ პროცენტიანი ვალდებულებები	933,159	719,615	687,607	402,041

*პრო-ფორმა ეფექტი მოიცავს 100 მილიონ აშშ დოლარამდე ობლიგაციების გამომშვებას. მოზიდული სახსრების 20% მოცულობით მოხდება მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირება, ხოლო დანარჩენი თანხა მიიმართება კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული სესხების გასაზრდელად.

ნასესხები სახსრები:

„ემიტენტი“ დაფინანსების სტრუქტურაში აქტიურად იყენებს სესხებს კომერციული ბანკებისგან, რომელთაგან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობები აქვს. ყველა სესხს აქვს ძირის ვადის ბოლოს დაფარვის სტრუქტურა (მითითებულია როგორც „ბულეტი“). შედეგად, ემიტენტი პროცენტს ფარავს ყოველთვიურად, ხოლო ძირს - პერიოდის ბოლოს.

ემიტენტის ნასესხები სახსრების ჩაშლა 2026 წლის 31 მაისის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის სახელი	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი*	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება (ლარის ექვივალენტი)
სს თიბისი ბანკი	15,000	GEL	ბულეტი	9.08%	5/1/2026	5/1/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	9.08%	5/14/2026	5/14/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	6/12/2025	7/13/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	7/31/2025	8/31/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	7/31/2025	8/31/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	7/31/2025	8/31/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	7/31/2025	8/31/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	10/29/2025	11/28/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	50,000	GEL	ბულეტი	12.15%	12/29/2025	12/26/2027	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	25,000	GEL	ბულეტი	9.25%	3/17/2026	2/11/2028	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	9.25%	3/30/2026	4/30/2028	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	13,070	USD	ბულეტი	11.42%	7/31/2025	7/31/2027	უგირავნო	-
სს იშ ბანკი საქართველო	8,000	GEL	ბულეტი	12.50%	1/15/2026	1/15/2027	სესხების პორტფელი	9,600
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	9/27/2024	7/1/2027	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.25%	7/1/2025	7/1/2027	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.25%	3/20/2025	7/20/2027	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.25%	9/26/2023	8/3/2027	სესხების პორტფელი	24,000
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.25%	8/15/2023	9/1/2027	სესხების პორტფელი	12,000
სს საქართველოს ბანკი	12,500	GEL	ბულეტი	11.70%	10/23/2025	10/23/2027	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	6,500	GEL	ბულეტი	9.02%	1/30/2026	1/29/2027	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	8,500	GEL	ბულეტი	9.02%	7/31/2025	2/1/2027	სესხების პორტფელი	10,000
სს საქართველოს ბანკი	8,500	GEL	ბულეტი	9.02%	3/16/2026	3/11/2027	უგირავნო	-

სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	13.50%	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	13.50%	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	4,036	GEL	ბულეტი	11.50%	1/20/2025	1/20/2027	სესხების პორტფელი	6,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	4,953	GEL	ბულეტი	11.00%	8/25/2025	8/25/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	4,999	GEL	ბულეტი	11.00%	9/25/2025	9/25/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	5,048	GEL	ბულეტი	11.00%	10/24/2025	10/24/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	3,960	GEL	ბულეტი	11.50%	11/20/2025	11/20/2026	სესხების პორტფელი	5,500
სს ხალიკ ბანკი საქართველო	4,003	GEL	ბულეტი	11.50%	12/19/2025	12/19/2026	სესხების პორტფელი	6,500
სულ	354,070							106,600

გასათვალისწინებელია, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „ემიტენტს“ კონკრეტულ მსესხებელ ბანკებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თუ სესხის დაფარვის თარიღზე არ მოხდება სესხის განულება - აღნიშნული სესხის ვადა ერთჯერადად ავტომატურად გახანგრძლივდება 12 თვით.

2026 წლის 31 მაისის მდგომარეობით, ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრების ნაწილი უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით, საბალანსო ღირებულებით 106,600 ლარი. კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 662 ათასი ლარი დაგირავებულია საქართველოს ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

ემიტენტის ნასესხები სახსრების ჩაშლა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის სახელი	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი*	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება (ლარის ექვივალენტი)
სს თიბისი ბანკი	13,476	USD	ბულეტი	12.0%	7/31/2025	7/31/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	7/31/2025	7/31/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	7/31/2025	7/31/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	6/12/2025	7/31/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	50,000	GEL	ბულეტი	11.9%	12/29/2025	12/26/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	7/31/2025	7/31/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	7/31/2025	6/12/2026	უგირავნო	-
სს თიბისი ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	12.0%	10/29/2025	10/28/2026	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.0%	3/20/2025	7/21/2026	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	8,500	GEL	ბულეტი	12.0%	7/31/2025	1/30/2026	სესხების პორტფელი	10,000
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	10.0%	8/15/2023	9/1/2026	სესხების პორტფელი	12,000
სს საქართველოს ბანკი	12,500	GEL	ბულეტი	11.7%	10/23/2025	10/23/2026	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.0%	7/1/2025	7/20/2026	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	12.0%	5/14/2025	5/14/2026	უგირავნო	-
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	10.0%	9/27/2024	7/1/2026	უგირავნო	-

სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	10.0%	9/26/2023	8/3/2026	სესხების პორტფელი	24,000
სს ხალიკ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	14.0%	7/23/2025	7/23/2026	სესხების პორტფელი	6,000
სს ხალიკ ბანკი	4,999	GEL	ბულეტი	11.0%	9/25/2025	9/25/2026	სესხების პორტფელი	6,000
სს ხალიკ ბანკი	3,960	GEL	ბულეტი	11.0%	11/20/2025	8/20/2026	სესხების პორტფელი	5,000
სს ხალიკ ბანკი	4,953	GEL	ბულეტი	11.0%	8/25/2025	8/25/2026	სესხების პორტფელი	5,900
სს ხალიკ ბანკი	4,036	GEL	ბულეტი	11.5%	1/20/2025	1/20/2026	სესხების პორტფელი	5,000
სს ხალიკ ბანკი	5,048	GEL	ბულეტი	11.0%	10/24/2025	7/24/2026	სესხების პორტფელი	6,000
სს ხალიკ ბანკი	4,003	GEL	ბულეტი	11.0%	12/19/2025	12/19/2026	სესხების პორტფელი	5,000
სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	13.5%	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	13.5%	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500
სს ბაზისბანკი	10,000	GEL	ბულეტი	13.0%	3/28/2025	9/28/2026	უგირავნო	-
სს იშ ბანკი საქართველო	8,113	GEL	ბულეტი	12.5%	4/4/2025	1/16/2026	სესხების პორტფელი	9,600
სულ	304,588							107,500

გასათვალისწინებელია, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „ემიტენტს“ კონკრეტულ მსესხებელ ბანკებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თუ სესხის დაფარვის თარიღზე არ მოხდება სესხის განულება - აღნიშნული სესხის ვადა ერთჯერადად ავტომატურად გახანგრძლივდება 12 თვით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ქართული კომერციული ბანკებისგან მიიღო ლარში დენომინირებული ნასესხები სახსრები 11%-დან 14%-მდე განაკვეთით, რომლებიც ფიქსირებულ განაკვეთიანი და თბილისის შიდა საბანკო განაკვეთზე (TIBR), ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე იყო მიბმული, რამაც მთლიანობაში 304,588 ლარი შეადგინა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრების ნაწილი უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით, საბალანსო ღირებულებით 107,500 ლარი. კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 662 ათასი ლარი დაგირავებულია საქართველოს ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

ემიტენტის ნასესხები სახსრების ჩაშლა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის სახელი	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება (ლარის ექვივალენტი)
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	10.0%	3/19/2024	3/19/2025	სესხების პორტფელი	12,000.00
სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	10.0%	6/10/2024	6/10/2025	სესხების პორტფელი	6,500.00
სს ქართუ ბანკი	5,000	GEL	ბულეტი	10.0%	6/10/2024	6/10/2025	სესხების პორტფელი	6,500.00
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	10.0%	8/15/2023	8/15/2025	სესხების პორტფელი	12,000.00
სს საქართველოს ბანკი	20,000	GEL	ბულეტი	10.0%	9/26/2023	9/26/2025	სესხების პორტფელი	24,000.00
სს საქართველოს ბანკი	10,000	GEL	ბულეტი	10.0%	9/27/2024	9/29/2025	სესხების პორტფელი	12,000.00
სს ხალიკ ბანკი საქართველო	15,000	GEL	ბულეტი	11.0%	10/25/2024	10/25/2025	სესხების პორტფელი	18,000.00
სს იშ ბანკი საქართველო	6,000	GEL	ბულეტი	10.0%	12/20/2024	1/20/2025	სესხების პორტფელი	7,200.00

სს იშ ბანკი საქართველო	8,000	GEL	ბულეტი	10.0%	12/20/2024	1/20/2025	სესხების პორტფელი	9,600.00
სს თიბისი ბანკი	10,258	GEL	ბულეტი	10.0%	9/28/2024	9/30/2025	უგირავნო	-
სულ	99,258							107,800

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ქართული კომერციული ბანკებისგან მიიღო ლარში დენომინირებული ნასესხები სახსრები 10%-დან 11.5%-მდე განაკვეთით, რომლებიც ფიქსირებულ განაკვეთიანი და თბილისის შიდა საბანკო განაკვეთზე (TIBR), ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე იყო მიბმული, რამაც მთლიანობაში 99,258 ლარი შეადგინა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრების ნაწილი უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით, საბალანსო ღირებულებით 107,800 ლარი. კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 662 ათასი ლარი დაგირავებულია საქართველოს ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები:

“ემიტენტმა“ 2023 წლის 17 მარტს გამოუშვა 3-წლიანი ლარში დენომინირებული არასუბორდინირებული, სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები - 130 მილიონი ლარის ოდენობით. ობლიგაციების კუპონის განაკვეთი TIBR+2%-ს შეადგენდა. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ობლიგაციები სრულად ჩაფარულია. ობლიგაციების ემისიის პროსპექტისა და გამოშვების პირობების ნახვა შესაძლებელია [ლინკზე](#). აღნიშნული ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლებია:

ობლიგაციის ტიპი	არასუბორდინირებული სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემისიის მოცულობა	130,000,000 ლარი
გამოშვების თარიღი	14 მარტი, 2023
ვადიანობა	3 წელი
კუპონის განაკვეთი	TIBR + 2.00%
უზრუნველყოფის ტიპი	ლარის სასესხო პორტფელი
უზრუნველყოფის მოცულობა	ემისიის მოცულობის 130%

“ემიტენტმა“ 2025 წლის 9 დეკემბერს გამოუშვა 5-წლიანი ლარში დენომინირებული არასუბორდინირებული, სასესხო პორტფელით ნაწილობრივ უზრუნველყოფილი ობლიგაციები - 200 მილიონი ლარის ოდენობით. ობლიგაციების კუპონის განაკვეთი TIBR+3%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ თავდაპირველად არ შეასრულა 2025 წლის 9 დეკემბერს გამოშვებული ობლიგაციების მოზიდული სახსრების გამოყენების მოთხოვნა (ობლიგაციების წინასწარ ჩაფარვასთან დაკავშირებით), თუმცა დარღვევა არსებითი არ ყოფილა რადგან საბოლოო მიზანი (ძველი ობლიგაციების ჩაფარვა) მალევე იქნა მიღწეული. ობლიგაციების ემისიის პროსპექტისა და გამოშვების პირობების ნახვა შესაძლებელია [ლინკზე](#). აღნიშნული ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლებია:

ობლიგაციის ტიპი	არასუბორდინირებული სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემისიის მოცულობა	200,000,000 ლარი
გამოშვების თარიღი	9 დეკემბერი, 2025
ვადიანობა	5 წელი
კუპონის განაკვეთი	TIBR + 3.00%
უზრუნველყოფის ტიპი	ლარის სასესხო პორტფელი
უზრუნველყოფის მოცულობა	ემისიის მოცულობის 80%

წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის 2025 წლის 9 დეკემბერს გამოშვებული ობლიგაციებიდან განთავსებულია 125,000,000 ლარის ობლიგაციები.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 169,000 ლარი. 2026 წლის 31 მაისის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 100,000 ლარი.

გამოშვებული მარტივი თამასუქები:

„ემიტენტი“ იყენებს მარტივი თამასუქების პროდუქტს, რომლის ძირის დაფარვაც ვადის ბოლოს ხდება. თამასუქები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები განსაზღვრული.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის გამოშვებული მარტივი თამასუქები 2026 წლის 31 მაისის, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ემიტენტის გამოშვებული მარტივი თამასუქების ჩაშლა 2026 წლის 31 მაისის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის ტიპი	ვალუტა	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	საპროცენტო განაკვეთი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა (თვე)
ფიზიკური პირი	ლარი	78,602	12.0%-13.0%	2.0 – 12.0	0.1 – 11.9
ფიზიკური პირი	დოლარი	109,204	3.0%-7.0%	2.0 – 12.0	0.3 – 10.8
ფიზიკური პირი	ევრო	2,198	3.5%	3.0 – 12.0	0.7 – 8.1
იურიდიული პირი	ლარი	6,186	12.0%-13.0%	6.0-12.0	0.3 – 11.1
იურიდიული პირი	დოლარი	1,169	7.0%	12.0	4.9-5.6
იურიდიული პირი	ევრო	-	-	-	-
სულ		197,359			

ემიტენტის გამოშვებული მარტივი თამასუქების ჩაშლა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის ტიპი	ვალუტა	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	საპროცენტო განაკვეთი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა (თვე)
ფიზიკური პირი	ლარი	45,723	12.0%-13.0%	2.0 – 12.0	0.1 – 12.0
ფიზიკური პირი	დოლარი	104,561	3.0%-7.0%	2.0 – 12.0	0.0 – 12.0
ფიზიკური პირი	ევრო	2,070	3.5%	3.0 – 12.0	0.7 – 8.1
იურიდიული პირი	ლარი	4,675	13.0%	12.0	5.3 – 10.4
იურიდიული პირი	დოლარი	2,047	6.0%-7.0%	3.0 – 12.0	2.0 – 10.6
იურიდიული პირი	ევრო	-	-	-	-
სულ		159,077			

ემიტენტის გამოშვებული მარტივი თამასუქების ჩაშლა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებლის ტიპი	ვალუტა	დარჩენილი ძირი + დარიცხული სარგებელი (ლარის ექვივალენტი)	საპროცენტო განაკვეთი	საკონტრაქტო ვადა (თვე)	დარჩენილი ვადა (თვე)
ფიზიკური პირი	ლარი	50,136	8.0%-11.0%	3.0 – 12.0	0.2 – 12.0
ფიზიკური პირი	დოლარი	87,521	3.0%-7.0%	3.0 – 12.0	0.1 – 12.0
ფიზიკური პირი	ევრო	1,460	4.5% - 7.0%	3.0 – 12.0	0.9 – 7.7
იურიდიული პირი	ლარი	4,610	11.0%	12.0	7.5 – 10.2
იურიდიული პირი	დოლარი	1,996	5.0%-7.0%	3.0 – 12.0	1.9 – 10.3
იურიდიული პირი	ევრო	-	-	-	-
სულ		145,722			

სუბორდინირებული ვალი:

2024 წლის 5 აგვისტოს კომპანიამ მფლობელისგან მიიღო ლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი წლიური 11,78% საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაფარვის ვადაა 2034 წლის აგვისტო. სუბორდინირებული სესხები კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს წარმოადგენს, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები განსაზღვრული.

ემიტენტის სუბორდინირებული ვალის ჩაშლა 2026 წლის 31 მაისის, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი):

გამსესხებელი	31 მაისი 2026	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	ვალუტა	გრაფიკის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი
კომპანიის მფლობელი	35,000	25,000	25,000	GEL	ბულეტი	11.78%	8/5/2024	8/5/2034

ფინანსური კოვენანტები:

„ემიტენტი“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მარეგულირებელი კოეფიციენტები. ამის გარდა ემიტენტს კომერციული ბანკებისგან ნასესხებ სახსრებსა და გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე განსაზღვრული აქვს ფინანსური კოვენანტები, რომელთა დაცვაც ევალება შესაბამისი ვალდებულებების სრულ დაფარვამდე.

ცხრილში მოცემულია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური კოვენანტების შესრულება 2026 წლის 31 მაისის, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2026 წლის 31 მაისის პრო-ფორმა ეფექტი:

კოვენანტი	31 მაისი 2026 პრო-ფორმა	31 მაისი 2026	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	ლიმიტი (2026; 2025; 2024)	აკმაყოფილებს კი/არა (პრო-ფორმა; 2026; 2025; 2024)
ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან	n.a**	n.a**	65.73%	56.43%	მაქს. x; 80%; 80%	n.a; n.a; კი; კი
საზედამხდეველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	31.05%	36.97%	34.53%	45.24%	მინ. x; 18%; 18%	კი; კი; კი; კი
ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	24.42%	24.24%	21.85%	24.68%	მინ. x; 18%; 18%	კი; კი; კი; კი
ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	მაქს x; 15%; 15%	კი; კი; კი; კი
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	7.91%	7.91%	9.15%	11.27%	მაქს. x; 40%; 40%	კი; კი; კი; კი
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.01%	0.01%	მაქს. x; 15%; 15%	კი; კი; კი; კი

დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)	54.44%	54.44%	88.65%	89.60%	მაქს. x; 90%; 90%	კი; კი; კი; კი
---	--------	--------	--------	--------	----------------------	----------------

**სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნებისთვის არ ხდება პრო-ფორმა მაჩვენებლის ჩვენება, რადგან მათი კალკულაცია სუბიექტურ დაშვებებზეა დამოკიდებული.*

***ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან კოეფიციენტის დათვლა ხდება 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდიტებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არააუდიტებული კალენდარული წლისთვის. წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ ემისიით 2025 წლის 31 დეკემბრის პრო-ფორმა მაჩვენებელი 71.47%-ს გაუტოლდება და აკმაყოფილებს 2025 წლის ობლიგაციების (ISIN: GE 2700605233) კოვენანტის საზღვრებს.*

ფინანსური კოვენანტების დათვლის მეთოდოლოგია:

- **ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან:** ფინანსურ ვალდებულებებს აკლდება (i) 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული /კონვერტირებადი ვალდებულებები, კომერციული ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ნასესხები სახსრები; (ii) გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ კომერციული ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები; (iii) ვალდებულებები, ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ. აღწერილი მეთოდით დათვლილი კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს;
- **საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ):** საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 24%;
- **ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ):** საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 25%;
- **ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ):** იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;
- **ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ):** ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და იურიდიულ პირთა კაპიტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინვესტიციების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალის 40%-ს;
- **ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ):** ყველა ინსაიდერის მიმართ არსებული მოთხოვნების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;
- **დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ):** დაგირავებული ან/და იპოთეკით დატვირთული აქტივების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებზე განსაზღვრული „ფინანსური ვალდებულებები/ჯამურ აქტივებთან“ კოვენანტის გარდა „ემიტენტის“ სხვა ფინანსური კოვენანტების შესრულება (როგორც მარეგულირებლის მიერ დაწესებული კოეფიციენტები, ისე კომერციული ბანკების მიერ განსაზღვრული კოვენანტები) ითვლება ინდივიდუალური საზედამხედველო ანგარიშიდან.

ემიტენტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კოეფიციენტების დაკმაყოფილება და რეპორტირება ევალება ყოველთვიურად, ხოლო კომერციული ბანკების მიერ დაწესებული კოვენანტების დაკმაყოფილება და რეპორტირება ევალება ყოველკვარტულად/ნახევარწლიურად (განსხვავდება მსესხებლების მიხედვით).

გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე განსაზღვრული „ფინანსური ვალდებულებები/ჯამურ აქტივებთან კოვენანტი“ ითვლება ინდივიდუალური IFRS-ული ანგარიშგებებიდან (აუდიტირებული სრული წლის IFRS-ული ანგარიშგებებიდან და ნახევარი წლის IFRS-ული ანგარიშგებებიდან) - 31 დეკემბრისა და 30 ივნისის მდგომარეობით და უნდა კმაყოფილდებოდეს ახალი სასესხო ვალდებულების აღების მომენტში.

არაფინანსური კოვენანტები:

კომერციული ბანკებისგან ნასესხებ სახსრებზე “ემიტენტს” განსაზღვრული აქვს არაფინანსური კოვენანტები, რომელთა მიხედვით „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისი გამსესხებლის წინასწარი თანხმობის გარეშე:

- **უზრუნველყოფის წარმოშობის შეზღუდვა:** არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან/და სხვაგვარად დატვირთვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებას, თუ ასეთი აქტივების ღირებულება აღემატება კომპანიის მთლიანი აქტივების 90%-ს.
- **განკარგვების შეზღუდვა:** არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება (ან მისი/მათი ნაწილი) ან/და შეიძინოს ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის აქტივები/ქონება ან მისი/მათი ნაწილი გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ქმედება გახორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში, თუ ასეთი აქტივების ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 90%-ს.
- **კაპიტალური დანახარჯების შეზღუდვა:** არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, თუ ასეთი ინვესტიციების, ვალდებულებების ან/და ხარჯების ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 90%-ს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის ან/და სხვა საბანკო პროდუქტების მიზნობრიობას ან/და გახორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში.
- **ვალდებულების აღებისა და განკარგვების შეზღუდვა:** (i) არ დაიკისროს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები, თუ მათი ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 90%-ს; (ii) მსესხებლის კაპიტალის 40%-ზე ზევით ოდენობაზე არ იკისროს ახალი ვალდებულებები, არ გახარჯოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება; (iii) არ განკარგოს ქონება საკუთარი აქტივების 25%-ზე მეტი ოდენობით ან არ აიღოს კრედიტები თუ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 25%-ზე ნაკლები იქნება.
- **დივიდენდების გაცემის შეზღუდვა:** არ გასცეს დივიდენდები თუ დივიდენდის მოცულობა ჯამურად აღემატება კომპანიის მთლიანი აქტივების 80%-ს.
- **უზრუნველყოფის მოთხოვნა:** (i) მსესხებლის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული მოთხოვნების მოცულობა უნდა შეადგენდეს ათვისებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი თანხის ჯამური ოდენობის არანაკლებ 130%-ს; (ii) დაგირავებული სასესხო პორტფელში შემავალი იმ სესხების პროცენტული ოდენობა, რომლებზეც ფიქსირდება ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანება 15 დღის და/ან 15 დღეზე მეტი ვადით, არ უნდა აღემატებოდეს სასესხო პორტფელის ჯამური ოდენობის 5%-ს.
- **ფინანსური ანგარიშგება:** მსესხებელი ვალდებულია სესხის გამცემ ბანკს ყოველი თვის ბოლოს წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიში სასესხო პორტფელის შესახებ.

ზემოთ მოცემული ჩამონათვალი წარმოადგენს „ემიტენტის“ ძირითადი არაფინანსური კოვენანტების მიმოხილვას.

„ემიტენტის“ მიერ გამოშვებული ობლიგაციების არაფინანსური კოვენანტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შესაბამის ემისიის პროსპექტებში, რომლებიც ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი

ემიტენტის განცხადებები

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე ფინანსური ან/და არაფინანსური დათქმების დარღვევას არ ჰქონია ადგილი. ასევე არ ჰქონია ადგილი კოვენანტების დარღვევას „პროსპექტში“ წარდგენილ სრულ პერიოდზე.

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას არ ჰქონია ადგილი.

ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

კომპანია გეგმავს ფინანსური რესურსების მოზიდვას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან, ადგილობრივი ბაზრიდან თამასუქის სახითა და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრიდან. კერძოდ, პროსპექტის შედგენის თარიღიდან 2026 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ გარდა მოზიდოს 80 მილიონ ლარამდე ან მისი ექვივალენტი დამატებითი სასესხო ვალდებულებები. მოზიდული რესურსები მოხმარდება როგორც კომპანიის მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდას, ისე არსებული სესხების რეფინანსირებას. აღსანიშნავია, რომ ემიტენტის გეგმით მოსაზიდი სახსრებიდან საბანკო ლიმიტები სრულად დამტკიცებულია პროსპექტის შედგენის თარიღისთვის.

მარეგულირებელი გარემო

მიკროსაფინანსო სექტორი მკაცრად რეგულირებული დარგია, რომლის ზედამხედველობა საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატში შედის. მიკროსაფინანსო სექტორი რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

კანონის/რეგულაციის დასახელება	თარიღი	ბოლო ცვლილება
საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ	სექტემბერი, 2009 წელი	აპრილი, 2026 წელი
საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ	ივლისი, 2006 წელი	აპრილი, 2026 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი	მარტი, 2024 წელი	არ აქვს
მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე	თებერვალი, 2020 წელი	დეკემბერი, 2025 წელი
საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე	აგვისტო, 2018 წელი	დეკემბერი, 2024 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე	თებერვალი, 2018 წელი	აპრილი, 2020 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	აპრილი, 2018 წელი	ივნისი, 2025 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე	თებერვალი, 2024 წელი	ივლისი, 2025 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ	ივლისი, 2018 წელი	ივლისი, 2025 წელი
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე	ივლისი, 2018 წელი	არ აქვს
ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	მარტი, 2021 წელი	აპრილი, 2026 წელი
ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	მარტი, 2020 წელი	თებერვალი, 2025 წელი

საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ძალაში შევიდა 2006 წელს. ამ კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 1 მილიონი ლარია (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები) საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განუსაზღვროს საზედამხედველო კაპიტალი და აუკრძალოს გარკვეული საქმიანობები. ასევე, უკანასკნელი ცვლილების თანახმად, კანონში ჩაიწერა შესაძლო მხარეები, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ მსესხებლის შესახებ ინფორმაცია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 200,000 ლარამდე მოცულობის სესხები გასცენ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება ნებისმიერი წყაროდან, თუმცა დასაშვებია სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

2006 წელს მიღებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების ჩარჩო შემდეგ ძირითად პრინციპებს მოიცავს:

ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო

- რეგისტრაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;
- სამართლებრივი ფორმა: შპს ან სააქციო საზოგადოება;
- მინიმალური საწესდებო კაპიტალი: 1 მილიონი ლარი.

ეროვნული ბანკის ზედამხედველობა

- ბრძანება ძალაში შევიდა 2012 წელს;
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია: დაარეგისტრიროს, გაუქმოს რეგისტრაცია, განახორციელოს ზედამხედველობა, დააკისროს ჯარიმა;
- რეგისტრაციის გადაწყვეტილება: 45 სამუშაო დღის ვადაში;
- განმცხადებელს ეძლევა დამატებით 30 დღე შესწორებებისთვის;
- სავალდებულო ვიდეომეთვალყურეობის სისტემა სათავო ოფისსა და ფილიალებში.

საქმიანობის რეგულირება

ნებადართული საქმიანობები:

- სესხების გაცემა და მიღება ფიზიკური/იურიდიული პირებისგან;
- ინვესტირება ფასიან ქაღალდებში;
- სადაზღვევო აგენტის ფუნქციების შესრულება;
- ვალუტის გადაცვლა და ფულადი გზავნილები;
- ობლიგაციების და თამასუქების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა;
- სხვა ბიზნესში წილების ფლობა (მაქსიმუმ განთავსებული კაპიტალის 15%).

შეზღუდვები

- მაქსიმალური სესხის მოცულობა: 200 000 ლარი;
- აკრძალულია: დეპოზიტების მიღება;
- დასაშვებია: სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

მმართველობის მოთხოვნები

დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი:

- რომელსაც არ აქვს სათანადო განათლება/გამოცდილება;
- ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისთვის;
- რომლის საქმიანობამ დააზარალა/გააკოტრა წინა ორგანიზაცია;
- ჩართული სხვა ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტში;
- ფლობს სხვა საფინანსო ინსტიტუტების წილებს.

წილის ფლობა (10%-ზე მეტი) - ეკრძალება პირს:

- ნასამართლეს ტერორიზმის დაფინანსებისთვის;
- ნასამართლეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის;

- ნასამართლევს სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის.

საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვები

2017 წლის იანვარი:

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: არაუმეტეს სესხის მოცულობის 100%
- წლიური საჯარიმო სანქცია: არაუმეტეს ნარჩენი ძირის 150%

2018 წლის ივლისი:

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: შემცირდა 50%-მდე
- წლიური საჯარიმო სანქცია: შემცირდა ნარჩენი ძირის 100%-მდე

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო (2019-2020)

- სავალდებულო გადახდისუნარიანობის შესწავლა
- ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიების გამოყენება
- დამტკიცებული სესხის უზრუნველყოფისა და მომსახურების კოეფიციენტები

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით)	სესხი უცხოური ვალუტით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსესხებლის შემოსავალიც იმავე ვალუტაშია)	სესხი ლარით (ან უცხოური ვალუტით თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია)
<1500	20%	25%
>=1500	30%	50%

წყარო: სებ-ის ვებ-გვერდი: [PTI და LTV მოთხოვნები](#)

* **გამონაკლისი:** რესტრუქტურზაცია/რეფინანსირება

„სალომბარდე სესხები, რომლებიც სრულადაა უზრუნველყოფილი მოძრავი ქონებით (ძირითადად ოქროთი), ხვდება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“ დებულების (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №44/04) პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისში, რომლის მიხედვითაც ამ სესხებზე მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზისა და სესხის მომსახურების/უზრუნველყოფის კოეფიციენტების (PTI/LTV) მოთხოვნები არ ვრცელდება. შესაბამისად, „კომპანია“ ამ სესხების გაცემისას მსესხებლის ინდივიდუალურ გადახდისუნარიანობას/PTI-ს არ აფასებს და ანდერაითინგი ეფუძნება უზრუნველყოფის შეფასებას, უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) ლიმიტებს, გამჭვირვალე პირობებსა და ფარული ხარჯების გამორიცხვას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ასეთ სესხებზე „კომპანიის“ სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ უზრუნველყოფის საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (მათ შორის, რეალიზაციის ან/და დასაკუთრების) განხორციელებით.

ლარიზაციის პოლიტიკა

2017 წლის იანვარი:

- რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე 100 000 ლარამდე სესხი - მხოლოდ ლარში

2018 წელი:

- აღნიშნული ზღვარი გაიზარდა 200 000 ლარამდე

შეზღუდვები მოზიდვაზე (2017 წელი)

20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან მოზიდვის შემთხვევაში:

- მინიმალური თანხა თითოეული პირისგან: 100 000 ლარი
- 100 000 ლარამდე თანხების დაფარვა: 1 წლის ვადაში

ანგარიშგება და კონტროლი

რეგულარული ანგარიშგება:

- თვიური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში
- კვარტალური ანგარიშგება ვებ-გვერდზე (მომდევნო თვის 15 რიცხვამდე)

ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ

1. წელიწადში ორჯერ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკზე
2. ინფორმაცია: კლიენტების მოქალაქეობა, მაღალი რისკის სესხები, მფლობელები, უცხოური ფილიალები

2018 წლის დამატებითი რეგულაციები

1. 2018 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა მიიღო ახალი ბრძანება მიკროსაფინანსო კომპანიების ლიკვიდაციის პროცედურის შესახებ, რაც ეროვნულ ბანკს აძლევს უფლებამოსილებას, რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ დაანიშნოს ლიკვიდატორი.
2. 2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო 2 ახალი ბრძანება - პირველი არეგულირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესს, ხოლო მეორე ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების საკითხებს.

კაპიტალის კოეფიციენტი

2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის განისაზღვრა კაპიტალის კოეფიციენტების მინიმალური მოთხოვნები, დადგენილი ორი განსხვავებული მიდგომის გამოყენებით - სტანდარტული და არასტანდარტული. სტანდარტული მიდგომის ფარგლებში, კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 18%-ზე ნაკლები, ხოლო არასტანდარტული მიდგომის დროს - არანაკლებ 24%.

ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება განპირობებულია იმით, თუ რა პროპორციას წარმოადგენს საზედამხედველო კაპიტალში ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული დაფინანსება. როდესაც ამ წყაროებიდან მოზიდული თანხები (ობლიგაციების ჩათვლით) საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლებს შეადგენს, კომპანიაზე ვრცელდება სტანდარტული მოთხოვნები. თუ კი ეს მაჩვენებელი 50%-ს აღემატება, მაშინ გამოიყენება არასტანდარტული მოთხოვნები.

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

როგორც საჯარო ობლიგაციების ემიტენტი, „კომპანია“ არის ანგარიშვალდებული საწარმო და ვალდებულია შეასრულოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დაწესებული რეგულაციები, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონისა („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ობლიგაციები ან/და რომლის ობლიგაციებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, არის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და შესაბამისად, წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების

წარმოებისა და მისთვის მიწოდების ვალდებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- i. აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ii. მმართველობის ანგარიშგებას;
- iii. ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- i. ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ii. შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას;
- iii. ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

- i. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ii. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად,

„კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა საილუსტრაციო ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

2023 წლის 23 ივნისის N698-1კ ეროვნული ბანკის განკარგულებით, „ემიტენტი“ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის N181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის” მესამე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 2022 წლის ანგარიშის წარუდგენლობისათვის, დაჯარიმდა 10 000 ლარის ოდენობით.

2024 წლის 20 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებით N414-1კ, გამომდინარე იქიდან, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის (ვებგვერდი - www.reportal.ge-ს მეშვეობით) გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშგებასთან ერთად არ ჰქონდა წარდგენილი დანართი N1-3-ით განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, „ემიტენტს“ მიეცა გაფრთხილება და შესაბამისობის ანგარიშის წარდგენისთვის განესაზღვრა დამატებითი ვადა არაუგვიანეს 2024 წლის 31 ივლისისა.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ყოფილი კონკურენციის ეროვნული სააგენტო), რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება „კონკურენციის შესახებ კანონის“ მიხედვით არის შემდეგი: „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ

ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები, მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, კომპანია ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ და შრომის კოდექსით დადგენილი პროცედურის დაცვით. ამასთან, ნებისმიერი ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი).

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვისა და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების უზრუნველყოფა მიჩნეულია საუკეთესო პრაქტიკად და გავრცელებულია წამყვან დამსაქმებლებს შორის, შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად, შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა

პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით, თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებულია არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ითვალისწინებს სამეწარმეო საზოგადოების, და, კონკრეტულად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესებსა და პროცედურებს:

საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც კომპანიის დირექტორების მიერ განხორციელდება, ისინი ითვლებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, სხვა პირები დაინიშნებიან ლიკვიდატორებად. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას აქციონერებზე ანაწილებს წილების პროპორციულად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავს ვალდებულებებს და განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ ხუთი თვე გავა. ამისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადა იმისდა მიხედვით, თუ რა საფუძვლით ხდება საზოგადოების დაშლა.

რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რის საფუძველზეც

მარეგისტრირებული ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას. ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

გადახდისუუნარობის პროცესი

„კომპანიაზე“ ვრცელდება 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებული პროცედურები, რომელი წესის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების ნიშნების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარმართოს გადახდისუუნარობის პროცესი:

- ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია);
- ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურზაციასთან);
- გ) საქმის წარმოების შეწყვეტა.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. **პირველი რანგი** - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში. წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. **მეორე რანგი** - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. **მესამე რანგი** - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
 - 3.1. პრეფერენციული მოთხოვნები;
 - 3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
 - 3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადო თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - 3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
 - 3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
 - 3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს („კანონი მეწარმეთა შესახებ“) და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია ერთპიროვნულ პარტნიორს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

2023 წლიდან მოყოლებული კომპანიას აქვს ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსი. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი. ემიტენტის შეფასებით, იგი პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ ნაწილობრივ შესაბამისობაშია, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობისა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ემიტენტს“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ჰქონდა კოდექსის შესაბამისი პრინციპების შესრულების ალტერნატიული მეთოდი, რომლის მოქმედების ვადაც 2026 წლის დეკემბერს იწურება. „პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის „ემიტენტმა“ განახორციელა ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში, რომლებიც ასევე გაზიარებულია საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ეს ცვლილებებია: (i) სამეთვალყურეო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ვლადიმერ შავლაყაძე (არადამოუკიდებელი წევრი), (ii) ლაშა ნიკოლაიშვილი (ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) მისი სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვევის შემდგომ დაინიშნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის დირექტორის მოადგილედ და გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელად (პროკურისტად) და (iii) ბექა ტულუშვი გახდა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი არადამოუკიდებელი წევრი. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ცვლილებები ასახულია სამეწარმეო რეესტრშიც. ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებას საბჭოში ან სხვა დასაბუთებას კომპანია ალტერნატივად წარუდგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტს. ემიტენტისთვის ცნობილი არ არის თუ რამდენად ჩათვლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველი აღნიშნულს ალტერნატივად და რა საზედამხებელო ზომებს გამოიყენებს.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან, რომელთაგან ორი არის დამოუკიდებელი წევრი. კომპანიაში ფუნქციონირებს აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები, რომელსაც თავმჯდომარეობას უწევს დამოუკიდებელი წევრი, ასევე კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

“ემიტენტს” კორპორაციული მართვის კოდექსთან შეუსაბამობა უფიქსირდება შემდეგი მიმართულებით: “ემიტენტის” აუდიტის კომიტეტისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე ერთი და იგივე პირია, რაც არ მოდის შესაბამისობაში საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან - რომლის მიხედვითაც, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არ უნდა იყოს სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.

კომპანია ფუნქციონირებს სამდონიანი მმართველობითი სტრუქტურით:

- **ერთპიროვნული პარტნიორი:** იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც უტოლდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას.
- **სამეთვალყურეო საბჭო:** შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 2 დამოუკიდებელია. საბჭოს კომპეტენციაში შედის სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მათ შორის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება.
- **დირექტორი:** მართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, ახდენს მიმდინარე პროცესების კოორდინაციასა და ფილიალების ქსელის ზედამხედველობას.

პარტნიორთა კრება

კომპანიას გააჩნია წილის ერთი კლასი - ჩვეულებრივი წილი. ჩვეულებრივი წილის მქონე პარტნიორს აქვს ხმის მიცემისა და დივიდენდის მიღების უფლება.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიას სრულად ფლობს ერთპიროვნული მაკონტროლებელი¹⁰ მხარე, დალი ურუშაძე, რომელიც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. ამ უკანასკნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უტოლდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას.

კომპანიის პარტნიორი არის პირი, რომელიც ფლობს წილს კომპანიაში. კომპანიის პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, რეგისტრირებული დამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეული, რომელსაც შეუძლია შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები საკუთარი სახელით.

ერთპიროვნულმა პარტნიორმა საკუთარი უფლებების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს კომპანიის კანონიერი ინტერესები და უფლებები. კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის. გამონაკლის შემთხვევებში, კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე, თუ ის ბოროტად გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას და კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას.

ერთპიროვნული პარტნიორი იღებს რეგულარულ გადაწყვეტილებას წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია დარწმუნდეს, რომ ერთპიროვნულ პარტნიორს სათანადოდ ეცნობა გადაწყვეტილებაზე. დირექტორის მიერ შედგენილი პარტნიორის გადაწყვეტილების მიღების შესახებ შეტყობინება უნდა მოიცავდეს გადასაჭრელი საკითხების ჩამონათვალს და იძლეოდეს ადეკვატურ დროს (არანაკლებ 14 დღისა), რათა ერთპიროვნულმა პარტნიორმა, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დეტალები გადაწყვეტილების შესახებ.

კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს აქვს და ეკისრება კომპანიის წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობები. აღნიშნულ საკითხებზე პარტნიორის გადაწყვეტილების მიღება სავალდებულოა (წინამდებარე ჩამონათვალი არ არის პარტნიორის უფლება-მოვალეობების ამომწურავი სია):

- მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მართვაში;
- მიიღოს წლიური ან შუალედური დივიდენდი კომპანიის მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
- კომპანიის წესდების და მასში ცვლილებების დადასტურება;
- კომპანიის ზოგადი პოლიტიკისა და სამეწარმეო პრინციპების განსაზღვრა;
- პარტნიორთა შორის კომპანიის ქონების განაწილება;
- კომპანიის მიერ საკუთარი წილის შეძენა;
- კონკრეტული კლასის წილიდან გამომდინარე უფლებათა ცვლილება, ახალი კლასის წილთა გამოშვება;
- წილების განაწილებასა და განთავსების საკითხების განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრების დანიშვნა, წევრის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა (არსებობის შემთხვევაში), დაქირავების პირობების განსაზღვრა;
- დირექტორის წინააღმდეგ პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, აღნიშნული პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნა);
- კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი როგორც საკუთარი სახელით, ასევე კომპანიის სასარგებლოდ კომპანიის კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად;

¹⁰ განიმარტება ფასს 10 -ის მიხედვით, რომელიც კონტროლს განმარტავს როგორც შემთხვევას, როდესაც სრულდება ყოველი შემდეგი პირობა: ინვესტორს გააჩნია ძალაუფლება კომპანიაზე; გააჩნია უფლებები მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე; ინვესტორს გააჩნია უფლება მიიღოს ცვლადი შემოსავლები კომპანიაში ჩართულობიდან გამომდინარე; ინვესტორს გააჩნია შესაძლებლობა, თავისი ძალაუფლებით გავლენა მოახდინოს ინვესტორის შემოსავლებზე.

- კომპანიის რეორგანიზაცია;
- კომპანიის დაშლა;
- წლიური შედეგების დამტკიცება;
- დამატებითი შენატანების დაბრუნება;
- კომპანიის მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს წლიური ან შუალედური დივიდენდი;
- სხვა კომპანიაში წილის შეძენა ან გასხვისება, თუ ასეთი წილის ოდენობა აღემატება ასეთი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50%-ს;
- აქტივების შესყიდვისა და გადაცემის დამტკიცება, რომელთა ღირებულება, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ აღემატება კომპანიის განთავსებული კაპიტალის 1%-ს;
- და სხვა წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

დალი ურუშაძე (პ/ნ 01008005126)

დალი ურუშაძე დაიბადა 1950 წელს. ქალბატონი დალი არის შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ (ს/კ: 204871610) 100% წილის მქონე პარტნიორი და დამფუძნებელი 2007 წლიდან. ამავე კომპანიაში ქალბატონი დალი 2022 წლამდე თანადირექტორის პოზიციას იკავებდა. მას გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მართვაში.

დალი ურუშაძე არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭო და კომიტეტები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შედგება 5 (ხუთი) წევრისგან, საიდანაც 2 (ორი) წევრი არის დამოუკიდებელი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს ერთპიროვნული პარტნიორი, 3 (სამი) წლის ვადით, მათი უფლებამოსილება ავტომატურად ხანგრძლივდება - აღსანიშნავია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება გაწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან ნებისმიერ დროს, ერთპიროვნული პარტნიორის გადაწყვეტილებით.

სამეთვალყურეო საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს წევრებიდან, კენჭისყრის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ამავდროულად არ შეიძლება იყოს კომპანიის დირექტორი.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა იმართება კვარტალში ერთხელ მაინც. სხდომებს მართავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. გარდა ამისა, საბჭოს თითოეულ წევრს ან დირექტორს უფლება აქვს მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევა და თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორს შეუძლია, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;

სამეთვალყურეო საბჭოს ქვორუმი შედგება იმ შემთხვევაში თუ სხდომას ესწრება საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრი, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის ერთ-ერთი იქნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. თუ საბჭო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში იწვევს ახალ სხდომას, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დამსწრე წევრების რაოდენობის მიუხედავად. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება - ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციასა და უფლებამოსილებებში შედის შემდეგი საკითხები:

- აკონტროლებს დირექტორის საქმიანობას და მასთან თანამშრომლობით იღებს კომპანიისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს;
- კომპანიის ბიზნეს სტრატეგიების, პოლიტიკის, პროცედურების, შიდა სახელმძღვანელოების, სტრუქტურის, პერსონალის ცხრილის, ოპერატიული სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების და ა.შ. დადასტურება;
- კომპანიის ფილიალების შექმნა და გაუქმება;
- აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, დირექტორთან შესაბამისი სამსახურებრივი ხელშეკრულების დადება და მისი პირობების განსაზღვრა, მათ შორის, დირექტორის ანაზღაურების ჩათვლით;
- დირექტორის ანგარიშის მოთხოვნა ნებისმიერ დროს და მისი დადასტურება;
- სესხებისა და სხვა ვალდებულებების აღების დამტკიცება, რომელთა ღირებულება აღემატება, მთლიანად ან ნაწილ ნაწილ, კომპანიის განთავსებული კაპიტალის 1%-ს (ერთი პროცენტს);
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- ერთპიროვნული პარტნიორისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- გარე აუდიტორის დანიშვნა აუდიტის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების საფუძველზე, გარე აუდიტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დამტკიცება;
- მოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს კომპანიის საქმიანი დოკუმენტები, მათ შორის, კომპანიის სააღრიცხვო დოკუმენტაცია, ქონება და საღარიბო; სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს დაავალდოს ზემოაღნიშნული ამოცანები ან ჩართოს ექსპერტები ასეთი ამოცანების შესასრულებლად;
- შეისწავლოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილებასთან დაკავშირებით და ანგარიში კომპანიის საქმიანობის შესახებ და ამის შესახებ ანგარიში წარუდგინოს პარტნიორს;
- სპეციალური შიდა კომიტეტების შექმნა, მათ შორის, აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი, მათი წევრებისა და ხელმძღვანელების დანიშვნა, მათი ფუნქციების განსაზღვრა, შესაბამისი შიდა სახელმძღვანელოების დამტკიცება;
- გაასაჩივროს პარტნიორის გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები.

შემდეგი ქმედებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით:

- კომპანიის ეკონომიკური პოლიტიკის, ბიზნეს გეგმის და განვითარების სტრატეგიის ზოგადი პრინციპების დაგეგმვა;
- კომპანიის ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურების და/ან სხვა შეღავათების განსაზღვრა;
- ყველა სხვა საკითხი, რომელიც კანონით ან წესდებით პირდაპირ არ არის გადანაწილებული პარტნიორზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე, არის დირექტორის კომპეტენცია და წყდება მისი შეხედულებისამებრ.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ასაკი	პოზიცია	უფლებამოსილების ვადა*
ვლადიმერ შავლაყაძე	01019010442	45	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე	თებერვალი 2026
დავით შენგელია	01011034752	51	წევრი	თებერვალი 2026
ანა ნიკოლაძე	01001015586	44	დამოუკიდებელი წევრი	თებერვალი 2026
ილია ფარეშიშვილი	20001009105	44	დამოუკიდებელი წევრი	აგვისტო 2028
ბექა ტულუში	60001145621	29	წევრი	აგვისტო 2029

**კომპანიის წესდების 9.5 მუხლის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მისი ამოწურვის შემდეგ, სანამ ერთპიროვნული პარტნიორი არ აირჩევს ახალ წევრ(ებ)ს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ხელახლა აირჩეს.*

2023 წლიდან მოყოლებული კომპანიას აქვს ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსი. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი. ემიტენტის შეფასებით, იგი პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ ნაწილობრივ შესაბამისობაშია, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობისა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ემიტენტს“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ჰქონდა კოდექსის შესაბამისი პრინციპების შესრულების ალტერნატიული მეთოდი, რომლის მოქმედების ვადაც 2026 წლის დეკემბრის იწურება. „პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის „ემიტენტმა“ განახორციელა ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში, რომლებიც ასევე გაზიარებულია საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ეს ცვლილებებია: (i) სამეთვალყურეო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ვლადიმერ შავლაყაძე (არადამოუკიდებელი წევრი), (ii) ლაშა ნიკოლაიშვილი (ყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე) მისი სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვევის შემდგომ დაინიშნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის დირექტორის მოადგილედ და გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელად (პროკურისტად) და (iii) ბექა ტულუში გახდა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი არადამოუკიდებელი წევრი. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ცვლილებები ასახულია სამეწარმეო რეესტრშიც. ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებას საბჭოში ან სხვა დასაბუთებას კომპანია ალტერნატივად წარუდგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტს. ემიტენტისთვის ცნობილი არ არის თუ რამდენად ჩათვლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველი აღნიშნულს ალტერნატივად და რა საზედამხედველო ზომებს გამოიყენებს.

დავით შენგელია, წევრი (პ/ნ: 01011034752)

დავით შენგელია „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მიკროსაფინანსო სექტორში 24 წლიანი გამოცდილება აქვს. ის 2004 წელს შეუერთდა შპს „რიკო კრედიტს“ მენეჯერის პოზიციაზე და დღემდე მუშაობს „რიკო ექსპრესის“ საოპერაციო დეპარტამენტის უფროსად, ხოლო 2018 წლიდან - „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

დავით შენგელია არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ვლადიმერ შავლაყაძე, თავმჯდომარე (პ/ნ: 01019010442)

ვლადიმერ შავლაყაძე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. მას მიკროსაფინანსო სექტორში 22 წლიანი გამოცდილება აქვს. 2003 წელს ბატონი ვლადიმერი შეუერთდა შპს „რიკო კრედიტს“ საინფორმაციო ტექნიკური განყოფილების უფროსის პოზიციაზე, ხოლო 2007 წლიდან დღემდე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

ვლადიმერ შავლაყაძე არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ანა ნიკოლაძე, დამოუკიდებელი წევრი (პ/ნ: 01001015586)

ანა ნიკოლაძე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. მას აქვს 12 წლიანი გამოცდილება საბანკო სექტორში. 2018 წლიდან დღემდე ქალბატონი ანა არის სს „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2012-2018 წლებში ანალოგიურ პოზიციას იკავებდა ტერაბანკში. 2007-2012 წლებში ქალბატონი ანა მუშაობდა Kor Standard Bank-ში სხვადასხვა პოზიციებზე.

ანა ნიკოლაძე არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ილია ფარეშიშვილი, დამოუკიდებელი წევრი (პ/ნ: 20001009105)

ილია ფარეშიშვილი „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. მას აქვს 18 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო სფეროში. იგი სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა „პროკრედიტ ბანკში“. ბატონმა ილიამ „პროკრედიტ ბანკში“ მუშაობა საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციაზე 2006 წელს დაიწყო. 2008 წლიდან 2011-მდე საკრედიტო მენეჯერის პოზიციას იკავებდა. შემდეგ, კორპორატიული ბანკირის როლში გადავიდა, სადაც 2018 წლამდე მუშაობდა. 2018 წლიდან 2024 წლამდე ბატონი ილია ბანკის ხაზინის სპეციალისტის პოზიციას იკავებდა. 2024 წელს, ბატონმა ილიამ დატოვა საბანკო სექტორი და ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიის შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ ფონდის მმართველის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნულ როლში, იგი მართავს საქართველოში პირველ ავტორიზებულ საცალო ფონდს, რომელიც „ფორსაითის ლარის ფონდის“ სახელითაა ცნობილი.

ილია ფარეშიშვილი არის ერთობლივი საინვესტიციო ფონდი „ფორსაითის ლარის ფონდის“ მმართველი 2024 წლიდან. ამის გარდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში ილია არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ბექა ტულუში, წევრი (პ/ნ: 60001145621)

ბექა ტულუში „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მიკროსაფინანსო სექტორში 10 წლიანი გამოცდილება აქვს. 2017 წელს ბატონი ბექა შეუერთდა შპს „რიკო კრედიტს“ იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს, მათ შორის საოპერაციო დირექტორის პოზიციას.

კომპანიები, სადაც ბატონი ბექა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „რიკო იმერეთი“ (ს/კ 405711234)

მმართველობითი ეფექტურობისა და კონტროლის შესანარჩუნებლად კომპანიაში შექმნილია ორი კომიტეტი - აუდიტისა და რისკების კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრებისგან ფორმირდება აუდიტის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მინიმუმ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის თავისებურებები რეგულირდება კანონმდებლობითა, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის წესდების მიხედვით.

აუდიტის კომიტეტის წესდების მიხედვით აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობებია:

- სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება ჩატარებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების სანდოობაზე აუდიტის ზეგავლენისა და ამ პროცესში კომიტეტის როლის თაობაზე;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის პერიოდული ანგარიშების წარდგენა საქმიანობის შესახებ და დაუყოვნებელი შეტყობინება ფუნქციების განხორციელებისას აღმოჩენილი დაბრკოლებების თაობაზე;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის კონტროლი, შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველყოფა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის დაცვა (ასეთის არსებობისას), გარე აუდიტორთან თანამშრომლობის კოორდინაცია;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობა;

- ხარისხის უზრუნველყოფის, რისკების მართვისა და საჭიროებისამებრ ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მხრიდან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულება, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის სტანდარტების დაცვა;

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ასაკი	პოზიცია	უფლებამოსილების ვადა
ანა ნიკოლაძე	01001015586	44	კომიტეტის თავჯდომარე და დამოუკიდებელი წევრი	მარტი 2027
ბექა ტულუში	60001145621	29	წევრი	მარტი 2027
დავით შენგელია	01011034752	51	წევრი	მარტი 2027

რისკების კომიტეტი

რისკის მართვის კომიტეტი კომპანიაში ნერგავს რისკის მართვის პრინციპებს და იცავს პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სახიფათო რისკებისგან.

რისკების კომიტეტის წესდების მიხედვით რისკების კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს:

- რეგულარულად შეისწავლოს და მიაწოდოს ხელმძღვანელობას რეკომენდაციები რისკის აპეტიტის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც საჭიროა კომპანიის საქმიანობისას;
- შეაგროვოს მონაცემები კომპანიის საქმიანი პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცესების თაობაზე აღნიშნულ რისკებთან მიმართებაში;
- აკონტროლოს შედეგები, რათა დარწმუნდეს მათ თანხვედრაში კომპანიის რისკის აპეტიტთან;
- შეისწავლოს რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რისკებისა და შესაბამისობის შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი რისკების გავლენის ანგარიშები და მიღებული ზომები მათი თვალყურის დევნების, შემცირებისა და მართვისთვის;
- სისტემატურად შეაფასოს ხელმძღვანელობის მიმოწერა მარეგულირებელ ორგანოებთან და შესაბამისი ღონისძიებები;
- შეამოწმოს და დაამტკიცოს კომპანიის სტრეს ტესტირების პროგრამა და მისი შედეგები;
- ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით რეგულარულად გადახედოს რისკის პოლიტიკას და განხორციელებულ ღონისძიებებს, რათა გარანტირებული იყოს სათანადო მექანიზმების არსებობა ამ პოლიტიკის რეალიზაციისთვის, აგრეთვე კომპანიის არსებული და პოტენციური რისკების დადგენა, შეფასება, თვალყურის დევნება და მართვა. კომიტეტს არ გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოს სახელით იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობით, რეგულაციებით ან მოქმედი პოლიტიკით განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს ექსკლუზიურ კომპეტენციას.

რისკების კომიტეტის შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ასაკი	პოზიცია	უფლებამოსილების ვადა
ანა ნიკოლაძე	01001015586	44	კომიტეტის თავჯდომარე და დამოუკიდებელი წევრი	უვალო
ბექა ტულუში	60001145621	29	წევრი	უვალო
ვლადიმერ შავლაყაძე	01019010442	45	წევრი	უვალო

ხელმძღვანელი ორგანო

კომპანიას ხელმძღვანელობს და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორი, იგივე ხელმძღვანელი ორგანო. კომპანიას ჰყავს 1 (ერთი) დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორმა უნდა დააკმაყოფილოს მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მიმართ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

დირექტორს აქვს კომპანიის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც პირდაპირ მიემართება პარტნიორს და სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორს თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით და ხელახალი დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ დირექტორის უფლებამოსილების ახალი ვადის რეგისტრაცია ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შეცვლა არ განხორციელდება კანონით დადგენილი წესით, დირექტორის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.

დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებია:

- დაიქირაოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები, გამოიყენოს დისციპლინური და წამახალისებელი ზომები შინაგანაწესის შესაბამისად;
- დადოს ხელშეკრულებები, გასცეს მინდობილობები;
- გახსნას კომპანიის ანგარიშები;
- გამოსცეს ორგანიზაციულ-მმართველობითი ხასიათის დოკუმენტები;
- კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტა საკუთარი შეხედულებისამებრ;
- იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც კანონით ან წესდებით პირდაპირ არ არის განაწილებული პარტნიორზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე.

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ასაკი	პოზიცია	უფლებამოსილების ვადა*
თამარ გოგოძე	01008014709	51	დირექტორი	3 წლის ვადით, ხელახალი დანიშვნის უფლებით

*დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება 3 (სამი) წლის ვადით, ხელახალი დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ დირექტორის უფლებამოსილების ახალი ვადის რეგისტრაცია ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შეცვლა არ განხორციელდება კანონით დადგენილი წესით, დირექტორის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით.

თამარ გოგოძე, დირექტორი (პ/ნ: 01008014709)

თამარ გოგოძე მიკროსაფინანსო დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მენეჯერია. მისი აღმასრულებელი ლიდერობის ქვეშ „რიკო ექსპრესი“ დარგის მოწინავე კომპანიად იქცა. ქალბატონი თამარი „რიკოს“ შეუერთდა 1999 წლიდან და იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს, ხოლო 2004 წლიდან იკავებს დირექტორის პოზიციას.

თამარ გოგოძე არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

თანამშრომლები:

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობაა 783 და 846 თანამშრომელი, შესაბამისად.

ანაზღაურება და ბენეფიტები

2025 და 2024 წლების განმავლობაში კომპანიის თანამშრომლებზე გაწეულმა ხარჯებმა 33,680 ათასი და 28,324 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად.

აღნიშნულიდან, სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან გაწეული ხარჯები შეადგენს 2,368 ათას ლარს 2025 წელს და 3,427 ათას ლარს 2024 წელს.

ინტერესთა კონფლიქტი

კომპანიის დირექტორის მოადგილე (ლაშა ნიკოლაიშვილი) არის კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორის შვილი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამოწვეული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაციისთვის, კომპანიაში შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის შიგნით არსებული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენას, პრევენციასა და მიტიგაციას.

ასევე, „ემიტენტის“ 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის არსებობს შემდეგი ტიპის ნათესაური კავშირი: დალი ურუშაძე (ერთპიროვნული პარტნიორი) არის ლაშა ნიკოლაიშვილის (დირექტორის მოადგილის / პროკურისტის) დედა.

საჩივრების შესახებ განცხადება

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, ბოლო 5 წლის მანძილზე „ემიტენტის“ პარტნიორისა და მმართველი ორგანოს წევრების მიმართ არ გამოვლენილა თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტები.

ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა იმ კომპანიების გაკოტრება ან/და ლიკვიდაცია, რომელშიც კომპანიის პარტნიორსა და მმართველი ორგანოს წევრებს ეკავათ თანამდებობები.

დივიდენდების პოლიტიკა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიას“ შეუძლია დივიდენდების განაწილება როგორც წლიური, ასევე ნახევარწლიური მოგებიდან. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პარტნიორი, სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. დივიდენდების განაწილებაზე შეზღუდვები არ ვრცელდება, გარდა იმ ვალდებულებებისა და პირობებისა, რომლებიც განსაზღვრულია „კომპანიის“ მოქმედ საბანკო ხელშეკრულებებითა და მათში გათვალისწინებული კოვენანტებით.

დამფუძნებლისთვის გადახდილი დივიდენდები 2025 და 2024 წლებისთვის:

(ათასი ლარი)	2024	2025
დამფუძნებლისთვის გადახდილი დივიდენდი	63,180	61,849

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დაუფარავი ნაშთები არის შემდეგი:

	2025			2024		
	მფლობელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	მფლობელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
დაუფარავი სესხები 1 იანვარს, მთლიანი	-	95	80	-	72	59
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	-	5	61	-	42	23
წლის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(95)	(2)	-	(19)	(2)
დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, მთლიანი	-	5	139	-	95	80
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(3)	-	-	-
დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, წმინდა	-	5	136	-	95	80
საიჯარო ვალდებულება 1 იანვრის მდგომარეობით	123	-	6	183	-	1,353
შესყიდვები	-	-	3,146	-	-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(74)	-	(1,329)	(74)	-	(1,542)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	7	-	299	14	-	195
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	56	-	2,122	123	-	6
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 1 იანვარს	-	26,218	-	-	32,920	-
გამოშვება	-	22,000	-	-	-	-
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	(26,311)	-	-	(10,045)	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	106	-	-	3,343	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	22,013	-	-	26,218	-
სუბორდინირებული ვალი 1 იანვარს	25,000	-	-	-	-	-
გამოშვება	-	-	-	25,000	-	-
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	(2,945)	-	-	(1,194)	-	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	2,945	-	-	1,194	-	-
სუბორდინირებული ვალი 31 დეკემბერს	25,000	-	-	25,000	-	-
ნასესხები სახსრები 1 იანვარს	-	-	-	-	-	880
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	-	-	-	-	(898)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	-	-	-	-	18
ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს	-	-	-	-	-	-
მარტივი თამასუქები 1 იანვარს	29,197	16,604	354	7,819	5,433	448
წლის განმავლობაში გამოშვებული მარტივი თამასუქები	79,010	105,677	402	61,389	111,182	714

წლის განმავლობაში გადახდილი მარტივი თამასუქები	(80,274)	(110,409)	(345)	(40,264)	(100,013)	(822)
სხვა ცვლილებები	-	-	-	253	2	14
მარტივი თამასუქები 31 დეკემბერს	27,933	11,872	411	29,197	16,604	354

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოდგენილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და მფლობელის ოჯახის წევრებით, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მართვის ქვეშ მყოფი საწარმოებით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავალი და ხარჯი იყო შემდეგი:

	2025			2024		
	მფლობელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები	მფლობელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	-	1	-	25	220
საპროცენტო ხარჯი მარტივ თამასუქებზე	(2,319)	(36)	(6)	(2,155)	(1,394)	(26)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	-	-	-	-	-	(18)
საპროცენტო ხარჯი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე	-	(26,311)	-	-	(3,343)	-
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ ვალებზე	(2,945)	-	-	(1,194)	-	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(7)	-	-	(14)	-	(1,527)
საკომისიო ხარჯი	-	-	(1,763)	-	-	(1,527)
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	-	-	664	-	-	-

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს შემდეგს:

	2025	2024
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოები	2,368	3,427

ოპერაციები აქციონერთან ასევე მოიცავს სადივიდენდო გადახდებს:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიანი მოგებიდან. 2025 წელს კომპანიამ მფლობელს გადაუხადა 61,849 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები, შესაბამისად (2024 წ.: 63,180 ლარი).

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“, IFRS) შესაბამისად 2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული ინდივიდუალური წლიური ფინანსური ანგარიშგება“) reportal.ge
- „ემიტენტის“ არააუდიტირებული კვარტალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული საზედამხედველო მიზნებისთვის 2026 და 2025 წლის 31 მარტისთვის დასრულებული პერიოდებისათვის [doxumentebi | rico კრედიტი](http://doxumentebi.rico.ge)
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი www.rico.ge
- საქსტატი <https://www.geostat.ge/ka>
- საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge
- Bloomberg

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა)

- კომპანიის ამონაწერი (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B26415321)
- სადამფუძნებლო შეთანხმება და კომპანიის წესდება (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B26349498);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა „კომპანიის“ წესდებისა და ფინანსური ანგარიშგებებისა, წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“ ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო -382,474 ათასი ლარი, ხოლო 2024 წელს -79,451 ათასი ლარი.

ცხრილში წარმოდგენილია მოკლევადიანი აქტივები, მოკლევადიანი ვალდებულებები და მიმდინარე კოეფიციენტი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 2025 წლის 31 დეკემბრისთვისა და პრო-ფორმა ეფექტის გათვალისწინებით:

(ათას ლარში)	31 დეკემბერი 2025 პრო-ფორმა*	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მოკლევადიანი აქტივები	183,956	183,956	169,765
მოკლევადიანი ვალდებულებები	512,528	566,430	249,216
მიმდინარე კოეფიციენტი	0.36	0.32	0.68

*პრო-ფორმა მაჩვენებლის დაანგარიშებისას კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები შემცირებულია 20,000 ათასი აშშ დოლარით ხოლო მოკლევადიანი აქტივები უცვლელია.

**მიმდინარე კოეფიციენტის დათვლის მეთოდოლოგია შემდეგია: მოკლევადიანი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან.

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია. აღნიშნულის მიზეზი აღწერილია ქვემოთ:

- 2023 წლის მე-4 კვარტალში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ახალ გასაცემ სალომბარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა (აღნიშნული ვადა მანამდე განსაზღვრული იყო 1 წლამდე ვადით). ამის მიზეზი არის, რომ მაშინ, როდესაც კლიენტებს სურდათ მაღალი ვადიანობის სესხების აღება ერთსა და იმავე უზრუნველყოფას განმეორებით იყენებდნენ და 1 წლიანი სესხების განახლება რამდენჯერმე უწყევდათ. შესაბამისად, კომპანიის რესურსებისა და კლიენტების დროის დასაზოგად, მარეგულირებელთან შეთანხმებით და „ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების“ პრინციპების დაცვით, „ემიტენტი“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასესხო ხელშეკრულებები ფორმალურად და იურიდიულად გაფორმდეს 3 წლიანი ვადით. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში მომხმარებელზე გაცემული სესხები ოფიციალურად კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები, პრაქტიკაში სალომბარდე სესხების უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3-დან 6 თვემდე ვადაში ხდება;
- აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომპანიის სასესხო პორტფელი ეტაპობრივად ახლდება (ძველი სესხების ნაცვლად გაიცემა ახალი სესხები 3 წლიანი სტანდარტული ვადიანობით). აღნიშნული იწვევს საბრუნავი კაპიტალის უარყოფით მაჩვენებელს;
- მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სურათისგან - რაც გულისხმობს, რომ კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ფინანსური ანგარიშგებებიდან ჩანს;

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, „ემიტენტის“ შეფასებით კომპანია რეალურად არ არის არასაკმარისი საბრუნავი კაპიტალის წინაშე და მისი მოკლევადიანი აქტივები საკმარისია მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად - ვინაიდან „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ არ შეიცვლება მისი ბიზნეს მოდელი და მომხმარებელთა ქცევის პატერნი. ამის მიუხედავად არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული ორი გარემოება უცვლელი დარჩება - დეტალურად იხილეთ რისკების სექცია.

ამასთანავე თუ მომხმარებლებზე გაცემული სასესხო პორტფელიდან მიღებული თანხები კვლავ გაიცემა მომხმარებლებზე, მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად „კომპანიას“ დამატებითი დაფინანსების მოზიდვა

დასჭირდება; ხოლო თუ აღნიშნული თანხები ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება - პორტფელის მოცულობის შესაზღვრებლად კვლავ ახალი რესურსის მოზიდვა იქნება საჭირო. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში „კომპანია“ მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია დაფინანსების წყაროების უწყვეტ ხელმისაწვდომობასა და რეფინანსირების შესაძლებლობაზე.

ამასთან, „ემიტენტი“ მიმდინარე ობლიგაციების ემისიით გეგმავს ჯამურ 100,000,000 აშშ დოლარამდე ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მოზიდული სახსრების 20% მოხმარდება მოკლევადიანი ნასესხები სახსრების რეფინანსირებას, ხოლო დანარჩენი ნაწილი - მომხმარებელზე გაცემული სასესხო პორტფელის ზრდას.

1.2. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.	„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი გარდა ქვემოთ მოცემულისა. არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: (ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე; (ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული

		ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი. „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.
--	--	--

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „კომპანიაზე“ ვრცელდება 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებული პროცედურები, რომელი წესის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების ნიშნების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად. აღნიშნული კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);
- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანმიმდევრობით:
 - a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
 - b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი საგადასახადების თანხები;
 - c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადასახდელი თანხების ჩათვლით, რომლებიც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა

ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები

e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და

f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

1. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს:

1.1 შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

1.2 კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

„ობლიგაციების“ გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3 ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10.

1.4 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

თითოეული ინდივიდუალური ემისიისათვის (რომელთაგან უკანასკნელი ემისია განხორციელდება არაუგვიანეს ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, რომელსაც აზუსტებს შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“) „ობლიგაციები“ გაცემულია დემატერიალიზებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 (ათასი) აშშ დოლარს. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

1.5 იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ და „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

1.6 ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის შეზღუდვა.

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა და „მინიმალური ინვესტიციის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) დაცვის მოთხოვნით დაწესებული შეზღუდვისა.

„ობლიგაციების“ პირველადი განთავსება და მეორად ბაზარზე გადაცემა/გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) თითოეულ „ობლიგაციონერს“ პირველადი განთავსების ან/და მეორად ბაზარზე გადაცემის/გასხვისების შედეგად საკუთრებაში ექნება იმდენი ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის, შეადგენს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს შესაბამის განთავსების ვალუტაში („მინიმალური ინვესტიცია“) (რომლის გამოთვლაც მოხდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით) იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია. შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც თითოეული „ობლიგაციონერისგან“ მოზიდული თანხა ან „ობლიგაციონერის“ საკუთრებაში არსებული ან ტრანზაქციის შედეგად დარჩენილი ინვესტიციის მოცულობა, იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია, „მინიმალურ ინვესტიციაზე“ ნაკლებია; და (ბ) აკრძალულია „ობლიგაციების“ თანასაკუთრება, ე.ი. ერთი „ობლიგაცია“ შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ერთ „ინვესტორზე“.

1.7 ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის შესახებ.

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ იქნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი გახდება, რაც შესაძლებელი იქნება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ან/და „თბილისის საფონდო ბირჟის“ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. კომპანიამ შესაძლოა ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან/და სს „თბილისის საფონდო ბირჟას“, რათა ობლიგაციები დაშვებული იქნეს სავაჭროდ აღნიშნულ ბაზარზე. წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ და სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ ითვლება ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად მხოლოდ ბირჟის A და B კატეგორიის სალისტინგო სეგმენტში. ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას. საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ არ იქნება დალისტული რომელიმე ზემოაღნიშნულ საფონდო ბირჟაზე, კომპანიას შეეხება მათი დაბეგვრის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც გულისხმობს წყაროსთან დასაკავებელ 5%-იან გადასახადს (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში):

რაც შეეხება „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრას, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) იბეგრება შესაბამისი გადასახადებით, კერძოდ, ფიზიკური პირის შემთხვევაში მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მიღებული მოგება (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით. იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლის გაცემისას საბროკერო კომპანია ვალდებულია გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი. აგრეთვე, ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ ორ წელზე მეტი ვადით ფლობისა და ეკონომიკურ საქმიანობაში არ გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკური პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი განთავსდებულა საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე (იგულისხმება

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან/და თბილისის საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტის) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

2.საჯარო შეთავაზების პირობები

2.1 შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

2.1.1 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება.

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ პირობებს.

2.1.2 ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის მაჩვენებელი.

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ოდენობაა 100,000-მდე, 100 მილიონ დოლარამდე, რომელთა გამოშვება განხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით აშშ დოლარში.

2.1.3 პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

„ობლიგაციების“ შეთავაზების და პროსპექტის მოქმედების ვადა დაიწყება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, ამავე „წინასწარი პროსპექტისა“ და რელევანტური „წინასწარი შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან და დასრულდება ამ მომენტიდან 12 თვეში. აღნიშნული გულისხმობს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ან შესაძლებელია განხორციელდეს ემისიით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება. ამასთანავე, საჯარო შეთავაზების დასრულებად ჩაითვლება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტის დადგომა: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად ვადამდე განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა;

შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა:

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“ (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“). „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ განახორციელონ საბაზრო ინტერესის შეფასება და ამ მიზნით ემისიის შესახებ ინფორმაცია გაუზიარონ პოტენციურ ინვესტორებს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული განთავსების აგენტის უფლებამოსილი შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან წინასწარი „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ

ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ- გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღზე შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღს ერთპიროვნულად განსაზღვრავს „განთავსების აგენტ(ებ)ი“, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს შესაბამის პირებს. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტით დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის დისკრეციული გადაწყვეტილებისამებრ.

„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 2(გ) ქვეპუნქტში მითითებული საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდის შესაბამის შეტყობინებას ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და „ინვესტორს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია განათავსოს „ობლიგაციები“ „გადავადებული განთავსების ფასით“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) „გამოშვების თარიღიდან“ შეთავაზების დასრულების თარიღის ჩათვლით. „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით განსათავსებელი „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით.

„ობლიგაციების“ შესყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

თუ შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული „განთავსების თარიღზე“, „ემიტენტი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და მისი დისკრეციის ფარგლებში:

(ა) გამოაცხადოს/ჩათვალოს განუთავსებელი „ობლიგაციები“ გაუქმებულად (შესაბამისი რაოდენობის „ობლიგაციები“ გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული/გაუქმებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის „სებ“-ს, შესაბამის საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, და, აგრეთვე, განახორციელებს შესაბამის შეტყობინებას აღნიშნულის შესახებ, „კანონმდებლობით“ დადგენილი წესის შესაბამისად; ან

(ბ) განახორციელებს თავდაპირველად განუთავსებელი „ობლიგაციების“ გადავადებულ განთავსებას „გადავადებული განთავსების ფასით“, წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და „კანონმდებლობის“ შესაბამისად/გათვალისწინებით.

იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით).

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ „განთავსების აგენტთან“ გახსნილ საბროკერო ანგარიშზე საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „განთავსების თარიღამდე“ („განთავსების თარიღის“ თაობაზე ინვესტორებს ეცნობებათ „განთავსების აგენტის“ მეშვეობით) არანაკლებ 1 სამუშაო დღით ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

ბ) საჯარო „შეთავაზების პერიოდში“ ცვლილების შეტანის პროცედურა

„შეთავაზების პერიოდში“ „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

2.1.4 მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც.

„ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია გაუქმდეს ან შეჩერდეს „კანონმდებლობის“ შესაბამისად. ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებამდე და „ობლიგაციების“ გამოშვებამდე/განთავსებამდე, „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ გამოშვებაზე/განთავსებაზე და გააუქმოს შეთავაზება საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, რის შესახებაც გონივრულ ვადაში მოხდება ინვესტორების ინფორმირება, შესაბამისი „განთავსების აგენტის“ მეშვეობით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პროცედურის/პროცესის შესაბამისად.

2.1.5 განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით.

2.1.6 ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა.

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია „საჯარო შეთავაზების პირობების“ 2.1.3. (ა) ქვეპუნქტში.

2.1.7 იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ.

პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით, „განთავსების აგენტის“ მიერ შეთავაზების დასრულებისა და ალოკაციის შესახებ შეტყობინების მიღებამდე შეცვალოს ან გამოითხოვოს თავისი განაცხადი. აგრეთვე, იგი უფლებამოსილია ალოკაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში დაადასტუროს ან უარი განაცხადოს სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ განაცხადზე. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ნებისმიერ შემთხვევაში პოტენციური ინვესტორი კარგავს უფლებას გააუქმოს თავისი განაცხადი თუ მან „განთავსების აგენტსა“ და მას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული გზით დაადასტურა გამოუთხოვადი დავალება (ე.წ. Trade Order) (თუნდაც აღნიშნული ვადა იყოს ალოკაციის შესახებ შეტყობინებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღეზე ნაკლები).

ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პარაგრაფში მითითებული ჩანაწერი ვრცელდება როგორც პირველად, ისე გადავადებულ განთავსებაზე.

2.1.8 შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება.

განთავსების ანგარიში ეროვნულ ბანკს წარედგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

2.1.9 პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში.

„ობლიგაციებთან“ მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება

2.2 განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

2.2.1 პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

„ობლიგაციების“ ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

2.2.2 ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. შეტყობინება გაიგზავნება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან

„განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით.

ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საბოლოო საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.

პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. მხოლოდ აღნიშნული ვადის გასვლის ან ინვესტორის მიერ დადასტურების შემდეგ იძენს განაცხადი გამოუთხოვად და სავალდებულო ძალას („ხელმძღვანელი ინვესტორები“). ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და განაცხადის დადასტურებამდე (ან ავტომატურ დადასტურებამდე). „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „განთავსების აგენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის კომუნიკაცია განხორციელდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და „განთავსების აგენტსა“ და პოტენციურ ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პარაგრაფში მითითებული ჩანაწერი ვრცელდება როგორც პირველად, ისე გადავადებულ განთავსებაზე.

2.2.3 მითითება ემიტენტის მენეჯმენტზე, დირექტორებზე და აქციონერებზე თუ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობის მიღებას.

წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია „ემიტენტის“ მენეჯმენტის, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერების (პარტნიორების) შესახებ, რომელთაც სურთ გამოიწერონ შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

3. ფასის დადგენა

3.1 ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით.

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას.

3.2 შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა.

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

4. განთავსება

4.1 შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და „ობლიგაციონერების“ წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

არ არის რელევანტური ამ ემისიისთვის.

4.2 ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 97

4.3 განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 97

განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი. „ობლიგაციების“ განთავსება ხდება განთავსების აგენტთან 2026 წლის 12 ივნისს გაფორმებული შეთანხმების წერილების საფუძველზე.

4.4 მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ სრულად განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

ობლიგაციების პირობები

(შემდგომში მოხსენიებული როგორც „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“)

„ობლიგაციებზე“ გავრცელდება ქვემოთ მოცემული პირობები:

ფიქსირებულგანაკვეთიანი „ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა და ნომინალური ღირებულება „ემისიის პროსპექტისა“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად შეადგენს ჯამურად 100,000,000 აშშ დოლარამდე, გამოშვებულია ერთი ან რამდენიმე ემისიის მეშვეობით. „ობლიგაციები“ შესაძლოა გამოშვებულ იქნას აშშ დოლარში. ობლიგაციები გამოშვებულია 3 (სამი) წლის ვადით. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტალური; გ) ნახევარწლიური; ობლიგაციების ვადიანობა განისაზღვრება 3 (სამი) წლით.

„ობლიგაციები“ გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2026 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ემიტენტის განცხადებით მიღებულია „კომპანიის“ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი და „დაფარვის დათქმული თარიღი“, პროცენტის გადახდის თარიღი, მათ შორის, „ობლიგაციების“ გამოშვების პირობები, „ობლიგაციონერთა“ უფლებები, „ემიტენტის“, „კომპანიის“ ვალდებულებები (მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როდესაც შესაბამისი ჩანაწერი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა მისი არსებობა გამომდინარეობს დებულების შინაარსიდან, მიზნობრიობიდან ან სისტემური განმარტებიდან) განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ და „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ (შემდგომში „პირობების დოკუმენტი“).

გარდა „პროსპექტის“ სხვა თავებში (მათ შორის, „ობლიგაციების გამოშვების პირობებში“) აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობებისა, მოცემულ თავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ - ასევე აღწერილია გარკვეული დამატებითი პირობები „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით. ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიისა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“, როგორც „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ შორის. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „ემისიის პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამომდინარეობს შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამისი პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ ხელშეკრულების“ „პროსპექტთან“ წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა ექნება „პროსპექტის“ დებულებებს.

შეთავაზების პერიოდი: ნიშნავს დროის მონაკვეთს „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, ამავე „პროსპექტის“ და რელევანტური „წინასწარი შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა და წინამდებარე „პროსპექტით“ დაწესებული „მინიმალური ინვესტიციის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) დაცვის მოთხოვნის შეზღუდვისა.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 აშშ დოლარი. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ / „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერის“ / „ინვესტორის“ წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ იმ ომნიბუს სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ინვესტორ(ებ)ის ობლიგაცი(ებ)ი.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) საჯარო „შეთავაზების პერიოდში“ ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო „შეთავაზების პერიოდში“ „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

(ბ) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება ობლიგაცი(ებ)ის დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება შესაბამის ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად.

ამ „ემისიის პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა და „მინიმალური ინვესტიციის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) დაცვის მოთხოვნით დაწესებული შეზღუდვისა.

„ობლიგაციებთან“ მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

„ობლიგაციების“ პირველადი განთავსება და მეორად ბაზარზე გადაცემა/გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) თითოეულ „ობლიგაციონერს“ პირველადი განთავსების ან/და მეორად ბაზარზე გადაცემის/გასხვისების შედეგად საკუთრებაში ექნება იმდენი ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის, შეადგენს მინიმუმ 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს შესაბამის განთავსების ვალუტაში („მინიმალური ინვესტიცია“) (რომლის გამოთვლაც მოხდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი

კურსით) იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია. შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი ტრანზაქცია, რომლის შედეგადაც თითოეული „ობლიგაციონერისგან“ მოზიდული თანხა ან „ობლიგაციონერის“ საკუთრებაში არსებული ან ტრანზაქციის შედეგად დარჩენილი ინვესტიციის მოცულობა, იმ „ანგარიშის მწარმოებელთან“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ტრანზაქცია, „მინიმალურ ინვესტიციაზე“ ნაკლებია; და (ზ) აკრძალულია „ობლიგაციების“ თანასაკუთრება, ე.ი. ერთი „ობლიგაცია“ შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ერთ „ინვესტორზე“.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციონერს“ არ მოეთხოვება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ „მინიმალური ინვესტიციის“ ოდენობამდე შევსება, თუ ვალუტის კურსის ცვლილების გამო მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ საერთო ნომინალური ღირებულება ჩამოსცდება 500,000 (ხუთასი ათასი) ლარის ექვივალენტს შესაბამის განთავსების ვალუტაში.

თითოეული „ანგარიშის მწარმოებელი“, ისევე როგორც თითოეული „ობლიგაციონერი“, ვალდებულია უზრუნველყოს რომ:

(ა) როგორც პირველადი განთავსების, ასევე „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით მეორად ბაზარზე დადებული ნებისმიერი გასხვისების ტრანზაქციის დროს დაცული იქნება „მინიმალური ინვესტიციის“ მოთხოვნა ასეთ „ანგარიშის მწარმოებელთან“. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ ბლოკავს ტრანზაქციას და უარს ამბობს მის აღსრულებაზე. ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, თუ „ობლიგაციონერს“ „ობლიგაციები“ განთავსებული აქვს სხვადასხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“, „ანგარიშის მწარმოებელი“ უფლებამოსილია უარი განუცხადოს „ობლიგაციონერს“ ინიცირებული ტრანზაქციის აღსრულებაზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ სხვადასხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ განთავსებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობით „ობლიგაციონერი“ შესაბამისობაშია „მინიმალური ინვესტიციის“ მოთხოვნასთან. „ანგარიშის მწარმოებელთან“ ერთად „ობლიგაციების მინიმალური ოდენობის მოთხოვნის“ დაცვის ვალდებულება და შესაბამისად, წინამდებარე პუნქტით დადგენილი მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს არა მხოლოდ „ანგარიშის მწარმოებელს“, არამედ თავად „ობლიგაციონერსაც“ საკუთარი „ობლიგაციების“ ქრილში; და

(ბ) ნებისმიერ დროს დაცული იქნება „ობლიგაციების“ თანასაკუთრებასთან დაკავშირებული აკრძალვა, ე.ი. ნებისმიერი ერთი „ობლიგაციის“ მფლობელი იქნება მხოლოდ ერთი „ინვესტორი“.

(გ) ფასისა და დასარიცხი პროცენტის (კუპონის) დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების პირობების 2(დ) („ობლიგაციების შეთავაზების პროცესი“) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო „ემისიის პროსპექტში“ ასახვას.

(დ) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას. შეთავაზების პროცესი წარიმართება „შეთავაზების პერიოდში“ ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

„განთავსების აგენტი“ განხორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „ინვესტორებს“ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან წინასწარი „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება ერთპიროვნულად „განთავსების აგენტის“ მიერ, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 1 ერთი) „სამუშაო დღეზე“ ნაკლები. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად. ასევე, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია შეცვალოს თავისი განაცხადი შეთავაზების დასრულებამდე, კერძოდ, „განთავსების აგენტის“ მიერ შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებამდე.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა (აღნიშნული შეტყობინება პოტენციურ „ინვესტორს“ მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და „ინვესტორს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით). ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც

პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („ინვესტორები“).

პოტენციური „ინვესტორი“ უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით ან „განთავსების აგენტსა“ და „ინვესტორს“ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით მიწოდებით, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. „ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ „განთავსების აგენტთან“ გახსნილ საბროკერო ანგარიშზე ან „ცენტრალურ დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 1 (ერთი) „სამუშაო დღისა“. „ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“ არსებული ინვესტორის ანგარიშზე. საგამონაკლისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ საბროკერო და/ან საბანკო ანგარიშზე („განთავსების აგენტთან“ გახსნილი „ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება „ცენტრალური დეპოზიტარის“ სისტემაში განხორციელდება შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელთან“ / „ანგარიშის მფლობელთან“ გახსნილ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ „ემიტენტის“ წინასწარი თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია „ემიტენტის“ მენეჯმენტის, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერების (პარტნიორების) შესახებ, რომელთაც სურთ გამოიწერონ შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნულის კონტროლი არ წარმოადგენს „განთავსების აგენტის“ ვალდებულებულებას.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით.

(ე) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია განათავსოს „ობლიგაციები“ „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული

განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით განსათავსებელი „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან „ობლიგაციებს“ „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „ინვესტორ(ებ)ი“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე. „გადავადებული განთავსების თარიღი“ ინვესტორებს ეცნობებათ „განთავსების აგენტის“ მიერ შესაბამისი შეტყობინების „ინვესტორის“ მისამართზე ან ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. თუ ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

„ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“ ან „ცენტრალურ დეპოზიტარში“. ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“ არსებული „ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე.

„ემიტენტი“ უფლებამოსილია, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, არ გამოუშვას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციები“ ან/და გააუქმოს ყველა გამოშვებული „ობლიგაცია“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ „გამოშვების თარიღზე“ არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“.

თუ „საბოლოო პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განუთავსებელ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით „ემიტენტი“ მიიღებს გადაწყვეტილებას მათი გაუქმების შესახებ, რომელიც აისახება „ცენტრალურ დეპოზიტართან“, რის შემდეგაც აღნიშნული „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია გაუქმდეს ან შეჩერდეს „კანონმდებლობის“ შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებამდე და „ობლიგაციების“ გამოშვებამდე/განთავსებამდე, „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ გამოშვებაზე/განთავსებაზე და გააუქმოს შეთავაზება საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, რის შესახებაც გონივრულ ვადაში მოხდება ინვესტორების ინფორმირება, შესაბამისი „განთავსების აგენტის“ მეშვეობით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პროცედურის/პროცესის შესაბამისად.

„შეთავაზების პერიოდის“ დასრულებიდან 1 თვის ვადაში „ემიტენტი“ ეროვნულ ბანკს წარუდგენს და გაასაჯაროებს ინფორმაციას შეთავაზების და განთავსების შედეგების შესახებ.

3. სტატუსი

საქართველოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზნებისთვის, „ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „კომპანიაზე“ ვრცელდება 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებული პროცედურები, რომელი წესის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების ნიშნების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად. აღნიშნული კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

4. ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტმა შესაძლოა ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას ან/და თბილისის საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტიგში დაშვების თაობაზე.

5. ვალდებულებები

5.1 კოვენანტები

(ა) უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:

- (i) მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის „დაუფარავი“ „ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შეძენილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“.
- (ii) მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის „დაუფარავი“ „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ „წმინდა სასესხო პორტფელის“ ის ნაწილი, რომელიც შეადგენს განთავსებული და „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების არანაკლებ 50(ორმოცდაათი)%-ს, თავისუფალი იყოს ნებისმიერი ისეთი გირავნობის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვისგან, რომელსაც აქვს „ემიტენტის“, მისი „შვილობილი კომპანიების“ ან ნებისმიერი მესამე პირის დავალიანების უზრუნველყოფის მიზანი.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:

„ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ როგორც თავად ისე მისმა თითოეულმა „შვილობილმა კომპანიამ“ განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება და შეინარჩუნოს მისი ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ნებართვის გამოსაყენებლად, გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („რეორგანიზაცია“) განსაზღვრული შემთხვევებისა, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, ნებართვა, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ნებართვის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს

„ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) რეორგანიზაცია:

- (I) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს), არ განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის (ამ მიზნებისთვის განიმარტება, როგორც ისეთი ქონება ან აქტივები, რომლებიც წარმოადგენს „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 50%-ს ან მეტს) განკარგვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა შემდეგი პირობები:

(i) ზემოხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ყველა არსებით უფლებას და ვალდებულებას იმ აუცილებელი პირობების/სტანდარტების გათვალისწინებით, რაც საჭიროა ამგვარი უფლებებისა და ნამდვილობისთვის;

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) ინარჩუნებს ან არის „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს; და

(გ) „სამართალმემკვიდრე“, ასეთი ტრანზაქციის ძალაში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ (i) უნდა წარმოადგენდეს სათანადოდ ორგანიზებულ, მოქმედ და სათანადო სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ ერთეულს იმ იურისდიქციის ქვეშ, სადაც ის არის შექმნილი; (ii) უნდა იყოს გადახდისუნარიანი; (iii) „სამართალმემკვიდრე“ არ უნდა იყოს ჩართული მიმდინარე ან მოსალოდნელ სასამართლო დავაში, საარბიტრაჟო პროცესში, საგადასახადო მოთხოვნაში ან სხვა ისეთ წარმოებაში, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს მისი უნარი, შეასრულოს ვალდებულებები „ობლიგაციების“ (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისად; და (iv) „სამართალმემკვიდრის“ კომერციული და ფინანსური მდგომარეობა არ უნდა იყოს იმაზე უარესი ვიდრე „ემიტენტის“ არსებული მდგომარეობა უშუალოდ ასეთი ტრანზაქციის განხორციელების წინ;

(დ) თუ რეორგანიზაცია ხდება „ემიტენტთან“ შერწყმის ან გაერთიანების ფორმით, „ემიტენტთან“ შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების (რეორგანიზაციამდე 30 ივნისის ან 31 დეკემბრის მდგომარეობით (უახლესი) „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებით) 25(ოცდახუთი)%-ს.

(ii) არ დამდგარა და არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად;

(iii) ასეთი ტრანზაქცია არ ზღუდავს „სამართალმემკვიდრის“ შესაძლებლობას, სრულად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ (საჭიროების შემთხვევაში) გამომდინარე მისი ვალდებულებები, მათ შორის ყველა გადასახდელი ოდენობის დროული გადახდის ვალდებულება;

(iv) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

(II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს), „შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „შვილობილის“ მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(i) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „შვილობილი“) (i) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს, (ii) უნდა იყოს გადახდისუნარიანი; (iii) არ უნდა იყოს ჩართული მიმდინარე ან მოსალოდნელ სასამართლო დავაში, საარბიტრაჟო პროცესში, საგადასახადო მოთხოვნაში ან სხვა ისეთ წარმოებაში, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს მისი უნარი, შესრულოს ვალდებულებები „ობლიგაციების“ (საჭიროების შემთხვევაში) შესაბამისად, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც შესაბამის „შვილობილს“ გააჩნია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვალდებულება; და (iv) მისი კომერციული და ფინანსური მდგომარეობა არ უნდა იყოს იმაზე უარესი ვიდრე „ემიტენტის“ არსებული მდგომარეობა უშუალოდ ასეთი ტრანზაქციის განხორციელების წინ;

(ii) არცერთი „დეფოლტის“ შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის“ შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოთხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.

ამ (გ) ქვეპუნქტის (II) და (III) პარაგრაფების მიზნებისთვის, „შვილობილს“ ან/და „სამართალმემკვიდრეს“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვალდებულება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევასა და ფარგლებში, რა შემთხვევაშიც და ფარგლებშიც შესაბამისმა „შვილობილმა“ წერილობით იკისრა „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების სოლიდარული თავდებობა. „ემიტენტს“ არ ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს რომელიმე „შვილობილის“ მიერ ასეთი თავდებობის გაცემა. თუ „შვილობილს“ ამგვარი ვალდებულება არ გააჩნია, „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების კისრებასთან დაკავშირებული პირობა არ გამოიყენება, ხოლო შესაბამისი ტრანზაქცია დასაშვებია მხოლოდ „დეფოლტის“ შემთხვევის/„პოტენციური დეფოლტის“ შემთხვევის“ და „არსებითად უარყოფითი გავლენის“ არარსებობის პირობით და თუ „შვილობილ(ებ)ის“ აქტივების ჯამური ღირებულება ერთი „ფისკალური პერიოდის“ განმავლობაში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების“ საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს, გ.1 და გ.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტრანზაქციების განხორციელებამდე „ემიტენტი“/„შვილობილი“ ვალდებულია მოიპოვოს იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობა, რომლებიც იმ დროისთვის ერთობლივად წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ჯამური ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს).

(III) მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერი „შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენტთან“ ან სხვა შვილობილთან მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი

განკარგვა მხოლოდ იმ პირობით, რომ (ა) აღნიშნული ტრანზაქცია არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“; (ბ) ტრანზაქციის შედეგად არ დამდგარა და არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და (გ) აღნიშნული ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი „შვილობილი“ ვალდებულია სრულად იკისროს „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც შესაბამის „შვილობილს“ გააჩნია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვალდებულება“.

(IV) მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ) ქვეპუნქტი არ შეეხება (i) „ემიტენტსა“ და მის „შვილობილს“ შორის ან „შვილობილებს“ შორის განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციას, რომლის შედეგადაც შესაბამისი ქონება ან აქტივები რჩება „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ჯგუფის ფარგლებში, იმ პირობით, რომ: (ა) ტრანზაქციის შედეგად არ დამდგარა და არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და ტრანზაქცია არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“; და (ბ) თუ „ემიტენტიდან“ მისი „შვილობილ(ებ)ისთვის“ გადაცემული აქტივების ჯამური ღირებულება ერთი „ფისკალური პერიოდის“ განმავლობაში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს), „ემიტენტი“ ვალდებულია მოიპოვოს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარი წერილობითი თანხმობა, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ჯამური ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს); ასევე (ii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექტორითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(დ) განკარგვები:

მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტის („რეორგანიზაცია“) და 5(ო) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად და გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილი კომპანიის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი არსებული და სამომავლო აქტივები ან შემოსავლები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

- (1) ყველა ასეთი ტრანზაქცია (ან ტრანზაქციათა ერთობლიობა) ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და
- (2) როდესაც ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან ან/და დაკავშირებულ ტრანზაქციასთან ერთობლიობასთან მიმართებით არსებული განკარგული აქტივების ჯამური ოდენობა აჭარბებს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს), „ემიტენტი“ ვალდებულია მოიპოვოს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარ წერილობითი თანხმობა, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ჯამური ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს).

წინამდებარე 5(დ) პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ ტრანზაქციებს:

- (i) "ემიტენტის" მიერ დივიდენდის გამოცხადებას ან გაცემას (გარდა წინამდებარე „პირობების“ 5(1)(ნ) პუნქტით („აკრძალული გადახდები“) გათვალისწინებული შეზღუდვისა);
- (ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების გადამუშავებას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;
- (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს);
- (iv) „შვილობილის“ მიერ „ემიტენტზე“ ქონების გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;
- (v) „ემიტენტის“ ერთი „შვილობილის“ მიერ მეორე „შვილობილზე“ ქონების გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას.

(ე) გადასახადების დაფარვა:

„ემიტენტი“ და „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი „შვილობილი კომპანიები“ დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით. „ემიტენტს“ ან მის „შვილობილ კომპანიებს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ: (i) მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ii) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

(ვ) ვალდებულებები:

(i) „ემიტენტს“ ეკრძალება, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „შვილობილმა კომპანიებმა“ პასუხისმგებლობა აიღონ ან სხვა სახით გახდნენ ვალდებულნი ნებისმიერი სახის „სასესხო ვალდებულებაზე“, თუ:

a. ამგვარი „სასესხო ვალდებულება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან

b. ასეთი „სასესხო ვალდებულების“ აღების დროს (მას შემდეგ, რაც მიეცემა *pro forma* ეფექტი), „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ „ვალდებულება“ არ უნდა აღემატებოდეს „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ IFRS-ის მიხედვით დათვლილ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული „კონსოლიდირებული აქტივების“ 80%-ს.

ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, ნებისმიერი „ვალდებულების“ ის ნაწილი რომელიც განკუთვნილია რეფინანსირებისთვის და რომელიც გამომდინარეობს „ობლიგაციების“ გამოშვებისა და განთავსებიდან წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე უნდა გამოირიცხოს „ვალდებულებების“ გამოთვლიდან მხოლოდ იმ ზომითა და იმ შეზღუდული გონივრული პერიოდის განმავლობაში, როდესაც „ობლიგაციებიდან“ მიღებული თანხები გამოიყენება არსებული „ვალდებულების“ რეფინანსირებისათვის. რეფინანსირების დასრულებისთანავე, „ობლიგაციების“ გაუნაღებელი ძირითადი თანხა შემდგომში ჩაითვლება „ვალდებულების“ გამოთვლაში აღნიშნული დათქმის მიზნებისთვის.

(ზ) ფინანსური ინფორმაცია:

(i) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციონერებს“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შემოწმებულ ფინანსური უწყისების ასლებს ამგვარი ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით აუდიტორების შესაბამის დასკვნასთან ერთად.

(ii) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 30 აგვისტომდე, „ობლიგაციონერებს“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შემოწმებულ ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს ექვსი თვისათვის. არაარსებითი სხვაობის შემთხვევაში, წარდგენა მოხდება ე.წ. „არაარსებითობის წერილის“ მეშვეობით, რაც ითვლება ანგარიშების წარდგენად.

(iii) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 25%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად მიაწოდოს იმ „ობლიგაციონერებსა“ და „ანგარიშის მწარმოებელს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციონერის“ და/ან „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების ფორმით.

(თ) დაზღვევის შენარჩუნება:

„ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთი ქონება, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას (მათ შორის გაცემული სესხების უზრუნველყოფის ისეთი საგნები, როგორიცაა ძვირფასი ლითონები და ქვები), უნდა დააზღვიონ იმ მზღვევებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(ი) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ და მისი „შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციონერების“ ინტერესებს.

(კ) **საზედამხედველო მოთხოვნების დაცვა:** „ემიტენტი“ ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები

(ლ) საქმიანობის ცვლილება:

„ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ იმ საქმიანობის სფერო და არსი, რომელსაც იგი ახორციელებს „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის.

(მ) კონტროლის ცვლილება:

„ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს კონტროლის ცვლილება. ამ მუხლის მიზნებისთვის, კონტროლის ცვლილება დადგება მაშინ, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე ემისიის პროსპექტის თარიღისთვის ფლობენ წილებს კომპანიის კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად შეწყვეტენ „ემიტენტზე“ კონტროლის განხორციელებას. ამ პირობის მიზნებისათვის, ჩათვლება, რომ არსებული პარტნიორები აკონტროლებენ „ემიტენტს“, თუ მათ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების, ხელშეკრულების, ტრასტის ან სხვა მექანიზმის საფუძველზე) აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა

საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა, ან სხვა გზით ფლობენ უფლებას აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმიანობა და პოლიტიკა.

(ნ) აკრძალული გადახდები

„ემიტენტმა“ არ უნდა გამოაცხადოს დივიდენდი, ან გასცეს დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, კაპიტალის შემცირების, აქციების გამოსყიდვის, სუბორდინირებული სესხების გადახდის, „აფილირებულ პირებზე“ გაცემული სესხის ჩამოწერის გზით ან ნებისმიერი სხვა ფორმით იმ შემთხვევაში თუ ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია ან გრძელდება ან შეიძლება დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“.

(ო) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში **„აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“**), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი „შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ თითოეულ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10%-ს (ათ პროცენტს), „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“ (ან ტრანზაქციების სერია) განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

- (ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;
- (ბ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;
- (გ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/აქციონერისგან „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება;

(დ) ნებისმიერი დამფუძნებელთა სუბორდინირებული დაფინანსება;

(ე) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში „და წინამდებარე პირობების“ სხვა შესაბამისი დებულებების დაცვით რომლებიც სამართლიანია „ემიტენტისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილებისთვის“, როგორიც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში,

როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ)

(ვ) **საკრედიტო რეიტინგი:** „ემიტენტი“ ვალდებულია იღებდეს, რომ „ობლიგაციების“ სრულად დაფარვამდე განაახლებს რეიტინგს პერიოდულად და ასეთ რეიტინგს მოიპოვებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული ნებისმიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიისგან.

5.2 პროცენტი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თითოეულ „ობლიგაციას“ პროცენტი დაერიცხება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტის მიხედვით.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „ცენტრალური დეპოზიტარის“ (ს/ნ 204935400) მიერ მომზადებულ იმ ინვესტორთა/ინვესტორისგან უფლებამოსილ პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელთა სიის მიხედვით, რომლებიც ფიქსირდებიან ფასიანი ქაღალდების მფლობელებად“ სამი (3) სამუშაო დღით ადრე „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე, შესაბამისი დღის 18:00 საათის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციონერის“ ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: $30/360 \text{ ISMA}$, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360

მრიცხველის ფორმულა:

(1) თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$

(2) თუ $D2=31$, მაშინ $D2=30$

(3) თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება

(4) $\text{მრიცხველი} = (D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1)$,

სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს, „Y“ - წელს.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა პროცენტის გადახდის თარიღიდან ან ანგარიშსწორების თარიღიდან (წინამდებარე პირობების მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როდესაც თითოეული „ინვესტორი“ ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას ობლიგაციების მიღების სანაცვლოდ) შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე ან გამოსყიდვის თარიღამდე (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ პროცენტის გადახდის თარიღი გადაიწევს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 180 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) პროცენტის გადახდის თარიღიდან შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 180 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღი დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ ობლიგაციებთან დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 დოლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 დოლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 დოლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ ფიქსირებული პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „კალკულაციისა და გადახდის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „ობლიგაციონერებისთვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 180 (ასოთხმოცი) კალენდარულ დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება „დაფარვის თარიღის“ ან, თუ ობლიგაციები ვადამდე გამოსყიდულ იქნა, „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

(გ) ანგარიშსწორება და გადახდები

(I) ანგარიშსწორება:

(i) „ობლიგაციის“ ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი გადახდილი უნდა იყოს იმ „ობლიგაციონერებისთვის“, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საკრედიტო ნაშთი ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „ანგარიშის მწარმოებლ(ებ)სა“ ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“, გადახდის ვადამდე სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე, შესაბამისი დღის 18:00 საათის მდგომარეობით („სააღრიცხვო თარიღი“). ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის ვალუტაში „პროცენტის გადახდის თარიღზე“ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, „ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლ(ებ)ის“ სასარგებლოდ მათ საბროკერო ან საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ობლიგაციონერებმა“ და „ანგარიშის მწარმოებლ(ებ)მა“ უნდა უზრუნველყონ „კალკულაციის და გადახდის აგენტისა“ და/ან „ცენტრალური დეპოზიტარისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „ცენტრალური დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „ცენტრალური დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „ცენტრალურ დეპოზიტარის“ და/ან „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(iv) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „ცენტრალურ დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(II) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „ცენტრალური დეპოზიტარი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და „პროსპექტის“ ბოლოს.

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „ცენტრალური დეპოზიტარი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „ემისიის პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ ან/და „განთავსების აგენტთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“. ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ 5.6 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(III) გაანგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, შესაბამისი გადახდის თარიღზე, არაუგვიანეს 10:30 საათისა „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ემისიის ვალუტაში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირითადი თანხის) გადახდის მიზნით და მისცეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ დავალება აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირითადი თანხის) გადარიცხვა „ცენტრალური დეპოზიტარის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტისთვის“ მიწოდებულ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად, რის შესახებაც ინფორმაციას მიაწოდებს „ცენტრალურ დეპოზიტარს“; ხოლო, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითების შესაბამისად, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს „ემიტენტს“ და „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.

(IV) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობის ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(V) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

5.3. ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვა

(ა) გამოსყიდვა:

„ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“, შესაბამისი ოდენობის (შესაძლოა ნაწილობრივადაც), გამოსყიდვა, რამდენიმე „ობლიგაციონერის“ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული შეთავაზება იმ პირობით, რომ რამდენიმე „ობლიგაციონერის“ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული შეთავაზება განხორციელდება კოლექტიურად და თანაბარ პირობებზე შესაბამის ობლიგაციონერთა ჯგუფისათვის და არა ინდივიდუალურად. აღნიშნულ

შემოთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას. თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შეძენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება „დაფარვის დათქმულ თარიღზე“, როგორც განსაზღვრულია „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. დაუშვებელია „ობლიგაციების“ განაღდება „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „ემისიის პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

ემიტენტის შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „ცენტრალურ დეპოზიტართან“ არსებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე „ემიტენტს“ წერილობით დაუდასტურეს ობლიგაციონერთა იმ უმრავლესობამ, რომლებიც ფლობენ განთავსებული „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების არანაკლებ 75%-ს, რომ მათ უწევთ, ან მოუწევთ გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად „ემიტენტის“ მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა. ამასთან, „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, გადაამოწმოს და ეჭვქვეშ დააყენოს „ობლიგაციონერების“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი დადასტურება და მოითხოვოს დამატებითი განმარტებები ან დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

(გ) გამოსყიდვის ოფცია:

„დაფარვის თარიღამდე“ ბოლო 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის მანძილზე („გამოსყიდვის პერიოდი“), „ემიტენტს“ შეუძლია, „ობლიგაციონერის“ თანხმობის გარეშე, ერთ ან რამდენიმე ჯერზე, ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერისგან“ პროპორციის დაცვით ან, იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული განაწილება პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისი დამრგვალების ან ტექნიკური ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „ემიტენტისათვის“ დაწესებული წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებული „მინიმალური ინვესტიციის“ დაცვის შეზღუდვების გათვალისწინებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, „ობლიგაციონერთა“ მიმართ თანასწორი მოპყრობის პირობებში, „ობლიგაციები“ გამოისყიდოს სრულად ან ნაწილობრივ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არა უმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასებით (გამოხატული ძირითადი თანხის პროცენტებში), რომლებსაც ემატება გამოსყიდულ „ობლიგაციებზე“ გამოსყიდვის შესაბამის თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ გამოსყიდვა ხორციელდება ქვემოთ მითითებულ თარიღებზე ან მათ შემდეგ („სააღრიცხვო თარიღზე“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ შესაბამის „პროცენტის გადახდის თარიღზე“ პროცენტის მიღების უფლების უპირატესობის გათვალისწინებით).

თარიღები	გამოსყიდვის ფასი
„გამოსყიდვის პერიოდის“ პირველი 9 (ცხრა) თვის მანძილზე	ნომინალური ღირებულების 100.50%
„დაფარვის თარიღამდე“ 3 (სამი) თვით ადრე	ნომინალური ღირებულების 100%

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტის“ ვერ გადაიხდის გამოსყიდვის ფასს ან/და დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტს, პროცენტის დარიცხვა შეწყდება „ობლიგაციებზე“ ან მის იმ ნაწილზე, რომლებთან დაკავშირებითაც განხორციელდა გამოსყიდვის უფლება შესაბამისი გამოსყიდვის თარიღებისთვის.

ნებისმიერი გამოსყიდვა და მასთან დაკავშირებული შეტყობინება, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს ერთ ან რამდენიმე წინაპირობას (მათ შორის, „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვით, „ვალდებულების“ წარმოშობას, რომლიდან შემოსავალიც გამოყენებული იქნება „ობლიგაციების“ გამოსასყიდად). გარდა ამისა, თუ ასეთი გამოსყიდვა ან შეტყობინება ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას, ასეთ შეტყობინებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გამოსყიდვის თარიღი შეიძლება გადაიდოს მანამ, სანამ რომელიმე ან ყველა ეს პირობა დაკმაყოფილდება, ან ასეთი გამოსყიდვა შეიძლება არ მოხდეს და ასეთი შეტყობინება შეიძლება გაუქმდეს, თუ რომელიმე ან ყველა ასეთი პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული გამოსყიდვის თარიღისთვის ან ამგვარად გადავადებული გამოსყიდვის თარიღისთვის.

(დ) გამოსყიდვის სამართლებრივი შედეგები

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქაღალდებად, რაც ნიშნავს, რომ (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლიგაციონერის“ სტატუსი და ვერ განახორციელებს „ობლიგაციონერის“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას; და (ბ) მას არ ექნება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა.

5.4 საკუთრების უფლება და დაბეგვრა

(ა) საკუთრების უფლება

ვინაიდან „ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სერგეირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტების შედეგად, „კომპანიამ“ და „კალკულაციის და გადახდის აგენტმა“ მხოლოდ „ობლიგაციონერები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრეებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „ობლიგაციონერებისთვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციონერები“ უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „ცენტრალურ დეპოზიტარს“ ან „ანგარიშის მწარმოებელს“ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გადამცემს, „ემიტენტისა“ ან „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად:

- (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი გადაცემისას დაცული უნდა იყოს წინამდებარე „პირობების“ 2(ბ) პუნქტის მოთხოვნები;
- (ii) „პროსპექტისა“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ახალ ობლიგაციონერზე“ „ობლიგაციების“ გასხვისების, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და მათთან დაკავშირებული მოთხოვნების დათმობისა და ახალი „ობლიგაციონერის“ მიერ სრულად შეძენის, დადასტურების მიზნებისთვის საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ამონაწერი, რომლითაც დასტურდება ახალი „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლება „ობლიგაციებთან“ მიმართებით და ამ მიზნით არ არის საჭირო რაიმე სხვა დამატებითი დოკუმენტის გაფორმება და წარმოდგენა.

(ბ) დაბეგვრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათვალისწინებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

5.5. დეფოლტი

(I) თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე, „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილები არიან „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა: „ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა: „ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერ სხვა ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით („ობლიგაციებთან დაკავშირებული ვალდებულება“), მათ შორის, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და პირობებს, რაც:

- (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას; და
- (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ აღნიშნული დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნა აღმოფხვრილი.

ამასთან, „ობლიგაციებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში“ იგულისხმება წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული როგორც „ემიტენტის“ ვალდებულება ან რომელიც ასეთად შეიძლება იყოს მიჩნეული შესაბამისი დებულების შინაარსიდან, მიზნობრიობიდან ან სისტემური განმარტებიდან.

ამასთან, ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, „პირობების“ 5(კ) პუნქტით (საზედამხედველო მოთხოვნების დაცვა) გათვალისწინებული კოვენანტის დარღვევა დეფოლტის გამოცხადების საფუძველი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დარღვევის მიმართ ზედამხედველმა გამოიყენა „სანქციის“ შეფარდების უფლებამოსილება და „ემიტენტმა“ შესაბამისი დარღვევა არ აღმოფხვრა ასეთი „სანქციის“ დაკისრებიდან ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საამისოდ დადგენილ შესაბამის გონივრულ ვადაში.

„შეთავაზების მიზეზებითა და მოზიდული სახსრების გამოყენების“ შესახებ ქვეთავით გათვალისწინებული, მიღებული სახსრების გამოყენების გეგმა არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან დაკავშირებულ ვალდებულებას“ ამ პუნქტის მიზნებისთვის და აღნიშნული გეგმის დარღვევა ან მისგან გადახვევა არ წარმოადგენს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების საფუძველს.

(გ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default):

ა) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ ნებისმიერი „სასესხო ვალდებულება“ ან ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის საშუალებით მოძიებული ფულადი სახსრები, ვალდებულების ნებისმიერი

შეუსრულებლობის მიზეზით, ხდება ან შესაძლებელია გახდეს განსაზღვრულ ვადამდე გადასახდელი, ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან

b) ნებისმიერი „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ „დავალიანება“ არ იქნება გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, ნებისმიერი თავდაპირველი შესაბამისი დამატებითი პერიოდის განმავლობაში;

აღნიშნული (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით „დეფოლტის გამოცხადება“ არ იქნება შესაძლებელი, თუ შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 5.5(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან არ აღემატება ბოლო ფინანსური წლის შედეგების საფუძველზე დათვლილი, „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად).

(დ) გადახდისუნარიობა:

(i) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

a. „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუნარიობის პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „შვილობილი კომპანიის“ ლიკვიდაცია მოხდება „ემიტენტთან“ ან სხვა „შვილობილ კომპანიასთან“ შერწყმის შედეგად; ან

b. ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ საწინააღმდეგოდ განცხადების შეტანა გადახდისუნარიობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ან

c. „ემიტენტს“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან

d. ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან

(ii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის დროულად გადაიხადოს ვადამოსული ვალდებულებები; ან

(iii) „ემიტენტის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები:

ფულადი თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განჩინება, განაჩენი და ბრძანება,

(i) რომლის საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 5%-ს (ხუთი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად), ან

(ii) ნებისმიერი ასეთი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება, რომლის შედეგადაც მოხდა:

a. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი გადაყენება, ან „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა“, ან

b. „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მთლიანი ან არსებითი ნაწილი ქონების, შემოსავლების ან აქტივების წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის (კრედიტორის) მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) ნებართვები და თანხმობები:

„ემიტენტმა“ არ განახორციელა რაიმე ქმედება ან დაარღვია რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ნებართვის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა „ემიტენტს“:

- (i) შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს გადახდის ვალდებულებები „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე დაიცვას წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული კოვენანტები და შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები,
- (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოქავი და აღსრულებადი, და
- (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი იყოს როგორც მტკიცებულება; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ემიტენტი“ სადაოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების არსებობას და მის შესრულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შესრულებას არის ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან აღუსრულებადი, ან აღარ იქნება ნამდვილი და სამართლებრივად მზოქავი.

(II) „ემიტენტმა“ „იკისრა ვალდებულება, რომ შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს „ობლიგაციონერებს“ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და მოწმობის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ (შემდგომში „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

(III) „ემიტენტმა“ ასევე იკისრა ვალდებულება მასზედ, რომ წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში განმავლობაში და „ობლიგაციონერების“ მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში „ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

(IV) რაც შეეხება „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებას და სააღსრულებო პროცედურებს, „ობლიგაციონერები“ იმოქმედებენ მხოლოდ „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე და მისით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.6. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 “სამუშაო დღეს”.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში, „ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებლებს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ. „ანგარიშის მწარმოებელი“ ვალდებულია, მიღებული შეტყობინება დაუყოვნებლივ გადასცეს „ემიტენტს“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება თავისი შინაარსით რელევანტურია სხვა „ობლიგაციონერებისთვის“, უზრუნველყოს აღნიშნული შეტყობინების მათთვის მიწოდებაც „პირობების“ 5.6 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. ანგარიშის მწარმოებლის შეცვლის შემთხვევაში, „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს როგორც ახალ „ანგარიშის მწარმოებელს“, ასევე „ემიტენტს“ და/ან შესაბამის „ცენტრალურ დეპოზიტარს“, ხოლო აღნიშნული შეტყობინება ძალაში შევა მისი მიღების მომენტიდან.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებლებს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.
- გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
- ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;

ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საჯარო რეესტრის პორტალი და ანგარიშგების პორტალი (<https://reportal.ge/>);

ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან შესაბამისი საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი და ანგარიშგების პორტალი (<https://reportal.ge/>).

6. „ობლიგაციონერების“ კრება

ა) „ობლიგაციონერების“ კრებები

„ობლიგაციონერთა“ მიერ წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებულ და განთავსებულ „ობლიგაციებთან“ ან/და „პროსპექტის“ პირობებთან ან/და წინამდებარე 6(ა) პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება „ობლიგაციონერთა“ „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ სახით. აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებებს დაქვემდებარებული საკითხების კატეგორიები, კრების გადაწყვეტილებათაუწარმოებისათვის საჭირო კვორუმი და გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობები განისაზღვრება წინამდებარე 6(ა) პუნქტით.

„ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ ან/და „სპეციალური გადაწყვეტილება“) და „ობლიგაციონერების“ მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილებით შემდგარი ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ ან/და „სპეციალური გადაწყვეტილება“), ძალაში შედის „პირობების“ 5.6 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად ამგვარი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ. „ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს „ემიტენტს“, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ნებისმიერი მიზეზით გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებლობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება „ემიტენტისთვის“ გადაწყვეტილების მიწოდებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ გასვლის შემდეგ.

i. „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“:

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება შესაბამის კრებაზე დამსწრე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით (შემდგომში - „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“).

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის 51%-ს ან მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მიმართ - ორ ან მეტ პირს, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციონერს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ მხოლოდ „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას“. გადაწყვეტილების ინიცირების თაობაზე უნდა ეცნობოთ „ობლიგაციონერებს“ კრების მოწვევისთვის დადგენილ ვადებში. შეტყობინებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების პროექტი და იგი უნდა გაეგზავნოს ყველა „ობლიგაციონერს“ „პირობების“ 5.6 პუნქტით („შეტყობინებები“) დადგენილი წესით. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. წინამდებარე შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება კრების მოწვევის გარეშე და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება კრების მოწვევასთან დაკავშირებული ნორმები (გარდა შეტყობინების ვადებისა). ამასთან, აღნიშნული გულისხმობს, რომ „ობლიგაციონერები“ ინფორმირებული იქნებიან წერილობით გადასაწყვეტი საკითხების შესახებ, თუმცა მათ შესაძლოა, (ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია მითითებულ ვადებში; ან (ბ) მათმა ხმამ ვერ იქონიოს გავლენა „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებაზე“.

„ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს „ემიტენტს“, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ნებისმიერი მიზეზით გადაწყვეტილების

„ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება „ემიტენტისთვის“ გადაწყვეტილების მიწოდებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ გასვლის შემდეგ.

ii. „სპეციალური გადაწყვეტილება“:

ქვემოთ (i)-(xi) ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით გადაწყვეტილების მიღებას (შემდგომში - „სპეციალური გადაწყვეტილება“) იმ პირობით, რომ (i)-(viii) და (x) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით „სპეციალური გადაწყვეტილება“ მიიღება კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით, იმ დათქმით, რომ თუ „ემიტენტი“ კრებას დაესწრება, გადაწყვეტილების მისაღებად მისი თანხმობა აუცილებელია შემოთავაზებულ საკითხზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე განსახილველად გამოტანილია მხოლოდ (ix) ან/და (xi) საკითხები, ან „ემიტენტი“, ჯეროვნად მოწვევის მიუხედავად, არ დაესწრება შესაბამის კრებას, სადაც განსახილველად გამოტანილია, მათ შორის, (i), (ii), (iii), (iv), (v), (vi), (vii), (viii) ან/და (x) საკითხი, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნება „ემიტენტის“ თანხმობის გარეშე.

- (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილება;
- (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი ძირი თანხის ან „პროცენტის გადახდის თარიღის“ ცვლილება;
- (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილება;
- (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან საპროცენტო სარგებლის განაკვეთის / პროცენტის ოდენობის ცვლილება;
- (v) თანხმობის განცხადება „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე;
- (vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი „კანონმდებლობით“);
- (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება;
- (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება;
- (ix) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება;
- (x) წინამდებარე „პირობებში“ ამ პუნქტის შესაბამისად ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემა ან/და „ემიტენტის“ კონკრეტულ ტრანზაქციაზე, რომელიც იზღუდება/აკრძალულია „პირობებით“ გათვალისწინებული დათქმებით, თანხმობის მიცემა;
- (xi) სხვა ნებისმიერი და ყველა ისეთი საკითხი, რომელსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე.

ზემოთ მითითებული (i)-(xi) საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე (i)-(xi) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე „სპეციალური გადაწყვეტილება“ მიიღება თითოეული ემისიის ფარგლებში ცალ-ცალკე, მხოლოდ შესაბამისი ემისიის „ობლიგაციონერების“ მიერ და ვრცელდება მხოლოდ შესაბამისი ემისიის „ობლიგაციებსა“ და მათ პირობებზე.

„დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მესაკუთრე „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „სპეციალური გადაწყვეტილება“. გადაწყვეტილების ინიცირების თაობაზე უნდა ეცნობოთ „ობლიგაციონერებს“ კრების მოწვევისთვის დადგენილ ვადებში. შეტყობინებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების პროექტი და იგი უნდა გაეგზავნოს ყველა „ობლიგაციონერს“ „პირობების“ 5.6 პუნქტით („შეტყობინებები“) დადგენილი წესით. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და

შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. წინამდებარე შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება კრების მოწვევის გარეშე და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება კრების მოწვევასთან დაკავშირებული ნორმები (გარდა შეტყობინების ვადებისა). ამასთან, აღნიშნული გულისხმობს, რომ „ობლიგაციონერები“ ინფორმირებული იქნებიან წერილობით გადასაწყვეტი საკითხების შესახებ, თუმცა მათ შესაძლოა, (ა) საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია მითითებულ ვადებში; ან (ბ) მათმა ხმამ ვერ იქონიოს გავლენა „სპეციალურ გადაწყვეტილებაზე“.

ბ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ („ჩვეულებრივ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული ან/და ნებისმიერ „სპეციალურ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული კრების შემთხვევაში) ან/და იმ „ობლიგაციონერებს“ „ჩვეულებრივ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული ან/და ნებისმიერ „სპეციალურ გადაწყვეტილებასთან“ დაკავშირებული კრების შემთხვევაში, რომლებიც ერთობლივად არიან „ობლიგაციების“ „დაუფარავი“ ძირი თანხის სულ მცირე 10%-ის მესაკუთრე (შემდგომში - „კრების მოწვევის ინიციატორი“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ემიტენტს“ უნდა გაუგზავნოს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღით“ ადრე. შეტყობინება უნდა იქნას გაგზავნილი „პირობების“ 5.6 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან აგენტები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთიდან ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ემიტენტი“ დანიშნავს თავმჯდომარეს. განმეორებით ჩატარებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმომადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვის დაწყებისას კვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრებისთვის დანიშნული დროიდან 15 წუთის გასვლის შემდეგ არ არის კვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, კრება უნდა გადაიდოს იმ თარიღამდე და იმ დროსა და ადგილას, რომელსაც გადაწყვეტს თავმჯდომარე და რომელიც არ უნდა იყოს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე და 42 (ორმოცდაორი) კალენდარულ დღეზე გვიან.

გ) „ობლიგაციონერების“ მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

(i) „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციონერის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციონერის“ სახელით „ობლიგაციონერების“ ნებისმიერ კრებასთან („განმეორებითი კრების“ ჩათვლით) დაკავშირებით.

(ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციონერთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციონერად“, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.

(iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

დ) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავმჯდომარის, „ემიტენტის“,

ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისათვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუძლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე ყველა პირს აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ „ობლიგაციაზე“, რომლის მესაკუთრეც არის ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადაწყვეტილება ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ იგი საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეული უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან შესაბამისი პროცედურები სათანადოდ განხორციელებულად.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ „პირობების“ 5.6 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

ე) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

„პირობების“ 5.5 მუხლით („დეფოლტის შემთხვევები“) გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება, ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროებს „სპეციალურ გადაწყვეტილებას“, რომელიც მიღებული უნდა იქნას „პირობებით“ განსაზღვრული წესით.

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ უნდა შეიცავდეს მითითებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: (ა) „დეფოლტის გამოცხადების“ საფუძველი და მიღებული გადაწყვეტილება; და (ბ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირება, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებით.

(გ) აღსრულება: „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ შესაბამისი სააღსრულებო წარმოების დაწყება „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულია „სპეციალური გადაწყვეტილების“ ფორმით.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განხორციელონ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება. ასევე, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ

ორგანოში. „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შესახებ „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიღება წარმოადგენს საკმარის საფუძველს სააღსრულებლო წარმოების დასაწყებად და თითოეულ „ობლიგაციონერს“ უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ, ინდივიდუალურად ან სხვასგვარად, თავისი შეხედულებისამებრ ან კანონით დადგენილ ფარგლებში დაიწყოს სააღსრულებო წარმოება.

(ზ) ემისიის ტრანშები: მოცემული 6 მუხლის („ობლიგაციონერთა“ კრება“) (ა)-(ვ) (ჩათვლით) ქვეპუნქტებით დადგენილი დებულებები გავრცელდება პროსპექტის ფარგლებში განხორციელებულ თითოეულ ემისიაზე ინდივიდუალურად.

7. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „ობლიგაციონერებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და ვალდებულებები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

8 მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია „პროსპექტთან“ ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

9. ბათილობა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

10. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„არსებითად უარყოფითი გავლენა“ ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), "ემიტენტის" ან "ჯგუფის" ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) "ემიტენტის" უნარზე, შეასრულონ მათი "ობლიგაციებით" გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) "ობლიგაციების" მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციონერების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„დაუფარავი“ გულისხმობს ისეთ "ობლიგაციებს", რომლებიც განთავსებულია, მაგრამ არ მომხდარა მათი გამოსყიდვა, დათქმულ ვადამდე ან ვადამოსულობის გამო დაფარვა ან გაუქმება ამ "პირობების" შესაბამისად ("დაფარვა" განიმარტება შესაბამისად).

„დეპოზიტარი“ ან **„ცენტრალური დეპოზიტარი“** არის სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400).

„ემისიის პროსპექტს“, „წინასწარ პროსპექტს“, „საბოლოო პროსპექტს“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „შეთავაზებას“ (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე "პირობებში" აქვს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის" შესახებ საქართველოს კანონით შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

„**ობლიგაციონერი**“ ან „**ინვესტორი**“ ნიშნავს ანგარიშის მფლობელს (რომელიც, მათ შორის, შესაძლებელია იყოს ანგარიშის მწარმოებელი), რომელიც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ მოქმედებს მხოლოდ თავის სასარგებლოდ.

„**სამუშაო დღე**“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„**ჯგუფი**“ ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებიან ერთობლიობაში;

„**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**“ (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

„**ფისკალური პერიოდი**“ არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც "ემიტენტს" მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად. ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული დეფინიცია მოიცავს როგორც წლიურ აუდიტირებულ, ისე ნახვარწლიურ (12 კალენდარული თვის ჭრილში მომზადებულ) ფინანსურ უწყისებს

„**IFRS ფინანსური პერიოდი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

„**დავალიანება**“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით დროის ნებისმიერი მონაკვეთში:

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად წარმოქმნილ ყველა დავალიანებას;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება „ობლიგაციებით“, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ მიერ გაცემული საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულებას;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია „უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განსაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია „ემიტენტის“ ან „შვილობილი კომპანიის“ მიერ ან უზრუნველყოფილია „ემიტენტის“ ან „შვილობილი კომპანიის“ აქტივებით, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხას, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებებს ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; ან

(ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერ თანხას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილი, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძვლად არსებული პირობის დადგომისას;

„ანგარიშის მწარმოებელი“ ნიშნავს ფინანსური ინსტიტუტს (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში;

„ნებადართული უზრუნველყოფის საშუალება“ განიმარტება, როგორც ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილი:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“ ან ნებისმიერი უზრუნველყოფის საშუალება, რომლის გაცემის ან წარმოშობის განზრახვა გამჟღავნებულია წინამდებარე „პროსპექტში“ (მიუხედავად იმისა, ხელმოწერილია თუ არა ასეთი უზრუნველყოფის საშუალება „გამოშვების თარიღზე“), და ნებისმიერი უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც ანაცვლებს, აახლებს, აგრძელებს, რეფინანსირებას უწევს ან ხელახლა ტვირთავს იმავე აქტივებს ნებისმიერი ასეთი „გამოშვების თარიღამდე“ არსებული ან გამჟღავნებული უზრუნველყოფის საშუალების გათავისუფლების, გაუქმების ან შეწყვეტის შედეგად იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ჩანაცვლება, განახლება, გაგრძელება, რეფინანსირება ან ხელახლა დატვირთვა არ გაზრდის უზრუნველყოფილი ძირ თანხას და არ აფართოებს იმ აქტივების მოცულობას, რომლებიც ასეთ უზრუნველყოფის საშუალებას ექვემდებარებიან;

(ბ) „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შემენილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) შემდგომში „ჯგუფის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული/შესასყიდი ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“;

(ე) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „კომპანიის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ვ) ნებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი ნებისმიერი ნაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“ იქმნება ნებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ზ) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(თ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; და

(ი) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (თ)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული აქტივების“ 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„პროცენტის გადახდის თარიღი“ ნიშნავს „პირობების დოკუმენტის“ მიხედვით დადგენილ პროცენტის გადახდის თარიღებს;

„პირობები“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„რეპო“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას/იპოთეკას (მათ შორის ნაღდი ფულის საშუალებების განკარგვის შეზღუდვას), თავდებობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან უზრუნველყოფილ უფლებას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

„შვილობილი კომპანია“ ან **„შვილობილი“** „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„პროსპექტი“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„ანგარიშგების თარიღი“ ნიშნავს ნებისმიერ იმ თარიღს, რა მდგომარეობითაც „ემიტენტს“ აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ამ პროსპექტის 5.1(ზ) პუნქტის საფუძველზე;

„სააღრიცხვო თარიღი“ ნიშნავს „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღე“

„სანქცია“ ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „ემიტენტის“ მიმართ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გამოვლენილ დარღვევასთან მიმართებით ფორმალურად გამოყენებულ ნებისმიერ საზედამხედველო ღონისძიებას ან სანქციას. იგი მოიცავს, მათ შორის: წერილობით გაფრთხილებას; სპეციალური

ღონისძიების დაწესებას ან ინსტრუქციის (მითითების) გამოცემას, რომლითაც „ემიტენტს“ მოეთხოვება დარღვევის შეწყვეტა და დადგენილ ვადაში მისი აღმოფხვრა; ფულადი ჯარიმის დაკისრებას; ადმინისტრატორისთვის ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერებას ან მისი თანამდებობიდან გადაყენების/განთავისუფლების მოთხოვნას; აქტივების ზრდის ან სახსრების მოზიდვის შეჩერებას ან შეზღუდვას, აგრეთვე მოგების განაწილების, დივიდენდების გაცემისა და ანაზღაურების გაზრდის აკრძალვას; ცალკეული ოპერაციების შეწყვეტას ან შეზღუდვას; ან რეგისტრაციის გაუქმებას.

„დეფოლტის შემთვევა“ გამოიყენება 5.5(I) პუნქტის მნიშვნელობით.

„პოტენციური დეფოლტის შემთვევა“ გამოიყენება 5.5(II) პუნქტის მნიშვნელობით.

„დამოუკიდებელი შემფასებელი“ არის „აუდიტორული კომპანია“ ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა „ემიტენტის“ მიერ და (ა) წარმოადგენს ნებისმიერს დიდი ოთხეული საბუღალტრო/აუდიტორული ფირმებიდან (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG ან PricewaterhouseCoopers და მათი წევრი ფირმები და ფილიალები), ან (ბ) დამტკიცებულ იქნება „ობლიგაციონერების“ მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს „ემიტენტთან“ „აფილირებული პირი“.

„აფილირებული პირი“ რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ „პირს“ ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ (ამ განმარტების მიზნებისთვის, „კონტროლი“, როდესაც გამოიყენება რომელიმე „პირთან“ მიმართებით, ნიშნავს უფლებამოსილებას, წარმართოს ან განსაზღვროს ამ „პირის“ მენეჯმენტის ან პოლიტიკის მიმართულება, პირდაპირ თუ ირიბად, ხმის მიცემის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად), ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, მისი „შვილობილის“ ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი, სამეთვლეყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის გაშლილი ხელის პრინციპით განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებასთან დაკავშირებით არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვასთან დაკავშირებით არ ხორციელდება) შორის.

„შეთავაზების პერიოდი“ ნიშნავს დროის მონაკვეთს „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, ამავე „პროსპექტის“ და რელევანტური „წინასწარი შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.

„შეთავაზების დასრულების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როცა დადგება რომელიმე ჩამოთვლილი გარემოება: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; ან გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

„გადავადებული განთავსების თარიღი“ ნიშნავს ნებისმიერ თარიღს "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "შეთავაზების პერიოდის" დასრულებამდე, როდესაც ხდება "ობლიგაციის" განთავსება "გადავადებული განთავსების ფასით".

„გადავადებული განთავსების ფასი“ ნიშნავს "ობლიგაციების" ნომინალური ღირებულებას დამატებული "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "ობლიგაციების" "გადავადებული განთავსების თარიღამდე" დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.

"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების "გამოშვება, როგორც ეს დადგენილია "საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით".

„განთავსების აგენტი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს, კერძოდ, შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/ნ 204929961), რომელთანაც „ემიტენტს“ დადებული აქვს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება;

"დაფარვის დათქმული თარიღი" ან **"დაფარვის თარიღი"** ნიშნავს პროცენტის ან ძირის ნებისმიერი შენატანისთვის ნებისმიერი "ვალდებულების" სერიაზე ისეთ თარიღს, რომელზეც დაგეგმილია პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდა აღნიშნული "ვალდებულების" მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მისი წარმოქმნის პირველი თარიღიდან წინამდებარე "პირობების" შესაბამისად და არ მოიცავს რაიმე პირობით ვალდებულებას აღნიშნული პროცენტის თუ ძირის თავდაპირველად დათქმულ ვადამდე გადასახდელად. "ობლიგაციებისთვის" მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებულ "დაფარვის თარიღს" განსაზღვრავს "საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი".

"წმინდა სასესხო პორტფელი" ნიშნავს „ემიტენტის“ სააღრიცხვო პოლიტიკისა და IFRS-ის შესაბამისად განსაზღვრულ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს, რომელსაც დაკლებული აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

„სასესხო ვალდებულება“ ნიშნავს "ემიტენტის" სააღრიცხვო პოლიტიკისა და IFRS-ის მიხედვით განსაზღვრულ ნასესხებ სახსრებს, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, სუბორდინირებულ ვალს, საიჯარო ვალდებულებებსა და ასევე ნებისმიერ არსებულ ან მომავალ სასესხო ვალდებულებას გამსესხებლის (კრედიტორის) წინაშე, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი სესხის, საკრედიტო ხაზის ან გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის გაწეული სხვა ფინანსური მომსახურებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვის, პროცენტის, საკომისიოების, საზღაურის, პირგასამტეხლოს და შესაბამის სესხთან დაკავშირებით გადასახდელი სხვა ნებისმიერი თანხების გადახდის ვალდებულებას.

„ვალდებულება“ ნიშნავს „ემიტენტის“ სააღრიცხვო პოლიტიკისა და IFRS-ის მიხედვით დათვლილ, კონსოლიდირებულ ბალანსზე არსებულ ჯამურ ვალდებულებებს.

„მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები“ ან **„კონსოლიდირებული აქტივები“** ნიშნავს ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით და განსაზღვრის თარიღისთვის, აღნიშნული „პირის“ და მისი „შვილობილების“ კონსოლიდირებულ ჯამურ აქტივებს, როგორც წარმოდგენილია აღნიშნული „პირის“ მიერ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით იმ დაშვებით, რომ პირი არ არის რეგისტრირებული შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ პირი არარეზიდენტია, გადახდილ პროცენტზე გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი. ამასთანავე, გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და მიმღების ერთობლივ შემოსავალში არ ჩაერთვება „ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი იმ დაშვებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში.

ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტისა) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

„ობლიგაციების“ რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) იბეგრება შესაბამისი გადასახადებით. კერძოდ, ფიზიკური პირის შემთხვევაში მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მიღებული მოგება (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით. ისეთ შემთხვევაში, როცა პირი არარეზიდენტია, მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს

საქართველოსა და ხსენებული პირის საგადასახადო რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთანავე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის „ობლიგაციების“ რეალიზაციის შემთხვევაში, მიღებული შემოსავლის გაცემისას საბროკერო კომპანია ვალდებულია გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი. აგრეთვე, ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ ორ წელზე მეტი ვადით ფლობისა და ეკონომიკურ საქმიანობაში არ გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, „ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი შემოსავალი განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე (იგულისხმება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან/და თბილისის საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტისა) მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

გადასახადი ძირითადი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.